

ნანა შენგელაია

არასრული სიტყვები
და ტექსტის
სემანტიკური მთლიანობა

ლილუენე

This project was made possible
by the United States Information Agency (USIA)
and was administered by the
International Research and Exchange Board (IREX)

ნანა შენგელაია
არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა

დიზაინი: ოთარ ყარალაშვილი

©ნანა შენგელაია 2000

ISBN 99928-59-52-0

პირველი გამოცემა 2000

ყველა უფლება დაცულია

გამომცემლობა დიოგენე
დ.ალმაშენებლის 150ა, თბილისი
ტელ./ფაქსი 96 79 71
ელ-ფოსტა: diogene@ip.osgf.ge

სარჩევი

0. შესავალი	7
1. სრულმნიშვნელობიანი და არასრული სიტყვები	14
1.1. სიტყვა	14
1.2. სრულმნიშვნელობიანი სიტყვები	24
1.3. არასრული სიტყვები	30
1.4. მეტყველების ნაწილები და არასრული სიტყვები	41
1.5. არასრული სიტყვები ლექსიკონში	44
1.6. არასრული სიტყვები ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურაში	56
2. არასრულ სიტყვათა ფუნქცია ენაში	62
2.1. სემიოტიკური და სემანტიკური აღნიშვნები	62
2.2. ტექსტის ზოგადი მახასიათებლები	83
2.3. ტექსტის ქსოვილის შექმნა	88
3. გადაბმის მოდელები ტექსტში	99
3.1. ლექსიკური გამეორება	99
3.2. კორეფერენცია	104
3.3. სუბსტიტუცია	121
3.4. დაკავშირება	137
3.5. თემა და რემა გადაბმის დროს ტექსტში	161
დანართი	
თითქმის, ლამის, კინაღამ სიტყვების სემანტიკური დახასიათება	167
ციტირებული ლიტერატურა	178

0. შესავალი

0.1.

როგორც კარგად არის ცნობილი, მე-20 საუკუნის სოსიურის შემდგომი ლინგვისტიკა ადამიანის ენას თვითკმარ, თავის თავში მოქცეულ და თავისთავად ფენომენად მიიჩნევდა. ლინგვისტური კვლევის დროს ხდებოდა მხოლოდ წმინდა ენობრივი მონაცემების შესწავლა და მხოლოდ მათი გათვალისწინება. დაუშვებლად იყო მიჩნეული ენათმეცნიერებასთან ახლო მდგომი სხვა ჰუმანიტარული დარგების მონაცემების გათვალისწინება და მათი დამოწმება. ამდენად, ლინგვისტური კვლევა უგულვებელყოფდა ისეთი დარგების მონაცემებს, როგორიც არის, მაგალითად, ფილოლოგია, წერილობითი ძეგლების ანალიზი, ენების სწავლება; გამორიცხავდა ისტორიულ, გეოგრაფიულ და სხვა მონაცემებს, ენობრივი მასალის ფსიქოლოგიურ ან ფილოსოფიურ ანალიზს, მოცემული ენის ეთნო-კულტურულ დახასიათებას და სხვა. აგრეთვე უგულვებელყოფილი იყო ენაში გარე სამყაროს მოვლენების, ერთმანეთთან ლოგიკური მიმართებების, საგნების სიერცესა ან დროში განლაგების ასახვა, ამ მახასიათებლების დამოკიდებულება ბუნებრივი ენის მასალასთან და თვით ადამიანთან.

ასეთი მოთხოვნების შედეგად ლინგვისტიკისათვის ღირებული აღმოჩნდა მხოლოდ ის მონაცემები, რომელსაც მას ენობრივი ფორმა – ენობრივი გამოხატულება მიაწოდებდა. ლინგვისტური ანალიზიც ბუნებრივად შეიზღუდა ენის ფორმალური მახასიათებლების, მისი გამოხატულების პლანის თავისებურებებისა და კანონზომიერებების შესწავლით.

მე-20 საუკუნის ლინგვისტიკის მთელი ძალისხმევა – ყოველ შემთხვევაში, ალბათ, 70-იან წლებამდე, მიმართული იყო ფორმის კვლევისაკენ, რამაც ცხადყო ბუნებრივი ენის სისტემური ხასიათი, ამ სისტემის სტრუქტურული თვისებრიობა და

ენობრივი სტრუქტურებისათვის დამახასიათებელი მიმართებების მკაცრი სიზუსტე.

ასეთი თვალსაზრისით ენობრივ ფორმათა ანალიზმა არა ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი თეორიული მონაპოვარი შესძინა ლინგვისტიკასა და ლინგვისტურ აზროვნებას. უპირველესად, ზოგადად განისაზღვრა ბუნებრივი ენის, როგორც ფენომენის რაობა და მისი განუმეორებელი თვისებრიობა.

ენობრივი ფენომენის მკაცრად სტრუქტურული და სისტემური ხასიათის ღრმა კვლევამ მდიდარი ემპირიული მასალითაც გაამდიდრა ენათმეცნიერება. ენობრივი კვლევის ფორმალური მონაცემებით შეზღუდვამ წარმოაჩინა ბუნებრივი ენის მრავალი ისეთი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს მის თვისებრიობას და მისი როგორც საკომუნიკაციო სისტემის უნიკალურობას. შეუძლებელია გადამეტებით შევაფასოთ ლინგვისტიკაში სტრუქტურული და ფორმალური მეთოდის გამოყენებით მიღებული მიღწევები, რომლებმაც ადამიანის ენის შესწავლა სრულიად ახლებურად წარმართა.

მაგრამ, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ამ მკაცრმა და ერთ მხრივ მიმართულმა შეზღუდვამ უდიდეს მიღწევებთან ერთად ერთგვარი პარადოქსიც წარმოქმნა — გამოიწვია ბუნებრივი ენის ძირითადი და უმთავრესი დანიშნულების, შინაარსის გადაცემის შესწავლის უგულვებელყოფა. ამ შეზღუდვამ ძირითადად ორი შედეგი გამოიღო:

ა. ფორმალური მხარისათვის ასეთი მნიშვნელობის მინიჭებამ ფაქტობრივად წინასწარ გამორიცხა ან უკიდურესად შეზღუდა ბუნებრივი ენის არსებითი დანიშნულების, მისი მთავარი ფუნქციის — მნიშვნელობის გადაცემის შესწავლა, რამდენადაც მნიშვნელობა ურღვევად არის დაკავშირებული არაენობრივ ვითარებასთან, ენის გარეთ არსებული მოვლენებისა და საგნების ასახვასთან, არაენობრივი სიტუაციის გათვალისწინებასთან და სხვ. ყველა ეს ისეთი მახასიათებელია, რომელთა განხილვასაც არ ითვალისწინებდა და გაურბოდა სტრუქტურული ლინგვისტიკა.

ბ. აგრეთვე უწყურადღებოდ დარჩა ის ენობრივი ერთეულები, რომელთა თვისებრიობა არ არის დაკავშირებული ფორმის ცვლასთან და სტრუქტურული მიმართებებით არ დახასიათდება. ეს არის წმინდა სემანტიკური ერთეულები, რომლებიც უაღრესად

ღირებულა ბუნებრივი ენის საკომუნიკაციო ფუნქციის განხორციელებისათვის.

სემანტიკის თანდათანობითმა ინტენსიურმა განვითარებამ, აგრეთვე, ტექსტის ლინგვისტიკის ახალ დისციპლინად ჩამოყალიბებამ და პოპულარობამ, ლინგვისტური პრაგმატიკის პრობლემების წინ წამოწევამ შესაძლებელი გახადა ისეთი სახის კვლევა, როდესაც შეისწავლება მოცემულ გამონათქვამში ენობრივი ერთეულის ხმარების სემანტიკური ასპექტები. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ხოლმე ამ ერთეულის – სიტყვის მრავალფეროვანი მნიშვნელობები ტექსტში.

ლინგვისტური თეორია სიტყვათა სიმრავლეში იმთავითვე გამოყოფდა ერთმანეთისაგან განსხვავებულ ორ ჯგუფს, რომელთაგანაც პირველს არისტოტელე უწოდებდა „საკუთრივ სიტყვებს“, სიტყვების მეორე, მცირერიცხოვან ჯგუფს კი – „კავშირებს“ (41, 11; 273). ამ ჯგუფის სიტყვებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიურ საკითხებს, ქვემოთ უფრო დაწვრილებით შეეხებით.

ამა თუ იმ ენაში ცალკეულ არასრულმნიშვნელობიან სიტყვათა სემანტიკის შესწავლამ შესაძლებელი გახადა იმ სემანტიკური როლის გარკვეული განზოგადება, რომელსაც ასრულებენ ხოლმე არასრული სიტყვები გამონათქვამში.

არასრულმნიშვნელობიანი, „დამხმარე“ სიტყვების პრინციპული თავისებურება სრულმნიშვნელობიან სიტყვებთან შედარებით ყოველთვის აღინიშნებოდა სხვადასხვა თეორიული სკოლის წარმომადგენელთა შრომებში. მაგრამ ამ სიტყვათა ზოგად-ტიპოლოგიური და თეორიული მახასიათებლების სისტემური შესწავლა და დახასიათება ჩვენთვის უცნობია. არასრულ სიტყვათა სისტემური თეორიული ანალიზის ცდას წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი.

0.2.

ამა თუ იმ წინადადების ტრივიალური სასკოლო ანალიზის დროს გამოიყოფა სიტყვები, რომლებიც პასუხობენ ჩვენს მიერ დასმულ კითხვებს: რას შერება? ვინ? რა? როდის? რას? როგორ? სად?

კითხვების საშუალებით ვადგენთ იმას, თუ წინადადების რა

წევრებია ეს სიტყვები — შემასმენელი, ქვემდებარე, დამატება თუ სხვა. ამ გზით ირკვევა, თუ როგორია წინადადების ზედაპირული სინტაქსური სტრუქტურა. სიტყვები, რომელთა მიმართაც ვსვამთ კითხვებს და რომლებიც ქმნიან წინადადების სინტაქსურ სტრუქტურას არის ე.წ. სრულმნიშვნელობიანი სიტყვები.

ზემოხსენებული კითხვების დასმის დროს, აგრეთვე ვიღებთ პასუხს იმის თაობაზე, თუ კერძოდ ვინ მოქმედებს, კერძოდ რა ხდება, და ა.შ. მაშასადამე, ცხადი ხდება წინადადების შინაარსიც, რომელიც ერთი და იმავე ფორმალური სტრუქტურის პირობებში სულ სხვადასხვა შეიძლება იყოს.

სიტყვა როგორც ლინგვისტური ერთეული და როგორც მოლაპარაკისა და მსმენელისათვის ინტუიციურად თავისთავად ცხადი ოდენობა, გაიგივებულია ხოლმე სწორედ სრულმნიშვნელობიან, ლექსიკურ ერთეულებთან, რომელთაც ენის გარეთ აქვთ თავისი აღსანიშნი.

ამავე დროს, ლინგვისტურ თეორიაში განსაკუთრებით აღინიშნება ისეთი სიტყვებიც, რომლებიც სრულიად თავისებურია როგორც სემიოტიკური, ისე სტრუქტურული და სემანტიკური თვალსაზრისით.

ეს არის სიტყვები, რომელთა მიმართაც ზემოხსენებული სახის შეკითხვას ვერ დავსვამთ და, შესაბამისად, ვერც პასუხს მივიღებთ. ამ სიტყვებს ჩვენ ვუწოდებთ არასრულ სიტყვებს — ისინი არც წინადადების წევრებია და არც ისეთი სახის მნიშვნელობები შეამოაქვთ გამონათქვამში, როგორც სრულმნიშვნელობიან სიტყვებს. ჩვენი ინტერესის ობიექტს სწორედ არასრული სიტყვები წარმოადგენენ.

ამ სიტყვების აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში საკმაო სიჭრელეა. მათ უწოდებენ ხოლმე დამხმრე სიტყვებს, მეორეხარისხოვან სიტყვებს, ფორმალურ, გრამატიკულ სიტყვებს, ფორმაუცელელ სიტყვებს და ა.შ. შედარებით ახალი ტერმინებია: დისკურსის მაკაეშირებლები, დისკურსის მარკერები, დისკურსის ნაწილაკები, დისკურსის (ან ტექსტის) ერთეულები. არსებობს საავტორო ტერმინებიც: შიფტერი (ო.ესპერსენი), მცირე სიტყვები (ჯ.ლაიონზი) და სხვა. ამ ტერმინების ხმარება საკმაოდ ჭრელია არა მარტო სხვადასხვა ავტორთან ან სხვადასხვა სკოლების მიერ, არამედ ერთი და იმავე ავტორთანაც კი.

ტერმინთა ეს მრავალფეროვნება გამოწვეულია იმით, რომ თითოეული მათგანი წარმოაჩენს ამ სიტყვების თავისებურების სხვადასხვა ასპექტს. მაგალითად, ტერმინი *მაკავშირებელი ხაზს* უსვამს ამ სიტყვათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, კერძოდ, ენობრივ გამონათქვამთა ნაწილების ერთმანეთთან გადაბმას ტექსტში.

ტერმინი *მცირე სიტყვები* გულისხმობს როგორც ამ სიტყვების მცირე რაოდენობას ენაში, ასევე, როგორც ჩანს, იმასაც, რომ ისინი ვერ ასრულებენ მთავარ სინტაქსურ ფუნქციებს წინადადებაში და ამდენად ნაკლებად მნიშვნელოვანნი არიან.

ჩინური ლინგვისტური ტრადიციის გავლენით დამკვიდრებული და ე. ვანდრიესის მიერ აღდგენილი ტერმინი *ცარიელი სიტყვა* გადმოგვცემს ამ სიტყვების სემიოტიკურ თავისებურებას — ლექსიკური მნიშვნელობის არქონას. ცარიელი სიტყვებისათვის გარე სამყაროში არ არსებობს შესაბამისი აღსანიშნი ობიექტი (45, 455; 52, 99).

0.3.

იმ შრომებში, რომლებიც ჩვენ ვუძღვევით ხსენებულ სიტყვებს, ჩვენც არაერთხელ შევცვალებთ ტერმინი — ხან *მაკავშირებლები* ვიხმარებთ, ხან *დამხმარე*, ხან *მცირე* და ხან *ცარიელი*. ვფიქრობ, რომ ახლა საბოლოოდ შევჩერდი ისეთ ზოგად ტერმინზე, როგორიცაა *არასრული სიტყვები*, რომელიც მივიღე ტერმინიდან *არასრულმნიშვნელობიანი გარკვეული გამარტივების გზით*. ეს ტერმინი, ჩემთვის მოულოდნელად, სხვადასხვა თვალსაზრისით გახდა მისაღები. კერძოდ:

ა. პირველ რიგში „არასრული“ ნიშნავს სემიოტიკურად არასრულს. აქ იგულისხმება ამ სიტყვათა სემიოტიკურ-სემანტიკური თავისებურებები. ისინი განსხვავდებიან სემიოტიკური ნიშნებისაგან — სრულმნიშვნელობიანი სიტყვებისაგან, რომელთაც აქვთ თავისი აღსანიშნები ენის გარეთ მყოფი ობიექტების სახით. არასრულ სიტყვებს არა აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა, ისინი არ წარმოადგენენ ენის გარე მოვლენებისა და საგნების, თვისებების დასახელებას. შესაბამისად, არასრული სიტყვები არც იმ სემიოტიკური თვისებებითა და მიმართებებით ხასიათდება, რომელიც ამა თუ იმ ენაში ახასიათებთ სრულმნიშვნელობიან

სიტყვებს. არასრული სიტყვების სემანტიკური როლი ენაში სულ სხვაა — ამის ჩვენებას ვეცდებით ჩვენს ნაშრომში.

ბ. ამ სიტყვათა სემიოტიკური არასრულობა მხოლოდ ნაწილობრივი მოტივაციაა ამ ტერმინის ასარჩევად, „მცირე“ სიტყვები არასრულია იერარქიულადაც, სტრუქტურულადაც.

არასრული სიტყვები არ არის ენის იერარქიული სტრუქტურის წევრი. არასრული სიტყვები მორფოლოგიურად მარტივი სიტყვებია — არც დერივაციულად არ არის აგებული და არც ფლექსიურ მორფემებს არ დაირთავს. ამის შედეგად, ეს სიტყვები მოკლებულია ყველა იმ ფუნქციას, რომელთა საფუძველსაც წარმოადგენს ფორმლური მახასიათებლები. ფორმალური ნიშნებით განსაზღვრული ფუნქციები სრულმნიშვნელობიანი სიტყვებისათვის მახასიათებელთა ერთ საკმაოდ მრავალფეროვან და არსებით რიგს ქმნის. ესენია:

პარადიგმატული კლასის წევრობა — მეტყველების ნაწილთა არაგადამკვეთ სიმრავლეთა შექმნა;

მეტყველების ნაწილთა ერთი კლასიდან მეორეში გადასვლა დერივაციული აფიქსების საშუალებით. მაშასადამე, ახალი პარადიგმატული ფლექსიური მახასიათებლების შექმნა;

წინადადებაში სინტაქსური სტრუქტურის წევრობა, ანუ ფლექსიურ შესაძლებლობათა საფუძველზე წინადადების წევრის ფუნქციის შესრულება;

ჩანაცვლების მაღალი უნარი სინტაქსურ სტრუქტურებში გრამატიკული სისწორის დარღვევის გარეშე.

არც ერთი ეს მახასიათებელი არ არსებობს არასრული სიტყვებისათვის. ამ თვალსაზრისით ისინი თითქოს მართლაც „არასრული“ ხასიათისა არიან.

გ. ტერმინი საკმაოდ მოკლე და იოლი სახმარია.

ამ მოკლე ახსნა-განმარტებით ვცდილობთ დავასაბუთოთ ჩვენი არჩევანი ტერმინისა არასრული. უნდა აღვნიშნოთ, რომ მაინც გვრჩება გარკვეული უკმარისობის გრძნობა იმის გამო, რომ ტერმინი უარყოფითი ფორმისაა. აქ არ ვგულისხმობთ მეცნიერულ ან ლოგიკურ ხარვეზს, რამდენადაც ამ მხრივ უარყოფითი ტერმინი ისევე სრულყოფილია, როგორც რომელიმე სხვა.

უკმარისობის გრძნობას იწვევს ის, რომ ეს ტერმინი არასრული სიტყვების უარყოფითი ნიშნების გათვალისწინებით შეიქმნა; მაგრამ ამ ტერმინის გადამწყვეტ უპირატესობად ის

ჩავთვალე, რომ იგი ზოგადია და ყველა იმ თავისებურებაზე მიუნიშნებს, რომლებიც ამ სიტყვებს განასხვავებს სრულმნიშვნელობიანი სიტყვებისაგან. ვერ მოვახერხე ტერმინით ამესახა ის უმნიშვნელოვანესი როლი, რაც ამ უდიდესი დატვირთვის მქონე სიტყვებს აქვთ ბუნებრივი ენის ფუნქციობის დროს.

არც ერთი ენობრივი ერთეული, არც ერთი სიტყვა არ „მუშაობს“ ისე მრავალფეროვნად, არ არის ისეთი მასშტაბური თავისი ლინგვისტური ფუნქციობით, როგორც არასრული სიტყვები. მათ გადამწყვეტი როლი ეკუთვნით მოლაპარაკისათვის სასურველი შინაარსის წარმოდგენაში. არასრული სიტყვები უზრუნველყოფს ადამიანის ენის არსებითი და განმსაზღვრელი ფუნქციის – საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულებას. არასრული სიტყვების მრავალფეროვანი და უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციებია სწორედ იმის საწინდარი, რომ ადრესატს ზუსტად იმ სახით მიეწოდოს მოლაპარაკის აზრი, როგორც ეს ამ უკანასკნელისათვის არის სასურველი.

როგორც ვთქვით, ტერმინი არასრული ზოგადად მიუნიშნებს ყველა იმ თავისებურებაზე, რომელიც ამ სიტყვებს აქვთ სრულმნიშვნელობიან სიტყვებთან შედარებით. მართალია, ჩვენ შევიჩერდით ტერმინზე არასრული, მაგრამ ყოველ წუთს მზადა ვართ შევცვალოთ ეს ტერმინი უკეთესით.

1. სრულმნიშვნელობიანი და არასრული სიტყვები

1.1. სიტყვა

1.1.1.

რამდენადაც ამ წიგნში შევისწავლით სიტყვათა ერთ თავისებურ ჯგუფს, გვინდა ზოგადად შევეხოთ სიტყვის, როგორც ენობრივი ერთეულის გამოყოფისა და განსაზღვრის საკითხს, რომელიც მუდამ აქტუალურ, რთულ და ბოლომდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება ლინგვისტური თეორიისათვის.

როგორც ე. ბენვენისტი ამბობს, არ არსებობს სიტყვაზე უფრო მაღალი ძალა, და ადამინის ყოვლისშემძლეობა და სიდიადე არსებითად მომდინარეობს არამატერიალური და სუვერენული ოდენობისაგან – სიტყვისაგან (7, 27-28).

ბუნებრივი ენისათვის მრავალი თვალსაზრისით ცენტრალური ლინგვისტური ერთეულის, სიტყვის შესწავლასთან და დახასიათებასთან დაკავშირებულია გარკვეული თეორიული სირთულეები. ამ სირთულეთა გადალახვის სხვადასხვა კონკრეტული გზების ძიება კარგად არის ცნობილი. ამ პრობლემას მხოლოდ მოკლედ შევეხებით ჩვენს შრომაში – იმ ზომით, რა ზომითაც ამას საჭიროდ მივიჩნევთ ჩვენი წიგნისათვის.

ცალკეული ენებისათვის სიტყვის განსაზღვრება შედარებით წარმატებიანია სხვა ლინგვისტური დონეების ცნებების მომარჯვებით. ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სხვა მახასიათებლები ზოგჯერ შესაძლებელს ხდის კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყდეს სიტყვის გამოყოფის პრობლემა. ასეთია, მაგალითად, ფიქსირებული მახვილის მქონე ენებში სიტყვის საზღვრის

დადგენა მახვილის დახმარებით; ან ფლექსიური მარეგულირების გამოყოფით სიტყვების გამოცალკევება და ა.შ. (შდრ. 50, 41). მაგრამ უნივერსალური კრიტერიუმების მოძებნა სიტყვის ზუსტი და ამავე დროს ზოგადი განსაზღვრებისათვის უაღრესად რთულ პრობლემად რჩება დღესაც.

სხვა ლინგვისტური ერთეულების მიმართ ხერხდება ზოგადი თეორიული განსაზღვრების შემოტანა – თუნდაც ეს ისეთი რთული ლინგვისტური ერთეული იყოს, როგორცაა წინადადება. აღარაფერს ვამბობთ ისეთ ენობრივ ერთეულებზე, როგორცაა ფონემა ან მორფემა, რომლებიც ლინგვისტური ანალიზის შედეგად მიღებული თეორიული ერთეულებია. ამიტომაც არიან ისინი იმთავითვე მკაცრად და ცალსახად განსაზღვრულნი.

სიტყვა წარმოადგენს ენისათვის ცენტრალურ ცნებას. ცენტრალური ერთეულის განსაზღვრების საკითხი ენათმეცნიერებასა და მეცნიერების სხვა დარგებში საერთოდ არც დგება. ასეთი ერთეულები უშუალოდ არის მოცემული (16, 139 და შემდგომ). ლინგვისტური კვლევის დროს ნაბიჯსაც ვერ ვდგამთ სიტყვის, როგორც ერთეულის გათვალისწინების გარეშე. შეუძლებელია ეჭვი შეგვეპაროს ამ ერთეულის არსებობაში, ვთქვათ, იმაში, რომ ენა იქმნება სწორედ სიტყვის ფუნქციობით. ამავე დროს, სიტყვის განსაზღვრების ცდა, მაგალითად, ფ. დე სოსიურს უნაყოფოდ მიაჩნდა (16, 109).

ლ. ტენიერიც, სხვათა მსგავსად, თვლიდა, რომ სიტყვის ცნების განსაზღვრება პრინციპულად შეუძლებელია (18, 37). იგი წერს, რომ ვერ ხერხდება სიტყვის ერთეულის ზუსტი, ცალსახა, ყველა ენისათვის მისაღები და ამომწურავი განმარტების შემოტანა.

სიტყვა ძლიერ რთული ობიექტია. მისი აღწერა მოითხოვს მრავალრიცხოვანი ფაქტების ღრმა ანალიზს, მრავალი შუალედური ცნების გათვალისწინებას, აგრეთვე მონათესავე დარგებში გარკვეულ გამოკვლევათა ჩატარებას.*

შეიძლება ერთი შეხედვით პარადოქსული მოგვეჩვენოს, რომ

* მიუხედავად ამ სირთულეებისა, თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „Курс лингвистической морфологии“ ი. მელჩუკმა, მაინც გამოძებნა რთული პრობლემათა თვის თვის დაღწევის გზა (11, 95), რაზედაც ქვემოთ მოკლედ ვიტყვი.

ზემოთქმულის ფონზე ყველა ლინგვისტს, ასევე, მოცემულ ენაზე ყველა ნორმალურ მოლაპარაკეს, შეუძლია ყოველგვარი თეორიული მსჯელობისა და მომზადების გარეშე, ინტუიციის, რაღაც თანდაყოლილი ცოდნის შემწეობით უშეცდომოდ გამოაცალკევოს სამეტყველო ნაკადში სიტყვა. ეს, ალბათ, ერთადერთი ენობრივი ერთეულია, რომელიც იცის და რომელსაც ინტუიციურად ზუსტად ამოიცნობს ყოველი მოლაპარაკე.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ რამდენადაც უპრობლემოა სიტყვის, როგორც ერთეულის ინტუიციური ამოცნობა, იმდენადვე რთული უნდა აღმოჩნდეს ლინგვისტიკისათვის მისი თეორიული განსაზღვრება. თეორიული განსაზღვრება ამ შემთხვევაში მოითხოვს მოუხელთებელი, ან ძნელად მოსახელთებელი, და ამავე დროს, თავისთავად ცხადი ინტუიციური ცოდნის ექსპლიციურებას. ამიტომ არის სწორედ შეუძლებელი ამ ცენტრალური ერთეულის სრულყოფილი თეორიული განმარტება. ერთია ინტუიციურად ვფლობდეთ ერთეულის კონკრეტული ფუნქციობის ყველა ნიუანსს, სულ სხვაა – ამ ფუნქციების სისტემური ანალიზი, ამბობდა ფ. დე სოსიური (16, 138). ა. ლოსევი (9, 33) ამბობს, რომ მეცნიერებაში სწორედ ის არის ყველაზე ძნელი, რაც ინტუიციურად გასაგებია და რისი განმარტებაც ერთი შეხედვით არანაირ სიმძნელეს არ წარმოადგენს. (შდრ. აგრეთვე 20, 94)

1.1.2.

საინტერესოა სიტყვის როგორც ესოდენ მნიშვნელოვანი ერთეულის შედარება ენობრივი დონეების სხვა ლინგვისტურ ერთეულებთან – მაგალითად, ფონემასა და მორფემასთან.

ერთეულები – ფონემა და მორფემა მიღებული და გამოყოფილია ენათმეცნიერთა მიერ ენობრივი გამონათქვამების ანალიზისა და თეორიული განზოგადების შედეგად. ამ ერთეულების განმარტება მოცემულია ზუსტი თეორიული განსაზღვრების გზით. ასეთი განსაზღვრების უპირველესი ღირებულება არის ის სტრუქტურული პრინციპი, რომელიც მას უდევს საფუძვლად. კერძოდ, ეს არის სისტემის თეორიული ერთეული და მეტყველებაში მისი ვარიანტული რეალიზაციის პრინციპი. ისიც უნდა ითქვას, რა თქმა უნდა, რომ ფონემაც და მორფემაც ბევრად უფრო მარტივი ერთეულებია, ვიდრე სიტყვა.

ფონემას არა აქვს არსებობა თეორიის გარეშე. იგი ერთგვარად წარმოადგენს ენობრივი ბგერითი სისტემის მომწესრიგებელ ერთეულს და დახასიათდება ფონოლოგიური სისტემისათვის ღირებული ფონოლოგიური ნიშნებით. კონკრეტულ გამონათქვამში მანიფესტაციის დროს ფონემა გამოვლინდება ე.წ. ალოფონებით.

მორფემაც წმინდა თეორიული ერთეულია, რომელსაც ფონემის მსგავსი და პარალელური თვისებრიობა აქვს — განსხვავება მორფემის ორპლანიანობაშია. იგი თვით არის მნიშვნელობის გადმომცემი და მისი განსაზღვრების დროს მნიშვნელობის მიმართ ესოდენ ფრთხილი დესკრიპტივისტიებიც კი ძალაუწებურად ეყრდნობოდნენ სემანტიკურ კრიტერიუმს.

მაგრამ უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მორფემის მნიშვნელობა მარტივი სახისაა. მაშინაც კი, როდესაც ერთი მორფემული ფორმა გამოხატავს ერთზე მეტ გრამატიკულ მნიშვნელობას, მორფემის სემანტიკა მაინც მარტივია და გართულება მხოლოდ რაოდენობრივია.

ფონემის ანალოგიით მორფემის გამოვლენა გამონათქვამში ხდება მისი ალო-ფორმების, ანუ ალომორფების საშუალებით.

მორფემა და ფონემა, როგორც თეორიული ლინგვისტური ერთეულები, გაუცნობიერებელია მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანისათვის. ხოლო სიტყვა, პირიქით, მოცემული ენის მცოდნეთათვის ცნობილი და თავისთავად ცხადი ერთეულია.

ვფიქრობ, რომ არ არის მართებული სიტყვის განსაზღვრება ფონემისა ან მორფემის ანალოგიით. სიტყვის თვისებრიობა არ აიხსნება წმინდა ენობრივი სისტემის მონაცემთა გათვალისწინებით. სიტყვა ერთდროულად სისტემის წევრიც არის და საკომუნიკაციო პროცესის ცენტრალური ერთეულიც. მასში, როგორც სისტემის შემადგენელში, უკვე მოცემულია ზოგადი ლექსიკური და გრამატიკული შინაარსი, რასაც იგი საჭიროებისამებრ არჩევითად გამოავლენს სამეტყველო პროცესში. სიტყვის ერთეულის სისტემაში არსებობაც და საკომუნიკაციო პროცესში მონაწილეობაც არსებითად სხვა თვისებრიობაა ფონემის ან მორფემის სისტემურ ხასიათთან და მათი მეტყველებაში ფუნქციობასთან შედარებით.

ამ თვალსაზრისით უადრესად საინტერესოა ი. მელჩუკის მიერ სიტყვის ერთეულის განხილვა (11, თავი 1). თავისი ხუთტომიანი წიგნიდან მან საერთოდ ამოიღო ხმარებიდან ტერმინი სიტყვა და

სამაგიეროდ ორი ცნება და, შესაბამისად, ორი ტერმინი შემოიტანა. ეს ორი ცნება ასე შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ: ერთია სიტყვა ენობრივ სისტემაში — ამ ერთეულს ი. მელჩუკი *ლექსემას უწოდებს*, ხოლო მეორეა საკომუნიკაციოდ ნახმარი სიტყვა — *სიტყვა-ფორმა*. სიტყვა-ფორმა წარმოადგენს ლექსემის გამოვლინების კონკრეტულ შემთხვევას, ხოლო ლექსემა იმ სიტყვა-ფორმათა სიმრავლეა, რომელთა შორის განსხვავება მხოლოდ ფორმალურია.

სიტყვის ცნების ასეთი გაყოფით ი. მელჩუკმა მიაღწია ერთგვარ პარალელიზმს, შესძლო გაეგრძელებინა ტრადიციული თეორიული სტრუქტურების სურათი, რომელიც კარგად ჩანს ფონემისა და მორფემის შემთხვევაში. კერძოდ, ენობრივ სისტემაში წარმოდგენილია თეორიული ერთეული — ლექსემა, რომელიც კომუნიკაციის დროს გარკვეული ალო-ფორმებით — სიტყვა-ფორმებით გამოვლინდება, იმ ფორმით, რომელიც გაპირობებული და მოთხოვნილია ენობრივი გამონათქვამის სტრუქტურული კონტექსტით.

ლინგვისტური კვლევის მიზანი ხშირად განსაზღვრავს იმ ერთეულთა და ცნებათა კვალიფიკაციას, რომელთაც ლინგვისტი იყენებს თავისი მსჯელობის დროს, რომელთაც ეყრდნობა თეორიული დასკვნების გამოტანისა და ემპირიული ანალიზის დროს.

ი. მელჩუკის მიერ სიტყვის თეორიული დაყოფა ორ ერთეულად სიმეტრიულ სურათს გვაწვდის ყველა ენობრივი ერთეულის განსაზღვრების თვალსაზრისით. ამას გარდა, ლექსემისა და სიტყვა-ფორმის ასეთი გამოცალკეება იდეალურ საფუძველს ქმნის მორფოლოგიური კვლევისათვის. ეს სიტყვის განსაზღვრების ძალიან ლოგიკური და მომხიბლავი გადაწყვეტაა მორფოლოგიური ლინგვისტური კვლევის ჩასატარებლად.

მაგრამ სიტყვა რეალურად უადრესად რთული ერთეულია და მისი გამარტივება შეიძლება გამართლდეს მხოლოდ კონკრეტული მიზნების მიღწევის სურვილით. ამდენად ამ პრობლემის ასეთი მარტივი გადაწყვეტა ყველა შემთხვევისათვის როდი აღმოჩნდება ღირებულად.

ჩვენი კვლევის მიზნისათვის საჭიროა შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ ის ზოგადი, თუნდაც არასაკმარისად ზუსტი, მაგრამ უცილობელი ნიშნები, რომლებიც ახასიათებს სიტყვას. ეს ნიშნები უნდა ასახავდეს სიტყვის სემიოტიკურ თვისებებს, მის ფორმალურ მახასიათებლებს და მის სემანტიკურ თვისებებს.

უნდა ვიცოდეთ როგორია ენობრივი სისტემის მიერ სიტყვისათვის მინიჭებული ლინგვისტური პოტენცია, როგორია სიტყვისათვის ამით განსაზღვრული ქმედების არე ბუნებრივ ენაში, რა სემანტიკურ შრეებს შეეხება სიტყვის ფუნქციობა. დაბოლოს, გვინტერესებს, როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისაგან სრულმნიშვნელობიანი და არასრული სიტყვების თვისებრიობა ყველა ამ მონაცემის საფუძველზე.

ერთის მხრივ, ჩვენ ვეძებთ სიტყვათა იმ ნიშნებს, რომლებიც საერთოა სრულმნიშვნელობიანი და არასრული სიტყვებისათვის; აგრეთვე ვეძებთ ამ ორი ტიპის სიტყვათა განმსხვავებელ ნიშნებსაც.

თავიდანვე ხაზს გაუუსვამთ იმას, რომ სიტყვა და მისი ლინგვისტური არსი გამარტივებული სახით წარმოგვიდგება ყოველგვარი დახასიათების დროს. მხოლოდ ის არის სასურველი, რომ ყველა ის მახასიათებელი იყოს გათვალისწინებული, რაც მოცემული კვლევისათვის არის რელევანტური.

1.1.3.

სიტყვის დასახასიათებლად მაინც იძებნება ისეთი ნიშნები, რომლებიც საკმარისად ზოგადია, თუმცა, იქნებ, აბსოლუტური და ფარდობითიც. აქ ამ ნიშნებს ცალკე განვიხილავთ კიდევ იმის გამოც, რომ ისინი საერთოა როგორც სრულმნიშვნელობიანი, ისე არასრული სიტყვებისათვის.

სიტყვა წარმოადგენს თავისუფალ ფორმას ე.წ. ბმული ფორმის საწინააღმდეგოდ (ეს ლ. ბლუმფილდის ტერმინებია: *free* და *bound forms*). ზოგჯერ ამავე მნიშვნელობით ხმარობენ სხვა ტერმინებსაც — სიტყვა არის *დამოუკიდებელი* (ე.ბენვენისტი), *ავტონომიური* (ი.მელჩუკი), ახასიათებს „*გარეგანი მობილურობა*“ (ტ.ვინოგრადი) და სხვა. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვას ცალკე, სხვა ფორმებთან კავშირის გარეშე შეუძლია არსებობა და ფუნქციობა.

ლ. ტენიერის თვალსაზრისით, სიტყვის გამოყოფის ერთ-ერთი საშუალებაა იერარქიის უფრო მაღალი დონის ერთეულში, წინადადებაში ვიპოვოთ ის ხარვეზები, რომლებშიც შეიძლება სხვა სიტყვებითა ან ფრაზებით თეორიულად უსასრულო ჩასმა

ვაწარმოთ. ამ შესაძლებლობის არსებობა ნიშნავს სწორედ, რომ სიტყვის საზღვრები წარმოადგენს ავტონომიური, დამოუკიდებელი, თავისუფალი ფორმების საზღვრებს. შეიძლება ჩაისვას განსაზღვრებითი ფრაზები და წინადადებები, სხვადასხვა სახის მსაზღვრელები; შეიძლება ვაწარმოთ უფრო რთული ჩასმებიც. მაგალითად, ჩასმები შეიძლება მოვახდინოთ არსებით სახელსა და მის თანმხლებ არტიკლს შორის (11, 163):

une impression — une forte impression (ძლიერი შთაბეჭდილება)

un enfant — un bien charmant enfant (სრულიად მომხიბლავი ბავშვი).

ასეთი ჩასმები სწორედ იმას გვაჩვენებს, რომ სინტაგმატურად წინადადებაში (ან გამონათქვამში) მეზობელი სიტყვები არცთუ ისე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ქართულადაც:

მომეცი დანა — მომეცი ჩემი ორლესული დანა — მომეცი ჩემი გუშინ მოტანილი ორლესული დანა, და სხვ.

მაგრამ გამონათქვამში სიტყვის სინტაგმატური თავისუფლება, ცხადია, არ არის ყველა შემთხვევაში ერთნაირი ხარისხის. იგი მეტ-ნაკლები ხარისხისაა და ფარდობით მახასიათებელს წარმოადგენს.

უნდა ითქვას, რომ სინტაგმატური დამოუკიდებლობის ხარისხი გავლენას არ ახდენს თვით დამოუკიდებლობის ნიშნის ღირებულებაზე. მაშასადამე, მეტ-ნაკლები ზომით გამოხატული ეს ნიშანი მაინც საკმარის საფუძველს იძლევა სიტყვის როგორც ერთეულის იდენტიფიკაციისათვის.

ცხადია, რომ ასეთი ჩასმები გამონათქვამში საერთოდ ვერ მოხდება სიტყვების შიგნით მორფემულ საზღვრებზე. გარდა იმისა, რომ მორფებს შორის საზღვარი წარმოადგენს ერთიანი, მთლიანი მორფოლოგიური ერთეულის შიდა საზღვრებს, მორფთა რიგიც მკაცრად არის განსაზღვრული სიტყვის შიგნით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვის სინტაგმატური

თავისუფლება გამოიხატება, აგრეთვე, გამონათქვამში სიტყვის ადგილის ცვლით.

ვინ არის ეს ჭკვიანი და ლამაზი გოგო?
 ვინ არის ეს გოგო, ჭკვიანი და ლამაზი?
 ეს ჭკვიანი და ლამაზი გოგო ვინ არის?

ისეთ ენებშიც კი, სადაც სიტყვის რიგი სტრუქტურულად მკაცრად არის განსაზღვრული, სიტყვები მაინც შეგვიძლია გადავაადგილოთ. როგორც ცნობილია, ინგლისური სწორედ ასეთი ენაა, მაგრამ მაინც:

a blue-eyed handsome man came in;
in came a man, blue-eyed and handsome.

სინტაგმატური ავტონომიურობა გადასმის გარდა კიდევ გულისხმობს დისტრიბუციის თავისუფლებასაც (11, 161-162) – გამონათქვამში სიტყვის სინტაგმატურ დაკავშირებას სხვა სიტყვებთან. დისტრიბუციული თავისუფლება სტრუქტურებში სრულიად გამორიცხულია როგორც ფონემურ, ისე მორფემულ დონეებზე. სიტყვისათვის ესეც ფარდობითი კრიტერიუმია და მეტ-ნაკლები ხარისხით ახასიათებს სიტყვებს გამონათქვამებში და ენებში. მაგრამ ეს ნიშანი თვისებრივად განასხვავებს სიტყვას სხვა ენობრივი ერთეულებისაგან და ამდენად არის სწორედ მნიშვნელოვანი.

მაგ. ინგლისურში სტრუქტურული დისტრიბუციის ასეთი თავისუფლება საკმაოდ მაღალი ხარისხით არის გამორჩეული. ენახოთ, სიტყვა *stone* (ქვა) , რომელიც არსებითი სახელია.

he threw a stone at the dog (მან ქვა ესროლა ძაღლს);
a stone wall (ქვის კედელი);
it dropped like a stone (ქვასავით ჩამოვარდა);
a heavy stone (მძიმე ქვა);
heart of stone (ქვის გული);
stone age (ქვის ხანა) და ა.შ.

ამ მაგალითებში სიტყვა *stone* არის ზმნის დამატება, არსებითი სახელის ორნაირი მსაზღვრელი, განსაზღვრება, წინდებულიანი წევრი და ა.შ.

გარდა სინტაგმატური თავისუფლებისა, სიტყვა დამოუკიდებელი ერთეულია თვით ენობრივ სისტემაშიც. სიტყვა, სხვა ლინგვისტური ერთეულების მსგავსად გარკვეული სიმრავლის წევრია – ესა თუ ის მეტყველების ნაწილია, მაგრამ ამავე დროს, ცალკე ერთეულიც არის იმის გამო, რომ სემანტიკურად უპირისპირდება ყველა სხვა სიტყვას.

ენობრივი იერარქიის სისტემაში სიტყვა პირველი ერთეულია, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა სახის ენობრივ ინფორმაციას – სემანტიკურსა და ფორმალურს. ამდენად, იგი არის დასრულებული ერთეული, რომელსაც აქვს ცალკე გამოყოფილი არსებობა. როგორც ვთქვით, სიტყვა არის ერთეული, რომელიც ინტუიციურად არსებობს მოცემულ ენაზე მოლაპარაკისათვის. მოლაპარაკე მას უშეცდომოდ ამოიცნობს სწორედ ამ სისრულისა და სხვა სიტყვებისაგან მისი განსხვავებულობის საფუძველზე.

ამგვარი მთლიანი და ავტონომიური ხასიათის სიტყვას შეუძლია მთელი გამონათქვამის ფუნქცია შეასრულოს. პირველ რიგში ეს ელიფსურ წინადაებებში, მოკლე პასუხებში, გარკვეული სტილისტური მახასიათებლების მქონე ტექსტებში ხდება.

როდესაც მსჯელობენ ტექსტის სიგრძეზე, ყოველთვის ითქმის, რომ ერთი სიტყვაც შეიძლება იყოს ტექსტი. ე.ი. წინადადებაში სხვა სიტყვებთან კავშირის გარეშეც სიტყვა ფუნქციურად იმდენად სრულია, რომ საკომუნიკაციო ერთეულიც შეიძლება იყოს. სოსიური წერდა, რომ მეტყველებაშიც კი გვიხდება წარმოვთქვათ ცალკეული სიტყვები წინადადების ნაცვლად (17, 159).

აქვე უნდა ვახსენოთ კიდევ სიტყვის გამოყოფის ერთი პრაქტიკულად ხშირად გამოყენებული კრიტერიუმი. ეს არის ორთოგრაფიული კრიტერიუმი (11, 198). ამ ნიშნის მიხედვით სიტყვად ითვლება ორ ტიპოგრაფიულ ხარვეზს შორის მოთავსებული ყოველი მიმდევრობა. ი. მელჩუკი საფუძვლიანად თვლის, რომ ამ კრიტერიუმს არა აქვს ენობრივი ღირებულება, რამდენადაც:

ა. ბევრ ენას საერთოდ არა აქვს დამწერლობა;

ბ. მრავალ ენაში წერის დროს საერთოდ არ იხმარება ხარვეზი სიტყვების გამოყოფისათვის. მაგალითად, ვიეტნამურში ცალკე გამოიყოფა მარცვლები, იაპონურში კი ბეჭდვის დროს საერთოდ არ იხმარება ტიპოგრაფიული ხარვეზი;

გ. ზოგჯერ ხარვეზის ხმარება არ არის თანმიმდევრული.

მელჩუკის მაგალითებიდან ერთ-ერთს მოვიტანთ (11, 199):

bonne femme — ქალი, დედაკაცი

bonhomme — კაცი

ჩვენ დავამატებდით, რომ სავარაუდოა ისეთი შემთხვევების არსებობაც, როდესაც, მაგალითად, რომელიმე ნაწილაკი მთავარ სიტყვასთან ზოგ შემთხვევაში ერთად იწერება, ზოგში კი — ცალკე. მაგალითად, რუსული *ны, в* ნაწილაკი გამოყოფილად იწერება — *мне ны, как ны, что ны, если ны*; ერთად იწერება — *чтоны. же* ცალკე იწერება მთავარ სიტყვასთან: *как же, так же, то же, такой же*; მაგრამ: *тоже, также* (ამ შემთხვევაში ორთოგრაფია ერთმანეთისაგან გაარჩევს მეტყველების ნაწილებს).

სწორედ იმის გამო, რომ სიტყვისათვის ორთოგრაფიული კრიტერიუმი ლინგვისტურად არადირებული კრიტერიუმიცაა, არასრული სიტყვების გამოყოფის დროს უგულვებელყოფს ამ სიტყვების მთავარ სიტყვასთან ორთოგრაფიულად ერთად თუ ცალკე წარმოდგენის ფაქტორს.

მაგალითად, -ც, -ვე ნაწილაკები ქართულში დღეს ყოველთვის მთავარ სიტყვასთან ერთად იწერება, მაგრამ ისინი ამავე დროს სალექსიკონო ერთეულებსაც წარმოადგენენ. ჩვენც ცალკე სიტყვებად ვთვლით მათ, რამდენადაც ისინი სიტყვის სხვა ზოგადი მახასიათებლებით ხასიათდება.

ასეთია მოკლედ ის მოსაზრებანი, რომლებიც სიტყვის თაობაზე გვსურდა წარმოგვედგინა. განხილული მახასიათებლები ჩვენთვის საკმარის საფუძველს წარმოადგენს იმისათვის, რომ გამოვეყოთ გამონათქვამში სიტყვა.

მომდევნო მონაკვეთში ასევე მოკლედ განიხილება სრულმნიშვნელობიანი სიტყვების უფრო კონკრეტული მახასიათებლები, რის შემდეგაც ვეცდებით სრულმნიშვნელობიან სიტყვები-

საგან განსხვავებულ ერთეულებად წარმოვადგინოთ არასრული სიტყვები ამ სიტყვების ერთმანეთთან შედარებისა და დაპირისპირების გზით.

1.2. სრულმნიშვნელობიანი სიტყვები

1.2.1.

ბუნებრივი ენის სიტყვათა სიმრავლეში ლინგვისტები იმთავითვე გამოყოფდნენ რაოდენობრივად და თვისებრივად ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებულ ორ სიმრავლეს: სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობა სრულმნიშვნელობიანი სიტყვებია. სიტყვათა მეორე, მცირერიცხოვანი სიმრავლე ჩვენს შრომაში იწოდება არასრულ სიტყვებად. მათი რაოდენობა ნებისმიერ ენაში ერთ-ორ ასეულს არ აღემატება.

თუმცა სრულმნიშვნელობიანი და არასრული სიტყვების რაოდენობა ასეთ დიდ განსხვავებას ავლენს ენის ლექსიკონში სულ სხვა სურათს გვაჩვენებს, ნებისმიერ გაბმულ ტექსტში სიტყვათა რაოდენობის სტატისტიკა. სრულმნიშვნელობიან სიტყვათა მოსალოდნელი რაოდენობა ტექსტში საშუალოდ $2/3$ -ს შეადგენს, არასრულ სიტყვათა რაოდენობა კი, შესაბამისად, არის $1/3$. რა თქმა უნდა, ამ სიტყვების რაოდენობრივი სალექსიკონო მაჩვენებლები და ტექსტში მათი რაოდენობა სრულიად არ შეესაბამება ერთმანეთს. ამ მონაცემების მიხედვით წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ მცირერიცხოვანი არასრული სიტყვები ძლიერი დატვირთვით „მუშაობენ“ ტექსტში.

როგორც ვნახავთ, სრულმნიშვნელობიანი და არასრული სიტყვები სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თვისებრივად და ერთმანეთის მიმართ არაგადამკვეთ სიმრავლეებს ქმნიან: სიტყვა ან სრულმნიშვნელობიანია ან არასრული.

ქვემოთ ვეცდებით წარმოვაჩინოთ სიტყვათა ამ ორ ჯგუფს შორის არსებული ენობრივი განსხვავებები. ჯერ მოკლედ ვნახავთ, თუ როგორია სრულმნიშვნელობიანი სიტყვების მახასიათებლები ენაში, ხოლო შემდეგ უფრო ვრცლად განვიხილავთ არასრულ

სიტყვათა თავისებურებებს სრულმნიშვნელობიან სიტყვებთან შედარებითაც და ცალკეც.

1.2.2.

უპირველესად მოკლედ განვიხილავთ იმ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც დახასიათდება სრულმნიშვნელობიანი სიტყვები. განვიხილავთ, ამავე დროს, ამ მახსიათებლების ღირებულებას არასრული სიტყვებისათვის.

ენობრივ სისტემაში სრულმნიშვნელობიანი სიტყვები დახასიათდება როგორც:

- ა. სემიოტიკური ნიშნები;
- ბ. მეტყველების ნაწილები;
- გ. წინადადების წევრები;
- დ. სიღრმისეული პროპოზიციის წევრები;
- ე. ენის იერარქიული სტრუქტურის შემადგენლები.

მოკლედ განვიხილავთ ყველა ამ ნიშანს, რაც საფუძველს მოგვიმზადებს არასრული სიტყვების განსხვავებული თვისებრიობის წარმოსაჩენად.

ფ. დე სოსიურის შემდგომი ლინგვისტიკა სიტყვას (ეგულისხმობთ სრულმნიშვნელობიან სიტყვებს) განიხილავს ნიშნებად — ენის გარეთ მყოფი საგნების, მოვლენების, პროცესების, თვისებებისა და სხვათა, პირობით დასახელებად. კავშირი აღსანიშნა (*signatum*) და აღმნიშვნელს (*signans*) შორის ქმნის ენობრივი ნიშნის მნიშვნელობას.

ასეთი ნიშნებია, მაგალითად, *სკამი*, *მთვარე*, *ცა*, *ტერორიზმი*, *შენება*, *ვარდნა*, *სიმკაცრე*, *დრო*, *სიყვარული* და სხვ. სრულმნიშვნელობიანი სიტყვები, აგრეთვე, ასახელებენ სივრცულდროით და ლოგიკურ მიმართებებს, რომელთა მიხედვითაც ადამიანი გარე სინამდვილეს აწესრიგებს. მაგალითად, ასეთი სიტყვებია: *მიზეზი*, *ადგილი*, *თანმიმდევრულობა*, *მსგავსება*, *წინსწრება*, *სიახლოვე* და ა.შ.

წ. სრულმნიშვნელობიანი სიტყვის მნიშვნელობა არის მისი *ლექსიკური მნიშვნელობა*, რომელიც გამოიხატება სიტყვის ძირით.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვები ხასიათდება *ექსპლიციტური*

კონოტაციური ლექსიკური მნიშვნელობით. ამავე დროს, სრულმნიშვნელობიან ლექსიკურ ერთეულებს აქვთ ემოტიური მნიშვნელობა, ე.ი. ლექსიკური კონოტაციური მნიშვნელობა ხშირად მოდალურად არის შეფერილი (მაგ., მოსვლა და მობრძანება).

ლექსიკურ სრულმნიშვნელობიან სიტყვებს შეიძლება ჰქონდეთ იმპლიციტური მნიშვნელობები. შევადაროთ მოლოდინის გამომხატველი ორი სიტყვა ერთმანეთს: *ვშიშობ* და *ვიმედოვნებ*. ორივე გარკვეულ მოლოდინს გამოხატავს ოღონდ ნეიტრალური *ველოდები-საგან განსხვავებით ვშიშობ* უსიამოვნო მოლოდინს *გულისხმობს*, ხოლო *ვიმედოვნებ* – სასიამოვნოს.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ის კავშირია, რომელიც ბუნებრივ ენას აქვს გარე სამყაროსთან. სრული სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობათა ერთიანობა ქმნის მოცემული ენის სემანტიკურ სისტემას.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობები ტექსტის თემატიკას ქმნიან, ასახელებენ სინტაქსური სტრუქტურის მოქმედ პირებს (აქტანტებს), ვითარებას, ადგილს, დროს და თვით პრედიკატს. როგორც ჩანს, ამის საფუძველზე უწოდებს ჩ. ფილმორი მათ „შინაარსის შემქმნელ სიტყვებს“ (*content words*).

სრულმნიშვნელობიანი სიტყვებისათვის მეტყველების ნაწილები არის, ფაქტობრივად, მათი ლექსიკური მნიშვნელობისა და ფორმალური ენობრივი პოტენციის ასახვა. ამიტომაც სრულმნიშვნელობიანი სიტყვების მეტყველების ნაწილებისადმი მიკუთვნება ძირითადად ორი მაჩვენებლით ხდება:

ა. ლექსიკური სემანტიკა – სიტყვის სემიოტიკური კავშირი აღსანიშნთან. მაგალითად, არსებითი სახელის ძირი ასახელებს საგანს, მოვლენას, აბსტრაქტულ ცნებას; ზედსართავი სახელი თვისებას, ხარისხს მიაწერს საზღვრულ სიტყვას (აქ სინტაქსური და სემანტიკური ნიშნები ერთად არის გათვალისწინებული); ზმნის ძირი ასახელებს მოქმედებას, მდგომარეობას, მოვლენას და სხვ.

ლექსიკურ ძირთა რაოდენობა ენაში არაჩვეულებრივად დიდია, იქნებ ათობით ათასიო, ამბობს უ. ჩეიფი (20, 125); მათ დიდი ინფორმაციული დატვირთვა აქვთ წინადადებაში. ისინი ქმნიან გამონათქვამის შინაარს.

ბ. მეორეა დერივაციული აფიქსები, რომელთა მორფოლოგიური მნიშვნელობა ცალსახად განსაზღვრავს სიტყვის მიკუთვნებას გარკვეული პარადიგმატული კლასისადმი, ე.ი. მეტყველების ნაწილებისადმი. დერივაციული აფიქსები დაერთვიან ძირს და აწარმოებენ მისგან ფუძეს — გართულებულ მორფოლოგიურ სტრუქტურას, რომელიც ცალსახად მიეკუთვნება ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს. დერივაციულ აფიქსს შეუძლია შეცვალოს ძირის პარადიგმატული კლასისადმი მიკუთვნება.

მაგალითად, არსებითი სახელებია ძირები: წიგნ-, ადამიან-, სახლ-, გულ- და სხვ. ზედსართავი სახელის ძირებია: პატარა, ლამაზ-, დიდ-, კარგ- და ა.შ.

დერივაციული აფიქსით, მაგალითად, ძირისაგან ბაღ- (არსებითი სახელი) იწარმოება: სა-ბაღ-ე (ზედსართავი სახელი), უ-ბაღ-ო (ზედსართავი სახელი), მე-ბაღ-ე (არსებითი სახელი, *nomen agentis*) და სხვა. ანდა: ლამაზ- ზედსართავული ძირიდან დერივაციით იწარმოება სი-ლამაზ-ე (არსებითი სახელი), ლამაზ-დ-ებ- (ზმნა), ლამაზ-ად (ზმნიზედა) და სხვა.

რაკი განისაზღვრება ფუძის მეტყველების ნაწილისადმი მიკუთვნება, იგი ამა თუ იმ მორფოლოგიური პარადიგმატული კლასის წევრი ხდება, ე.ი. იძენს პოტენციას დაიკავშიროს ამ კლასისათვის დამახასიათებელი ფლექსიური მაჩვენებლები და უფრო მაღალ ენობრივ დონეზე შეასრულოს სხვადასხვა ფუნქცია.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვების მორფოლოგიური სტრუქტურა უფრო რთულდება ფლექსიური აფიქსებით, რომლებიც თავისი ბუნებითა და ენობრივი ფუნქციით სინტაქსურ მნიშვნელობებს წარმოადგენენ. ფლექსიური მაჩვენებლებით გამოიხატება მოცემული სიტყვის სინტაქსური კავშირები სხვა სიტყვებთან წინადადებაში. ამით რთული მორფოლოგიური სტრუქტურის მქონე სიტყვა ხდება წინადადების წევრი; იგი ქმნის წინადადების სინტაქსურ სტრუქტურას.

მაგალითად, სახელის კლასის სიტყვების ფორმის ცვლა — ბრუნება, იმ მნიშვნელობებს გამოხატავს, რომელნიც მართვისა და შეთანხმების სინტაქსური კავშირებით უზრუნველყოფენ სახელთა ფუნქციობას წინადადებაში; აგრეთვე, უზრუნველყოფენ მსაზღვრელ-საზღვრულთა შორის მიმართების დამყარებას და სხვ.

ზმნას ფლექსიური ცვლის თავისი სახე აქვს — უღლება. უღლებით გამოხატული გრამატიკული მნიშვნელობები ნაწილო-

ბრივ იმეორებს სახელის ფორმით გადმოცემულ მორფოლოგიურ ფლექსიურ მნიშვნელობებს. ასეთი გამეორებული ფლექსიური მნიშვნელობა შეიძლება იყოს რიცხვის კატეგორია, სქესი; ზმნის ფლექსიური ფორმით გადმოიცემა დროის, პირის, ასპექტის და სხვა სპეციფიკური მნიშვნელობები, რომლებითაც ხასიათდება წინადადების ცენტრალური წევრი – შემასმენელი.

ამდენად, ფლექსიური ფორმა სიტყვებს კონკრეტულ გამოხატულებას მიანიჭებს ენობრივ გამონათქვამში, რითაც ისინი წინადადებაში გრამატიკული ფუნქციის მქონე სტრუქტურულ ადგილებს იჭერენ.

ვთქვათ, ქართული ლინგვისტიკისათვის უკვე კლასიკურ მაგალითად ქცეული: – *ააშენა* –

ამ სინტაქსურ სტრუქტურაში წარმოდგენილი ხარვეზები შეიძლება შეივსოს სხვადასხვა სრულმნიშვნელობიანი სიტყვების იმ ფორმებით, რომელთაც მოითხოვს მოცემული სტრუქტურა. პირველ ადგილას შეიძლება ჩავსვათ: *კაცმა, ბავშვმა, ამხანაგმა, ფულმა, სპილომ*, ანდა ამავე კლასის ნებისმიერი სხვა წევრი მოთხრობით ბრუნვაში. მეორე თავისუფალ ადგილას შეიძლება ჩავსვათ: *სახლი, კონცეფცია, ურთიერთობა* და სხვ. წინადადების გრამატიკული სტრუქტურა უცვლელია შემავსებელი სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობის მიუხედავად.

ფლექსიური აფიქსების დართვით კონკრეტული ლექსიკის მქონე სრულმნიშვნელობიანი სიტყვები წინადადების სინტაქსური სტრუქტურის შემადგენლები ხდებიან.

წინადადების გრამატიკულ სტრუქტურაში ასეთი მონაწილეობით სრულმნიშვნელობიანი სიტყვები ასრულებენ წინადადების წევრის სინტაქსურ ფუნქციებს, ე.ი. წინადადებაში არიან: ქვემდებარე, დამატება, შემასმენელი, განსაზღვრება და ა.შ.ს

ცნობილია, რომ სრულმნიშვნელობიანი სიტყვების გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობები, მათ შორის მიმართებები და მათი ერთიანობა გამონათქვამში სრულმნიშვნელობიან სიტყვებს პროპოზიციის წევრებად ხდის. ასე იქმნება ე.წ. *სიღრმისეული სემანტიკური და ლოგიკური მიმართებები*, რაც ქმნის სინტაქსური სტრუქტურის პროპოზიციულ მახასიათებლებს. ეს არის, ასე ვთქვათ, ქვემდებარის ან დამატების იმპლიციტური როლები ამა თუ იმ სემანტიკის მქონე ზმნასთან. ეს როლებია, მაგალითად, აგენსი, პაციენსი, ბენეფიციანტი, ინსტრუმენტი და სხვ. ზმნის

სხვადასხვა სიღრმისეული სემანტიკაა — მოქმედება, მდგომარეობა, მდგომარეობისა ან თვისების ცვლა, ამბიენტობა და ა.შ. ეს არის ის ლოგიკურ-სემანტიკური მნიშვნელობები, რომლებიც უნივერსალურია ყველა ბუნებრივი ენისათვის. ამ სიღრმისეულ მიმართებათა განხილვას ეყრდნობა, მაგალითად, ლ. ტენიერის სინტაქსური თეორია. (ეს მიმართებები შესწავლილი აქვთ მაგალითად, უ. ჩეიფს, ჩ. ფილმორს და სხვა ავტორებს).

ამდენად, ენის ნებისმიერი გამონათქვამი იერარქიული სახის კონსტრუქციად წარმოგვიდგა, ხოლო სრულმნიშვნელობიანი სიტყვები — ენობრივი სისტემის იერარქიული სტრუქტურის წევრებად. ეს გამოვლინდება სრულმნიშვნელობიანი სიტყვების როგორც ფორმალურ, ისე სემანტიკურ აგებაში. კერძოდ:

ერთპლანიანი ერთეულების, ფონემების ისეთი წრფივი დალაგებით, რომელიც აკმაყოფილებს ამა თუ იმ ენის სისტემით მოცემულ შეზღუდვებს, იქმნება ორპლანიანი ერთეული — მორფემა, რომელსაც გარდა ფონემათა წრფივი მიმდევრობისა ახასიათებს მნიშვნელობაც. ამდენად, იგი უფრო გრძელიც არის და უფრო რთულიც მის შემადგენელ ფონემებთან შედარებით.

თავის მხრივ, მორფემათა წრფივის დალაგება ქმნის სემანტიკურად და ფუნქციურად კიდევ უფრო რთულ ერთეულს — სიტყვას. სრულმნიშვნელობიან სიტყვებში კარგად აისახება ადამიანის ენის დუალობა — აგებულებითა და მნიშვნელობით მარტივი ერთეულებისაგან ახალი რთული ერთეულის შექმნის თვისება, რაც როგორც ვიცით, წარმოადგენს ადამიანის ენის ერთ-ერთ არსებით მახასიათებელს.

მორფოლოგიური ფორმის ცვლით სრულმნიშვნელობიან სიტყვას სხვადასხვა ფუნქციის შესრულება შეუძლია უფრო მაღალი დონის ენობრივ ერთეულში — წინადადებაში. ეს ფუნქციებია წინადადებაში სიტყვის წინადადების წევრად ყოფნა.

როგორც გამოხატულების, ისე შინაარსის თვალსაზრისით სრულმნიშვნელობიანი სიტყვები ენობრივი ნიშნის იერარქიულობის სრულ სურათს წარმოგვიდგენს და ამ გზით ენის სემანტიკურსა და გრამატიკულ სისტემას ქმნის.

როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური იერარქიული მიმართებები რეალურად უფრო რთულია, ვიდრე აქ არის სქემატურად წარმოდგენილი, რადგანაც სიტყვა, როგორც ენაზე, ფორმალურადაც და სემანტიკურადაც უფრო რთული ერთეულია, ვიდრე

მისი შემაღვენლების უბრალო ერთიანობა. აქ მხოლოდ იმის თქმა გვინდოდა, რომ სრულმნიშვნელობიანი სიტყვა დაიშლება უფრო მარტივ შემაღვენლებად, ან პირიქით, სიტყვა გააერთიანებს ან იქმნება უფრო მარტივი სახის შემაღვენლებისაგან.

1.3. არასრული სიტყვები

ახლა ვნახოთ, ამავე კრიტერიუმების ღირებულება არასრული სიტყვებისათვის.

1.3.1.

არასრული სიტყვები არ წარმოადგენენ ენის გარეთ მყოფი საგნების, მოვლენების, თვისებების, მიმართებების, ემოციების, პროცესების, მოქმედების და ა.შ. დასახელებას, ანუ არ წარმოადგენენ სემიოტიკურ ნიშნებს. მათ არ გააჩნიათ შესაბამისი ობიექტი – აღსანიშნი გარე სამყაროში. არასრული სიტყვები არ შეესატყვისებიან ბუნებრივი ენის ნიშნის ცნობილ ფ. დე სოსიურისეულ განსაზღვრებას, რომლის თანახმადაც აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის მყარდება უშუალო პირობითი კავშირი; თუმცა, ცხადია, არასრული სიტყვებიც თავისი არსით პირობითი აღმნიშვნელებია.

ჩვენთვის საინტერესოა ი. მელჩუკის მოსაზრება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის მიმართების შესახებ (11,108-109). მელჩუკის თვალსაზრისით ეს არის ორმხრივი მიმართება. აღსანიშნი და აღმნიშვნელი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ერთმანეთით განისაზღვრება. ამ თეორიის მიხედვით, ყველაფერი, რასაც მოცემულ ენაში გამოხატულება აქვს, არის აღსანიშნი. აღსანიშნია სინტაქსური მიმართებაც, სინტაქსურ კონსტრუქციონათა მითითებაც და სხვა სახის მნიშვნელობებიც.

ამ თეორიაში აღსანიშნი კარგავს იმ ბუნებას, რომელიც მას მიეცა ფ. დე სოსიურის შემდეგ – ენის გარეთ მყოფი ობიექტი კი აღარ არის მხოლოდ, არამედ ენაში თუ მის გარეთ არსებული და ენობრივი ფორმით გამოხატული მნიშვნელობაა.

რომ გაუაყვრცოთ ი. მელჩუკის ასეთნაირად წარმოდგენილი კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის, მაშინ ყველაფერი,

რისი თქმაც შეგვიძლია მოცემულ ენაზე, არის აღსანიშნი. ყველა ის შინაარსი — სუბიექტური დამოკიდებულება ამბის მიმართ, მოლაპარაკის განზრახვა, სურვილი, უიმედობა, სოციალური დეიქსისი, მიმართვა, ხაზგასმა, ყოყმანი, ვარაუდი, ლოგიკური ან სხვა სემანტიკური კავშირები — ყველაფერი აღსანიშნია, ამა თუ იმ ფორმით გადმოცემულ გამონათქვამში კომუნიკაციის დროს. ნიშანთა სემანტიკურ სისტემაზე აქ საერთოდ არ არის საუბარი. ამ თვალსაზრისით არა აქვს მნიშვნელობა, ენობრივი ერთეული აღსანიშნის დასახელებაა სრულმნიშვნელობიანი სიტყვით, თუ მოცემული შინაარსი ენობრივი ფორმების სხვადასხვა მიმართებით გადმოიცემა, ან პირდაპირ შემოდის გამონათქვამში, როგორც ეს არასრული სიტყვების შემთხვევაში ხდება.

ი. მელჩუკის მიერ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ცნებების ასეთი განზოგადება და გაფართოება გარკვეულად მართებულია. ასეთი გაგება, ფართო ასპარეზს ქმნის უფრო ზოგადი პრაგმატული კვლევისათვის, რაკი თავიდან აცილებულია ზედმეტი დამაბრკოლებელი დეტალიზაცია.

რამდენადაც ჩვენს მიზანს წარმოადგენს რაც შეიძლება მკვეთრად განვასხვავოთ ერთმანეთისაგან სრულმნიშვნელობიანი და არასრული სიტყვები, სემიოტიკური აღნიშვნით მათ შორის გადებული საზღვრის ასეთი უგულვებელყოფა ჩვენ არ გამოგვაადგება. ამიტომ ისევ ტრადიციულ ცნებებს დავეყრდნობით.

აქ მოვიხმობთ ჩ. პირსის ტრიადული სემიოტიკური სისტემის დებულებებს, რათა უკეთესად გამოჩნდეს არასრულ ენობრივ ნიშანთათვის დამახასიათებელი პირობითი აღნიშვნის ხასიათი.

უნდა ითქვას, რომ ჩ. პირსის ნიშანთა თეორია უფრო რთულია და, ამავე დროს, უფრო პროდუქტიულიც, ვიდრე გენიალური ფ. დე სოსიურის თეორია ენობრივი ნიშნის შესახებ. ჩ. პირსის ნიშანთა თეორია საშუალებას იძლევა უფრო დეტალურად წარმოვადგინოთ ის სემიოტიკური განსხვავებები, რომლებიც არსებობს ბუნებრივი ენის სხვადასხვა ტიპის სიტყვებს შორის (47).

ჩ. პირსის სისტემის ტრიადულობა იმაშია, რომ მისთვის ყოველი ნიშანი სამ შემადგენლიანია: ნიშანი — ობიექტი — ინტერპრეტატორი. შესაბამისად, ნიშანთა ტიპების განსაზღვრებისას იგი ითვალისწინებს სამივე შემადგენლის ფაქტორს. ჩ. პირსის სისტემაში წარმოდგენილია სამი ნიშანი: სიმბოლო, ხატი (*icon*) და ინდექსი.

სიმბოლოში მიმართება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ექვემდებარება კანონს, ჩვევას, ცნობილს. ასეთია ბუნებრივი ენის ერთეულები (49, 40), — ჩვენთვის სრულმნიშვნელობიანი სიტყვები. ხატი არის თავისი აღსანიშნის გარეგნული გამოხატულება, რომელიც არსებობს გონებაში.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს მესამე ტიპის ერთეულები — ნიშანი-ინდექსები. სიმბოლოსა და ხატისაგან განსხვავებით ინდექსი არსებობს აწმყო გამოცდილებაში (ხატი არსებობს წარსულ გამოცდილებაში, ხოლო სიმბოლო იქმნება იმ რეალობით, რომ მომავალში მოხდება რაღაცის განცდა). ნიშან-ინდექსებს „ძველ“ ენობრივ სისტემაში შემოაქვთ რაღაც ახალი, ისინი ყოველ ჯერზე ქმნიან ახალ მნიშვნელობებს (47, 358; 38, 347-349), ე.ი. ქმნიან ტექსტს.

ჩ. პირსის მიხედვით, ინდექსი არის დაკნინებული (*degenerate*) ნიშანი, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, მიუხედავად ამ არასახარბიელო მინიშნებისა, ინდექსებს აქვთ უაღრესად დიდი გამოყენება, ისინი ისეთ მიზნებს ემსახურებიან, რომლებიც მიუწვდომელია სრულყოფილი ნიშნებისათვის. (49, 40).

ინდექსი პირდაპირ მოქმედებს აღქმაზე და გვარწმუნებს თავისი აღსანიშნის არსებობაში და რეალურ ყოფნაში. იგი ყურადღებას მიიპყრობს ობიექტისაკენ (თავისი აღსანიშნისაკენ) და ინტერპრეტატორს (ჩვენს შემთხვევაში მოლაპარაკეს) თავის მიერ გაშუალებულ კავშირში ამყოფებს აღსანიშნთან. ინდექსი არ გამოხატავს ინფორმაციას. იგი ისე მოქმედებს, რომ ჩვენს ყურადღებას მიმართავს ობიექტისკენ.

ჩ. პირსი თვლის, რომ სიტყვები *this, that, here, now* არის სწორედ ინდექსები ენაში. ინდექსებს მიაკუთვნებს აგრეთვე პირის, ჩვენებით, მიმართებით ნაცვალსახლებს, საკუთარ სახელებს და სხვა.

ინდექსის მახასიათებელი ის არის, რომ ისინი ყოველთვის კონკრეტულ შემთხვევებს წარმოადგენენ და არა ზოგადს. (49, 43).

ის, რაც ჩ. პირსის ნიშან-ინდექსებზე ითქვა ზემოთ, მთლიანად მიესადაგება არასრულ სიტყვებს. არასრული სიტყვები წარმოადგენენ *სემანტიკურ ინდექსებს*. ისინი არ ასახელებენ, მაგალითად, ემოციებს — ეს ფუნქცია აკისრიათ სემიოტიკური აღნიშვნის მქონე სრულმნიშვნელობიან სიტყვებს (სხვათა შორის, მხოლოდ ადამიანს შეუძლია სახელი დაარქვას თავის ემოციას, ცხოველი პირდაპირ გამოხატავს მას, (7,29)). ეს სიტყვებია: *აღფრთოვანება*,

სურვილი, ყოყმანი, უიმედობა, სიხარული, ზიზღი და სხვ. არასრულ სიტყვებს ეს და სხვა მნიშვნელობები პირდაპირ დასახელების გარეშე შემოაქვთ გამონათქვამში.

აგრეთვე მაგალითად, სრული სიტყვა დაკავშირება არის დასახელება, აღნიშვნა იმ მიმართებისა, რომელიც მაგ., ქართულში არასრულ სიტყვას და პირდაპირ შემოაქვს გამონათქვამში. არჩევანი არის სახელი იმ მიმართებისა, რომლის ინდექსიც, მითითებაც ტექსტში არის არასრული სიტყვა ან. უარყოფა არის დასახელება იმ მიმართებისა, რომელიც შემოაქვს ნაწილაკს არ. ასეთივე წყვილებია ქართულში: პირობა — თუ; აკრძალვა — ნუ და სხვა.

რეფერენციული ან სემიოტიკური კავშირის არქონა არ ნიშნავს, რომ არასრული სიტყვები არ არიან დაკავშირებული ენის გარეთ მყოფ სამყაროსთან. ეს კავშირი განმსაზღვრელია არასრული სიტყვების ბუნებისთვისაც, ოღონდ იგი არის არა სემიოტიკური, არამედ სემანტიკური.

სემიოტიკური და სემანტიკური აღნიშვნების ერთმანეთისაგან განსხვავების საილუსტრაციოდ გამოვიყენოთ ა. ლოსევის მაგალითი (9,63-64). მათემატიკური განტოლების ცვლადები x, y წარმოადგენენ სიმბოლოებს, რომლებიც შეიძლება აღნიშნავდნენ ნებისმიერი რაოდენობის, ზომისა და მნიშვნელობის ობიექტებს. განტოლება სამართლიანია ამ ცვლადების ნებისმიერი მნიშვნელობის დროს. ენასთან თუ გავატარებთ პარალელს, შეიძლება ეს ცვლადები წარმოვიდგინოთ ენობრივი სტრუქტურის ადგილებად, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობა. გამონათქვამის სტრუქტურა მაინც სწორი იქნება.

მაგრამ განტოლებას კიდევ ქმნის ე.წ. ოპერაციის მარკერები, რომელთაც, როგორც ამბობენ მათემატიკოსები, არა აქვთ მნიშვნელობა იმ აზრით, რა აზრითაც აქვთ მნიშვნელობა ცვლადებს. ენასთან პარალელი რომ გავაგრძელოთ, ოპერაციათა მარკერები ენობრივ სტრუქტურაში შეესაბამება იმ ელემენტებს, რომლებიც ააგებენ გამონათქვამს, შემოაქვთ აზრობრივი სტრუქტურირების პრინციპი.

რ. კარნაპი ერთმანეთისაგან განასხვავებს აღწერით ნიშნებს და ლოგიკურ ნიშნებს (*descriptive signs* და *logical signs*). აღწერითი ნიშნები აღნიშნავენ საგნებს ან მათ თვისებებს (აგრეთვე

ობიექტებს შორის მიმართებებს, ობიექტების ფუნქციებს, ა.შ.). ლოგიკური ნიშნები უმთავრესად წინადადებათა კონსტრუქციებში აღწერითი ნიშნების დაკავშირებას ემსახურება. ლოგიკური ნიშნებია, მაგ, ინგლისური სიტყვები: *is, are, not, and, or, if, any, some, every, all.* (3, 423).

ჟ. ვანდრიესი წერს, რომ ცარიელ სიტყვებს არა აქვთ თავისი საკუთარი მნიშვნელობა, ისინი მნიშვნელობას იღებენ წინადადებაში ხმარებით: ისინი არიან კოეფიციენტები, ექსპონანტები, ალგებრული ღირებულებები უფრო, ვიდრე სიტყვები (45, 455; 52, 99).

არასრული სიტყვების მთავარ სემანტიკურ დანიშნულებას წარმოადგენს სწორედ იმ სემანტიკურ-ლოგიკური, დროით-სივრცული, მოდალური და სხვა მიმართებების განხორციელება ენობრივ გამონათქვამში, რომელთა საშუალებითაც ადამიანი ანაწევრებს და აშენებს გარე სამყაროს იმ სურათს, რომლის ობიექტების დასახელებაც იმავე გამონათქვამში ხდება სრულ-მნიშვნელობიანი სიტყვებით.

არასრულ სიტყვათა სრულიად განსაკუთრებული თვისება აგრეთვე ის არის, რომ ენობრივ გამონათქვამში მათ შემოაქვთ გარე სამყაროს სამეტყველო სიტუაციის მრავალი მახასათებელი.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მოდალური მიმართებები და ატიტუდური მნიშვნელობები ამ სიტყვების ფართო გაგებით. ეს არის დამოკიდებულება იმ ვითარებასთან, რომელზეც საუბრობს სოციალური და, ამავე დროს, სუბიექტური პირი — მოლაპარაკე.

მოლაპარაკისათვის სასურველი მნიშვნელობა საბოლოოდ შეიძლება მხოლოდ არასრულ სიტყვათა დახმარებით გამოიხატოს. სწორედ ეს სიტყვები ახდენენ ლექსიკური მასალის სემანტიკურ სტრუქტურირებას და ტექსტი სრულ შესაბამისობაში მოჰყავთ როგორც არალინგვისტური, ისე ლინგვისტური კონტექსტის მრავალფეროვან მიმართებებსა და თვისებებთან.

ამგვარი მიმართებების აგებით ენობრივ გამონათქვამში არასრული სიტყვები უზრუნველყოფენ ლოგიკურად აზრობრივ მთლიანობას, ერთგვაროვნებას და გაბმულობას. ამ სემანტიკის შემოტანა საკომუნიკაციო ერთეულში — ტექსტში ქმნის ადამიანისათვის გარე სამყაროში არსებული ერთიანობისა და მიმართებების მოდელს; ენის შიგნით წარმოგვიდგება გარე სამყაროს მოდელი. ყველა ამ მიმართებას ენაში სრულმნიშვნელობიანი სიტყვებით გადმოცემული დასახელება აქვს (შდრ. 7, 30).

მცირე მოცულობის ტექსტშიც კი ადვილად აღმოვაჩინთ სხვადასხვა არასრულ სიტყვას, რომლებიც უზრუნველყოფენ მის საბოლოო სემანტიკურ გამართვას. არასრული სიტყვების გარეშე შეტყობინება ვერ გაიმართება — ისინი მეორეხარისხოვანი კი არა, განმსაზღვრელი მნიშვნელობისა და ფუნქციის მქონენი არიან.

საინტერესოა, როგორია არასრული სიტყვების სემანტიკის სირთულისა თუ სიმარტივის საკითხი.

არასრული სიტყვები, რა თქმა უნდა, არ ხასიათდება მორფემა-სავით მარტივი სემანტიკით. აქამდე განხილული მაგალითებიდანაც ჩანს, რომ არასრული სიტყვების მნიშვნელობის სირთულე და მრავალპლანიანობა იმთავითვეა მოცემული, ისეთნაირადვე, როგორც მათი მარტივი ფორმა. არასრულ სიტყვათა მნიშვნელობა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს რაღაც შემადგენელი მნიშვნელობების ერთიანობას. არც სემანტიკურად და არც ფორმალურად არ არიან არასრული სიტყვები იერარქიულად აგებული. მაგრამ მაშინ როცა მათი ფორმა მარტივია, მათი სემანტიკა სრულიადაც არ არის მარტივი — მას უბრალოდ ვერ წარმოვადგენთ შემდგენელ მნიშვნელობად, თორემ იგი იმთავითვე რთული ხასიათისაა. სწორედ არასრულ სიტყვებში ჩანს ძალიან კარგად, თუ რა არის საზოგადოდ სიტყვის ერთიანი სემანტიკა. არასრულ სიტყვაში მნიშვნელობის ყველა „ფენა“ ერთდროულად არის მოცემული.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სრულმნიშვნელობიანი სიტყვის მნიშვნელობის შემადგენლებად დაშლა, რამდენადაც სიტყვის მნიშვნელობა გარკვეულ იერარქიულ წარმონაქმნს წარმოადგენს, არც სრულმნიშვნელობიანი სიტყვა არის მისი შემადგენელი ფორმების მნიშვნელობათა უბრალო ჯამი. იგი მეტს ნიშნავს ვიდრე შემადგენელი მნიშვნელობების უბრალო გაერთიანება. მაგრამ ანალიზის დროს შეგვიძლია მივუთითოთ იმ ნაწილებზე, რომლებსაც ესა თუ ის მნიშვნელობა შემოაქვთ სრულმნიშვნელობიან სიტყვაში. ეს მარტივი დასანახია. უფრო რთულია იმის დანახვა, რომ ყოველი სრულმნიშვნელობიანი სიტყვა ერთიანი, რთული მნიშვნელობის მქონეა. სიტყვაში ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობის ერთიანობა და ერთდროულობა, მისი ლექსიკური და გრამატიკული პოტენციული ქმნის რთულ ერთიან სემანტიკურ ერთეულს — „გეშტალტ“-ს.

ნ. ტრუბეცკოი წერდა, რომ სიტყვა წარმოადგენს მთლიანობას, სტრუქტურას: მსმენელი მას აღიქვამს სტრუქტურად იმის მსგავსად, როგორც ჩვენ ქუჩაში ვცნობთ ნაცნობებს მათი საერთო შესახედაობის (*облик*) მიხედვით (19,43).

არასრული სიტყვების მაგალითზე ძალიან კარგად ჩანს რთული მნიშვნელობის ეს ერთიანი ბუნება. რამდენადაც არასრული სიტყვა არ დაიშლება შემადგენელ ფორმებად, იგი ვერც შემადგენელ მნიშვნელობებად ვერ დაიშლება. იგი არ არის იერარქიული ერთეული არც თავისი ფორმით და არც თავისი სემანტიკით. მაგრამ თუკი არასრული სიტყვის ფორმა მარტივია და დაუშლელი, მისი მნიშვნელობა საკმარისად რთულია, მაგრამ ერთიანი, მთლიანია.

1.3.2.

განვიხილოთ ორიოდე მაგალითი არასრული სიტყვების სემანტიკის ხასიათის საჩვენებლად.

გაგიჟებით უყვარდა სანდროს სცენა. მაგრამ საუბედუროდ ძლიერ სუსტი მსახიობი იყო. სამაგიეროდ ლეკურის გასაოცარი მოთამაშე იყო. უცნაური, ლამაზი რამ იყო მისი თამაში ორი ხანჯლით — მაყურებელს თან ხიბლავდა მისი სიმარდე, თან შიშს გერიდა. (დ. კლდ.)

ამოვიღოთ ამ პატარა ტექსტიდან არასრული სიტყვები:

გაგიჟებით უყვარდა სანდროს სცენა. — საუბედუროდ ძლიერ სუსტი მსახიობი იყო. — ლეკურის გასაოცარი მოთამაშე იყო. უცნაური, ლამაზი — იყო — თამაში ორი ხანჯლით, მაყურებელს — ხიბლავდა — სიმარდე — შიშს ჰგერიდა.

შევეცადოთ გავაანალიზოთ, თუ რა დააკლდა ამ ტექსტს არასრული სიტყვების ამოღებით.

ჯერ ერთი, უნდა აღვნიშნოთ ზოგადი შედეგი: გაბმული

ტექსტი გადაიქცა ფრაგმენტულ სახის მონაკვეთად, რომლის წინადადებები თითქოს ცალკეული და სხვადასხვა დროს წარმოთქმული ერთეულებია. სულ ოთხი წინადადებაც კი ერთმანეთს დაშორდა, ტექსტი დაიშალა ცალ-ცალკე წინადადებებად.

ახლა ენახოთ კონკრეტული ცვლილებები.

მეორე წინადადებიდან ამოღებული არასრული სიტყვა მაგრამ (კავშირი) ერთმანეთთან აბამს პირველ ორ წინადადებას. სემანტიკურად ეს ორი წინადადება ერთმანეთს უპირისპირდება. აშკარაა, რომ ეს დაპირისპირება გამოიხატება სწორედ მაგრამ სიტყვით, რადგან ეს მნიშვნელობა სრულიად აკლდება ტექსტს ამ სიტყვის ამოღების შემდეგ. წინადადებები თითქოს უბრალოდ ჩამოთვლის, აღნუსხავს ორ ვითარებას; ამ წინადადებების დამაკავშირებელი მნიშვნელობა იკარგება.

ანალოგიური შედეგი მოაქვს სამაგიეროდ სიტყვის (კავშირია) ამოღებას. აქაც ისპობა დაპირისპირების გამოხატვა ორ ერთმანეთის მომდევნო წინადადებას შორის, ოღონდ ამ შემთხვევაში ეს დანაკარგი არცთუ ისე უმტკინეულოა ტექსტის შინაარსისათვის. სამაგიეროდ სიტყვის ამოღებამ შეიძლება ერთგვარი გაუგებრობა წარმოშეას — ირღვევა ლოგიკური კავშირი ორ წინადადებას შორის, რომლებიც თავისთავად სწორად არის გამართული ლექსიკურადაც და გრამატიკულადაც და, ამდენად, გარკვეულად დასრულებული და სრულყოფილი წინადადებებია. სამაგიეროდ სიტყვის გარეშე ისინი ერთმანეთის შემდეგ წინააღმდეგობრივად მოგვეჩვენოს (სუსტ სცენურ ნიჭთან შეუთავსებელი წარმატებით შესრულება ლექურისა). შეიძლება მსმენელმა ისიც კი იფიქროს, რომ ეს წინადადებები ორ სხვადასხვა პიროვნებას ახასიათებს. ამდენად, აქაც, წინა შემთხვევის მსგავსად, ირღვევა წინადადებათა უწყვეტი კავშირი ტექსტში და ამ კავშირის სემანტიკაც.

შემდეგი მეოთხე წინადადებიდან რომ ამოვიღოთ არასრული სიტყვა მისი, საერთოდ გაუგებარი გახდება რაზე ან ვიზე მსჯელობა. მსმენელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მსჯელობა ხდება ცეკვის თვისებაზე ზოგადად. ამ პატარა სიტყვის ამოღებით წყდება კავშირი ტექსტის წინა მონაკვეთთან.

ამავე წინადადებას მოვაშოროთ კავშირები თან ... თან, რომლებიც ერთმანეთთან გადააბამს ორ ზმნურ კონსტრუქციას, რომლებიც ერთმანეთის დამატებითი და, ამავე დროს, საპირისპირო შემასმენლებია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ დაპირისპირებას

ქმნის მოცემულ ზმნათა საწინააღმდეგო ლექსიკური მნიშვნელობა: ხიბლავდა — შიშს გერიდა. მაგრამ ეს არამც და არამც არ არის ასე. ვნახოთ, რა გვრჩება: *მაყურებელს ხიბლავდა მისი სიძარდე, შიშს გერიდა*, — უბრალო ჩამოთვლაა. მეტიც, თან... თან სიტყვების ნაცვლად შეგვიძლია ჩავსვათ, მაგალითად, კავშირი და. მივიღებთ: ხიბლავდა და შიშს გერიდა ორ ერთმანეთთან გაერთიანებულ ზმნურ ფრაზას. ამიტომ, ჩვენს მაგალითში დაპირისპირებას ქმნის სწორედ ეს ლოგიკური გადაბმა გამონათქვამის ნაწილებს შორის, თან... თან არასრული სიტყვებით გამოხატული.

ყველაზე უმტკივნეულოა რამ განუსაზღვრელი ნაცვალსახელის ამოღება — ტექსტს დააკლდება მხოლოდ მისი მნიშვნელობა.

უდავოა, რომ არასრული სიტყვები ასეთნაირადვე მოქმედებენ ყველა ენის ტექსტებში, მაგრამ მაინც საინტერესოა აქვე განვიხილოთ რუსული მაგალითიც — ა. ბლოკის მოკლე წერილი კორნეი ჩუკოვსკის მიმართ:

Дорогой Корней Иванович,

На Ваше необыкновенно милое и доброе письмо я хотел ответить, как следует. Но сейчас у меня ни души, ни тела нет, я болен, как не был никогда еще: жар не прекращается и все всегда болит. Я думал о русской санатории около Москвы, но, кажется, выздороветь можно только в настоящей, то же думает и доктор. Итак, „здравствуем и по сей час“ сказать уже нельзя: слопала-таки поганая, гугнивая, родимая матушка Россия, как чушка — своего поросенка.

В вас еще много сил, но есть и голосе, и в манере, и в отношениях к внешнему миру, и даже в последнем письме — надорванная струна.

„Объективно говоря“, может быть еще поправимся.

Ваш Ал.Блок 26.5.21 (22,227)

ამ ტექსტში მოცემულ ყველა არასრულ სიტყვას არ განვიხილავთ. ესენია: *на, я, но, у, ни, как, не, еще, о, все, около, кажется, же, и, так, таки, в, к, даже* და სხვა. მაგრამ ზოგი მათგანის მოქმედება ტექსტში საინტერესოა.

ჯერ ერთი, ტექსტისათვის მნიშვნელოვანია წინდებულები *и*, *у*, *о*, *в*, *к*, და მათი ამოღება წარმოუდგენელია, რადგანაც ისინი არსებითი სახელის სწორი სემანტიკური და გრამატიკული გამართვისათვის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ.

საინტერესოა *и*, *так*, *еще*, *уже* სიტყვების ხმარება. *и* *сейчас* ტექსტის წინა მონაკვეთის ნახვის გარეშეც გვაგებინებს, რომ ამ სიტყვების მომღვენო მონაკვეთი აზრობრივად დაუპირისპირდება წინა მონაკვეთს. *еще* — (*как не был никогда еще*) ნიშნავს სიტუაციურ კონტექსტში ადრე არსებულ მსგავს ვითარებაზე მინიშნებას და კავშირი იქმნება მოლაპარაკისა და მსმენელისათვის საერთო ცოდნასა და ახლანდელ ტექსტში მოცემულ გარემოებას შორის. საინტერესოა, რომ ამ გადაბმათა მნიშვნელობის განსაზღვრა შეიძლება ისე, რომ არც გვექონდეს აღწერილი ან არ ვიცოდეთ, თუ რაზეა კონკრეტულად საუბარი.

так — შემოაქვს მთელი წინამავალი მონაკვეთის შეჯამება. რომც არ ვიცოდეთ რაზეა საუბარი, ეს სიტყვა რაღაცა დასკვნის მოსასმენად შეგვაძლავებს, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ახლა შეჯამება უნდა მოვისმინოთ. *даже* და *таки* (*даже в последнем письме* და *спопала-таки*) ორივე ხაზგასმას ახდენს იმ ლექსიკური ერთეულებისა, რომელთანაც იხმარებიან. მათი ამოღება ტექსტიდან კი შეიძლება, მაგრამ ტექსტიდან დაიკარგება ემფატიკა. იგივე ითქმის *и... и... и даже*-ს თაობაზე (*и в манере, и в отношении... и даже в письме*). ასეთი არასრული სიტყვები შეგვიძლია ამოვიღოთ, ტექსტის საერთო მნიშვნელობა არ დამახინჯდება, მაგრამ ტექსტი დაკარგავს გამომსახველობითა და ხაზგასმით შექმნილ ერთიანობას, გაღარიბდება, დარჩება მხოლოდ მშრალი სქემა. ბოლო წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა: *В Вас очень много сил, и есть в голосе, в манере, в отношениях к внешнему миру, в последнем письме — надорванная струна* — ემოციურად სრულიად მშრალი, თუმცა გასაგები გამონათქვამი.

საინტერესოა, რომ რუსულ ტექსტში არასრული სიტყვების კიდევ ერთი, განსხვავებული ფუნქცია გამოჩნდა. ეს არის არასრული სიტყვების მიმართება ტექსტიდან „გარეთ“. ასეთია *никогда еще*, რომელიც თითქოს აახლოვებს მოსაუბრეებს — წერილის ავტორსა და მის ადრესატს, მათთვის საერთო სიტუაციური ეპიზოდების გახსენებით.

ასევე ტექსტიდან გარეთ არის მიმართული ნაწილაკი *-таки*. მოლაპარაკეს, როგორც ჩანს, იმედი ქონდა, რომ საშინელებას

გადაურჩებოდა, მაგრამ ყუჰაჰა-მ თავისი გაიტანა, სამწუხაროდ მაინც შესანსლა თავისი გოჭი. აქ მოღალტობაც არის შემოტანილი და ატიტუდური მნიშვნელობა, მოლაპარაკის განწყობაა ნაჩვენები ვითარების მიმართ, რაზეც ტექსტში მიგვიითიებს ერთადერთი პატარა სიტყვა - *მაჰი*.

ამ მაგალითების განხილვის შედეგად კარგად ჩანს, რომ თუმცა სრულმნიშვნელობიანი სიტყვები ლექსიკურად და გრამატიკულად თითქოს სრულყოფილად გამართავენ გამონათქვამს და ამ სიტყვებით სწორი გამართული წინადადებები აიგება, ეს არის მხოლოდ მშრალი მასალა შეტყობინების ნამდვილი, სასურველი შინაარსის გადმოსაცემად.

არასრულ სიტყვათა გარეშე, როგორც ეს მაგალითები მიგვანიშნებენ, ვერ შეიქმნება ერთიანი შინაარსი, ისეთი, რომელიც ტექსტის ნაწილებსაც გადააბამს ერთმანეთთან, სიტუაციის ადეკვატურიც იქნება და მოლაპარაკის პოზიციასაც ცხადპყოფს. სწორი გრამატიკული გაფორმების წყალობით სრულმნიშვნელობიან სიტყვებს წინადადების წევრთა ფუნქციაც აქვთ, ხოლო პრედიკატულ სტრუქტურაში სიღრმისეულ როლებსაც ასრულებენ, რაც, ცხადია, უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია წინადადებაში. მაგრამ შეტყობინების გამართული, გასაგები, ლოგიკური, ადეკვატური, გაბმული შინაარსის აგების მთელი ტვირთი აწევს მცირე რაოდენობის არასრულ სიტყვებს. ისინი მართლაც უდიდესი ღირებულების მატარებლები არიან ბუნებრივი ენის განმსაზღვრელი და ერთადერთი ფუნქციის – საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულების დროს.

1.4. მეტყველების ნაწილები და არასრული სიტყვები

1.4.1.

მცირერიცხოვან არასრულ სიტყვათა „ერთხელ და სამუდამოდ“ მოცემული სტაბილური სიმრავლის კლასებად დაყოფა, ერთი შეხედვით, საკმარისად ადვილი უნდა იყოს. მაგრამ ეს სულაც არ არის ასე. პირიქით, ამ სიტყვების კლასიფიკაცია საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს.

ტრადიციულად გამოიყოფა შემდეგი მეორეხარისხოვანი მეტყველების ნაწილები: შორისდებული, ნაწილაკი, არტიკლი, კავშირი, წინდებული/თანდებული, ნაცვალსახელი.

ყოველი კლასი აქ სხვადასხვა კრიტერიუმით არის გამოყოფილი. შორისდებული ემოციის გამოხატვაა, ნაწილაკი – სხვადასხვა მნიშვნელობის შემომტანი პატარა სიტყვაა, არტიკლი ახლავს არსებით სახელს და დამატებით მნიშვნელობებს ანიჭებს მას, კავშირი ტექსტის ნაწილებს აკავშირებს ერთმანეთთან, წინდებული/თანდებული მონაწილეობას იღებს მრავალფეროვანი მიმართებების (მაგალითად, დროით და სივრცულ მიმართებების) გადმოცემაში ტექსტის შიგნით, ნაცვალსახელი არსებითი ან ზედსართავი სახელის ადგილს იჭერს წინადადებაში.

ამ დაჯგუფებების გამოყოფა სულ სხვადასხვა პრინციპებს ეყრდნობა, ამას გარდა, ეს პრინციპები არ ეთანადება იმ კრიტერიუმებს, რომლითაც გამოიყოფა მეტყველების ნაწილები სრულმნიშვნელობიანი სიტყვებისათვის.

საზოგადოდ, არც სრულმნიშვნელობიანი სიტყვების შემთხვევაშია მეტყველების ნაწილთა გამოყოფა საკმარისად თანმიმდევრული, რამდენადაც, როგორც ვთქვით, ამ კლასების გამოყოფის კრიტერიუმები ხან სემანტიკურია და ხან ფორმალური. ლ. ტენიერის სიტყვებით (18, 62-63), მეტყველების ნაწილთა გამოყოფა, სიტყვების ათი კლასის გარჩევა ერთმანეთისაგან ვერაუთარ კრიტიკას ვერ უძლებს, რამდენადაც ერთდროულად რამდენიმე საკლასიფიკაციო ნიშანს ეყრდნობა. ეს განსაკუთრებით ეხება, ვფიქრობთ, არასრულ სიტყვებს.

არასრულ სიტყვათა ღირებულება და ფუნქციობა სულ სხვა ფაქტორებით განისაზღვრება და მათი დახასიათებაც, შესაბამისად, სხვა საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს.

წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სრულმნიშვნელობიანი სიტყვებისათვის გამოყენებული კრიტერიუმები არასრული სიტყვებისათვის სრულიად გამოუსადეგარია, მაგრამ მათ შესახებ მსჯელობის დროს ერთი-ორი საინტერესო მომენტი გამოჩნდება და ამიტომ ამ კრიტერიუმებს მაინც განვიხილავთ.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვების მეტყველების ნაწილებად დაყოფის დროს განვიხილეთ მათი ლექსიკური მნიშვნელობა, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, მორფოლოგიური მაჩვენებლები.

არასრული სიტყვების სემანტიკაზე უკვე ვისაუბრეთ. ახლავნახოთ, რა შედეგი მოაქვს იმას, რომ არასრულ სიტყვებს არ ახასიათებთ ფორმის ცვლა. ამის საფუძველზე მათ კიდევ ფორმალურად უწოდებენ. არასრულ სიტყვებს მთლიანად აკლიათ ფორმალური საფუძველი იმისათვის, რომ პარადიგმატულ კლასებში თავისი ფორმალური მაჩვენებლებით გაერთიანდნენ და მეტყველების ნაწილებად დაჯგუფდნენ.

არასრული სიტყვები არ წარმოადგენენ ენობრივი სისტემის წევრებს ისეთნაირად, როგორც ეს სრულმნიშვნელობიანი სიტყვების შემთხვევაში ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს არც ფორმალურად და არც სემანტიკურად არ არის უფრო მარტივი ერთეულებისაგან აგებული სიტყვები. ფორმალურად არასრული სიტყვები წარმოადგენენ მარტივ ფორმებს, ე.ი. ისინი არ იწარმოება დერივაციით.

არასრულ სიტყვათა ფორმის ერთადერთი გართულება შეიძლება ხდებოდეს რედუბლიკაციით ან თანწყობით — უბრალო მიერთების საშუალებით. ამის მაგალითებია გაორმაგებული შორისდებულები ან ნაწილაკები: *ოპო-პო! ვახ-ვახ! ვაი-ვაი! ვიშ-ვიშ! მაშ-მაშ!* და სხვა; თანწყობის შემთხვევები: *თანაც, თუკი, არც, კერც, თუნდაც, იმიტომაც, რამეთუ* და ა.შ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით არასრული სიტყვები შესაძლებელია გამოდგეს ძირად დერივაციული და შემდგომ ფლექსიური კონსტრუქციების საწარმოებლად*. თუმცა უნდა ითქვას, რომ ასეთი კონსტრუქციების წარმოქმნა არ არის რეგულარული ენობრივი მოდელი, არამედ განსაკუთრებული შემთხვევებია.

ცნობილია რუსული მაგალითები: *оx! аx!* შორისდებულებიდან დერივაციით ზმნის ფუძის წარმოქმნა *оxатъ, аxатъ* და შესაბამისად, წინადადებაში ამ ფორმების წინადადების წევრად წარმოდგენაც ხდება ფლექსიური მაჩვენებლებით: *Онъ вechно оxает, иадоел!*

საერთოდ მოქნილი მორფოლოგია, რასაკვირველია, დაუშვებს ასეთ შემთხვევებს. სხვა რუსული მაგალითებიც შეიძლება მოვიყვანოთ: *мякаты, почемучка, шукаты, шокаты, тшкаты, пошукаты* და სხვ. ქართულადაც შეგვიძლია ვთქვათ: *მაგისმა ვაიმ და ვიშ-ვიშმა ხომ გააწყალა გული! ანდა: დავიღალე ამდენი დიახ-დიახის ძახილით, ანდა: შეიძლება სულ მე-ს გაიძახოდეს კაცი? და სხვა.*

* ამაზე ყურადღება მიმაქცევინა ცნობილმა სლავისტმა დ. ვერსმა.

ცხადია, რომ ასეთი წარმოება არ არის რეგულარული და სისტემური ხასიათის. ქართულში ფლექსიური აფიქსები ასეთ სიტყვებთან ხშირად დეფისითაც გამოიყოფა, როგორც ერთგვარი ციტაციის დროს.

არასრულ სიტყვათაგან ასეთი დერივაციით სრულმნიშვნელობიანი სიტყვების წარმოება სხვა ენებშიც შეიძლება. ეს არის არასრული სიტყვის გამოყენება ძირად სრულმნიშვნელობიანი სიტყვისათვის, პროცესი, რომელიც სრულმნიშვნელობიანი სიტყვების კლასების წარმოებას ეხება და არაფერი აქვს საერთო არასრულ სიტყვათა ფორმალურ აგებულებასთან.

ემპირიული კვლევა გვაჩვენებს, რომ არასრულ სიტყვათა მოქმედება კომუნიკაციის დროს მრავალფეროვანია, ესენი თავისი არსით *პოლიფუნქციური* სიტყვებია. ამდენად, მათი კლასიფიკაცია იმას კი არ უნდა განსაზღვრავდეს, რომელი სიტყვა რომელ კლასში შედის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს არასრულ სიტყვათა ზოგადი ფუნქციების გამიჯვნა ერთმანეთისაგან და უფრო დაწვრილებით ჩვენება, თუ რა სახის როლი შეიძლება ქონდეთ ამ სიტყვებს შეტყობინების ან ტექსტის გამართვის დროს.

ამდენად არასრული სიტყვები არა მარტო წმინდა სემანტიკურ, არამედ სხვა ლინგვისტურ პრობლემებსაც უქმნის მკვლევარს, რომელსაც მათი ენობრივი არსის გარკვევა სურს.

1.5. არასრული სიტყვები ლექსიკონში

1.5.1.

სიტყვის ერთეულის გამოყოფის ერთ-ერთ შესაძლებელ კრიტერიუმად ა.სპენსერი ასახელებს იმას, რომ სიტყვა არის სალექსიკონო ერთეული ანუ *ლისტემა* – ერთეული, რომელიც შეიძლება შევიტანოთ სიაში (50, 425).

რამდენადაც განმარტებითი ლექსიკონები საინტერესო მასალას გვაწვდიან სრულმნიშვნელობიანი და არასრული სიტყვების განსხვავებული განსაზღვრების თვალსაზრისით, ქვემოთ განვი-

ხილავთ სალექსიკონო განმარტების იმ თავისებურებას, რომლებიც ახლავს ამ სიტყვების ახსნას ასეთ ლექსიკონებში.

ვფიქრობთ, რომ ეს სხვაობა ხსენებულ სიტყვათა თვისებრივი განსხვავების კიდევ ერთ მაგალითს გვთავაზობს. სალექსიკონო განმარტების ჩვენება ერთგვარ წინასწარ მასალას წარმოადგენს არასრულ სიტყვათა თავისებური ხასიათის წარმოჩენისათვის.

საკმარისია ერთმანეთს შევუდაროთ ლექსიკონში მოცემული სრულმნიშვნელობიანი და არასრული სიტყვების განმარტებები, რომ თვალში გვეცემა პრინციპული სხვადასხვაობა.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვის მნიშვნელობის ახსნა უპირველესად ნიშნავს მისი მეტყველების ნაწილისადმი ცალსახა კუთვნილების მითითებას. ეს ძალიან მარტივად და ბუნებრივად ხდება (განსაკუთრებით, მაგრამ არა მარტო, ფლექსიური ენებისათვის). სრულმნიშვნელობიანი სიტყვების მეტყველების ნაწილების მიხედვით დაყოფის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. აქ შეიძლება ის დავამატოთ, რომ ისევე, როგორც სიტყვის ერთეულად გამოყოფის დროს, მეტყველების ნაწილისადმი სიტყვის მიკუთვნებაშიც იმ კრიტერიუმებთან ერთად, რომლებიც ადრე განვიხილეთ გარკვეული ზომით მონაწილეობს ინტუიცია.

მეტყველების ნაწილისადმი სრულმნიშვნელობიანი სიტყვის მიკუთვნების შემდეგ ლექსიკონი იძლევა იმ მნიშვნელობების განმარტებას, რომლებითაც ხასიათდება მოცემული სიტყვა, როგორც ენის სემანტიკური სისტემის წევრი. მნიშვნელობების ეს წარმოდგენა ნიშნავს ყველა იმ ცნებისა და ობიექტის განმარტებას, რომელსაც სიტყვა უკავშირდება როგორც აღმნიშვნელი. ცხადია, ეს მნიშვნელობები გარკვეული მიმდევრობით არის დალაგებული იმის მიხედვით, თუ რომელი მნიშვნელობაა უფრო გავრცელებული, ასე ვთქვათ, პირველი, მეორე და ა.შ.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ვერბალური განმარტება არ არის დამაკმაყოფილებელი ან ბუნდოვანია, ლექსიკონი იძლევა ე.წ. ოსტენსიურ განმარტებას, ანუ მოგვაწოდებს ვიზუალურ მასალას, რომელიც ასე შესანიშნავად არის გამოყენებული, მაგალითად, ლონგმენის ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებში.

მაგალითად, სიტყვა *dolphin* (*n*) (დელფინი) განმარტებულია

როგორც „ძალიან ჭკვიანი ზღვის ცხოველი, რომელიც თევზს გავს და აქვს გრძელი, წვეტიანი ცხვირი“. აქვეა მოცემული სურათი დელფინის გამოსახულებით.

სიტყვა *general (n)* (გენერალი) განმარტებულია, როგორც ძალიან მაღალი რანგის ოფიცერი არმიაში ან საჰაერო ძალებში. მკითხველს ურჩევენ ნახოს ამა და ამ გვერდზე მოცემული შესაბამისი ტაბულა, სადაც მოცემულია სამხედრო წოდებათა იერარქიის მთელი სურათი.

განმარტებითი ლექსიკონი ზოგჯერ მოგვაწოდებს მოცემული ერთეულის სინონიმებსა და ანტონიმებსაც. ეს სიტყვის განმარტების დამატებითი საშუალებაც არის და უფრო სრულადაც წარმოაჩენს მოცემული სიტყვის მნიშვნელობას. ლონგმენის განმარტებითი ლექსიკონები ხშირად მიუთითებენ ასეთი სინონიმური სიტყვების სემანტიკურ განსხვავებებზეც.

ზოგჯერ განმარტებით ლექსიკონებში (მაგალითად, ქართულში) მოტანილი საილუსტრაციო მასალა ლიტერატურიდან არის ამოკრეფილი. ამის გამო ხშირად შეიძლება ერთი და იმავე მნიშვნელობის რამდენიმე ილუსტრაცია იყოს წარმოდგენილი, ან ზოგი მნიშვნელობა მაგალითების გარეშე დარჩეს.

დიდი ტრადიციის მქონე ინგლისურ განმარტებით ლექსიკონებში სიტყვის განმარტებას აუცილებლად ახლავს ავტორების მიერ გააზრებულად შედგენილი მაგალითები, რომელთა საშუალებითაც ლექსიკონი დამატებით ინფორმაციას იძლევა სიტყვის სემანტიკური ნიუანსების შესახებ.

1.5.2.

ენახოთ, როგორ არის აგებული სიტყვა თასის განმარტება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (6, ტ.IV)

„თასი (თასისა)“ — მეტყველების ნაწილი არ არის დასახელებული, მაგრამ მოცემულია სიტყვის პარადიგმული ცვლის გენტივის ფორმა, რაც ცხადად მიუთითებს ამ სიტყვის სახელთა კლასისადმი მიკუთვნებას. „1. ოქროს, ვერცხლის ან სხვა ლითონის სასმისი, ჯამის ფორმისა“. —

მოტანილია მაგალითები აკაკის, ნიკო ლომოურის, გ. ტაბიძის ნაწარმოებებიდან. „ჯამის ფორმის ლითონის ან ფაიფურის საოჯახო ჭურჭელი, — „ფიალა.“ — მოცემულია სინონიმური სიტყვა. „2. სპორ. მხატვრულად გაფორმებული ლითონის, ბროლის ან ფაიფურის ძვირფასი ჭურჭელი შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოვებლად“. ამას მოსდევს მაგალითები გაზეთებიდან.

აქ კარგად ჩანს, თუ განმარტებისას როგორ აღიწერება ის ობიექტი (ვერცხლის ან სხვა ლითონის... ჯამის ფორმის...), რომლის აღსანიშნავ წარმოადგენს მოცემული სრულმნიშვნელობიანი სიტყვა.

არასრული სიტყვის განმარტებას სულ სხვა სახე აქვს.

1.5.3.

ხშირად ერთი და იგივე არასრული სიტყვა — მე აქ ვგულისხმობ ერთი და იმავე ბგერით შედგენილობას, რამდენჯერმეა შეტანილი როგორც ცალკე სალექსიკონო ერთეული. ეს გაპირობებულია არასრული სიტყვების პოლიფუნქციობით. ლონგმენის ლექსიკონი ასეთ შემთხვევებში სიტყვებთან ინდექსს იძლევა (39). შემდეგ მითითებულია შესაბამისი მეტყველების ნაწილი. ახლა ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორ ხდება თვით ერთეულის განმარტება.

ენახოთ სიტყვა *one*, რომელიც ლონგმენის განმარტებით ლექსიკონში შეტანილია სამჯერ: *one1*, როგორც ციფრი (*number*), *one2*, როგორც ე.წ. განმსაზღვრელი (*determiner*), *one3* — როგორც ნაცვალსახელი.

ამ სიტყვის მეორე და მესამე სალექსიკონო ერთეულის განსაზღვრების დროს მნიშვნელობები წარმოდგენილია განმარტების გარეშე, სიტყვის ხმარებისათვის ერთგვარი „ინსტრუქციის“ მოწოდებითა და ენობრივი მაგალითების ჩვენებით. ენახოთ, როგორ არის წარმოდგენილი ნაცვალსახელი *one3*:

„*one3*, ნაცვალსახელი.“ მოცემულია მრავლობითი რიცხვის ფორმა — „*ones*“¹. „იხმარება იმ არსებითი სახელის მაგივ-

რად, რომელიც უკვე ნახსენებია ან რომელიც კარგად არის ცნობილი იმ პირთათვის, რომელსაც თქვენ ესაუბრებით“. მოტანილია მაგალითები. „2. (ფორმალური), იხმარება, როდესაც გულისხმობთ სიტყვა *you*-ს, განსაკუთრებით, როდესაც არ გგულისხმობთ კონკრეტულ პიროვნებას“. მოტანილია მაგალითი. მე-3, მე-4 და ა.შ. მე-11 მნიშვნელობები წარმოდგენილია პირდაპირ მოტანილი ფრაზებით, რომლებიც არის *one* სიტყვის გრკვეული ხმარების ნიმუშები. მაგალითად, „10. *one of us* (ერთი ჩვენთაგანი) — განსაკუთრებით სასაუბრო ენაში მაშინ გამოიყენება, როდესაც ითქმის, რომ ვინმე არის იმავე ჯგუფის წევრი, რომელსაც თავად თქვენ ეკუთვნით; მასაც იგივე აზრები აქვს, იგივე პოზიცია, რაც თქვენ“. მაგალითია: „*You can talk in front of Terry — he is one of us — შეგიძლიათ ისაუბროთ ტერის თანდასწრებით — იგი ერთი ჩვენთაგანია*“, და ა.შ.

ფაქტობრივად ლექსიკონი ჩამოთვლის *one* სიტყვის შემცველ ფრაზებს, თან მკითხველს მეორე პირის ნაცვალსახელით მიმართავს, ე.ი. პირდაპირ ესაუბრება მას, ასწავლის და უხსნის იმ ფრაზების მნიშვნელობას, რომელსაც ქმნის *one*.

ასე მთავრდება ამ სიტყვის განმარტება.

უნდა ითქვას, რომ, როგორც ჩანს, არასრული სიტყვების პოლიფუნქციობით გამოწვეული სირთულის გამო, ზოგი ლექსიკონი ან საერთოდ არ მიუთითებს მეტყველების ნაწილს ამ სიტყვისათვის, ან ამ თვალსაზრისით არაზუსტ მინიშნებას იძლევა.

მაგალითად, ენახოთ როგორ არის განმარტებული სიტყვები *თითქმის*, *ლამის*, *კინალამ* ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (6, ტ. IV). ეს სიტყვები ერთმანეთის საშუალებით აიხსნება. *თითქმის* და *კინალამ* მიკუთვნებულია ზმნისართებს, რიცხვით სახელებს, დროის აღმნიშვნელ არსებით სახელებს, როგორც ამას თვით ლექსიკონში მოცემული მაგალითებიდან ვხედავთ. *ლამის*, რომელიც პრინციპულად იმავე ფუნქციის მქონე სიტყვაა, მიკუთვნებულია ნაწილაკებს. (ყველაზე ხშირად კი სწორედ *ლამის* არის ზმნებთან დაკავშირებული!).

შეგვიძლია სხვა მაგალითებიც ვნახოთ. სიტყვა *ვიდრე* ერთი სალექსიკონო სტატიის ფარგლებში განმარტებულია, როგორც:

1. კავშირი (აღნიშნავს ზღვარს დროში, მაგ., ვიდრე ხვალამდე); 2. კავშირი (იხმარება შედარებისა და შეპირისპირების შემთხვევაში – შედარებით ვინმესთან ან რამესთან. ... 3. ნაწილაკი – იხმარება -მდე თანდებულის სახელთან მისი მნიშვნელობის გასაძლიერებლად: ვიდრე მოხუცებულობამდე.

ვფიქრობ, რომ მეორე განმარტებით ვიდრე უფრო მართებულია ნაწილაკების კლასს მივაკუთვნოთ. მაგალითად, ნინო უფრო ლამაზია, ვიდრე ლამარა; ან: ქუთაისი უფრო შორია, ვიდრე ქვიშხეთი.

რაც შეეხება პირველ და მესამე განმარტებას, აქ ვიდრე ტრივიალურ წინდებულს წარმოადგენს. მართალია, იგი აძლიერებს კიდევ -მდე თანდებულის მნიშვნელობას, რადგანაც მის მნიშვნელობას იმეორებს. ამავე დროს, ამ წინდებულის ხმარება მოძველებულად თუ ჭარბად უღერს და მისი ამოღება თავისუფლად შეიძლება მოცემული ფრაზიდან.

ეს ორიოდე მაგალითი გვაჩვენებს არასრული სიტყვების ტრადიციულ მეტყველების ნაწილებად წარმოდგენის სირთულეს და არაცალსახობას. ამას გარდა დავინახეთ არასრულ სიტყვათა პოლიფუნქციური ხასიათიც.

1.5.4.

არასრული სიტყვის სალექსიკონო განმარტების დროს არ უნდა ველოდოთ აღსანიშნი ობიექტის ოსტენსიურ ახსნას, რამდენადაც, როგორც ვიცით, ასეთი აღსანიშნი ობიექტი (როგორი სახისაც არ უნდა იყოს იგი – კონკრეტული საგანი თუ აბსტრაქტული ცნება), არასრულ სიტყვას არა აქვს. არასრული სიტყვა არ წარმოადგენს ენის გარეთ მყოფი ერთეულის დასახელებას, არამედ, როგორც გვახსოვს, პირდაპირ შემოაქვს გამონათქვამში ობიექტი, მიმართება, განწყობა.

არასრული სიტყვები წარმოადგენენ ინდექსებს არავერბალური სიტუაციიდან კარგად ცნობილ ან ტექსტში ერთხელ უკვე ნახსენები ობიექტებისათვის. ეს ინდექსები მიაჩნებენ ობიექტების არსებობას ან განმეორებით გამოჩენას ტექსტში ისე, რომ არ ასახელებენ თვით ამ ობიექტებს.

ნებისმიერი სრულმნიშვნელობიანი სიტყვისაგან განსხვავებით

ლექსიკონში ვერ ხდება მითითება და დასახელება იმ გარეობიექტისა, რომელთანაც მოცემული არასრული სიტყვა რეფერენციის დამოკიდებულებაში იქნებოდა.

ვერ მოხერხდება, რომ არასრული სიტყვისათვის წარმოდგინოთ კ. ოგდენისა და ი. რიჩარდსის ე.წ. *სემიოტიკური სამკუთხედი* (41, 404-405; 46, 24,21) სადაც სამკუთხედის წვერობებში წარმოდგენილია ერთეულები: *ცნება*, *ფორმა* და *რეფერენტი* (საგნები და სხვა ობიექტები), და სადაც ცნებისა და ფორმის ერთიანობა ქმნის სიტყვას.

მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეს რომ ვთხოვოთ აგვიხსნას რომელიმე სრულმნიშვნელობიანი სიტყვა, იგი მაშინვე მიგითითებს საგანზე ან უმრავლეს შემთხვევაში სხვა მარტივ ვიზუალურ საშუალებას გამოიყენებს (მოძრაობას, ფესტს, ნახატს და ა.შ.). არასრული სიტყვის შემთხვევაში ძალიან გაუჭირდება და ეს საშუალებები ვერ გამოადგება. ერთადერთი, რაც მას უშველის, იქნება მოცემული სიტყვის ხმარების ილუსტრაცია.

ამდენად, როდესაც არასრულ სიტყვებზე ვამბობთ, რომ ისინი „ცარიელი“ სიტყვებია, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ ხერხდება ამ სიტყვების მნიშვნელობის ოსტენსიური განსაზღვრა ან აღსანიშნი ობიექტის აღწერით მისი სალექსიკონო განმარტება.

არასრულ სიტყვათა განმარტება ლექსიკონში ხდება საგანგებოდ არჩეული კონტექსტის ჩვენებით – მაგალითების, ტექსტის მონაკვეთების მოტანით მკითხველს მიეწოდება ინფორმაცია მოცემული არასრული სიტყვის სწორი ხმარების თაობაზე.

ამ შემთხვევაში კარგად ხორციელდება ლ. ვიტგენშტაინის ცნობილი მოტო: „ნუ ეძებ სიტყვის მნიშვნელობას. ეძიე მისი ხმარება“ (41, 410).

არასრული სიტყვების სემანტიკასა და მათ ღირებულებას განსაზღვრავს სწორედ მათი გამოყენება კონტექსტში. კარგი ლექსიკონიც ამასვე ცხადყოფს.

მოვიტან ორიოდე არასრული სიტყვის განმარტების ნიმუშს სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონიდან“ (5):

ანუ, ან (12,15 მათე). ესე არს დაკითხვა ორთა შინა,
რომელიცა იყოს, ვიტყვი: ანუ ესე, ანუ იგი, ანუ სხვაი.

მაშა, მაშ სიტყვის დაკითხვის საქცევია. რათა ვინ რა არ-
ქმნასა გეტყუოდეს, დავეკითხოთ: მაშ რაგუარად ვქნა? მაშა
ესრეთ მოჰდება? და ესევეითარნი.

ამ სიტყვებისათვის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში,
როგორც ვხედავთ, მოცემულია მათი ხმარების ვერბალური კონ-
ტექსტი. ერთ შემთხვევაში არჩევანზეა საუბარი, ხოლო მეორე
სიტყვისათვის ლექსიკონი გვასწავლის, რომ დაწუნებული ან
აკრძალული მოქმედების დროს უნდა ვიკითხოთ: მაშ რა ვქნა?

მოვიტანთ მაგალითს რუსული მასალითაც ლექსიკონიდან
Словарь русского языка (15).

სიტყვა *ბი* განსაზღვრულია, როგორც წინდებული (*предлог*).
შემდეგ საკმარისად ვრცლად არის მოცემული მისი ხმარების
მრავალი შემთხვევა. საინტერესოა, რომ ყოველი პუნქტი,
რომელიც ქმნის ამ სიტყვის განმარტებას იწყება სიტყვებით:

*“употребляется при указании предела..., употребляется
при указании меры..., служит указанию полиоты...”* და
ა.შ. (15, 549).

ბი იხმარება ან სხვა წინდებულთან, ან რიგ არსებით სახელებ-
თან კავშირში სხვადასხვა აზრის გადმოსაცემად, მიუთითებს
ამა თუ იმ თვისებაზე და სხვ. მოკლედ ასე შეგვიძლია ეს
მასალა წარმოვადგინოთ:

„იხმარება მოქმედების, მოძრაობის გავრცელების ზღვრის
მითითების დროს. ... იხმარება ზომის ან სიდიდის ჩვენების
დროს ... იხმარება მოქმედების, მდგომარეობის ხარისხის,
დროითი ზღვრის მითითების დროს... ანდა მაგალითად,

წინდებულ *ომ*-თან და არსებით სახელებთან ერთად იხმარება
სისრულის გადმოსაცემად“ და ა.შ.

ამ ზოგადად მოწოდებული მასალიდანაც კარგად ჩანს, რომ ამ
წინდებულის განმარტება მთლიანად შედგება მისი ხმარების

აღწერისაგან. ლექსიკონი იმას გვაჩვენებს, თუ როგორი მნიშვნელობა იქნება გამონათქვამში ამ სიტყვის გამოყენების შემთხვევებში.

არასრულ სიტყვათა სემანტიკა ფართოა და განუსაზღვრელი, სანამ მოლაპარაკე მათ კონტექსტში არ ჩასვამს. ამდენად, ის განმარტებითი ლექსიკონია კარგი, რომელიც საკმარისი რაოდენობის ზუსტ მაგალითებს მოიტანს მათი გამოყენების საილუსტრაციოდ.

რ. ბოგრანდისა და ვ. ღრესლერის (23, 87) აზრით ლინგვისტიკა მცდარ შეკითხვას სვამდა: „რას ნიშნავს ეს ფორმა?“ იმის მაგივრად რომ ეკითხა: „რა უნდა ვიცოდე იმისათვის, რომ მოცემული ფორმა სწორად ვიხმარო და გავუგო სხვებს, როდესაც მას ხმარობენ?“ ასეთი მიდგომა მნიშვნელობის შესწავლისადმი არის ე.წ. პროცედურული სემანტიკა. დღეს პროცედურული სემანტიკის მეთოდი სწორედაც რომ ძლიერ ეფექტურად არის გამოყენებული არასრული სიტყვების მნიშვნელობების სალექსიკონო დახასიათების დროს.

1.5.5.

ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა ენაში არაჩვეულებრივად დიდია. მათ დიდი ინფორმაციული დატვირთვა აქვთ წინადადებაში, რამდენადაც თითოეული მათგანის გამოჩენა გამონათქვამში ძლიერ მცირე ალბათობით ხასიათდება. სწორედ ლექსიკური ერთეულები ქმნიან გამონათქვამის შინაარსს.

ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლე გამუდმებით ცვლას განიცდის, განსაკუთრებით პერიფერიაზე – ახალი ერთეულები შემოდის, ძველი კი – ქრება. ამ თვალსაზრისით ლექსიკური ერთეულები ღია და მუდმივ ცვალებადობაში მყოფ სიმრავლეს ქმნიან. მაგრამ მეორეს მხრივ, ადამიანის ენაში ისინი მკაცრად სისტემატიზებული მიმართებებით განისაზღვრებიან და ამდენად, დახურული ენობრივი სისტემის ერთეულებს წარმოადგენენ. საინტერესოა, რომ ახალი ან ნასესხები სიტყვები მთლიანად მიესადაგება ენობრივი სისტემის ყველა მოთხოვნასა და კანონზომიერებას. ლექსიკური ენობრივი სისტემის შიგნით მოქმედი პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებები ცალსახად აჯგუფებს ამ სიტყვებს. ამ მიმართებებით განისაზღვრება

სწორედ სრულმნიშვნელობიანი სიტყვა როგორც მოცემული კონკრეტული ერთეული.

ენაში ყველაფერი განსხვავებებზე დაიყვანება, მაგრამ ყველაფერი, ამავე დროს, დაიყვანება დაჯგუფებებზე, ამბობდა ფ. დე სოსიური (16, 161). პარადიგმატული სისტემური მახასიათებლების საფუძველზე ყველა ენაში ხდება სრულმნიშვნელობიან სიტყვათა დაყოფა კლასებად, რომელთაც ტრადიციულად ეწოდებათ მეტყველების ნაწილები.

მაგალითად, ქართულისათვის ახალთ-ახალი სიტყვა *დედლაინი*, ან *სივი*, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე პოულობს თავის მისამართს – მიეკუთვნება გარკვეულ მეტყველების ნაწილს და ყველა იმ ფორმალური შეზღუდვის ჩარჩოში მოექცევა, რომელშიც მოქცეულია ამ კლასის სხვა ძველთაძველი სიტყვებიც; ყველა იმ ფუნქციას შეასრულებს, რომელსაც ასრულებს ამ კლასის სხვა წევრი-სიტყვები; ენობრივ სისტემაში ყველა ისეთ მიმართებას დაამყარებს, როგორსაც ამყარებს მოცემული კლასის სხვა ელემენტები. ე.ი. რომელიმე *დედლაინი* არსებითი სახელის პარადიგმატული კლასის წევრი ხდება, ამ კლასისათვის დამახასიათებელი ფლექსიური მახასიათებლებით შეასრულებს წინადადების წევრის ფუნქციას და გახდება წინადადების ფორმალური სტრუქტურის წევრი, ჩაანაცვლებს და თვითონაც ჩაანაცვლება თავისივე კლასის სხვა წევრით და ა.შ.

არასრული სიტყვებისათვის ამ მხრივ სულ სხვა ვითარებას აქვს ადგილი.

არასრულ სიტყვათა რაოდენობა ენაში *შეზღუდულია და მცირე*. ჩ. ფრიზის მიხედვით (32), ინგლისურში, მაგალითად, 154 ასეთი სიტყვაა (იგი მათ უწოდებს ელ ფუნქციონ წორდს). ამ სიტყვების რაოდენობა ნებისმიერ ბუნებრივ ენაში ისე მცირეა, რომ ამ რაოდენობის პროცენტულად გამოხატვას არც აქვს აზრი. მოსალოდნელია, რომ არასრული სიტყვების ეს რაოდენობა ყველა ენისათვის დაახლოებით ასეთივეა.

ენახოთ ორი მაგალითი რ. ინანიშვილის მოთხრობებიდან.

სძინავს შიო პაპასაც. გულაღმა წევს. სპეტაკი თეთრი წვერი იხვის ბოლოსაკით მაღლა აქვს აპრეხილი. ფუ-ფუ-ფუ! — ფშვინავს, არხეინად და თან სულ ლამაზ-ლამაზ სიზმრებს

ხედავს. ხედავს, რომ მისი თეთრი სახეღარი პატარა ჩოკინაა, თვითონაც პატარაა შიო პაპა, აღარც თეთრი წვერი აქვს, აღარც ულვაშები. დაკუნტრუშებს მისი პატარა ჩოკინა აბრეშუმით რბილსა და სასიამოვნო ბალახებში და კუნტრუშით დასდევს შიო პაპაც უკან. შეხტება პატარა ჩოკინა, გადატრიალდება ჰაერში და -ჰოპ! — ისევე კოხტად დგას ოთხივე ფეხზე მწვანე ბალახებში. შეხტება შიო პაპაც, დაპატარავებული შიო პაპა, გადატრიალდება ჰაერში და -ჰოპ! — ისიც ისევე კოხტად დგას ორივე ფეხზე მწვანე ბალახებში. გადაკოტრიალდება ჩოკინა, გადაკოტრიალდება შიო პაპაც. იცინის ჩოკინა და იცინის დაპატარავებული შიო პაპაც.

თავს აქნევენ, იცინიან ბალახებიც.

ამ მცირე მონაკვეთაში სულ 102 სიტყვაა, აქედან — 27 არის არასრული სიტყვა (მათ შორის ნაწილაკი -ც). არასრული სიტყვები შეადგენს მთელი ტექსტის 23,5%-ს. საინტერესოა, რომ არასრული სიტყვა სულ რვაა. სამაგიეროდ რამდენჯერმე მეორდება და (ნ-ჯერ), -ც (4-ჯერ), აღარც, მისი (ორ-ორჯერ) და ა.შ. რაც შეეხება სრულმნიშვნელობიან სიტყვებს, მათი გამეორებაც ხდება, მაგრამ ამ ტექსტში ეს წმინდა სტილისტური ხერხია — პაპა და ჩოკინა ერთსა და იმავე მოქმედებებს ჩადიან სიზმარში. მეორე მონაკვეთი:

სოფელს რომ გადახედეს, კიდევ ერთხელ ჩასხდნენ. სოფელში ელექტროსინათლეები ენთო, მაგრამ ამ სინათლეებისა არ ემინოდათ მგლებს. იცოდნენ, რომ ეს უწყინარი ნათურები ანათებდნენ. ნათურების შუქს კი ეხლა ყველანი სცნობენ — მგლებიც და სხვა ცხოველებიც.

— შენ ასე მოიქეციო, შენ ისეო, შენ კიდევ ისეო! — არიგებდა დიდი მურა მგელი ხროვას. — გომურის ღერუფნიდან კი მე გამოვაგდებო.

უქნევდნენ თავს თანხმობის ნიშნად მგლები და თან ჟრუნტელი უვლიდათ ზურგში. მაგრამ რას იზამდნენ! ადგნენ და მუხლების კანკალით ჩაჰყენენ თოვლიან სერს.

ამ ტექსტში სულ 69 სიტყვაა. აქედან არასრული — 26, ე.ი. 37,6%. აქაც საინტერესოა, რომ არასრული ერთეული სულ 13 და ისევე მეორდება რომ (2), შენ (3), ისე (2), და (2), ეს(ამ) (2) შენ (3) და სხვა.

მაგალითებიდან ჩანს, რომ ერთი და იგივე არასრული სიტყვები რამდენჯერმე მეორდება ტექსტის მცირე მონაკვეთში; გარკვეული არასრული სიტყვები ორივე მონაკვეთში გვხვდება (რომ, და, ის, თან...). ადვილია ნებისმიერი სახის ტექსტში მოვძებნოთ ჩვენთვის საინტერესო არასრული სიტყვა. მათი რაოდენობა ენაში მცირეა, მაგრამ (ან ამიტომაც) ისინი ძალიან აქტიურად მუშაობენ ენობრივი გამონათქვამების შექმნის დროს.

არასრულ სიტყვათა სიმრავლე პრინციპულად ჩაკეტილი სიმრავლეა. ეს იმას ნიშნავს, რომ იოლად როდი ხდება ამ სიმრავლეში ელემენტების დამატება ან გამოკლება. ცხადია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიმრავლე იმთავითვე მოცემულია და საერთოდ არ იცვლება — იცვლება მისი შემადგენლობაც და შემადგენელ ერთეულთა სემანტიური ფუნქციებიც (მაგ., რამეთუ დღევანდელ ქართულში იხმარება მხოლოდ სტილისტურად მანერულ ტექსტში, ეს უკვე მოძველებული სიტყვაა; ვითღა — სულ აღარ იხმარება, იშვიათად იხმარება ნორმალურ ნეიტრალურ მეტყველებაში რათა და სხვა). მაგრამ ეს მაინც ძლიერ ინერტული სიმრავლეა და მასში ცვლილებები ძლიერ ნელა ხდება.

უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში ქართულში, მაგალითად, საკმაოდ შემოვიდა ინგლისური სრულმნიშვნელობიანი სიტყვები. ასეთია ადრე ნასესხები *სერვისიც* და ახალი: *დედლაინი*, *სიეი*, *აგრეთვე თიშერტი*, *კალკულატორი*, *სპონსორი* (ვაშობთ — *დამასპონსორა*); ასეთია *კომპიუტერთან* დაკავშირებით შემოსული სიტყვებიც — *მაუსი*, *მონიტორი*, *მესიჯი*, *ვინჩესტერი* და სხვა. მაგრამ არ შემოსულა არასრული სიტყვები (თუ არ ჩავთვლით მანერულ ჟარგონულ შორისდებულს — უაუ! და ნაწილაკს — იეს). არასრულ სიტყვათა სიმრავლე და სემანტიკა ძირითადად ისეთივეა, როგორც ერთი საუკუნის წინ.

ასევე, მაგ., გერმანულში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრი ინგლისური სიტყვა შევიდა. ნაკლებად, მაგრამ მაინც შევიდა გერმანულში რუსული სიტყვებიც (მაგ. *Datscha*). ინგლისური სრულმნიშვნელობიანი სიტყვების შესვლა გერმანულში ისეთი

დიდი რაოდენობით მოხდა, რომ ამჟამად გერმანულში არის ამ სიტყვების ნაცვლად გერმანული კალკების ხმარების ძლიერი ტენდენცია ნასესხობათა დიდი რაოდენობის შესამცირებლად. ამბობენ: *Taschenrechner*—*Calculator*-ის მაგივრად, *Fernseher*—*TV*-ს მაგივრად და სხვ). რაც შეეხება არასრულ სიტყვებს, ვთქვათ *doch, weil, eben, nur, aber, auch* და სხვა, ამათი სიმრავლე ხელშეუხებელი დარჩა და ზოგადად ისეთივეა, როგორც, თუნდაც, გოეთეს დროს იყო.

1.6. არასრული სიტყვები ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურაში

1.6.1.

შეიძლება თუ არა არასრულ სიტყვათა დახასიათება მოხდეს მათი სინტაქსური ფუნქციით წინადადებაში?

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე პირდაპირ შეგვიძლია ამ კითხვას გავცეთ პასუხი. რამდენადაც მათ არა აქვთ მორფოლოგიური სტრუქტურა და, მაშასადამე არ ხასიათდებიან ფლექსიური მაჩვენებლებით, ისინი ვერ იქნებიან წინადადების წევრები.

ამიტომაც არის, რომ სინტაქსური ანალიზის დროს ამ სიტყვებს ან უგულვებელყოფენ ან მიუერთებენ რომელიმე წინადადების წევრს.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვა ლ. ტენიერის ტერმინებში (18, 67) „დამოუკიდებელია“, რამდენადაც შეუძლია სტრუქტურული ფუნქციის შესრულება და კვანძის შექმნა, ხოლო არასრული სიტყვა (ტენიერთან – „დამხმარე“) ვერ ქმნის კვანძს, ე.ი. ვერ ამყარებს სტრუქტურულ-სემანტიკურ მიმართებებს წინადადებაში, იგი ბირთვის შიგნით არის მოთავსებული. მაგალითად, *le livre d' Alfred*-ში *le* და *d'* დამხმარე სიტყვებია, რომლებიც შედიან იმ ბირთვში, რომელსაც ქმნის *livre* ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ – *Alfred*. ეს ვითარება ძალიან კარგად ჩანს წინადადების ტრადიციული „გარჩევის“ დროს; ასევე, მაგალითად, უ.შ. ანალიზისა და სხვადასხვა წარმომშობი მოდელების გამოყენების დროს.

წინადადების სასკოლო ანალიზის დროს მაგალითები ყოველთვის ისეა შედგენილი, რომ არასრული სიტყვები შეძლებისდაგვარად მინიმალურად არის მოცემული წინადადებაში. წინადადების „გარჩევის“ დროს, მაგალითად, მოსწავლემ უნდა თქვას: და – მაერთებელი კავშირია; ან: კი – ნაწილაკია და ა.შ., რაც სულ არ არის ამ სიტყვების წინადადების წევრობის აღნიშვნა, არამედ არის მათი ტრადიციული მეტყველების ნაწილის დასახელება.

რამდენადაც არასრული სიტყვები არ არიან წინადადების გრამატიკული სტრუქტურის წევრები, არც მათი ურთიერთჩანაცვლება ხერხდება წინადადებაში.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვების ჩანაცვლების საფუძველია ფორმალური იგივეობა: ის სიტყვები, რომელთაც ერთმანეთს ჩაუნაცვლებთ, ერთი და იმავე პარადიგმატული კლასის წევრებია. *a priori* შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც პრინციპულად სემანტიკური ერთეულები, არასრული სიტყვები ერთმანეთს ვერ ჩანაცვლებენ გამონათქვამში, რამდენადაც ყოველი გამონათქვამი ერთჯერადია და საკუთარი მნიშვნელობის მქონეა; ცალკეული სემანტიკური ერთეულის არსებობა გამონათქვამში სწორედ სემანტიკური თავისებურებით განისაზღვრება. არასრული სიტყვები, როგორც სემანტიკური ერთეულები ყოველთვის თავისებური მოდლობით, იმპლიციტური მნიშვნელობით ან განსაზღვრული სემანტიკური თანახმარებით ხასიათდება. ურთიერთჩანაცვლება ასეთ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია.

მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ დასტურის, მტკიცების გამომხატველი ნაწილაკები ქართულში: *ხომ, კი, მაშ, აბა, აკი, დიახ*. შეუძლებელია მათი ურთიერთჩანაცვლება – შეიცვლება მნიშვნელობა ან აბსურდულ სემანტიკურ შეცდომას მივიღებთ შედეგად:

ჩემმა ჭკუამ ხომ აჯობა თქვენსასაო! (რ. ინან.)

ჩემმა ჭკუამ კი აჯობა თქვენსასაო!

ხომ აჯობა მსმენელისაგან მოითხოვს დასტურს, ერთგვარი ნიშნის მოგებაც ახლავს თან. კი აჯობა ნიშნავს – მე ვიცი, რომ გაჯობეთ, თქვენი აზრი არ მაინტერესებს; ერთგვარი ასერციია,

მინდა შთაგაგონოთ კიდეც, რომ გაჯობეთ. ორი სულ სხვადასხვა ვითარებაა და მნიშვნელობა.

ამავე დროს, შეუძლებელია: ჩემმა ჭკუამ მამ / აბა / დიახ აჯობა თქვენსასაო!

აქვე ვიტყვით, რომ არასრული სიტყვები ყველა ზემოთქმული მოტივაციის გამო ვერც წინადადების პროპოზიციის წევრები ვერ გახდებიან.

და ბოლოს, მოკლედ დავასკვნით იმას, რაც წინა მსჯელობის განმავლობაში არაერთხელ ვთქვით – არასრული სიტყვები არ არიან ბუნებრივი ენის იერარქიული სტრუქტურის წევრები, ისინი არ აიგებიან მარტივი ფორმების გართულებით, რამდენადაც თვითონ წარმოადგენენ მარტივ ენობრივ ფორმებს; ისინი არც სემანტიკურად არ არიან იერარქიული მნიშვნელობები, რამდენადაც ეს არის იმთავითვე მოცემული ერთიანი რთული სემანტიკის მქონე სიტყვები.

არასრული სიტყვები *პირველადი, თავისთავადი ერთეულებია*. ბუნებრივი ენის დუალობა არასრული სიტყვებისათვის ერთგვარად ჭარბი ნიშანია.

სრულმნიშვნელობიანი და არასრული სიტყვების შედარებამ გვაჩვენა, რომ არასრული სიტყვები სრულიად თავისებური ერთეულებია.

1.6.2.

ჩვენ არაერთხელ ვთქვით, რომ არასრული სიტყვები გამონათქვამის (ტექსტის) *სემანტიკურ სტრუქტურას* ქმნიან. სიტყვა *სტრუქტურა* აქ შემთხვევით როდია გამოყენებული – არასრული სიტყვები მართლაც ააგებენ ისეთ სემანტიკურ ერთეულებს, რომელთა ნაწილები ერთმანეთთან სტრუქტურულ მიმართებებს ამყარებენ.

არასრული სიტყვები, როგორც ვნახეთ, *ლექსიკონში წარმოდგენილია, როგორც პოლისემიური, ფართო მნიშვნელობის ერთეულები*. მაგრამ კომუნიკაციაში მათი გამოყენების დროს გამონათქვამში თავს იჩენს მხოლოდ ერთი, ზუსტი და კონკრეტული მნიშვნელობა (ეს, ზოგადად, ისეთივე დავიწროვებისა და

დაკონკრეტების პროცესია, როგორც სრულმნიშვნელობიანი სიტყვების წინადადებაში გამოყენების დროს).

კონტექსტში არსებული ზუსტი მნიშვნელობით არასრული სიტყვები ააგებენ ისეთ სემანტიკურ ერთეულებს, რომელთა ნაწილები ერთმანეთთან სწორედ სტრუქტურულ მიმართებებს ამყარებენ. მართალია, არასრული სიტყვები ამავე დროს კონკრეტული მნიშვნელობების მქონე გამონათქვამებს ქმნიან, მაგრამ ამ გამონათქვამების შემადგენლებს შორის სემანტიკური მიმართებები გარკვეული მიმართებებია. მაგალითად, *მიზეზის*, *დაპირისპირების*, *შედეგის*, *თანადროულობის* (ან *დროში სხვა მიმართების*), *უარყოფის*, *დასტურის*, *შედარების*, *დაზუსტების* და ა.შ. მიმართებათა ეს ტიპები სწორედ სემანტიკურ სტრუქტურებს წარმოადგენენ. სწორედ ამით იქმნება ჩანაცვლების შესაძლებლობა, მაგრამ იგი არ ეხება არასრულ სიტყვებს, ანუ აქ არ ხდება არასრულ სიტყვათა ჩანაცვლება.

როდესაც სინტაქსურ სტრუქტურებში ვახდენთ ჩანაცვლებებს, მაშინ ინვარიანტულია წინადადებაში ამა თუ იმ სიტყვათა გრამატიკული მიმართებები. ეს გამოიხატება ე.წ. სტრუქტურული „ადგილების“, ან სტრუქტურული როლების, სტრუქტურული სინტაქსური მიმართებების სიმყარით მოცემულ წინადადებაში. ვარიანტულია ამ სინტაქსური სტრუქტურების საფუძველზე კონკრეტული ლექსიკური ერთეულებით აზრის გამოხატვა. სწორედ ეს არის წინადადების სტრუქტურაში სურულმნიშვნელობიანი სიტყვების სუბსტიტუციის შესაძლებლობა.

ერთის მხრივ სინტაქსური სტრუქტურების ინვარიანტულ სტრუქტურულ მიმართებებს, ხოლო მეორეს მხრივ სტრუქტურული „ადგილების“ ვარიანტული სიტყვებით გამოხატვის საშუალებას ეყრდნობა წარმომშობი გრამატიკების მთელი თეორია. ამ პრინციპის უკიდურესი გამოყენების მაგალითია სწორი სინტაქსური სტრუქტურებით უსასრულო რაოდენობის სემანტიკურად სწორი თუ არასწორი წინადადებების მიღება. მაშასადამე, გრამატიკული მიმართებაა უცვლელი, ხოლო ლექსიკური მასალა ფაქტობრივად, ნებისმიერი.

როგორ ხდება ჩანაცვლება სემანტიკურ სტრუქტურებში? მთავარია არასრული სიტყვების უცვლელობა, რამდენადაც სწორედ ისინი არიან ამ სემანტიკური მიმართებების მიმნიშნებელი, განმახორციელებელი ერთეულები.

არასრული სიტყვები, ასე ვთქვათ, მნიშვნელობათა „ჩარჩოს“ ქმნიან, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ ხილულ სემანტიკურ სტრუქტურას (ან მეტა-სტრუქტურას). ამ სემანტიკური სტრუქტურის „ადგილებს“ შეავსებენ გამონათქვამის შემადგენლები, რომლებიც კონკრეტული ლექსიკითა და გრამატიკული ფორმებით არიან შექმნილი. სწორედ ამ შემადგენელთა სუბსტიტუცია არის შესაძლებელი გამონათქვამში არასრული სიტყვების მიერ აგებული „სემანტიკური“ ჩარჩოს ან სემანტიკური სტრუქტურის შენარჩუნებით.

განვიხილოთ მაგალითები:

როცა ელაპარაკობთ, ჩვენ ამოვისუნთქავთ ხოლმე ჰაერს არა ერთბაშად, არამედ პატარ-პატარა ჯახებით (გ. ახელ.)

სემანტიკური ჩარჩოები აქ შექმნილია სიტყვებით როცა, არა... არამედ. ამ სემანტიკური სტრუქტურების დაცვით შეგვიძლია წარმოვადგინოთ სხვადასხვა კონკრეტული აზრის მქონე გამონათქვამები:

როცა ვკითხულობთ, ჩვენ ვიღლებით ხოლმე არა ფიზიკურად, არამედ სულიერად.

როცა ბავშვი ტირის, მას ვამშვიდებთ ხოლმე არა გაჯავრებით, არამედ მოფერებით.

როცა ვსაუბრობთ, ჩვენ ვიძინებთ ხოლმე არა ჩუმად, არამედ ხმაურით.

სხვა მაგალითი:

ასეთი ზოგადი დებულებებით დაკმაყოფილება, იმიტომაა შესაძლებელი, რომ სიტყვის დამარცვლის წესები არაა დადგენილი (გ. ახელ.).

ასეთი სუსტი ნამუშევარი იმიტომ შეიქმნა, რომ პირობები არაა ხელსაყრელი.

ასეთი დიდი აღშფოთება იმიტომ გამოხატეს მიტინგზე, რომ არაა სხვა ადგილი.

მაშინაც კი, როდესაც ლექსიკური მასალა ერთმანეთთან სრულიად შეუსაბამოა და აბსურდულ შინაარსს ქმნის, როგორც ერთ-ერთ მაგალითშია, ნაწილებს შორის სემანტიკური სტრუქტურული დაკავშირება მაინც უცვლელი და გასაგებია. აქ ისევე ლ. ტენიერის სიტყვებს გაეიხსენებთ იმის შესახებ, რომ დამოუკიდებელი სიტყვები შეიძლება შევადაროთ აგურებს, რომლებიდანაც იქმნება წინადადება, ხოლო დამხმარე სიტყვები სხვა არა არის რა, თუ არა ცემენტი, რომელიც ამ აგურებს ერთმანეთთან ამაგრებს და მთელი შენობის სიმტკიცეს უზრუნველყოფს (18, 68).

აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სწორედ სემანტიკური სტრუქტურების ასეთ სიმყარესა და ლექსიკური მასალის თავისუფალ ჩანაცვლებას ემყარება ისეთი პოეზიის შექმნა, როგორიცაა, მაგალითად, ინგლისელებისათვის ესოდენ საყვარელი ლიმერიკები.

*His mother-in-law's leather lung
Got her young son-in-law so unstrung
That he pushed her unseen
in a chopping machine
and canned her and labelled her "Tongue"*

ქართულად შინაარსი ასე შეიძლება გადმოვცეთ:

სიდედრის ტყავის ფილტვმა (იქნებ უპირისპირდება *iron lung* მეტალის მანქანა, რომელიც სუნთქვას აადვილებს), ისე მოშალა მისი ახალგაზრდა სიძე, რომ მან იგი (სიდედრი) უჩუმრად ჩატენა ხორცის საკეპ მანქანაში და დააკონსერვა და დააწერა „ენა“.

მთავარი სემანტიკური ჩარჩოა *so — that he..., and*, რომლითაც სრულიად აზრიანი გამონათქვამი შეიძლება გაიმართოს, ამ ლიმერიკის აბსურდული შინაარსისაგან განსხვავებით:

*The noise made him so tired that he got up and went out.
(ხმაურმა იძენად დაღალა, რომ იგი წამოდგა და წაეიდა).*

2. არასრულ სიტყვათა ფუნქცია ენაში

2.1. სემიოტიკური და სემანტიკური აღნიშვნები

2.1.1.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვებსა და არასრულ სიტყვებს შორის ზოგადსემანტიკური და ფუნქციური სახის განსხვავებებზე მსჯელობის დროს უნდა განვიხილოთ ორგვარი აღნიშვნის პრობლემა ბუნებრივ ენაში. ამაში იგულისხმება მნიშვნელობების ორნაირი გადმოცემა. ეს აღნიშვნები ერთმანეთისაგან გამოაცალკევა ე. ბენვენისტმა შრომაში „ენობრივი სემიოლოგიის შესახებ“ (7, 69-89).

ადამიანის ენა ორგვარი ბუნებისაა ყველა თავის ასპექტში (7, 73) – იგი ერთდროულად სოციალურია და ინდივიდუალურიც, გაბმული და დისკრეტულიც, სასრულია და უსასრულოც და ა.შ. ამ თავისებების შესახებ ჩვენ ცოტა უფრო დაწვრილებით ვიტყვით ქვემოთ.

ამას გარდა, როგორც აქვე ვახსენეთ, ენა ფლობს ორნაირ აღნიშვნას – სემიოტიკურსა და სემანტიკურს. როდესაც ქვემოთ განვიხილავთ სრულმნიშვნელობიანი სიტყვების მახასიათებლებს, ამით შევეხებით იმ თვისებებს, რომლებიც ახლავს სემიოტიკურ აღნიშვნას, რადგანაც სრულმნიშვნელობიანი სიტყვები სემიოტიკური ნიშნებია.

ფ. დე სოსიურის შემდგომი ლინგვისტიკა სიტყვას განიხილავს ნიშნად – სემიოტიკურ მიმართებად აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის. მოცემული ენის სრულმნიშვნელობიანი სიტყვები, ამ თვალსაზრისით, წარმოადგენენ სემიოტიკურ ნიშნებს – არიან

სახელები მრავალფეროვანი ობიექტების აღსანიშნავად ენის გარეთ მყოფ სამყაროში.*

სრულმნიშვნელობიანი სიტყვების გამოხატულება, ლ. ტენიერის მიხედვით, უშუალოდ უკავშირდება გარკვეულ იდეას, რომელსაც მოცემული სიტყვები გამოიწვევს ადამიანის ცნობიერებაში. ჯ. ლაიონზი ასეთ სემიოტიკურ ერთეულებს *ლექსიკურ ერთეულებს* უწოდებს. ჩ. ფილმორი მათ უწოდებს *საშინაარსო სიტყვებს* (29, 114). ლ. ტენიერის მაგალითი რომ გავიმოროთ, სიტყვები — *cheval, Pferd, horse, equus* — სრულმნიშვნელობიანი სიტყვებია, რადგანაც ცნობიერებაში ისინი გარკვეულ (ამ შემთხვევაში ერთსა და იმავე) წარმოდგენას იწვევენ, კერძოდ, „ცხენის“ წარმოდგენას (18, 64).

გარე სამყაროს ობიექტებთან მსგავსი დაკავშირება — სემიოტიკური აღნიშვნა, ენობრივ ნიშანს ანიჭებს მთლიანი ერთეულის სტატუსს.

სემიოტიკური აღნიშვნით შექმნილი ერთეულები — სრულმნიშვნელობიანი სიტყვები, წარმოადგენენ ენობრივი სისტემის წევრებს. სხვა სემიოტიკურ ნიშნებთან ერთად ისინი ქმნიან მოცემული ენის სემანტიკურ სისტემას, რომელიც ხასიათდება და იქმნება ცალკეული ერთეულებისა და მათ შორის არსებული პარადიგმატული მიმართებებისაგან.

ე. ბენვენისტი წერს, რომ ნიშანი (იგულისხმება სემიოტიკური ნიშანი) ერთის მხრივ, სრულიად იდენტურია თავისი თავისა, ხოლო მეორე მხრივ — სრულიად განსხვავებული სხვა ნიშნებისაგან (7, 88), მისივე მაგალითი რომ გავავრცოთ, ნიშანი „ცხენი“ ერთის მხრივ სწორედ „ცხენია“ და სხვა არაფერი, მეორეს მხრივ კი — ნიშანი „ცხენი“ არ არის „ვირი“, „ჯორი“, „ხარი“, „კამეჩი“ და სხვ. (ე.ი. უპირისპირდება სხვა ნიშნებს). ეს ნიშანი აღნიშნავს ისეთ ოთხფეხა ცხოველს, რომელიც, ვთქვათ, შეგვიძლია ურემში

* პლატონის დიალოგიდან „კრატილოსი“ მოყვლებული მიმდინარეობს მსჯელობა იმაზე, თუ რა საფუძველზე დგას კავშირი აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის — პირობითია იგი, თუ ბუნებრივი (*thesei — physei*). აქ უგულვებელყოფთ ამ ასპექტს, ისევე, როგორც არ ვმსჯელობთ ნიშნის *ორნაწილიან* (ფ. დე სოსიური) ან *ტრიადულ* (ჩ. პირსი) ხასიათზე. ხაზს უსვამთ მხოლოდ იმას, რომ ნიშანში მის შემადგენლებს შორის კავშირი ქმნის ერთ მთლიან, დაუშლელ სემიოტიკურ ერთეულს.

შევაბათ, მაგრამ განსხვავებულია სხვა ასეთივე ოთხფეხა ცხოველებისაგან.

ფ. სოსიური ამბობდა, რომ ენაში ყველაფერი დაიყვანება განსხვავებებზე (16, 161). ის მიმართებები, რომლებიც არსებობს ენობრივ სისტემაში სემიოტიკურ ნიშნებს შორის, არის პარადიგმატული მიმართებები, რომლებიც განსაზღვრავენ და ყველა სხვა ნიშნისაგან განასხვავებენ მოცემულ ნიშანს.

სემიოტიკურ ერთეულში აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირი განუმეორებელი და ერთადერთია მოცემული ენის სემანტიკურ სისტემაში. სემიოტიკური კვლევა გულისხმობს ნიშანთა გამოყოფას და იდენტიფიკაციას, ერთეულთა განმასხვავებელ ნიშანთა აღწერას, ერთეულთა ერთმანეთისაგან გამოცალკევების ზუსტი კრიტერიუმების შემუშავებას (7, 88).

სემიოტიკური აღნიშვნის მქონე ნიშნები დისკრეტულ ერთეულებს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი გამოხატულებისა და შინაარსის თვალსაზრისით ცალკე მყოფი, დასრულებული და დამოუკიდებელი ერთეულებია.

როგორც ზემოთ ვთქვით, სრულმნიშვნელობიანი სიტყვა გარკვეულად სრული, მთლიანი ინფორმაციის მატარებელია, როგორც თავისი გამოხატულების მხრივ, ისე გრამატიკული მახასიათებლებისა და ლექსიკური შინაარსის მხრივაც. იგი თავის თავში მოიცავს ბუნებრივი ენის ორივე პლანის – გამოხატულებისა და შინაარსის პლანების იერარქიის ყველა საფეხურს და ამდენად დასრულებულ ერთეულს წარმოადგენს.

ენობრივი ფორმისა და შინაარსის სისტემაში, სემიოტიკური ერთეული დამოუკიდებელ სინტაგმატურ და პარადიგმატულ მიმართებებს ქმნის. სრულმნიშვნელობიანი სიტყვა თვისებრივად განისაზღვრება როგორც ენობრივი სისტემის ცალკე მოცემული ერთეული. ჩვენ შეგვიძლია ერთი, ცალკე აღებული სიტყვის მნიშვნელობა შევისწავლოთ სხვადასხვა ასპექტით, განვიხილოთ სიტყვა ენობრივი სისტემის შიგნით, შევისწავლოთ ის სემანტიკური მიმართებები, რომლებიც ამ სიტყვას აქვს მოცემული ენობრივი სისტემის სხვა ერთეულებთან; დავახასიათოთ მისი კონოტაციური და ემოტიური მნიშვნელობები; შეგვიძლია განვიხილოთ მოცემული სიტყვა ეტიმოლოგიური თვალსაზრისით – შევისწავლოთ მისი მნიშვნელობის დიაქრონიული განვითარება; შეგვიძლია დავახასიათოთ ცალკე აღებული სიტყვა იმ ფუნქ-

ციების აღნუსხვით, რომელიც მას ენაში აქვს — სინტაქსურ სტრუქტურებში მისი მონაწილეობა და სხვ.

ყოველივე ეს კარგად ცხადყოფს სემიოტიკური ნიშნის დისკრეტულ და დამოუკიდებელ ხასიათს. სრულმნიშვნელობიანი სიტყვა, როგორც დისკრეტული, გამოყოფილი, სრული ერთეული ცალკე სალექსიკონო ერთეულს წარმოადგენს.

სემიოტიკური ნიშნის შემდეგი თვისება ის არის, რომ იგი ძველია, ცნობილი და მოცემული.

სემიოტიკური ნიშნები — სრულმნიშვნელობიანი სიტყვები უნდა „ვიცნოთ“ (7, 88). „ცნობა“ ნიშნავს იმას, რომ გააზრებული გვაქვს ენობრივი ერთეულის ადრინდელი და ამჟამინდელი ხმარების იდენტურობა. უფრო ზუსტად შეიძლება ითქვას, რომ „ცნობა“ ნიშნავს სხვადასხვა ხმარების დროს ორი სიტყვის, ორი ერთეულის ერთმანეთთან გაიგივებას (41, 413).

რ. პირსის მიხედვით *სიმბოლოში* (სრულმნიშვნელობიან სიტყვაში) კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ეფუძნება ნასწავლ, ნაცნობ მიმართებას. ეს მიმართება აუცილებელი სახის არის იმისათვის, ვისაც სურს მოცემული ნიშნის გამოყენება (38, 347). სიმბოლოს არსებობის საფუძველს ჩვევა ქმნის (47, 358).

მართლაც, სრულმნიშვნელობიანი სიტყვების შემთხვევაში, სიტყვების მთა, ქალაქი, ბავშვი, მდინარე, ან ეტირი, ვიცინი, მძინავს სიტყვების მნიშვნელობა იმთავითვე ვიცით, ამ სიტყვებს ეცნობთ ყოველი მათი გამოჩენისას მეტყველებაში; ვიცით, ენის გარეთ მყოფ რა ობიექტებს აღნიშნავენ ისინი. ბუნებრივი ენის სისტემის სემიოტიკური ნიშნები ყოველთვის ცნობილი, მოცემული და, ამ თვალსაზრისით, ძველი ერთეულებია მშობლიურ ენაზე მოლაპარაკისათვის. ამდენად არის უპრობლემო ჩვენს მიერ მათი სწორი ხმარება შესაბამის კონტექსტში.

სემიოტიკური ნიშნის სემანტიკა სოციალური, ასე ვთქვათ, საზოგადო ხასიათისაა. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ცალკეული სრულმნიშვნელობიანი სიტყვის მნიშვნელობა ერთნაირია მოცემულ ენაზე ყველა მოლაპარაკისათვის.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვების ფორმა, მნიშვნელობა, სინტაქსური ფუნქციები ერთნაირი ღირებულების არის ყველა მოლაპარაკისათვის მაშინაც, როდესაც ეს სიტყვები სალექსიკონო ერთეულებად არის წარმოდგენილი და მაშინაც, როდესაც ეს

სიტყვები ენობრივ გამონათქვამში იხმარება კომუნიკაციის დროს. ეს სიტყვები გამონათქვამშიც კი ძველი, ნაცნობი ერთეულებია.

სემიოტიკური ნიშანი არსებობს იმ შემთხვევაში (7, 88), თუ იგი მოცემული ენობრივი კოლექტივის ყველა წევრის მიერ აღიქმება, როგორც აღსანიშნი და თუ იგი ყოველ მათგანში ზოგადად ერთსა და იმავე ასოციაციებს იწვევს, ერთსა და იმავე სემანტიკურ დაპირისპირებებით წარმოდგება სისტემაში.

სემიოტიკურ ნიშანში აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის კაშირი პირობითი მხოლოდ, ასე ვთქვათ, „სახელდების მომენტშია“, ამის შემდეგ პირობითი კავშირი აუცილებელია მოცემულ ენაზე ყველა მოლაპარაკისათვის. სწორედ ამაშია სიტყვის სოციალური ღირებულება. „გადატანითი“ მნიშვნელობითაც რომ ვიხმაროთ რომელიმე სიტყვა მაგალითად, „გოგრა“, სულ ერთია, იგი ამ შემთხვევაშიც ენის ყველა მცოდნისათვის ერთნაირი მნიშვნელობის მქონე იქნება.

ცხადია, აქ არ გამოვრიცხავთ იმას, რომ ყოველი მოლაპარაკის მიერ მოცემული სემიოტიკური ნიშნის „ცოდნა“ ამ სიტყვის მნიშვნელობას ყოველთვის რაღაც თავისებურ გამოცდილებას, თავისებურ ელფერს ან კონკრეტულობას მატებს, მაგრამ ეს ინდივიდუალური მნიშვნელობები არ არის ღირებული სიტყვის მნიშვნელობისა და ამ სიტყვის სოციალური სემანტიკური სტატუსის განსაზღვრისათვის. ჯ. ლაიონზი ამბობს, რომ სემანტიკა სწავლობს ერთგვაროვნებას ენის „გამოყენებაში“, რომელიც შესაძლებელს ხდის გაგებასა და გაგებინებას კომუნიკაციის დროს (42, 411). კომუნიკაციის ნორმალური მსვლელობა ეფუძნება სწორედ იმას, რომ ყველა ჩვენგანისათვის მშობლიური ენის სიტყვები არსებითად ერთნაირი მნიშვნელობის მქონეა.

ამრიგად, სემიოტიკური აღნიშვნით იქმნება ენობრივი ნიშანი — სრულმნიშვნელობიანი სიტყვა. სრულმნიშვნელობიანი სიტყვის სემიოტიკური მნიშვნელობა გულისხმობს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის გაერთიანებას სემიოტიკური კავშირით. სემიოტიკური ნიშნები ენობრივ სისტემაში არიან წარმოდგენილნი; ისინი დისკრეტულ, დამოუკიდებელ, მთლიან ერთეულებს წარმოადგენენ. სემიოტიკური ნიშნები ძველი სემანტიკის მქონე ცნობილი ერთეულებია. და ბოლოს, სემოტიკური ნიშანი სოციალური ხასიათის ერთეულია.

2.1.2.

სემანტიკური აღნიშვნა ისეთი აღნიშვნაა, მნიშვნელობის გადმოცემის ისეთი სპეციფიკური რაგვარობაა, რომელიც მეტყველებაში იქმნება (7, 88). სემანტიკური ასპექტი წარმოადგენს გამონათქვამის კუთვნილებას.

ე. ბენვენისტი წერს, რომ როდესაც ფ. დე სოსიურმა ენა განსაზღვრა, როგორც ნიშანთა სისტემა, მან საფუძველი ჩაუყარა ენობრივ სემიოლოგიას და ენა ერთ-ერთ სემიოტიკურ ობიექტად აქცია. მაგრამ, თუმცა ენობრივი ერთეულები მართლაც ნიშნებია, სემიოტიკური აღნიშვნა მაინც ვერ ჩაითვლება მნიშვნელობის გამოხატვის ერთადერთ პრინციპად ენის ფუნქციობის თვალსაზრისით (7, 89).

ენის საკომუნიკაციო მოქმედების დროს ტექსტით მნიშვნელობის გადაცემა ხდება არა სემიოტიკური აღნიშვნის პრინციპით, არამედ სემანტიკური ერთეულის შექმნით. ტექსტის აგების საფუძველი, მისი თვისებრიობის განმსაზღვრელი არის მნიშვნელობის ისეთნაირი გადმოცემა, რომელიც სრულიად განსხვავდება სემიოტიკური აღნიშვნისაგან.

სემანტიკური ერთეულის, ტექსტის წარმოქმნის დროს მოლაპარაკის ცნობიერება დაკავებულია ენობრივი გამონათქვამის მხოლოდ სემანტიკური გამართვით. მოლაპარაკე საერთოდ არ ფიქრობს გამონათქვამის ფორმალურ მახასიათებლებზე, თუკი ენა იცის. ფორმალური მხარე მაშინ მიიქცევეს მის ყურადღებას, როდესაც რაიმე დაბრკოლება იქმნება ამ მხრივ.

ტექსტში კი საჭიროა მოიძებნოს ისეთი სემანტიკური საშუალებები, რომლებიც სრულყოფილად გამოხატავენ სასურველ აზრს, გაითვალისწინებენ მსმენელს, სიტუაციას, მოდალობასა და სხვ. ენის მცოდნე ცნობიერად აირჩევს სიტყვას, როგორც ლექსიკურ ერთეულს და ამასთან ერთად შინაარსის გამართვის ყველა სხვა საშუალებასაც გამოიყენებს.

სემანტიკური აღნიშვნით იქმნება გაბმული (ან უწყვეტი) ერთეულები. ენობრივი სისტემის დისკრეტული ერთეულებიდან გაბმულ ტექსტზე გადასვლა არის, ფაქტობრივად, სისტემის რეალიზაციის აქტი. ეს არის, ამავე დროს, სისტემის არსებობის გარკვეული გამართლებაც, მისი გამოყენება და მისი მოქმედება. ამ დროს სემანტიკურ ერთეულში სისტემის მახასიათებლები საწინააღმდეგო მახასიათებლებად გარდაიქმნება:

სემანტიკური ერთეული უწყვეტია (და არა დისკრეტული);
 უსასრულოა (და არა სასრული);
 ინდივიდუალურია (და არა სოციალური);
 კონკრეტულია (და არა ზოგადი);
 მოდალურია (და არა ნეიტრალური).

უ. ჩეიფი თვლის (20, 98-99) რომ ენები სემანტიკური თვალსაზრისით არცთუ დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გარე სამყაროში ან ადამიანის ზოგად გენეტიკურ მონაცემებში, ან ორივეში ერთად, არსებობს რაღაც საერთო მახასიათებელი, რასაც შედეგად მოაქვს გარკვეული სემანტიკური ჰომოგენურობა ენათა შორის. თუ ეს ასეა, შეგვიძლია, ალბათ, იხილოთ ვთქვათ, რომ სისტემის ამოქმედება კომუნიკაციის დროს და სემანტიკური ერთეულის შექმნა ზემოხსენებული გარდაქმნების გავლით ერთსა და იმავე კანონზომიერებას ექვემდებარება ყველა ენაში.

ამ თვალსაზრისით ენა (*langue*) წარმოადგენს გარე სამყაროს თვისებათა, საგანთა, მოქმედებათა, მოვლენათა აღმნიშვნელი სემიოტიკური ნიშნების სისტემას, ხოლო სემანტიკური ერთეული, ანუ ტექსტი ქმნის გარე სამყაროს თვისებების, სტრუქტურის, აგებულების, მიმართების მოდელს.

ენახოთ. რა ნიშნებით ხასიათდება სემანტიკური ერთეული.

2.1.3.

სემანტიკური აღნიშვნის დროს სემიოტიკური ნიშნების დისკრეტული ხასიათი სრულიად საწინააღმდეგო ნიშნით იცვლება. ეს არის უწყვეტობა.

გამონათქვამის რეფერენტი არის გარკვეული სიტუაცია, რომელსაც თავისთავად უწყვეტი და გაბმული ხასიათი აქვს. მოლაპარაკე გვატყობინებს თავის ემოციებს, გვაწვდის ცნობებს, საუბრობს მოლაპარაკისათვის შინაგან ან მის მიმართ გარეთა მდგომარეობებზე, ობიექტებსა და მოვლენებს შორის უსასრულოდ მრავალფეროვან მიმართებებზე და ა.შ. (20, 36): სემანტიკური აღნიშვნით შექმნილი ტექსტის თვისებრიობა სწორედ ამ უწყვეტობით განისაზღვრება.

სემანტიკური ერთეულის, ტექსტის შემადგენლებს არა აქვთ დამოუკიდებელი არსებობა. ტექსტში სიტყვების ღირებულებას

განსაზღვრავს სხვა სიტყვებთან მათი სემანტიკური ერთიანობა. დისკრეტული სემიოტიკური ერთეულების ღირებულება კი იქმნება სხვა ერთეულებთან დაპირისპირებით სასრულ სისტემაში.

სემანტიკური ერთეულის არსი განისაზღვრება *გადაბმით*, შეკავშირებით. ტექსტის ერთეულების დამოუკიდებლად არსებობა შეუძლებელია. როგორც კი სიტყვას გავაცალკევებთ, ამოვიღებთ ტექსტიდან და ისე განვიხილავთ, იგი სემიოტიკურ ნიშნად გადაიქცევა, პირიქით, როგორც კი სემიოტიკური ნიშანი — სრულმნიშვნელობიანი სიტყვა ტექსტში მოხვდება და სემანტიკური ერთეულის შემადგენელი გახდება, იგი წყვეტს თავის არსებობას როგორც დისკრეტული ერთეული და მთლიანად იმ სემანტიკური მიმართებებით, იმ ერთიანობით განისაზღვრება, რომელიც მოცემულ ტექსტში არსებობს სიტყვებს შორის.

ი. ბოგუსლავსკი იმეორებს ს. კარცევსკის აზრს სიტყვების სტატუსის თაობაზე (8, 10). ს. კარცევსკი წერს, რომ როდესაც სიტყვა გამონათქვამში (ან ფრაზაში) მოხვდება, იგი კარგავს თავის „კონტურებს“ და ხდება ფრაზის წევრი, მნიშვნელობის ერთეული. ფრაზის განხილვის დროს არანაირად არ არის საინტერესო სიტყვა — მისი აგებულება, სხვა დონეებზე მისი წარმოდგენა; სიტყვა აღარ არის სიტყვა, იგი გარდაიქმება ახალ ერთეულად ან უფრო დიდი ერთეულის ნაწილად.

ე. ბენვენისტის ამბობს, რომ ენობრივი გამონათქვამი (7, 88) არ წარმოადგენს ისეთ ერთეულთა მარტივ მიმდევრობას, რომლებიც მოცემულ ტექსტში შევიძლია ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად დავახასიათოთ. აზრი ერთეულთა უბრალო მიმდევრობით და შეერთებით როდი იქმნება.

ი. ბოგუსლავსკი წერს (8, 9), რომ მიუღებელია თვალსაზრისი რთული ენობრივი გამონათქვამის გამზადებული სტრუქტურული ელემენტებით შექმნის თაობაზე. ეს „კომპოზიციონალური“ თვალსაზრისი ვერ ითვალისწინებს ენობრივი ფუნქციობის ზოგ მნიშვნელოვან თავისებურებას, პირველ რიგში მის შემოქმედებით ხასიათს. სიტყვამ შეიძლება სრულიად მოულოდნელი სემანტიკური თვისებები შეიძინოს გამონათქვამში. როგორც ზემოთ ვთქვით, სიტყვა ტექსტში სულ სხვა ერთეულს წარმოადგენს, ვიდრე ენობრივ სისტემაში.

2.1.4.

ქვემოთ განვიხილავთ სემანტიკურ ცვლილებებს, რომლებსაც განიცდის სალექსიკონო ერთეულების – სრულმნიშვნელობიანი სიტყვების მახასიათებლები საკომუნიკაციო პროცესში ამ სიტყვათა გამოყენების დროს.

ჰ. ვაინრიხის მიხედვით (53), სემანტიკის ძირითადი დებულება გვეუბნება, რომ ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა ოთხი თვისების მქონეა. იგი არის: ა. ფართო, ბ. განუსაზღვრელი, გ. ზოგადი და დ. აბსტრაქტული. ოთხივე მახასიათებელი, როგორც ვხედავთ, ერთმანეთთან არის მჭიდროდ დაკავშირებული და ერთმანეთს განაპირობებს.

სანამ ჰ. ვაინრიხის დებულების განხილვას გავაგრძელებდეთ, მოკლედ ვახსენოთ კონცეპტუალისტთა თვალსაზრისი სიტყვის მნიშვნელობის შესახებ. კონცეპტუალისტები ენობრივი ნიშნის მნიშვნელობას განსაზღვრავენ ნიშნის კავშირით ცნებასთან. ამ თვალსაზრისით ცნება გაიაზრება როგორც გარკვეული სახის მუდმივი ასოციაციები, რომლებიც დაგროვილია ადამიანის გონებაში. ენობრივი მნიშვნელობის დანახვა გარდაუვლად ხდება ისეთი გონებრივი ოდენობის ტერმინებში, როგორიც არის ცნება (46, 2.2). სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა ამ თეორიის მიხედვით იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია სხვას აუუხსნათ იგი (გავიხსენოთ მსჯელობა სრულმნიშვნელობიანი სიტყვების განსაზღვრების შესახებ განმარტებით ლექსიკონში).

სიტყვის ასეთნაირად გააზრებული მნიშვნელობა სწორედ ჰ. ვაინრიხის მიერ დასახელებული ნიშნებით დახასიათდება. ცნება, რომელიც წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობას, ფართოა – იგი წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ საფუძველს; ამავე დროს სისტემაში წარმოდგენილი სიტყვის მნიშვნელობა ზოგადია, აბსტრაქტულიც და, ბუნებრივია, განუსაზღვრელიც.

კომუნიკაციის პროცესის დროს, როდესაც სამეტყველო ერთეული იქმნება, ცალკე ერთეულის, სიტყვის მნიშვნელობა არსებითად საწინააღმდეგო თვისებებს იძენს.

სამეტყველო გამონათქვამში სიტყვის მნიშვნელობა ხდება: ა. ეიწროდ განსაზღვრული და ამდენად, ბ. ზუსტი, გ. ინდივიდუალური, დ. კონკრეტული. გამონათქვამის კონტექსტი ერთმნიშვე-

ნელოვნად განსაზღვრავს, აზუსტებს და აკონკრეტებს მასში ნახმარი სიტყვების სემანტიკას. გამონათქვამის დანიშნულება ხომ ცალსახა, ერთჯერადი, კონკრეტული მნიშვნელობის მქონე შინაარსის გადაცემაა.

როდესაც გვესმის ცალკე აღებული სიტყვა, წარმოგვიდგება მნიშვნელობათა განუსაზღვრელი წრე. როგორც კი გვესმის სიტყვა კონტექსტში, ე.ი. გამონათქვამთან გვაქვს საქმე, ყველაფერი ზუსტდება, მნიშვნელობა ვიწროვდება. კონტექსტი ჩამოაცილებს სიტყვის მნიშვნელობას ზოგად, მოცემული ვერბალური და არავერბალური კონტექსტის თვალსაზრისით ზედმეტ და არასაჭირო მნიშვნელობებს, ხდება გამონათქვამთა დეტერმინაცია — განსაზღვრა. *პ. ვაინრიხი აქ იხსენებს სპინოზას აფორიზმს: determinatio negatio est* — ზედმეტი და არადირებული სემანტიკური ნიშნების უკუგდებით ხდება გამონათქვამის შემადგენელი სიტყვის ვიწროდ განსაზღვრა.

ცალკე აღებული სიტყვის მნიშვნელობა (*Bedeutung*) და მისი სემანტიკა ტექსტში — აზრი, შინაარსი (*Meinung*) არსებითად სხვადასხვა სემანტიკური ცნებებია. ცალკე აღებულ სიტყვას პოტენციურად მრავალი ზოგადი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ნორმალურ ვითარებაში, გამონათქვამში მას აქვს მხოლოდ ერთი აზრი (23, 84). მსმენელისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ამა თუ იმ შინაარსის ცალსახად ამოცნობა ტექსტში.

ენახოთ სულ ერთი მაგალითი. სიტყვა *გ ზ ა*. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ეს შეიძლება იყოს: „ზოლი გაკვლეული დედამიწის ზედაპირზე, რომელიც განკუთვნილია ადამიანის, ტრანსპორტის მიმოსვლისათვის; მიმართულება, გეზი; მგზაურობა, მოგზაურობა; გამოსაეალი, საშუალება, ხერხი“ და სხვ. (6, ტ. II) ტექსტში:

მაგრამ ერთხელ, მარტის შუა რიცხვებში, ცოცხებივით აფშეკილ ილღუნებს რომ გავცდით, ჩვენი კატაფშატა ველარ დავინახეთ. ... ჯერ ვიფიქრეთ, სხვა ადგილას ხომ არ მოეხედითო, შემკრთალებმა მივიხედ-მოვიხედეთ. დავრწმუნდით, რომ სწორი გზით მივდიოდით, და კიდევ უფრო შეეკრთით. (რ. ინან.).

კონტექსტი ერთბაშად უარყოფს ყველა პოტენციურ მნიშვნელობას და მხოლოდ ერთადერთ მნიშვნელობას ტოვებს – მიმართულება, გეზი.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვების მნიშვნელობის ასეთი დავიწროება, დაზუსტება, ინდივიდუალობა და დაკონკრეტება არის მნიშვნელობის ენობრივი სისტემიდან კონკრეტულ გამო-ნათქვამზე გადასვლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაბიჯი.

2.1.5.

ვეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორ გადაიქცევა რომელიმე სრულ-მნიშვნელობიანი სიტყვა დისკრეტული ერთეულიდან გაბმული, უწყვეტი ერთეულის შემადგენლად ტექსტში.

შესაფერისი მაგალითი ადვილი მოსაძებნია:

მოხუცი გაუნძრევლად ზის, გაუნძრევლად უჭირავს ანკესის ტარიც. მხოლოდ წითელი ტივტივა თახთახებს და თრთის. და როცა ტივტივა ჩაიძირება ღრმად, მოხუცი შემფოთებით ამოსწევს ანკესის დამძიმებულ ტარს და მზეზე აბრჭყვია-ლებულ თევზს კატიის სისწრაფით იჭერს კაერში. ასე თევზაობს საღამომდე. (რ. ინან.)

სიტყვა *მოხუცი*, როგორც დისკრეტული სალექსიკონო ერთეული და სემიოტიკური ნიშანი შემდგენაირად შეიძლება დახასიათდეს: იგი აღნიშნავს არაახალგაზრდა, ხნიერ ადამიანს – ქალს ან კაცს. ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას ქართულ ენაზე ყველა მოლაპარაკისათვის. ამ ძირითად სემანტიკას შეიძლება ახლდეს დამატებითი მნიშვნელობებიც – *მოხუცი ჭადარაა, სუსტია, ავადმყოფი, უსუსური (ან ჭარმაგი!)*

ამას გარდა, ამ სიტყვას აქვს გარკვეული ფორმალური მახასიათებლებიც: არის არსებითი სახელი თავისი დერივაციული და ფლექსიური მაჩვენებლებით და ა.შ.

ახლა ვნახოთ, როგორია *მოხუცი* სიტყვის მახასიათებლები ზემომოყვანილ ტექსტში. რამდენადაც ტექსტი სემანტიკურ ერთეულს წარმოადგენს, თავიდანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასში მოცემული ყველა სიტყვა ამ სემანტიკური ერთეულის შემადგენელია. სხვა მახასიათებლებთან ერთად მოცემული

ტექსტი შემადგენლების ურთიერთკავშირითაც იქმნება.

რა სემანტიკური დატვირთვის მატარებელია სიტყვა *მოხუცი* ამ ტექსტში? ეს ის ხნიერი ადამიანია, რომელიც გატაცებით თევზაობს – როგორც ჩანს, მამაკაცი ყოფილა! ისე გაუნძრევლად ზის, რომ მხოლოდ წითელი ტივტივა ჩანს ცოცხალ არსებად – *თახთახებს და თრთის*. მოხუცს მხოლოდ ტივტივა აინტერესებს. ამიტომ იგი მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდება, როდესაც ტივტივა ჩაიძირება – მოხუცი შეშფოთებით ამოსწევს ანკესს. „შეშფოთებით“ იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, მაინც დაძაბულია ჩვენი მოხუცი – არ გამოეპაროს ტივტივის ჩაძირვა (ან იქნებ იმიტომ არის შეშფოთებული, რომ ამ უძრავად ჯდომაში ჩაეძინა!); მაგრამ იგი სულაც არ ყოფილა არც უსუსური და არც სუსტი – *კატის სისწრაფით იჭერს ჰაერში თევზს!* მოხუცს ისე უყვარს თევზაობა, რომ საღამომდე ასე თევზაობს.

აქ ტექსტში ყველა სიტყვა, ყველა ერთეული ერთმანეთთან გადაბმული და დაკავშირებულია. ტექსტის შემადგენლები უწყვეტი სემანტიკური კავშირით განსაზღვრავენ და ქმნიან ერთმანეთის ღირებულებას და მთელი ტექსტის შინაარსს.

თვით სიტყვაც *მოხუცი* გარკვეულად განსაზღვრავს მთელი მონაკვეთის მნიშვნელობას, რომელიც სრულიად სხვა სახეს მიიღებდა ამ სიტყვის ნაცვლად რომ ყოფილიყო სიტყვა *ახლგაზრდა* ან *ყმაწვილი*; იქნებ, გაუმართლებელი აღმოჩნდებოდა სიტყვის *შეშფოთებით* ხმარება; სხვა დატვირთვა მიეცემოდა *ფრაზას* *კატის სისწრაფით იჭერს* და ა.შ. საერთოდ, მთელი შინაარსი სხვა გახდებოდა.

მოხუცის მსგავსად ყველა სხვა სიტყვა ასევე უწყვეტ სემანტიკურ კავშირშია ერთმანეთთან. შემადგენლების მნიშვნელობათა ამ უწყვეტი გაბმით იქმნება სწორედ ტექსტი, სემიოტიკური ერთეულის დისკრეტული თვისებრიობა ტექსტში იკარგება. როგორც დაეინახეთ, მაგალითად, სრულმნიშვნელობიანი სიტყვა *მოხუცი* თავისი თვისებებისა და ფუნქციების შემსრულებელია როგორც სემანტიკური ერთეულის შემადგენელი წევრი. უგლვებელყოფილია და სრულიად არაღირებული ამ სიტყვის ყველა სემიოტიკური მახასიათებელი.

ამ ტექსტში მოცემულია არასრული სიტყვებიც: *მხოლოდ*, *და*, *როცა*, *ასე*. მათი როლი უწყვეტი სემანტიკის შექმნაში გაცილებით უფრო ადვილი დასანახია.

თვალნათლივ ვხედავთ (რამდენადაც ტექსტი წერილობითია!), როგორ გადააბამს სიტყვა მხოლოდ ერთმანეთთან სხვადასხვა შემადგენლებს:

მოხუცი რომ გაუნძრევლად ზის და გაუნძრევლად უჭირავს ანკესის ტარიც – არაფერი არ იძვრის; წითელი ტივტივია ერთადერი მოძრავი საგანი – თრთის და თახთახებს (ეს შეიძლება რომელიმე მოხუცის მღვთმარეობის მახასიათებელი პრედიკატები ყოფილიყო სხვა ტექსტში, მაგრამ ჩვენს მოხუცს ეს ეპითეტები არ მიუდგება!) და ღრმად იძირება! მხოლოდ აკავშირებს ერთმანეთთან მოხუცის უძრავობას და ტივტივას თრთოლასა და შემდეგ – ჩაძირვას. ამ სიტყვით იქმნება სწორედ თევზაობის მშვიდი სურათი. როცა ტივტივა ჩაიძირება, მოხუცი ამოქმედდება, ამოსწევს დამძიმებულ ტარს და თევზს ჰაერში იჭერს. ყველაფერი ეს გამუდმებით მეორდება სადამომდე – სიტყვა ასე ერთ მთლიან სურათად, ერთ მნიშვნელობად, ერთ აზრად, ერთ ერთეულად შეკრავს მთელს მონაკვეთს.

ჩანს, რომ არასრული სიტყვების ფუნქცია სემანტიკური ერთეულის, ტექსტის შექმნაში განსხვავდება სრულმნიშვნელობიანი სიტყვების როლისაგან. მაგრამ მაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთაც ვისაუბრებთ.

2.1.6.

დისკრეტულობა / უწყვეტობის ნიშანი უკავშირდება ნიშანს სასრული / უსასრულო. სემანტიკური ერთეულები თავისი თვისებრიობით უსასრულოა – შეუძლებელია ამოიწუროს გამონათქვამებისა და ტექსტების რაოდენობა.

მაგრამ მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ გარკვეული მახასიათებლები ტექსტში – ცალკეულ წინადადებათა სტრუქტურა, დისკრეტულ სიტყვათა მონაწილეობა ამ სტრუქტურების შექმნაში, რასაკვირველია, სასრულია. სასრულია, აგრეთვე, სემანტიკური მიმართებები ტექსტის ნაწილებს შორის.

როდესაც სემანტიკური აღნიშვნის დროს თვისებრივად ახალი ერთეული იქმნება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სისტემის მაჩვენებლები ერთბაშად ქრება და მათ ადგილს იჭერს საწინააღმდეგო თვისებრიობა. ეს ასე არ არის. სემანტიკური აღნიშვნა ეფუძნება და მოიცავს სემიოტიკური სისტემის ერთეულებსა და მათ თვისებრიობას; მაგრამ სისტემის მიერ მიწოდებული სასრუ-

ლი ნიშნებისა და მახასიათებლების საფუძველზე წარმოიქმნება თვისებრივად ახალი უსასრულო ერთეულები.

სემანტიკური აღნიშვნით შექმნილი ერთეული სემიოტიკურ ნიშნებთან კიდევ ერთ დაპირისპირებას ქმნის. კერძოდ, იგი ყოველთვის და პრინციპულად ახალ სემანტიკურ ერთეულს წარმოადგენს, რამდენადაც მუდამ მოცემულ სამეტყველო ვითარებას პასუხობს. სემანტიკურ ერთეულს კი არ „ვცნობთ“, არამედ „ვიგებთ“ მას. „გაგება“ ნიშნავს სემანტიკური ერთეულის ახალი მნიშვნელობის აღქმას.

კომუნიკაციის პროცესი ერთის მხრივ, როგორც ვნახეთ, ეყრდნობა „ძველ“ და „ცნობილ“ ერთეულებს, ხოლო მეორეს მხრივ, მისი მთელი არსი და დანიშნულება არის სწორედ ახალი ინფორმაციის, ახალი შინაარსის გადაცემა. ამას ასახავს, მაგალითად, სრულმნიშვნელობიანი სიტყვების გარდაქმნა მთლიანი სემანტიკური ერთეულის შემადგენელ ნაწილებად. ამას ასახავს არასრული სიტყვების მიერ ისეთი კავშირის აგება ტექსტის მუდამ ახალ შემადგენლებს შორის, რომ შეიქმნას ახალი მთლიანი შინაარსი.

შეტყობინება იმდენად არის ღირებულები, რამდენადაც მოულოდნელობის გარკვეული ზომის მქონე ახალი ინფორმაციის მატარებელია. ინფორმაციის სიახლე საკმაოდ ზუსტად შეიძლება გაიზომოს.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვები პრაქტიკულად უსასრულო სემანტიკურ მიმართებებს ქმნის ტექსტში, რითაც, რა თქმა უნდა, აიგება ახალი ინფორმაცია. რომ ძველი, ცნობილი ნიშნები რაღაცა საშუალებით არ ლაგდებოდეს, არ ერთიანდებოდეს ისე, რომ ქმნიდეს ახალ სემანტიკურ ოდენობას, მაშინ კომუნიკაცია საერთოდ არ შედგებოდა და ადამიანის ენა, საკომუნიკაციოდ არსებული ბუნებრივი ფენომენი, საერთოდ დანიშნულების გარეშე დარჩებოდა.

მართალია, ტექსტში წარმოდგენილია სემიოტიკური სისტემის „ძველი“ ერთეულები, მაგრამ ამ ერთეულებს შორის ისეთნაირი სემანტიკური მიმართებები მყარდება, ისეთი გარდაქმნა ხდება, რომ სამეტყველო გამონათქვამი ყოველთვის ახალი მნიშვნელობის მქონეა.

საკითხავია, რა მექანიზმი, რა პროცესები წარმართავს ამ უმნიშვნელოვანეს გარდაქმნებს, როგორ ხდება „ძველი“ სისტემიდან „ახალ“ ტექსტზე გადასვლა?

სემანტიკური ერთეული სემიოტიკური აღნიშვნის მქონე სოციალური ხასიათის სრულმნიშვნელობიანი სიტყვებისაგან განსხვავებით ინდივიდუალური და კონკრეტულია.

3. ვაინრიხი წერს, რომ ინდივიდუალობა და კონკრეტულობა, ერთი შეხედვით, შეიძლება ერთი და იგივე გვეგონოს, მაგრამ ეს ასე არ არის. ენის სოციალურობა, როგორც ენახეთ, იმას ნიშნავს, რომ იგი მოცემულ ენაზე ყველა მოლაპარაკისათვის საერთო მნიშვნელობას ქმნის (53, 27); ტექსტი ინდივიდუალურია, ნიშნავს, რომ სოციალურად ღირებული სტრუქტურა გამოიყენება ინდივიდის მიერ კომუნიკაციის დროს. რაც შეეხება ნიშანს კონკრეტული (ზოგადის საწინააღმდეგოდ) ეს სიტყვების სემანტიკას, კონკრეტულ სიტუაციის ასახვას უკავშირდება.

მოლაპარაკისა და მსმენელის ვინაობა, თვით ამბავი, საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთა დამოკიდებულება ამბის მიმართ თუ ერთმანეთის მიმართ განსაზღვრავენ სემანტიკური ერთეულის თვისებრიობას, ამავე დროს, მის კონკრეტულობას, სიახლეს, განუმეორებლობას. სემიოტიკური სიტყვის რაობა და ღირებულება კი არანაირად არ არის დამოკიდებული მის ხმარებაზე კონკრეტულ დროით მომენტში. იგი მოცემულია სისტემაში და მისი დახასიათებისათვის სრულიად არაღირებულია სამეტყველო სიტუაცია და მისი დახასიათებლები.

სემანტიკური ერთეული — ტექსტი, მთლიანად ინდივიდუალური და კონკრეტულია. სემანტიკურ საფუძველზე აგებული ტექსტი ყოველთვის იქმნება საკომუნიკაციო სიტუაციის დროს, როცა გარემოება მოლაპარაკისაგან მოითხოვს მსმენელს გადასცეს თავისთვის სასურველი შინაარსი.

ამდენად ტექსტი არის არასამეტყველო მიზნების მქონე სამეტყველო აქტივობის შედეგი.

საკომუნიკაციო აქტის არასამეტყველო მიზნებია: მსმენელისათვის ინფორმაციის გადაცემა, გარკვეული მოქმედების გამოწვევა, სხვადასხვა ემოციური რეაქციის შექმნა და ა.შ. მეტყველების დროს ხდება არავერბალური გამოცდილების, ცოდნის, რეალური ფაქტების, განცდის, ინფორმაციის გადაყვანა სამეტყველო ფორმაში.

ლ. ბლუმფილდის ცნობილი მაგალითი ჯეკისა და ჯილის შესახებ (24, 22-27) წარმოადგენს სამეტყველო სიტუაციის მარტივ ილუსტრაციას: მშიერი ჯილი თხოვს ჯეკს მოუწყვიტოს ხიდან ვაშლი, აქ წარმოდგენილია სამი საფეხური: 1. წინასამეტყველო

სიტუაცია (ჯილს შია), 2. სასურველი შინაარსის (თხოვნის) გადაცემა. 3. ჯეკის არასამეტყველო მოქმედება.

წინასამეტყველო სიტუაცია წარმოადგენს ე.წ. სტიმულს სემანტიკური ერთეულის შექმნისათვის, რომელიც ყოველთვის დაბმული და გაპირობებულია მსგავსი კონკრეტული სიტუაციით, კონკრეტული მოლაპარაკით, კონკრეტული ადრესატითა და მოლაპარაკის კონკრეტული მიზნით. შედეგად იქმნება კონკრეტული და ერთჯერადი სემანტიკური ერთეული.

საინტერესოა, რომ წინასამეტყველო სიტუაცია — ცნობიერების მიერ სტიმულის აღქმა, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს უ. ჩეიფი, წარმოადგენს სტიმულის არა ზუსტ ასლს, არამედ მის ინტერპრეტაციას, ე.ი. აღქმას აქვს ინტერპრეტაციული და, მაშასადამე, სუბიექტური ხასიათი.

ცნობიერებაში წარმოდგენილია რწმენა იმისა, თუ რა არის მოცემული გარე სამყაროში. ეს, ერთის მხრივ, უკავშირდება იმას, თუ რა არის მოცემული აღქმის ორგანოებისათვის; ხოლო, მეორეს მხრივ, დიდად არის დაკავშირებული სიტუაციურ კონტექსტთან, კონკრეტულ-ინდივიდუალურ განწყობასთან. გარემოს აღქმის საფეხურზე ჩარეულია უკვე ისეთი ფაქტორები, რომლებიც მომავალი ტექსტის ინდივიდუალურ ხასიათს განსაზღვრავენ. ამდენად არის ტექსტი პრინციპულად სუბიექტური და არა ნეიტრალური (სემიოტიკური ნიშნისაგან განსხვავებით).

საკუთრივ ვერბალიზაცია წარმოადგენს სასურველი შინაარსისათვის ენობრივი ფორმის მინიჭებას, არავერბალური ინფორმაციის გადაყვანას სიტყვებში. ამ დროს მოლაპარაკემ ისეთნაირად უნდა „შეფუთოს“ და „გაგზავნოს“ (უ. ჩეიფის ტერმინებია) შინაარსი, რომ მსმენელმა იგი ადვილად აღიქვას. თუ როგორ მოხდება ეს, მთლიანად არის დამოკიდებული მოლაპარაკის სუბიექტურ თვისებებზე.

ვერბალიზაცია, აღქმის მსგავსად, შეიცავს ინტერპრეტაციას, იგი ინდივიდუალურია. მეტყველების დროს მოლაპარაკე მუდამ ირჩევს საუკეთესო საშუალებებს იმის გამოსახატავად, რისი თქმაც სურს. ვერბალიზაციის ენობრივი პროცესი არ არის იმისი ასლი, რაც გარემოშია მოცემული, არამედ მოლაპარაკის ინდივიდუალობაში გატარებულსა და სიტუაციით განსაზღვრულ სუბიექტურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. უ. ჩეიფი აღნიშნავს, რომ ინტერპრეტაცია ახლავს შინაარსის აგების ყველა ეტაპს.

მაშასადამე, ერთის მხრივ, სემანტიკური ერთეული ინდივიდუალური, კონკრეტულია და ერთჯერადი იმის გამო, რომ კონკრეტულ ვითარებაში წარმოიქმნება ინდივიდუალური მეტყველის მიერ. მეორეს მხრივ, სემანტიკური ერთეული ინდივიდუალურია კიდევ იმის გამოც, რომ თვით სამეტყველო სიტუაციის აღქმა არის სუბიექტური ხასიათის; სუბიექტურია, აგრეთვე, სასურველი შინაარსის სამეტყველო ერთეულში გადმოცემის პროცესი, რამდენადაც ეს ორი ეტაპი ინდივიდუალურ მეტყველებასთან არის დაკავშირებული.

მოლაპარაკის მიერ შექმნილი ტექსტი ყოველთვის მეტ-ნაკლებად შეფერილია მისი დამოკიდებულებით გადმოცემული შინაარსისადმი. ეს თვისება, ცხადია, დაკავშირებულია და გამომდინარეობს კიდევ სემანტიკური ერთეულის ინდივიდუალობისა და სუბიექტურობის ზემოხსენებული ნიშნისაგან.

ზემოთქმულს შემდეგნაირად შევაჯამებთ.

ა. ენის ძირითადი დანიშნულების, საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულება, მოითხოვს ფორმალური და სემანტიკური ენობრივი სისტემებიდან სამეტყველო ერთეულებზე გადასვლას, ტექსტის შექმნას.

ბ. ენობრივი სისტემის არსებობის აზრი, მისი დანიშნულება არის საკომუნიკაციოდ მისი გამოყენება. ამისათვის ენობრივ სისტემაში არსებული მიმართებები სულ სხვა სახის მიმართებებად უნდა გარდაიქმნას. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს სემანტიკურ გარდაქმნებს და არა ფორმის ცვლას, რამდენადაც ტექსტის თვისებრიობას სწორედ მნიშვნელობა განსაზღვრავს. რა თქმა უნდა, ენობრივი გამონათქვამი მოიცავს ფორმალურ გრამატიკულ სტრუქტურებსაც. მაგრამ ისევე, როგორც ტექსტში არსებობენ სრულმნიშვნელობიანი სიტყვის სოციალური მნიშვნელობები, რომლებიც არ წარმოადგენენ სატექსტო მახასიათებლებს, ვერც ფორმალური მიმართებები ვერ შექმნიან ტექსტის აგების საფუძველს.

გ. სისტემიდან საკომუნიკაციო აქტზე გადასვლა ვერ მოხდება სემიოტიკური ერთეულებიდან სინტაგმების მარტივი შექმნით, ე.ი. შემაღვენლების შედარებით მარტივი დაკავშირებით. სინტაგმები წარმოადგენენ წინადადებათა მხოლოდ და მხოლოდ იმ ნაწილებს, რომლებიც შედარებით უფრო მჭიდრო ფორმალურ და სემანტიკურ კავშირებს ამყარებენ ერთმანეთთან. სინტაგმის წევრებს ერთმანეთთან აერთიანებს, მაგალითად, სინტაქსური

შეთანხმების, ან მართვის სტრუქტურული დამოკიდებულება, რომელიც ფორმალურად არის გამოხატული ფლექსიურ ენებში.

ამდენად, სინტაგმის წევრებს შორის მიმართება თავისი არსით პირველ რიგში ფორმალურია. ამიტომაც ვერ იქნება სინტაგმა სემანტიკურ საფუძველზე აგებული ტექსტის შექმნის საშუალება (ისევე, როგორც ენობრივი სისტემის წევრი – სრულმნიშვნელობიანი სიტყვა ახალი სემანტიკური თვისებრიობის შექმნის გარეშე ვერ იქნება სატექსტო ერთეული. ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ).

დ. ძველი მნიშვნელობის საფუძველზე ახალი შინაარსის მიღება, დისკრეტული ერთეულებიდან უწყვეტი გამონათქვამის შექმნა, სოციალურ და ნეიტრალურ მნიშვნელობებთან ერთად ინდივიდუალურისა და სუბიექტურის წარმოქმნა, არის ის პროცესი, რომელიც ახლავს სემიოტიკური ნიშნებისა და ენობრივი სისტემიდან საკომუნიკაციო ერთეულზე გადასვლას. ამ გარდაქმნების აღნუსხვა არის, ფაქტობრივად, ორი სხვადასხვა სფეროს სემანტიკური თავისებურებების აღწერა და მათი ერთმანეთთან შედარება.

ეს თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ენის ფუნქციობის შესწავლის დროს მაინც ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პრობლემად რჩება თვით ამ პროცესების წარმოჩენა, იმ საშუალებების აღწერა, რომლებითაც მიმდინარეობს ეს გარდაქმნები. ეს კი ხშირად მოუხელთებელი პროცესებია. ე. ბენვენისტის თქმით, ეს პროცესები იმდენად რთულია, რომ მათ ვერც კი დავაკონკრეტებთ.

ენის ფუნქციობის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტთაგანია, პირველ რიგში მისი შემოქმედებითი ხასიათი. როგორ მეტაფორასაც არ უნდა მივმართოთ ამის აღსაწერად, მაინც ცხადი ხდება, რომ არც კი უნდა ვიოცნებოთ ამგვარი მოვლენების აღნუსხვაზეო, – წერს ი. ბოგუსლავსკი (8, 9).

2.1.7.

ჩვენ მაინც ვეცდებით ზემოხსენებული გარდაქმნების გარკვეულ ნაწილს მოვუძებნოთ მატერიალური გამოხატულება, და დავასახელოთ ის ენობრივი ერთეულები, რომლებიც ხელშესახებად და რეალურად წარმართავენ სისტემიდან კომუნიკაციაზე გადასვლის პროცესებს. ეს ერთეულებია, არასრული სიტყვები, რომლებიც ისევე არსებობენ ტექსტში, როგორც სრულმნიშვნელობიანი სიტყვები – სისტემაში. არასრული

სიტყვები არც ენობრივი იერარქიის წევრები არიან, არც პარადიგმატული მიმართებებით ქმნიან სისტემას და თავისი მახასიათებლებითაც არსებითად განსხვავდებიან სრულმნიშვნელობიანი სიტყვებისაგან.

რ. იაკობსონი წერს, რომ *შიფტერის** ზოგადი მნიშვნელობის განსაზღვრა ვერ მოხდება შეტყობინების გათვალისწინების გარეშე, შიფტერი ლინგვისტური კოდის (სისტემის) ყველა შემადგენელი ელემენტისაგან განსხვავდება მხოლოდ მისი იძულებითი მიზნით მოცემულ შეტყობინებასთან (37, 132).

არასრული სიტყვების წინასწარი ზოგადი განსაზღვრება ასეთი შეიძლება იყოს: არასრული სიტყვები ისეთი სიტყვებია, რომელთაც არა აქვთ აღსანიშნი ენის გარეთ არსებულ სამყაროში; ამდენად მათ თავისებური მახასიათებლები აქვთ ენაში. მათი მთავარი ფუნქციაა ენობრივ გამონათქვამში მისი მთლიანობისა და მისი არაენობრივ კონტექსტთან ადეკვატური შესაბამისობის შექმნა.

არასრული სიტყვები შემდეგი ტრადიციული მეტყველების ნაწილებია: ნაცვალსახელი, არტიკლი, წინდებული/თანდებული, ნაწილაკი, კავშირი, შორისდებული. არასრული სიტყვების ფუნქციას ასრულებს, აგრეთვე ზოგიერთი ზმნი ზედა, ასევე განსაკუთრებული სრულმნიშვნელობიანი სიტყვები, რომლებსაც ზოგადი მნიშვნელობა აქვთ (ზოგ მათგანს მაგალითებში განვიხილავთ).

არასრული სიტყვები ახდენენ ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურირებას, გამოელებას; ანიჭებენ ტექსტს სრულყოფილებას მისი ენობრივ და სიტუაციურ კონტექსტებთან შესაბამისობაში მოყვანით; შეაქვთ ტექსტში მოდალობა; უზრუნველყოფენ ტექსტის სიცხადეს და მისი მნიშვნელობის ცალსახობას, შესაბამისობას ადამიანის ლოგიკურ აპარატთან; შეაქვთ უამრავი სემანტიკური ნიუანსი, რითაც ტექსტი ასეთი მოქნილი და ყოვლისშემძლე ძალა ხდება.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვები სხვადასხვა კზით ქმნიან მოცემული ენობრივი გამონათქვამის შინაარსის ეროგვარონებას, ტექსტის თემატიკას, მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს მხო-

* შიფტერი არის ო. ესპერსენის ტერმინი. რომელიც არასრული, დამხმარე სიტყვების აღმნიშვნელია. ეს ტერმინი შემდგომში გამოიყენა რ. იაკობსონმა თავის ცნობილ შრომაში „Shifters, Verbal Categories, and the Russian Verb” (37), სადაც იგი განიხილავს ამ სიტყვების ფუნქციების მიმართულებას კოდსა და შეტყობინებას შორის.

ლოდ მშრალი მასალაა მნიშვნელობის შემდგომი შიდა გარდაქმნისათვის. ასეთ გარდაქმნებს შეგვიძლია მეტასემანტიკური ვუწოდოთ*. მეტასემანტიკურ გარდაქმნებში ჩვენ ვგულისხმობთ ახალი საფეხურის სიღრმისეულ სემანტიკურ პროცესებს, რომლებიც საკომუნიკაციო ერთეულის თვისებრიობას ქმნიან.

მეტასემანტიკა ის ზოგადი სემანტიკური სტრუქტურაა, რომელიც არსებობს ყოველ კონკრეტულ ტექსტში და რომელიც ქმნის ენობრივი გამონათქვამის საყრდენს. სემანტიკური სტრუქტურა აქვს ყველა სამეტყველო გამონათქვამს, ხოლო მის შექმნას მეტყველებაში უზრუნველყოფენ არასრული სიტყვები.

მეტასემანტიკის შექმნა არის არასრული სიტყვების ზოგადი და ლინგვისტურად უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. ამ თვალსაზრისით მათ შეიძლება მეტაერთეულებიც ვუწოდოთ. სწორედ არასრული სიტყვები ქმნიან პირობას სემანტიკური პრინციპით აგებული საკომუნიკაციო ერთეულის შესაქმნელად.

ტექსტის სემანტიკური სტრუქტურა, არასრული სიტყვებით შექმნილი მისი „ხერხემალია“, რომელიც სამეტყველო აქტის დროს სრულმნიშვნელობიანი სიტყვებით შეივსება.

ფსიქოლოგიური ტესტი გვაჩვენებს, თუ სად ბრკოლდება ხოლმე პირველ რიგში მეტყველების პროცესი. მოლაპარაკე ხშირად ყოყმანობს სრულმნიშვნელობიანი სიტყვების არჩევის დროს, მაგრამ ძლიერ იშიათად შეჩერდება არასრული სიტყვების შესარჩევად.

არასრული სიტყვების საშუალებით ხდება ენის დისკრეტული სისტემიდან მუდამ ახალ და უწყვეტ სამეტყველო ერთეულზე — ტექსტზე გადასვლა. არასრული სიტყვების მნიშვნელობა პოლიფუნქციობით ხასიათდება, იგი განუსაზღვრელია და ზოგადი. მაგრამ სამეტყველო გამონათქვამში, ტექსტში ისინი, როგორც ვნახავთ, კონკრეტულნი და შეუცვლელნი ხდებიან.

არასრულ სიტყვებს ისეთი სემანტიკური დატვირთვა აქვთ ტექსტში, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანი და რთულია, მისი განსაზღვრა ანალიზსა და დაკვირვებას მოითხოვს. ყველა იმ სირთულეთა შორის, რომელსაც ადამიანი ასე მარტივად და გაუცნობიერებლად გადალახავს თავისი მშობლიური ენის ათვისების დროს, არასრულ სიტყვათა ხმარება ყველაზე რთულია და მნიშვნელოვანი.

* ე. ვ. ბენვენისტის ტერმინია (7, 89), მაგრამ ეს ტერმინი მასთან სხვა სემანტიკური მიმართებების აღსანიშნავად გამოიყენება.

ადამიანი დაუფიქრებლად და უპრობლემოდ ხმარობს თავის მშობლიურ ენაში არასრულ სიტყვებს, ხოლო მის მსმენელს ასევე იოლად, დაუფიქრებლად ესმის ის მნიშვნელობა, რომელიც არასრულ სიტყვებს შეაქვთ ტექსტში.

უცხო ენის შესწავლის დროს არასრულ სიტყვათა სწორი გამოყენება ყველაზე პრობლემატურია. როცა უცხო ენის არასრულ სიტყვათა სწორ გამოყენებას შეეძლებოდა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხო ენა სრულყოფილად შევისწავლეთ.

ქვემოთ ვეცდებით ვაჩვენოთ არასრული სიტყვების როლი სხვადასხვა მახასიათებლების შექმნაში. ამ „პატარა“ „მეორეხარისხოვანი“, „მოკლე“ სიტყვების ძლიერ აქტიური ენობრივი ფუნქციობით ხდება ენობრივი სისტემის ამოქმედება, მეტყველებაზე გადასვლა, ტექსტის განმსაზღვრელი ნიშნების შექმნა. არასრულ სიტყვათა მოქმედება მოლაპარაკისათვის სასურველი შინაარსის შექმნაში არსებითი და გადამწყვეტია. არასრულ სიტყვათა ლინგვისტური თავისებურებები იმთავითვე განსაზღვრავს მათი მოქმედების ხასიათს გამონათქვამებში იმ თვისებრიობის შესაქმნელად, რომელსაც ცალსახა მნიშვნელობის მქონე ტექსტი ჰქვია.

ნებისმიერი სიგრძის ტექსტში უხვად აღმოვაჩინოთ არასრულ სიტყვებს, რომლებიც დაუღალავად შრომობენ იმისათვის, რომ განხორციელდეს ბუნებრივი ენის სისტემის სრულყოფილი გამოყენება მეტყველებაში.

2.2. ტექსტის ზოგადი მახასიათებლები

2.2.1.

ტექსტი არის სამეტყველო პროცესის ანუ ლოკუციური აქტის შედეგად არასამეტყველო მიზნებისათვის შექმნილ ენობრივ გამონათქვამთა სიმრავლე, რომელიც წარმოადგენს ფუნქციურად დასრულებულ საკომუნიკაციო ერთეულს, რამდენადაც ახასიათებს აზრის მთლიანობა (რომელიც სხვადასხვანაირი ექსპლიციტური და იმპლიციტური საშუალებებით ხორციელდება) და ყოველნაირად შეესაბამება კონტექსტს, როგორც ლინგვისტურს, ისე არალინგვისტურს (სიტუაციას).

ილოკუციური (ე.ი. არასამეტყველო) მიზნებისათვის შექმნილ გამონათქვამთა სიმრავლე აიგება მოცემული ბუნებრივი ენის მასალისა და მისი სისტემის ყველა დონის სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენებით, მაგრამ სრულყოფილი ტექსტის აგებისათვის არ არის საკმარისი, რომ იგი გამართული იყოს ფორმალურ-სემანტიკური თვალსაზრისით. სრულქმნილი ტექსტის არსებით მახასიათებელს წარმოადგენს საკომუნიკაციო კონტექსტის გათვალისწინება და გადმოცემული აზრის მთლიანობა. ტექსტს წარმოადგენს მხოლოდ ისეთი ენობრივი გამონათქვამები, რომელთაც შეუძლიათ საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულება ან ამ ფუნქციის შესრულებაში მონაწილეობა. ეს შეიძლება იყოს ერთი სიტყვა (მაგ., „თბილისის ცენტრალური უნივერსალი“), წინადადება (მაგ., „ნუ მოსწვეთ!“) და ბოლოს, მთელი წიგნი (მაგ., რომანი). ასევე ტექსტია, მაგ., ერთი ლექცია, ერთი კრება, ა.შ.).

როგორც სემიოტიკური და სემანტიკური აღნიშვნების განხილვის დროს ვთქვით, ტექსტი არის ენობრივი სისტემის გამოყენება, ამოქმედება კომუნიკაციის დროს. ტექსტი სამეტყველო ერთეულია, რომელიც რეალურად არსებობს მოლაპარაკისა და მსმენელისათვის, მაშინ როცა ენობრივი სისტემა მათთვის არარსებული ოდენობებია (35, 63-64).

ენობრივი სისტემა წარმოგვიდგენს მასალას, ენობრივ ერთეულთა სისტემას და ერთიანობას, რომლის გამოყენებით ხდება მოლაპარაკისათვის სასურველი აზრის გადაყვანა ტექსტში. ფ. დე სოსიურის ანტინომიის – ენა vs მეტყველება (*langue vs parole*) თვალსაზრისით ტექსტი არის მეტყველების კუთვნილება, ე.ი. არის სისტემის განხორციელება (10, 67). ენობრივი სისტემა არის ჯერ კიდევ გამოუყენებელ არჩევანთა სისტემა, ხოლო ტექსტი – მოქმედი ერთეულია, სადაც არჩევანი მომხდარია და განხორციელებული გარკვეულ სემანტიკურ სტრუქტურაში. (23, 35).

2.2.2.

როგორც ვნახეთ, ტექსტი წარმოადგენს საკომუნიკაციო ერთეულს, მოლაპარაკის მიერ მსმენელის მისამართით გადაცემა ინფორმაცია, ემოცია, მოულოდნელი აღწერა და მისდამი დამოკიდებულება, განწყობა, ვითარება და სხვა. თუნდაც ამ არასრული

განსაზღვრებიდან ჩანს, რომ ტექსტის თვისებრიობას განსაზღვრავს ის, თუ ვინ არის მოლაპარაკე, ვის ეუბნება იგი თავის სათქმელს, რას ამბობს, გარე სამყაროს რა მოვლენას აფასებს, როგორ აფასებს და ა.შ. ეს იმას ნიშნავს, რომ ტექსტის შეფასების დროს სრულიად სხვა მახასიათებელთა გათვალისწინება არის საჭირო, ვიდრე ეს საკუთრივ ენობრივი ერთეულების ლინგვისტური ანალიზის დროს ხდება.

ყველა ამ და სხვა მახასიათებელთა განხილვა ქმნის ენობრივი ანალიზის განსხვავებულ ასპექტს – პრაგმატულ ასპექტს, რომელიც მე-20 საუკუნის მიწურულისკენ უაღრესად მნიშვნელოვან, ხშირად განმსაზღვრელ თვალსაზრისად იქცა ენობრივი კვლევის დროს. პრაგმატიკა გულისხმობს გარემოსთან მიმართების, ტექსტის მიზანდასახულობის, აღქმადობისა და გარემოსთან თანაფარდობის შესწავლას (23, 31).

ტექსტის ბუნებისა და ტიპის განსაზღვრისათვის არსებით პრაგმატულ მახასიათებელს წარმოადგენს: მისი დანიშნულების, მოლაპარაკის მიზანდასახულობისა და განზრახვის განმარტება (26); მსმენელის დამოკიდებულება მთლიანი ტექსტისადმი, მის მიერ შეტყობინების აღქმა; ტექსტის ინფორმაციულობა – მოსალოდნელობა და მოულოდნელობა; ტექსტის მიმართება სიტუაციასთან – ანუ ერთი მხრივ, მისი წარმოქმნის მიზეზისა, ხოლო მეორე მხრივ, მისი თვისებრიობის განმსაზღვრელი გარემოს გათვალისწინება (23, 90; 10, 19).. ამასთან დაკავშირებით განიხილება ტექსტის შესაბამისობა სიტუაციასა და გარემოსთან, მისი ეფექტურობა, ვარგისიანობა (*appropriateness*) ანუ მსმენელზე ტექსტის მოქმედების ხარისხი; აქ განიხილება ტექსტობრივი სტრუქტურის ისეთი ნიშნები, როგორიცაა უწყვეტობა/ წყვეტილობა, სირთულე/სიმარტივე, სწორი აგება, სწორი გაფორმება, სტილური მახასიათებლები და მრავალი სხვა (14, 88).

რ. კარნაპის აზრით, პრაგმატიკა წარმოადგენს ყოველგვარი ენობრივი კვლევის საფუძველს. ეს არის ემპირიული დისციპლინა, რომელიც გამოიყენებს სხვადასხვა მეცნიერებათა კვლევის შედეგებს და ადამიანის ამა თუ იმ ქცევას შეისწავლის (ჩვენს შემთხვევაში – მის ლოკუციურ მოქმედებას).

იმის გარკვევა, თუ კერძოდ რა მიზანს ემსახურება მოცემული საკომუნიკაციო ერთეული, რამდენად სრულყოფილია მისი ფორმა ამ მიზნის განსახორციელებლად, ტექსტის ეფექტურობა, ის, თუ რა მახასიათებლები უზრუნველყოფს საკომუნიკაციო მიზნების

ასრულებას, რამდენად „დალაგებულია“ ინფორმაცია, რა საშუალებებია გამოყენებული აზრის სიციხადისა და მთლიანობის შესაქმნელად, რა სპეციფიკური თავისებურებანი მოქმედებს სამეტყველო გამონათქვამის გაფორმების დროს, რა მიმართებაში არიან ერთმანეთთან და ტექსტთან მოლაპარაკე და მსმენელი, და სხვა — ყოველივე ეს ტექსტის შესწავლის სპეციფიკური ამოცანებია

უნდა გათვალისწინებული იყოს ყველა ის ფაქტორი, რომელიც გადამწყვეტია ტექსტის მნიშვნელობის აგებისათვის, ანდა გარკვეულ გავლენას ახდენს ტექსტის როგორც მნიშვნელობაზე, ისე მის ფორმაზეც. ეს ფაქტორებია: მოლაპარაკის მიზანდასახულობა, სხვადასხვა სახის სიტუაცია — ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური კონტექსტი, სოციალურ-კულტურული გარემო, ცოდნის ხარისხი და ა.შ.

პრაგმატული ანალიზის დროს უდიდეს მნიშვნელობას იძენს გამონათქვამის იმპლიციტური მნიშვნელობის განხილვა. იმპლიციტური ანუ ნაგულისხმევი მნიშვნელობები ისეთი სახის სემანტიკაა, რომელიც პირდაპირ ენობრივი ფორმით არ გადმოიცემა. ეს არის ლოგიკური მნიშვნელობები, სიღრმისეული სემანტიკა, რომელიც ტექსტის შემადგენლებს შორის არსებული არაექსპლიციტური შიდა მიმართებებით გადმოიცემა. იმპლიციტური მნიშვნელობაა პირველ რიგში პრესუპოზიცია — ის წინასწარ ნაგულისხმევი მნიშვნელობები, რომლებიც უნდა გაიზიაროს მოლაპარაკემაც და მსმენელმაც იმისათვის, რომ სწორად და ეფექტურად შედგეს კომუნიკაცია გამონათქვამის წარმოთქმის დროს (29; 30). აქ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ იმპლიციტური მნიშვნელობების აღქმისათვის გადამწყვეტია კულტურულ-სოციალური გარემოს თანხვედრა მოლაპარაკესა და მსმენელს შორის. ამდენად, იმპლიციტური მნიშვნელობები საყრდენია ტექსტის სპეციფიკური მნიშვნელობის შესაქმნელად და ხშირად შეტყობინების მთავარი აზრის მატარებელიც არის.

ტექსტის პრაგმატული მახასიათებლებია:

ა. არასამეტყველო მიზანი, რომელიც განსაზღვრავს ტექსტის თემას. სამეტყველო (ლოკუციური) აქტის მიზანი არის სხვადასხვა არასამეტყველო (ილოკუციური) მოქმედების (რეაქციის) გამოწვევა. მიზანი არის წმინდა პრაგმატული მახასიათებელი და კონტექსტთან ერთად განაპირობებს, აგრეთვე, ტექსტის ფორმას;

ბ. სიტუაციური კონტექსტი და მასთან შესაბამისობა, რაც

განსაზღვრავს ტექსტის ორ არსებით – ფორმალურსა და სემანტიკურ – ნიშანს;

გ. ფუნქციური სრულყოფილება, რამდენადაც ტექსტს უნდა ახასიათებდეს აზრის მთლიანობა, რაც გარკვეული ექსპლიციტური და იმპლიციტური საშუალებებით ხორციელდება. ეს არის შესაბამისად: გადაბმა და აზრობრივი მთლიანობა. ამ დროს წინა პლანზე წამოიწევა იმ საშუალებათა განხილვა, რომლებიც ახდენენ (როგორც წინადადების შიგნით, ისე მის გარეთაც) გამონათქვამთა და მის ნაწილთა გადაბმას. რადგანაც, როგორც წესი, ტექსტი წინადადებაზე უფრო გრძელი მონაკვეთია, მნიშვნელოვანია იმ საშუალებათა შესწავლა, რომელნიც მოცემული ზომის გამონათქვამის ნაწილებს შორის უზრუნველყოფენ სემანტიკურსა და ფორმალურ უწყვეტობას.

2.2.3.

ჩვენი შრომის ბოლო მონაკვეთში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაქცევთ ტექსტის აზრობრივ მთლიანობას – სემანტიკურ ერთიანობასა და ლოგიკურ თანმიმდევრულობას; იმ ენობრივ მოდელებს, რომლებიც ახორციელებენ ამ მახასიათებლებს ტექსტში.

არსებობს ენობრივ მოვლენათა რიგი, რომელთა სრულყოფილი გაგება და ახსნა ხერხდება მხოლოდ ტექსტის სემანტიკური აგებულების გათვალისწინებით (შდრ. 36), წინადადების საზღვრებს შიგნით ეს მოვლენები დამაკმაყოფილებლად ვერ აიხსნება. ესენია, მაგალითად, ანაფორა, არტიკლის არჩევა, ნაცვალსახელთა ხმარება, ხაზგასმა და კონტრასტი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები წინადადებებს შორის, დროითი კავშირები და სხვა. ზოგიერთ მათგანს ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

ყველა ეს ენობრივი საშუალება ქმნის სემანტიკურ გადაბმას, რომელიც ტექსტის აგების აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა. გადაბმა წარმოადგენს ტექსტის ქსოვილის შექმნის ერთ-ერთ საშუალებას, ქმნის იმ უწყვეტობას, რომლითაც იქმნება ტექსტის როგორც საკომუნიკაციო ერთეულის თვისებრიობა.

ტექსტი წარმოადგენს სემანტიკურ მთლიანობას, სემანტიკურ ერთეულს, რომლის ნაწილთა შორის წარმოდგენილი კავშირები არსებითად მნიშვნელობას, აზრს ეფუძნება.

ტექსტის მნიშვნელობა, როგორც ჩანს, განისაზღვრება სამი ძირითადი ფაქტორით. ტექსტი უნდა იყოს *ლოგიკურად თანმიმდევრული, სემანტიკურად ერთიანი და საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი*. ეს ის მახასიათებლებია, რომლებიც განსაზღვრავს ტექსტს, როგორც დასრულებულ საკომუნიკაციო ერთეულს.

ეფექტობ, რომ ყველა ამ მოთხოვნის მიხედვით ტექსტის სემანტიკური გამართვა არის სწორედ არასრული სიტყვების ფუნქცია.

თუმცა ტექსტის გამთლიანება, სემანტიკური ერთგვაროვნების მიღწევა და სიტუაციის გათვალისწინება სხვადასხვა საშუალებით ხდება, არასრული სიტყვების როლი ტექსტის თვისებრიობის შექმნაში სრულიად განსაკუთრებულია. ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს სიტყვები ტექსტის შესაქმნელ საგანგებო ერთეულებს წარმოადგენენ – სხვა ფუნქცია მათ არ გააჩნიათ.

ჩვენს წიგნში განიხილება ბუნებრივ ენაში არასრულ სიტყვათა სტატუსისა და ღირებულების ზოგადი თეორიული საკითხები.

რამდენადაც გვიანტერესებს არა ცალკე კონკრეტული არასრული სიტყვები, არამედ მათი ზოგადი ფუნქციობის ერთი მხარე – ტექსტის სემანტიკის შინაგანი სტრუქტურირება, ამიტომ არ განიხილება არასრულ სიტყვათა ცალკეული ტიპების ფუნქციობა, არამედ მხოლოდ ტექსტის შინაგანი გადაბმის სახეები, მათი სემანტიკა და ამასთან დაკავშირებით იმ არასრულ სიტყვათა ფუნქციობაც, რომელიც მოცემული ტიპის გადაბმას ახორციელებს.

განხილულია: გადაბმის სახეები – *გამეორება, კორეფერენცია, სუბსტიტუცია, დაკავშირება*.

რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება მთლიანი და ადეკვატური ტექსტის შექმნის ყველა შემთხვევა და შესაძლებლობა და უთქმელიც ბევრი რჩება.

2.3. ტექსტის ქსოვილის შექმნა

2.3.1.

თაის წიგნს „Introduction to Text Linguistics“ (23) რ. დე ბოგრანდი და ვ. ღრესლერი მთლიანად იმის განხილვას უძღვნიან,

თუ კერძოდ რა სახის არის ის დალაგება („ორგანიზაცია“), რომელიც ქმნის ერთიან და მთლიან ტექსტს. ისინი წარმოადგენენ ე.წ. „ტექსტუალობის შვიდ სტანდარტს“. ამასთან ტექსტი განისაზღვრება, როგორც საკომუნიკაციო აქტი ან საკომუნიკაციო ერთეული, რომელიც დააკმაყოფილებს შვიდივე სტანდარტის მოთხოვნას. თუ რომელიმე მათგანი არ არის დაკმაყოფილებული, ტექსტი არ იქნება საკომუნიკაციოდ ვარგისი (23, 3).

ეს სტანდარტებია:

ა. კოჰეზია – ქართულად ვხმარობთ ტერმინს გადაბმა;

ბ. კოჰერენცია, ანუ ტექსტის სიღრმისეულ-სემანტიკური მთლიანობა (ამ სტანდარტებზე ოდნავ ქვევით უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ);

გ. მოლაპარაკის ინტენცია, ანუ საკომუნიკაციო აქტის დროს მოლაპარაკის არასამეტყველო მიზნის არსებობა და მისი გავლენა ტექსტის აგებაზე;

დ. მსმენელის მიერ ტექსტის ადვილი აღქმა. მოლაპარაკის მიერ ტექსტის აგებისა და გამართვის დროს ადრესატის გათვალისწინება და ეფექტური, ცალსახა, ცხადი ტექსტის შექმნა;

ე. ტექსტის ინფორმატიულობა – მსმენელისათვის მიღებული ინფორმაციის სიახლე და ღირებულება;

ვ. სიტუაციურობა – ტექსტის ადეკვატობა არავერბალური კონტექსტის სიტუაციის მიმართ, მისი ვარგისიანობა;

ზ. ინტერტექსტუალობა. ეს მოთხოვნა ეხება იმ ფაქტორებს, რომლებიც ასახავენ მოცემული ტექსტის სემანტიკურ და ლოგიკურ დამოკიდებულებას მის წინ არსებულ ტექსტზე.

სრულყოფილი ტექსტის აგებისათვის ამ აუცილებელ შვიდ სტანდარტს შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

კოჰეზია და კოჰერენცია ტექსტის ქსოვილის აგების შიდა სტანდარტებია, ე.ი. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით ხდება საკუთრივ ტექსტის სემანტიკური მთლიანობის, თანმიმდევრობის, ერთგვარონებისა და ა.შ. უზრუნველყოფა.

ამ მოთხოვნებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ შრომაში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოჰეზია და კოჰერენცია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მახასიათებლებია საკომუნიკაციო პროცესში ტექსტის აგების დროს. სრულყოფილი ტექსტისათვის ესენი სრულიად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი მახასიათებ-

ლებია. ჩვენ ჯერჯერობით ტექსტის მხოლოდ ამ ნიშნებს განვიხილავთ.

განსაზღვრების მიხედვით კოჰეზია (გადაბმა) და კოჰერენცია (სიღრმისეული სემანტიკის თანმიმდევრულობა) ტექსტის მთლიანობის სხვადასხვა მახასიათებლებია. რ. ბოგრანდისა და ე.დრუსლერის მიხედვით კოჰეზია არის ტექსტის მთლიანობის ფორმალური მაჩვენებლების ერთიანობა, ხოლო კოჰერენცია — ტექსტის სემანტიკური მთლიანობა.

საზოგადოდ, ტექსტის უწყვეტობის ფორმალური გამოხატვა და სიღრმისეული სემანტიკა რთული გასაცალკევებელია ერთმანეთისაგან, რამდენადაც ეს არის მახასიათებლები, რომლებიც ერთდროულად ფუნქციობენ. ტექსტის გაბმული ფორმა, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, მისი შინაგანი ან სიტუაციისაკენ მიმართული სემანტიკური თანმიმდევრულობა და ერთიანობა ერთდროულად ხორციელდება და გამოიხატება გადაბმის სხვადასხვა მოდელის გამოყენებით.

მ. პელიდეი და რ. ჰასანი თავის წიგნში *Cohesion in English* (34) ცდილობენ ხაზგასმით შეისწავლონ მხოლოდ გადაბმის გამოხატულება, მაგრამ გადაბმის გამოხატულებისა და სიღრმისეული სემანტიკის ცალ-ცალკე შესწავლა ხდება ხოლმე მხოლოდ სპეციალურ შემთხვევებში ტექსტის ანალიზის დროს.

ინტერტექსტუალობა არის სემანტიკური კავშირები სხვადასხვა ტექსტებს შორის — ვფიქრობ ამის მაგალითია, თუნდაც, ე.წ. ლაიტმოტივის პრინციპით აგებული ტექსტები.

დანარჩენი ოთხი ნიშანი — *მოლაპარაკის ინტენცია*, *მსმენელის გათვალისწინება* კომუნიკაციის დროს, ტექსტის *ინფორმაციულობა* და ტექსტის *ადეკვატობა* სიტუაციური კონტექსტის მიმართ — წარმოადგენენ იმ მახასიათებლებს, რომლებიც ჯ. სერლის მიხედვით ხასიათდება, როგორც გარე სამყაროს და ტექსტის ურთიერთმიმართება (48). ამ დროს ხდება გარე სამყაროს (სალაპარაკო სიტუაციის) მახასიათებლების გათვალისწინება, ანუ გარე სიტუაციის მოქმედება ტექსტზე. ზემოხსენებული მოთხოვნების გათვალისწინებით იქმნება საკომუნიკაციო ერთეულები.

ამ ნიშანთა ჩამონათვალიდან ჩანს, თუ გარე სიტუაციის კერძოდ რა მახასიათებლებია გასათვალისწინებელი. ეს არის მოლაპარაკის არავერბალური მიზნები; ამ მიზნების ოპტიმალური

განხორციელებისათვის ადრესატის გათვალისწინება — მოლაპარაკისა და მსმენელის სოციალური მიმართების, ადრესატის ინდივიდუალობისა და მისი კულტურული მახასიათებლების მხედველობაში მიღება და სხვა.

ტექსტის ინფორმაციულობა ნიშნავს, იმას, რომ იგი საკმარისად ახალი და ღირებული უნდა იყოს მსმენელისათვის თავისი შინაარსით. ძველი ცნობილი ინფორმაციის გადაცემა არ იწვევს ინტერესს მსმენელში, არ არის მისთვის ღირებული და არც მოლაპარაკისათვის აქვს ასეთი ტექსტის გადაცემას აზრი.

სიტუაციურობა ნიშნავს ტექსტის ადეკვატურობას სალაპარაკო გარემოს მიმართ. ეს მოთხოვნა გულისხმობს ისეთი შემთხვევების აცილებას თავიდან, როდესაც ტექსტი უადგილო ადგილას ჟღერს, ამოვარდნილია ვითარებიდან, მოულოდნელია და გაუმართლებელი, ე.ი. უვარგისია საკომუნიკაციოდ, რადგანაც ამ და სხვა მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა კომუნიკაციას აბრკოლებს.

ჩვენი კვლევის ობიექტი განსაზღვრავს, თუ ამ სტანდარტთაგან რომელია ჩვენთვის ამჯერად საინტერესო. ამ შრომაში გვინდა წარმოვაჩინოთ ის კონკრეტული მოდელები, საშუალებები, რომლებითაც არასრული სიტყვები ისე აერთიანებენ თემატიკის შემქმნელ დისკრეტულ ლექსიკურ ერთეულებს, რომ სხვადასხვა ზომის ტექსტი ერთ მთლიან ერთეულად აღიქმება ადრესატის მიერ. ამიტომაც ჩვენ განვიხილავთ არასრული სიტყვების მიერ ტექსტში გადაბმისა და ლოგიკურ-სემანტიკური მთლიანობის აგების ძირითად საშუალებებს.

ტექსტის გამთლიანება პირველ რიგში მსმენელის მიერ მის აღქმას აადვილებს, ამავე დროს კარგად შეკრული ტექსტი ხელს უწყობს კიდევ მოლაპარაკისათვის სასურველი მნიშვნელობის უკეთ გადმოცემას და მისი არავერბალური ინტენციის სრულყოფილ შესრულებასაც.

არასრული სიტყვები სხვა ფუნქციებსაც ასრულებენ გაბმული ტექსტის შექმნის დროს — შემოაქვთ მოდალობა, ასახავენ მოლაპარაკის დამოკიდებულებას ფაქტებისადმი, და ა.შ. მაგრამ ჩვენ ამ უაღრესად საინტერესო ფუნქციებს აქ არ განვიხილავთ — შეიძლება მხოლოდ ვახსენოთ ისინი, თუ მასალამ მოითხოვა.

2.3.2.

როგორც რ. დე ბოგრანდი და ვ. დრესლერი ამბობენ (23, 48-49) ადამიანის გონება, მუშა-მეხსიერება შეზღუდულია. ამიტომ მოლაპარაკესა და მსმენელს შორის კომუნიკაციის წარმატებით წარმართვის აუცილებელი პირობაა ენობრივი მასალის ისეთი „ორგანიზაცია“, რომელიც ამ მასალას უფრო დიდხანს (თუმც მანც მოკლე ხნით) შეაჩერებს გონებაში. ტექსტის გადაცემა და აღქმა (*text processing*) ვერ გადაიქცევა ფაქტებისა და ცოდნის შეუზღუდავ და მოუწესრიგებელ ურთიერთგაცვლად. ეს მასალა უნდა მოწესრიგდეს და დალაგდეს გარკვეული სატექსტო სტრუქტურებით, რომელთა რაოდენობა, შეზღუდული და ცნობილია მოცემულ ენაში: მე ვიტყვოდი, რომ ამ სტრუქტურების განზორციელება კონკრეტულია ამა თუ იმ ენისათვის, ხოლო ზოგადი მოდელი – უნივერსალურია.

აღრეც აღვნიშნეთ, რომ სემიოტიკური სისტემიდან სემანტიკურ სისტემაზე და მის ერთეულებზე გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებრივი ნაბიჯია დამოუკიდებელი დისკრეტული ერთეულებიდან გაბმული, უწყვეტი ენობრივი გამონათქვამის (ტექსტის) მიღება. შესაბამისად, ტექსტის ყველაზე გამორჩეულ მახასიათებელს წარმოადგნს მისი შემადგენელი ერთეულების ერთმანეთთან გადაბმა და კავშირი. როდესაც მშობლიურ ენაზე ერთი მეორის შემდეგ რამოდენიმე წინადადება გვესმის ყოველთვის ვიცით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წინადადებებია წარმოდგენილი, თუ ისინი ერთ მთლიან ერთეულს, ერთ შეტყობინებას, ერთ ტექსტს ქმნიან. ტექსტის ამოცნობის წინაპირობაა გადაბმის ის მრავალფეროვანი საშუალებები, რომლითაც დაკავშირებული და გამთლიანებულია მისი შემადგენლები.

არასრულ სიტყვათა ერთ-ერთი მთავარი ზოგადი ფუნქცია არის სწორედ ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის შექმნა, ამ დროს ხდება ტექსტის ნაწილების ისეთი დაკავშირება, როდესაც სტრუქტურის მანიშნებელი სიტყვა-ინდექსებით გაერთიანებული მონაკვეთები შეიძლება ჩაეანაცვლოთ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ნაწილებით ისე, რომ არასრული სიტყვები და მათ მიერ აღნიშნული სემანტიკური მიმართება და კავშირი უცვლელი დარჩეს. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ დანაწევრდება ტექსტი, როგორ გაცალკევდება მისი შემადგენელი წინადადებები, თუ ამო-

ვიღებთ არასრულ სიტყვებს, რომლებიც რაღაც კაუჭების მსგავსად გამოედება ტექსტის სხვადასხვა ნაწილებს და ერთმანეთთან კავშირში ამყოფებენ მათ.

გადაბმით შენდება ე.წ. ტექსტუალობა (23, 3), ანუ ტექსტის ქსოვილი, ერთმანეთთან ხილული თუ უხილავი საშუალებებით დაკავშირებულ ნაწილთა სტრუქტურა და მთლიანობა. ეს ერთიანობა ყოველი ტექსტის შექმნის წინაპირობას წარმოადგენს. ამით იქმნება აზრის მთლიანობა და მნიშვნელობის ერთიანობა ურომლისოდაც შეუძლებელია სამეტყველო კომუნიკაცია შედეგიანი იყოს და მოლაპარაკემ თავისი სათქმელი მიიტანოს მსმენელამდე.

ტექსტის ქსოვილი არ წარმოადგენს ისეთ თვისებრიობას, რომელიც არსებობს ან არ არსებობს, ანდა მარკირებულია ან არამარკირებულია წინადადების გრამატიკული სტრუქტურის დარად. ტექსტის ქსოვილი მრავალი სხვა სემანტიკური ერთეულის მსგავსად ფარდობითი ოდენობაა. იგი არის მეტ-ნაკლები სიმჭიდროვით დაკავშირებული ნაწილების ერთიანობა — ეს სიმჭიდროვე გადაბმის კავშირების რაოდენობით შეიქმნება.

ქვემოთ განვიხილავთ სხვადასხვა სიმჭიდროვის ტექსტის მაგალითებს:

— მღუპავ, მამა? — მივიდა იგი ბეკინასთან, — მღუპავ? დანას მიყრი ყელში? რატომ მიმეტებ, შენი ჭირიმე? — ძლივს წარმოსთქვა პლატონმა და, ხმაჩაწყვეტილმა, უნუგეშოდ, ხელები გაშალა.

— გღუპავ?! რათა, შეილო, რათა?.. შენისთანა შეილი უნდა დაღუპოს მამამ?!

— აბა რაა? — და ისევ სიტყვა გაუშრა პლატონს.

— თუ გიყვარდე, კარგი! — მხიარულად შესძახა ბეკინამ.

— შე კარგო კაცო, მე ერთი ბებრუხანა მოვათრიო, შენ რატომ უნდა დაიღუპო, შეილო?! რა დაგღუპავს, თუ გიყვარდე? (დ. კლდ.)

ამ ტექსტის ათ წინადადებაში პირდაპირ მეორდება ლექსიკური ერთეული მღუპავ, გღუპავ, დაღუპოს და ა.შ. — სულ ექვსჯერ. მისი სინონიმები და პერიფრაზი (დანას მიყრი ყელში, მიმეტებ) —

ორჯერ. ამას გარდა, კიდევ სხვა სახის გადაბმებია: ლექსიკური — ძლივს წარმოსთქვა, ხმაჩაწყვეტილმა და მხიარულად შესძახა — ესეც გადაბამს ტექსტის ნაწილებს ერთმანეთთან, მიუხედავად იმისა, რომ ფრაზა მხიარულად შესძახა, საწინააღდეგო მნიშვნელობას გამოხატავს; ამას გარდა აქ წარმოდგენილია კავშირი — და, კითხვითი სიტყვები: აბა რაა? ჩაკითხვის გამოხატვა; პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, და ა.შ. ამდენად ძალიან მჭიდროდ არის წარმოდგენილი გადაბმა და ტექსტის ქსოვილიც მჭიდროა.

ასეთივეა მომდევნო მაგალითიც:

— მოგახსენებთ, ვერ მიცნობთ ჯერეთ, მართალია, მაგრამ რომ გამიცნობთ, ცუდ კაცად არ მიმიღებთ-თქვა, მოგახსენებთ თამამად...

— ბატონო, მაგას რაზედ...

— თვითონ ბატონი ხარ და კეთილშობილი და, როგორც კეთილშობილს, ისე გკითხავ მეც, კეთილშობილი კაცი...
(დ. კლდ.)

აქაც, სულ სამიოდ რეპლიკაში საკმაოდ მჭიდროდ არის წარმოდგენილი გადაბმა, როგორც ლექსიკური გამეორება, ისე სხვა სახის გადაბმებიც. (ვერ მიცნობთ, მაგრამ გამიცნობთ; მაგას რაზედ — წინა სიტყვებს გადაბამს; მეც კეთილშობილი, როგორც კეთილშობილს და ა.შ.). საინტერესოა, რომ ამ მონაკვეთში იმდენად კონკრეტული შინაარსის გადაბმა არ ხდება, რამდენადაც იგი გარკვეული ერთიანი რიტუალის — ზრდილობიანი გაცნობის ამსახველი მთლიანი ტექსტის შექმნას ემსახურება.

ტექსტის ნაწილები შეიძლება უფრო თავისუფალი კავშირებით იყოს ერთმანეთთან გადაბმული — სულ ერთი-ორი გადაბმით იყოს გაერთიანებული (შდრ. 34, 296).

გზაზე წვერიანი მებაღე გამოჩნდა, რეზინის შავ შლანგს მოათრევდა. დედამ შეიღს თავზე ხელი მოხვია და რბილ მკერდზე მიიხუტა. ეტყობოდა, არ უნდოდა, იმ მებაღეს გაეგო, რა ცუდ რამეებს ლაპარაკობდა მისი ბიჭუნა გოგონებზე. (რ. ინან.)

პირველსა და მეორე წინადადებას შორის აქ საერთოდ არ არის არავითარი გადაბმა. შემდეგ გვაქვს იმ მეზღეს ლექსიკური გადაბმა ჩვენებითი ნახცვალსახელის თანხლებით; კიდევ ერთი გადაბმა მისი ბიჭუნა – მეორე წინადადებაში მოცემულ სიტყვებთან დედამ შეილს.

ამ ტექსტის ქსოვილი სულაც არ არის მჭიდრო. მისი შემადგენელი წინადადებები მინიმალურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ტექსტის ქსოვილის მჭიდრო და თავისუფალი (ხალვათ) გადაბმის მაგალითები კიდევ თვით ტექსტის ხასიათითაც არის ერთმანეთისაგან განსხვავებული. მჭიდრო ქსოვილი ჩვენს მაგალითებში ემოციურ ტექსტს ახასიათებს, ხოლო უფრო ხალვათი ტექსტი ნეიტრალურ აღწერას გვაწვდის.

როდესაც გადაბმა ერთმანეთისაგან საკმაოდ მოშორებულ მონაკვეთებს აერთიანებს, ამან შეიძლება ორგვარი შედეგი გამოიღოს: ერთის მხრივ გადაბმამ საკმარისად ძლიერად შეიძლება იმოქმედოს და მოშორებული ნაწილები ერთმანეთთან გააერთიანოს:

და აი, სიჩუმეში, რომელსაც, ალბათ, თოვლის ფიფქების შარიშური თუ არდევება გარეთ, ნელ-ნელა გაიბა კვლავ ის სუფთა, მშენიერი ხმა, რომელმაც ალილო დაიწყო. მაგრამ ახლა „ზამთარს“ იწყებდა:

ზამთარია, ჰე, ჰარულალო...
 ზამთარი ვარდსა დააჭენობს,
 ფურცელნი ჩამოცვივაო...

მას შემდეგ ბარე ოცდაათი წელიწადია გასული. რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში კიდევ ბევრჯერ მომისმენია ეს სიმღერა და უთუოდ, უკეთესად თქმულიც, მაგრამ, როგორც არ უნდა ასრულებდნენ და, სადაც არ უნდა ვიყო — სუფრასთან იქნება თუ გაჩირადლებულ თეატრში — მე მაინც ის „ზამთარი“ მესმის, იმ ზამთრის ღამეში ჩამდგარი, ლანდები, მიდგანან თვალწინ.

ისე ჩაათავეს მთელი სიმღერა, თითქოს არ უნდოდან ბზარი რამ გაეჩინათ იმ კეთილ საღამოს ყოველისმომცველი სიმშვიდისათვის. ეს სიმშვიდე რაღაც დიდი, დიდი იმედით გვივსებდა ბავშვურ პატარა გულებს“... (რ. ინან.)

პირველ აბზაცში აღწერილია წყნარი, მშვიდი საღამო (*სიჩუმეში, რომელსაც თოვლის ფიფქების შარიშური თუ არღვედა მხოლოდ...*) და მშვენიერი ხმით „ზამთრის“ წამოწყება. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა გადაბმა, მაგალითად, კელაე მოცემულ მონაკვეთს გადაბამს ადრინდელ ეპიზოდთან, როდესაც ალილოს მღეროდნენ, ის ხმა იმეორებს ჩვენებითი ნაცვალსახელის თანხლებით იმავე ხმას, რომელიც ადრე მღეროდა. დაიწყო — იწყებდა — ლექსიკური ერთეულების გამეორებაა. ამათ უკავშირდება სინონიმური ერთეულიც გაიბა (*გაიბა ხმა*). მაგრამ დაპირისპირებით აკავშირებს ერთმანეთის მეზობელ წინადადებებს — მაშინ ალილო დაიწყო, ახლა კი „ზამთარს“ იწყებდა. ამ მონაკვეთში საკმაოდ ხშირია გადაბმა და ტექსტის ქსოვილიც ძალიან მჭიდროდ არის „ნაქსოვი“.

შემდეგ ტექსტი ერთგვარად წყდება სიმღერის ტექსტის ციტაციით, რომელსაც მოყვება ავტორისეული კომენტარი სიმღერის შესრულების თაობაზე. სიმღერის სიტყვებთან ერთად ტექსტის სიგრძე აქ ორნახევარჯერ ჭარბობს პირველ აბზაცს. აქაც მეორდება სიტყვა *ზამთარი, ზამთრის ღამე, სიმღერა, მესმის*. შემდეგ მცირე ზომის ბოლო აბზაცში ერთბაშად ვხვდებით გადაბმას, რომელიც სიმღერას და მის შესრულებას კი არ ეხება, არამედ იმ საღამოს და მის ყოვლისშემძველ სიმშვიდეს, რაც სულ პირველ აბზაცშია ნახსენები. ეს არის შედარებით „შორი“ გადაბმა, რომელიც ერთბაშად გააერთიანებს ოთხივე მონაკვეთს.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ასეთი დაშორებული გადაბმა, როგორც ჩანს, გარკვეულ „მანძილს“ არ უნდა აჭარბებდეს იმისათვის, რომ გადაბმად ვარგოდეს და კავშირი არ იყოს გაწყვეტილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოლაპარაკეს საგანგებო კომენტარის გაკეთება მოუხდება დარღვეული ქსოვილის აღსადგენად: *როგორც გეახსოვს; ეს ის საღამო იყო, როდესაც; გახსოვს... რომ და სხვა*. სხვადასხვა სახის ტექსტში, ალბათ, ეს დაშორება სხვადასხვა ზომის შეიძლება იყოს. მაგალითად, რომელიმე რომანში ზემოხსენებული ლაიტმოტივების გამოჩენა, რომლებიც მოქმედ პირებს ახასიათებს და გარკვეულად აერთიანებს კიდევ ტექსტს, რა თქმა უნდა, აბზაცებით არ გაიზომება.

ქვემოთ მოცემულია კოჰეზიის (გადაბმის) და კოჰერენციის (სემანტიკურ-ლოგიკური მთლიანობის) ზოგადი განმარტება.

2.3.3.

კოქეზია ლონგმენის თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკონში განსაზღვრულია, როგორც მჭიდრო გრამატიკული ან სემანტიკური კავშირი წინადადების ან გამონათქვამის უფრო მოზრდილი მონაკვეთების ნაწილებს შორის.

როგორც რ. ბოგრანდი და ვ. დრესლერი ამბობენ, ზოგადად კოქეზია არის მთავარი მაჩვენებელი იმისა, თუ როგორ შეიძლება ტექსტში უკვე ერთხელ გამოყენებული ერთეულების ან მოდულების ხელახალი გამოყენება ან მოკლე სახით გამეორება (23, 54). მაგრამ მხოლოდ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესი როდი წარიმართება კოქეზიის დროს. როგორც შემდეგში ვნახავთ, გადაბმით ხდება არა მარტო გამეორება, არამედ თვით ლოგიკურ-სემანტიკური კავშირების აგებაც.

გადაბმის ყველაზე უფრო ზოგადი სახეებია დაკავშირება, რეფერენციის იდენტურობა, თემატიზაცია, შედარება და სხვა.

კოქერენცია არის ტექსტის ნაწილების სემანტიკური და ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან. ლონგმენის ლექსიკონი გვეუბნება, რომ კოქერენცია არის დაკავშირება და მიმართება აზრებს, იდეებს, არგუმენტებსა და დებულებებს შორის. იგი ნიშნავს ტექსტის აზრობრივ მთლიანობას, სემანტიკურ უწყვეტობას. მსმენელი ვერ გაიგებს ტექსტს, თუ ცნებები და მიმართებები, რომელთაც მას სამყაროს ცოდნა აწვდის და რომლებიც მის გონებაში გარკვეულად არიან მოწესრიგებული, ასეთივე სახით არ იქნა წარმოდგენილი ტექსტში. რ. ბოგრანდი და ვ. დრესლერი ამბობენ, რომ კოქერენციის საფუძველს ქმნის აზრთა უწყვეტობა, რომელიც წარმოადგენს „რეალური“ სამყაროს კავშირების ასახვას სატექსტო (ენობრივ) სამყაროში ისე, როგორც ეს მთელი სოციალური ჯგუფისა ან საზოგადოებისათვის არის მისაღები (23, 84-85). გამონათქვამის აზრი ან შინაარსი, ამ მხრივ, განისაზღვრება როგორც ცნებითი ერთეულების გაერთიანება და მათი გარკვეული მიმდევრობით წარმოდგენა. ტექსტის აზრიანობა არის ადამიანის მიერ ცოდნის შექმნის, დაგროვებისა და გამოყენების შედეგი (23, 88). ასეთ სემანტიკურ ფონზე იქმნება ტექსტი, რომლის აგების დროსაც მოლაპარაკე ეყრდნობა კოგნიტურ მასალას, ხოლო მსმენელის მიერ შეტყობინების აღქმა კი ამავე ცოდნას ეფუძნება.

ტექსტის აგებისა და აღქმის დროს გადაბმა და სემანტიკურ-ლოგიკური მთლიანობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ის მიმართებები და კავშირები, რომლებიც გადაბმით არის გამოხატული, ასახავენ სიღრმისეულ სემანტიკურ კავშირებს.

გადაბმას და, ამდენად, ტექსტის აზრიანობასა და მთლიანობას უზრუნველყოფს არასრულ სიტყვათა ფუნქციობა ტექსტში. ესენი გადაბმის სხვადასხვა მოდელების შექმნით ერთმანეთთან აკავშირებენ ტექსტის ნაწილებს. არასრული სიტყვებით იქმნება ლოგიკურ-სემანტიკური კავშირები ტექსტის ნაწილებს შორის. ჩვენს მიერ განხილული მასალა გვაჩვენებს სხვადასხვა არასრული სიტყვების როლს გადაბმისა და სემანტიკური ერთიანობის შექმნაში ტექსტის აგების დროს.

არასრული სიტყვები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სამეტყველო სიტუაციისადმი ტექსტის შესაბამისობის შექმნაშიც, მაგრამ ამ პრობლემების განხილვა სამომავლოდ გადავდეთ.

გადაბმის შემთხვევების განხილვის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ტექსტის გადაბმული ნაწილები თავისთავად როდი ქმნიან გადაბმას. გადაბმა იქმნება ტექსტში ამ ერთეულებს შორის ურთიერთმიმართების დამყარებით (შდრ. 34, 5). ამდენად გადაბმა არის მიმართების აღმნიშვნელი ცნება.

ეს მიმართება შეიძლება გრამატიკული ნიშნებითაც იყოს გამოხატული. ამას განაპირობებს ხოლმე არა ტექსტის აზრობრივი გაერთიანება, არამედ სინტაქსის ფორმალური მოთხოვნები. სტრუქტურულ-გრამატიკული მიმართებები სიტყვებს შორის გრამატიკული ერთეულის – წინადადების აგების დროს მყარდება. დაუშვებელია წინადადებაში არსებულ გრამატიკულ ფორმალურ მოთხოვნათა ნაწილობრივი შესრულება. მოცემული ენის ფარგლებში წინადადების სწორი გამართვისათვის საჭირო და აუცილებელია გარკვეული წინადადების წევრები გრამატიკული ფორმებით დაუკავშირდეს ერთმანეთს. არც შემცირება, არც დარღვევა ამ გრამატიკული კავშირებისა არ არის დასაშვები. ერთი გადახრაც კი დაარღვევს ამ რთული გრამატიკული ერთეულის სისწორეს და ვარგისიანობას.

3. გადაბმის მოდელები ტექსტში

3.1. ლექსიკური გამეორება

3.1.1.

აქ განვიხილავთ ე.წ. *ლექსიკურ გამეორებას*, რომელიც ტექსტში უწყვეტობის შემოტანის მარტივი საშუალებაა, მართალია, ასეთი ლექსიკური გადაბმის დროს ძირითადი თვით ლექსიკური ერთეულების გამეორებაა, მაგრამ ქვემოთ ვნახავთ, რომ არასრული სიტყვები აქაც საკმარისად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

ერთხელ უკვე გამოყენებული ერთეულების, ვთქვათ, სრულ-მნიშვნელობიანი სიტყვების გამეორება შეიძლება სხვადასხვანაირად მოხდეს. ჩვენ გამოვყოფთ განმეორებითი გადაბმის ოთხ ძირითად ტიპს.

ყველაზე მარტივია *პირდაპირი გამეორება*. აქ ხდება ლექსიკური ერთეულის გამეორება იმავე სახით, როგორც იგი ტექსტის წინა მონაკვეთშია მოცემული, ან იმავე ლექსიკური ერთეულის გამეორება სხვა მეტყველების ნაწილით.

ასეთ გამეორებას ტექსტში შემოაქვს განსაზღვრულობის, ძველი ინფორმაციის მნიშვნელობა, რაც ზოგ ენაში განსაზღვრული არტიკლის ხმარებით ან ჩვენებითი ნაცვალსახელით გამოიხატება. ქართულში ამ დროს იხმარება ჩვენებითი ან კუთვნილებითი ნაცვალსახელი. ამ სემანტიკურ პროცესს ეწოდება თემატიზაცია.

საჭმელი მხარზე გადასაკიდ ბაღურაში ჩაუაწყე, ქვემოთ ჩავირბინე, ორი ბოთლი ღვინო ვიყიდე, ისინიც ამ ბაღურაში ჩაუაწყე. (რ.ინან.)

ლექსიკური ერთეულის პირდაპირი გამეორების დროს დიდი მნიეშნელობა აქვს არტიკლის ხმარებას. როგორც ვხედავთ ზემოთ მოტანილი მაგალითიდან, ქართულში უკვე ნახსენები ერთეულის იგივეური გამეორების დროს არსებით სახელთან ჩვენებითი ნაცვალსახელი იხმარება, რომელიც მოცემულ ლექსიკურ ერთეულს განსაზღვრულობას, კონკრეტულობას ანიჭებს. ამ ბაღურაში — უკვე ძველი ნაცნობი ერთეულია. გარდა იმისა, რომ თვით ბაღურა მეორდება, ჩვენებითი ნაცვალსახელი კიდევ უსვამს ამას ხაზს და გვეუბნება — ეს ის მხარზე გადასაკიდი ბაღურაა, ჯერ საჭმელი რომ ჩავაწყე შიგო.

რუსულშიც ჩვენებითი ნაცვალსახელი გამოიყენება განსაზღვრულობის გადმოსაცემად:

На далеком холме стоял дом.

В этом жоме жила девочка.

Эту девочку звали... და ა.შ.

Дом ახალი ერთეულია პირველ წინადადებაში, ისევე, როგორც *девочка* — მეორეში. შემდგომ წინადადებებში *В этом...* და *эту* ჩვენებითი ნაცვალსახელებით ეს სიტყვები განსაზღვრული და „ძველი“ ხდება.

ინგლისურისათვის, ან გერმანულისათვის უხშირესად გამოიყენება ჩვენებით ნაცვალსახელებზე უფრო ნაკლებ ემფატური განუსაზღვრელი არტიკლები: *the* და *der, die, das*.

უფრო მეტი ხაზგასმის შემთხვევაში ამ ენებშიც გამოიყენება ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

ვნახოთ ინგლისური მაგალითები:

— *Do you have a cat? — I`ve got two cats now; the black and white is called Rosie, and the ginger one is called Joseph.*

— *კატა გყავს? — მე ახლა ორი კატა მყავს; ამ თეთრ-შავს ქვია როზი, ხოლო ამ წითურს (კატას) ქვია ჯოზეფი.*

პასუხში მოცემული *two cats* არის განუსაზღვრელი, რაზეც

მიგვეითითებს უარტიკლობა მრავლობით რიცხვში, ხოლო მეორე ხსენების დროს ორივე კატა განსაზღვრული არტიკლის თანხლებით მოიხსენიება.

— *I saw you with a man last night, who was he?*

— *Oh, that (man) was Tom Smith.*

— მე შენ გუშინ ვიღაც კაცთან გნახე, ვინ იყო?

— ეგ კაცი იყო თომ სმიტი.

მოცემული ლექსიკური ერთეულის პირველი ხმარების დროს, როცა იგი ტექსტში შემოდის, მასზე არაფერი ვიცით, იგი განუსაზღვრელი და „ახალია“, ქართულში ამ დროს ხშირად იხმარება ვიღაც ან ერთი — შემდეგი ხმარების დროს გვაქვს ჩვენებითი ნაცვალსახელი *ეს, ეგ, ის*. რაც შეეხება განუსაზღვრელობის დროს სიტყვის ერთი ხმარებას, იგი, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არ არის რიცხვითი სახელი, არამედ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგო. ამ გოგოს ყველა „წითელქუდას“ ეძახდა.

ერთი და ამ ნაცვალსახელების ხმარება ხაზს უსვამს იმ ლექსიკურ გადაბმას, რომელიც ტექსტშია მოცემული — ერთეული. პირველად განუსაზღვრელია, ხოლო შემდეგ ნაცნობი და განსაზღვრული. არტიკლის მქონე ენებში პირველი ხმარების განუსაზღვრელობა აღინიშნება განუსაზღვრელი არტიკლით. ანალოგიური მაგალითია: *Once upon a time there lived a...*
ენახოთ კიდევ მაგალითები:

ხევში ერთი ნაკადულისოდენა მღვრიე წყალი მოდიოდა, ქეებში, ჩხნდებში, ღორღებში. ავეყვით იმ წყალს და...
(რ. ინან.)

მაშინ პაპამ ნაჯახი გამოიღო... ჭრა და ყარა პაპამ იმ ნაჯახით და ხელებით სველი, შლამნარევი თიხა, ის რომ დაიღალა, იაკოფამ შეცვალა, მერე მეც ეთხარე(იმ ნაჯახით). (რ.ინან.)

თეთრცხვირიანი ნატრობდა: ნეტავი ერთი ღლით არწივად მაქცია, რომ მიმინოებს და ქორებს სულ ბღღვირი გაეცალო, შავცხვირიანმა კიდევ ინატრა: ნეტავი თვითმფრინავი ვიყო, ო, როგორი ხმა აქვს, შენი არწივი რა არის იმასთანაო! (რ.ინან.)

გამეორებულ, „ძველ“ ინფორმაციაზე ამჯერად მიუთითებს კუთვნილებითი ნაცვალსახელი შენი.

პირდაპირი გამეორების სახეა ტრანსპოზიციული ან ნაწილობრივი გამეორება, პარალელიზმი და პარაფრაზიც.

ე.წ. ტრანსპოზიციული ან ნაწილობრივი გამეორებაა (23, 56). ერთი და იმავე ძირის მქონე სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა ხმარება ტექსტის მოცემულ მონაკვეთში, მაგალითად, არსებითი სახელისა და ზმნის, ზედსართავი სახელისა და ზმნის, ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის და სხვა:

ძალიან მორიდებული იყო, გაიგე, რიდი ქონდა ყველასი.
(რ.ინან.)

კლატონმა თვალები მიაშტერა ამის მკითხველს. რისთვის ეკითხებოდა მას ეს კაცი? რა უნდოდა, რა ჰქონდა გუნებაში ამ კითხვის დროს? (დ.კლდ.)

გარკვეული სახის გადაბმას ქმნიან, აგრეთვე, პარალელიზმი და პარაფრაზი (23, 57-58). ეს ისეთი საშუალებებია, რომლებიც პირდაპირ გამეორებასა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ზომის შემცირებას აგვაცილებს თავიდან. პარალელიზმი არის ფორმის, სტრუქტურის გამეორება განსხვავებული შინაარსით, ხოლო პარაფრაზი არის შინაარსის გამეორება განსხვავებული ფორმით. პარალელიზმის მაგალითია:

ნუ გადამკიდებ დარიკოს, თუ რაიმე სიბრაღული გაქვს ჩემი!
 ნუ გაახელებ შენს დას ჩემზედ ... (დ.კლდ.)

ნუ ნაწილაკიანი უარყოფითი თხოვნა ორჯერ არის წარმოდგენილი სხვადასხვა ლექსიკური მასალით.

პარაფრაზის მაგალითი:

— მღუპავ, მამა? — მივიდა იგი ბეკინასთან.

— მღუპავ? დანას მიყრი ყელში?.. რატომ მიმეტებ, შენი ჭირიმი?! (დ. კლდ.)

ერთი და იმავე მნიშვნელობას გადმოგვცემს სხვადასხვა კითხვითი სტრუქტურები — ე.წ. ზოგადი კითხვა და შემდეგ რატომ კითხვითსიტყვიანი „სპეციალური“ კითხვა.

— რა იქნა, შე კაცო?.. რა მოხდა ამისთანა? გინახავს, რომ ქორწილი იქნება თუ დღეობა, რამე ლაპარაკი არ მოხდეს?.. რა ვუყოთ მერე?.. მარტო ჩვენს თავზე მომხთარა, რაც წუხელ საქმე მოგვიხთა, თუ როგორაა? ან რა იყო ასეთი რამე?.. სხვას არავის შეხედომია თუ? (დ. კლდ.)

აქ პარალელიზმიც არის (რა იქნა, რა მოხდა, რა ვუყოთ, რა იყო) და პარაფრაზიც (მარტო ჩვენს თავზე მომხთარა... სხვას არავის შეხედომია...)

პირდაპირი გამეორება, ტრანსპოზიციული გამეორებაც და პარაფრაზიც ტექსტში ხაზგასმის, ემოციურობის შემოტანას ემსახურება. ეს ჩვენი მაგალითებიდანაც კარგად ჩანს.

ლექსიკური გადაბმის შემთხვევებია ლექსიკური კოლოკაციისა (თანახმარების) და სხვადასხვა ლექსიკური მიმართვის მქონე სიტყვების გამეორებაც ტექსტში

3.2. კორეფერენცია

3.2.1.

საზოგადოდ გადაბმა ტექსტში ეფუძნება ორი სხვადასხვა ერთეულისათვის იდენტური რეფერენციის, ანუ იდენტური აღნიშვნის შექმნას. ლექსიკურ სისტემაში იდენტური რეფერენცია ხდება ერთი და იმავე ობიექტისათვის ერთზე მეტი დასახელების არსებობის შემთხვევაში. ამის მარტივი მაგალითებია: გოგრა და კვახი; კომში და ბია და სხვ.

იდენტური რეფერენციის მქონე ასეთი ლექსიკური ერთეულები, სხვათა შორის, არ გამოიყენება ტექსტში გადაბმის მიზნით, რადგანაც დიალექტური ან სხვა განსხვავებები ტექსტს კი არ აკავშირებს, არამედ პირიქით — ანაწევრებს:

— მე, რაღაც, არ მიყვარს გოგრა.

— რას ამბობ, კვახი ხომ ყველაფრის წამალია!

— რა ვიცი, ექიმმა მითხრა, გოგრა არ ჭამო...

ამ მაგალითში, რომ ყველგან მხოლოდ გოგრა ან კვახი იყოს, გადაბმა სახეზე იქნება.

3.2.2.

სულ სხვაა ტექსტის წინა მონაკვეთში ნახსენები მნიშვნელობის, თუნდაც, ლექსიკური ერთეულის გამეორება არასრული სიტყვების მეშვეობით. ასეთი გამეორება, ერთის მხრივ, თავიდან აგვაცილებს ერთი და იმავე ერთეულის ხაზგასმით „ამოჩემებულ“ ერთფეროვან და დამღლელ გამეორებას; მეორეს მხრივ, პირდაპირი გამეორების ემფატიკურ ხასიათს მოხსნის და სრულიად ნეიტრალური, შეუმჩნეველი სახის გადაბმას ქმნის. არასრულ სიტყვებსა და გამეორებულ წინამავალ სიტყვებს შორის ისეთი ბუნებრივი და მჭიდრო იდენტურობის კავშირი არსებობს, რომ აღრესატი თუ საგანგებოდ არ დაუკვირდა, ვერც ამჩნევს არასრული სიტყვაა ნახმარი თუ თვითონ ძირითადი ერთეული.

არასრული სიტყვები, ამავე დროს, ტექსტს გარკვეულ კომპაქტობას ანიჭებს.

არასრული სიტყვების მიერ უკვე ნახსენები ლექსიკური ერთეულის განმეორება ერთი ტექსტის ფარგლებში სხვადასხვა ტერმინით აღინიშნება ხოლმე: კოსრეფერენცია (ჯვარედინი რეფერენცია), კორეფერენცია (თანა-რეფერენცია), ანაფორა (ფართო მნიშვნელობით) და სხვა. ჩვენ ვხმარობთ შედარებით ნეიტრალურ ტერმინს — კორეფერენცია. ამ ტერმინს ხმარობენ რ. ბოგრანდი და ვ. დრესლერი, აგრეთვე, მ. ჰელიდეი და რ. ჰასანიც. ეს არის ზოგადი ტერმინი, საერთო დასახელება იმ უფრო კონკრეტული მოდელებისა, რომლებიც ნახსენებ საფუძველზე ქმნიან გადაბმას ტექსტში.

ტექსტი იქმნება არავერბალური სიტუაციის საფუძველზე არავერბალურ კონტექსტსა და ტექსტს შორის კავშირი ქმნის ინფორმაციას, რომელსაც მოლაპარაკე გადასცემს მსმენელს. მსმენელიც ტექსტისა და სიტუაციის მონაცემების გათვალისწინებით უნდა ახდენდეს შეტყობინების სრულყოფილ ინტერპრეტაციას.

გარე სიტუაცია მოიცავს ყველაფერს იმას, რაც ენის გარეთ მდებარეობს: საგნებს, მოვლენებს, სოციალურ მიმართებებს, კულტურულ გარემოცვას; ხასიათდება სივრცულ-დროითი მიმართებებით და ა.შ.

ტექსტის გაგებისათვის სრულიად აუცილებელია სიტუაციის ცოდნა, რადგანაც ტექსტის ერთეულები აღნიშნავენ სწორედ სიტუაციის ერთეულებს. ტექსტის გარეთ მყოფი ერთეულებისა და ცნებების აღნიშვნა და გადმოცემა ხდება ენობრივი საშუალებებით გამონათქვამში. ეს არის ე.წ. ექსოფორული კორეფერენცია — აღნიშვნა, რომელიც გარეთ არის მიმართული.

ზამთრის ძილმორეული მზით განათებულ დერეფანში, ახალ-მორეცხილ ფილაქანზე, პატარა ლადოს ჩაუშუხლავს. შინმოქსოვილი წოწოლა წითელი ქუდი კხურავს, თბილი შარფი აქვს მოხვეული, მეზღვაურულ ყაიდაზე შეკერილი პალტო აცვია. სიცივისაგან დალილაკებულ მარჯვენაში ჩაქუჩი უჭირავს, მარცხენით ღურსმნებს წვერს უნერწყევს და დანჯღრულ ციგას აკოწიწებს. (რ. ინან.)

ეს არის პატარა ბიჭის აღწერა. ყველა სიტყვა (და კავშირის გარდა) წარმოადგენს გარე სიტუაციის აღნიშვნას — ეს არის მთლიანად ექსოფორულ რეფერენციაზე აგებული ტექსტი (თვით ტექსტის შიგნით გადაბმას ქმნის სხვა საშუალება — სემანტიკური და თემატური ერთგვაროვნება: ბიჭის ჩაცმულობის აღწერა, მარჯვენა და მარცხენა ხელით საქმიანობა და ა.შ.).

ასეთი აღწერითი მნიშვნელობების გარდა, ტექსტში ნაცვალსახელებით გადმოცემულია ხოლმე არავერბალური სიტუაციის მიმართებები და კავშირები. მაგალითად, შეიძლება გადმოიცეს სივრცული მიმართებები: *მოლაპარაკესთან ახლოს, მოლაპარაკისგან შორს*. ასეთ შემთხვევაში ნაცვალსახელები იგი, მე, შენ, ეს, ის, ეგ, ზმნიზულებიც იქ და აქ, მანდ გამოხატავენ სამეტყველო სიტუაციის დეიქტურ მნიშვნელობებს — მოლაპარაკის თვალსაზრისით დალაგებულ სივრცულ მახასიათებლებს. *ეს, აქ* აღნიშნავს მდგომარეობას მოლაპარაკესთან ახლოს, *ის, იქ* — მოლაპარაკისგან შორს, ასევე: *იგი* არის არამოლაპარაკე და არამსმენელი მესამე პირი, ხოლო *მე* და *შენ* არის შესაბამისად მოლაპარაკე და მსმენელი. *ეგ*, აღნიშნავს პირველი პირისაგან შორს და მსმენელთან ახლოს მყოფ მესამე პირს, ხოლო *მანდ* არის მოლაპარაკისაგან შორს და მსმენელთან ახლოს არსებული სივრცე.

გარე სიტუაციის აღნიშვნა ტექსტში წარმოადგენს კომუნიკაციის საფუძველს; ასე იქმნება შეტყობინება, მოლაპარაკე ადრესატს ყოველთვის ატყობინებს რაღაცას გარე ვითარების თაობაზე — ამდენად ექსოფორული რეფერენცია არის, ასე ვთქვათ, საწყისი ტექსტის აგებისათვის.

3.2.3.

არავერბალური კონტექსტის ობიექტებისა და მიმართებების აღნიშვნის გარდა, როგორც ვიცით, აუცილებელია გაბმული და ერთიანი ტექსტის შექმნა. საჭირო ხდება განმეორებით მინიშნება იმაზე, რაც ექსოფორული რეფერენციით უკვე შემოტანილია ტექსტში. ასეთ შემთხვევაში ადრე ნახსენებ ენობრივ ერთეულსა და მომდევნოდ ხმარებულ არასრულ სიტყვას შორის მყარდება კორეფერენციული მიმართება.

როდესაც, მაგალითად, საკუთარი სახელის *ვანოს* ხმარების შემდეგ ვხმარობთ ნაცვალსახელს *ის*, იგი ჩვენთვის უკვე

განსაზღვრული კონკრეტული პირის აღმნიშვნელია, ვისი ვინაობაც უკვე ვიცით ტექსტის წინა მონაკვეთიდან. გაგება, ინტერპრეტაცია ნაცვალსახელისა – ის ხდება ტექსტის საშუალებით. ეს არის *ენდოფორული კორეფერენციის* მაგალითი. სიტყვებს *ვანო* და *ის* აქვთ ერთი და იგივე აღნიშვნა, ერთი და იგივე რეფერენცია. სწორედ ამიტომ ვუწოდებთ ასეთ მიმართებას *კორეფერენციას*.

ენდოფორული კორეფერენცია მონაწილეობს ტექსტის ქსოვილის აგებაში, ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტის სხვადასხვა ნაწილს. მის გარეშე არ შეიქმნება ის თვისობრიობა, რომელსაც ტექსტი ქვია. კორეფერენციის მთავარი ნიშანი ის არის, რომ იგი მოცემული მინიშნების ინტერპრეტაციისათვის გვაგზავნის სხვა მონაკვეთთან ტექსტის შიგნით.

კორეფერენციულ ერთეულს ვუწოდებთ იმ ერთეულს, რომლის ამოხსნა ხდება ან ტექსტში, ან სიტუაციური მონაცემით, ხოლო რეფერენტი არის ის ერთეული, გამონათქვამი, ფრაზა და ა.შ., რომელიც მოგვაწვდის კორეფერენციული ელემენტის ინტერპრეტაციას. ამ შემთხვევაში დავადგენთ, რომ *ვანო* და *ის* ერთსა და იმავე ობიექტს აღნიშნავენ. *ვანო* არის რეფერენტი, ხოლო *ის* არის კორეფერენციული ერთეული.

პირველი ხმარება იმავე როლს ასრულებს ამჯერად, რასაც ექსტრალინგვისტური ერთეული ექსოფორული რეფერენციის დროს; ოღონდ მითითება ხდება არა სიტუაციურ ელემენტზე, არამედ ტექსტის ელემენტზე. ამგვარად ხორციელდება ენდოფორული, ე.ი. ტექსტის შიგნით მოქმედი კორეფერენცია, რომლის არსებითი ფუნქცია არის სწორედ გადაბმა, ტექსტის ქსოვილის შექმნა.

საკმარისია ზემოთ მოყვანილი მაგალითის ტექსტი გავაგრძელოთ, რომ მაშინვე ვნახავთ, თუ როგორ აიგება გადაბმა კორეფერენციული ერთეულის შემოტანით:

მის წინ, დაგლეჯილ კილოფზე გაწოლილა ბეხა — ბებერი ძაღლი. (რ.ინან.)

მის წინ ნიშნავს – ლაღოს წინ, ე.ი. *მის* და ლაღოს კორეფერენციული ერთეულებია და მომდევნო მონაკვეთი სწორედ *მის* ნაცვალსახელით გადაებმება წინა აბზაცს.

დამოკიდებულებას ამ ურთიერთდაკავშირებულ ერთეულებს შორის ეწოდება გადაბმა ან კავშირი (*a tie*) (33). გადაბმა არის სემანტიკური ცნება, რომელიც გამოხატავს შინაარსობრივ მიმართებებს, რომლებიც არსებობს ტექსტში. გადაბმა შინაარსობრივი კავშირების ფორმალური გამოხატულებაა, რომელიც ქმნის ტექსტს, როგორც ასეთს. გადაბმა შეიძლება აღმოვაჩინოთ ერთი წინადადების ფარგლებს შიგნითაც, მაგრამ მისი ფუნქცია ყოველთვის ტექსტის შექმნაა.

გადაბმა იქ იჩენს თავს, სადაც ტექსტის რომელიმე ელემენტის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მეორეზე, ერთი მეორეს გულისხმობს ან პირიქით, ხსნის.

ტექსტის ყოველი წინადადება, პირველის გარდა, აუცილებლად წარმოგვიდგენს რომელიმე სახის გადაბმას წინამავალ წინადადებასთან, ე.ი. ყოველ წინადადებას აქვს, ერთი მაინც ასეთი კავშირი.

3.2.4.

კორეფერენციული გადაბმის განხორციელება ტექსტში ყველაზე ხშირად ხდება ე.წ. პრო-ფორმების (ანუ „ნაცვალი“ სიტყვების) მიერ, პირველ რიგში ეს, რა თქმა უნდა, არის ნაცვალსახელები. აგრეთვე გამოიყენება ზმნური პრო-ფორმები, ისეთები, როგორიცაა ინგლისური *do, have* და სხვა „არასრული“ ზმნები, რომლებიც გადაბმის დროს ფორმალურ ინდექსებად გადაიქცევა: მოქმედების, მდგომარეობის და სხვათა ლექსიკური დასახელების გარეშე იმეორებს მათ.

თვითონ მოდელი, რომელიც ამ კავშირს ქმნის პრო-ფორმების გამოყენებით არის ანაფორა (ან კატაფორა) ანუ ანაფორული (კატაფორული) კავშირი.

ანაფორა ისეთი კორეფერენციული მოდელია, რომელიც ნაცვალსახელებით გამეორებით შესაძლებელს ხდის ტექსტის წინამავალი და მომდევნო მონაკვეთების ერთმანეთთან გადაბმას. მოცემული ლექსიკური ერთეულის ხმარების შემდეგ ტექსტში მის ნაცვლად იხმარება „ნაცვალი“ ფორმა.

ასეთი სახის ანაფორას ვ.დრესლერი (28) ექსპლიციტურ ანაფორას უწოდებს, რადგანაც კავშირი ტექსტის შემადგენლების შორის ექსპლიციტური ერთეულით არის გამოხატული.

ჩვენს პირდაპირ მოხუცი ქალი და კაცი იჯდა.

— მაგათ ყველაფერი იციან ერთმანეთისა, არა? (რ.ინან.)

მაგათ და მოხუცი ქალი და კაცი კორეფერენციული ერთეულებია. ნაცვალსახელის როგორც კორეფერენციული ერთეულის ხმარება ქმნის ექსპლიციტურ ანაფორას.

ამას გარდა, ვ.დრესლერი აქვე ახსენებს ე.წ. ელიფსურ ანაფორას. ეს ისეთი კავშირის ტექსტის ნაწილებს შორის, როდესაც ადრე ნახსენები ერთეული იმდენად კარგად არის ცნობილი სამეტყველო სიტუაციის მონაწილეთათვის, რომ მისი გამოტოვება — ელიფსი თავისთავად ქმნის გადაბმას. მსმენელმა იცის, რომელია გამოტოვებული ლექსიკური ერთეული, რადგანაც წინამაგალი კონტექსტი ცალსახად იძლევა მისი გამოტოვების საშუალებას ან ამ ერთეულის ხშირი გამეორების საფუძველზე, ან მისი სემანტიკური დომინანტობის გამო.

ელიფსი საკმარისად ძლიერად მოქმედი საშუალებაა კოჰეზიის დროს. ელიფსის შემთხვევებს ჩვენ აქ არ განვიხილავთ, რადგან არასრული სიტყვებით ექსპლიციტურად გამოხატული გადაბმა გვანტერესებს.

განვიხილოთ ექსპლიციტური ანაფორის მარტივი მაგალითი:

გარეცხეთ ექვსი ვაშლი, გათაღეთ. ჩააწყეთ ისინი ქვაბში.

ცხადია, რომ ისინი ნიშნავს ექვს ვაშლს. (მომდევნო ელემენტის მიერ გამონათქვამის წინამაგალ ნაწილში არსებულ სიტყვებზე სწორედ ასეთ მინიშნებას ეწოდება ანაფორა ან ანაფორული მინიშნება. ისინი არის ანაფორული ფუნქციის მქონე ერთეული, რომელიც ქმნის გადაბმას ამ ორ წინადადებას შორის, რითაც იქმნება ტექსტი. წინამაგალ ლექსიკურ ერთეულს ეწოდება ანტიცედენტი.

კიდევ მაგალითი:

მაშინ პაპამ ნაჯახი გამოიღო, დააწეა ყუაში და ამით დაიწყო მიწის ჭრა მაისას ფეხებთან. (რ. ინან.)

ნაჯახი და ნაცვალსახელი იმით კორეფერენციულ ანაფორულ მიმართებაში არიან ერთმანეთთან და ეს მიმართება ქმნის გადაბმას. ნაჯახი არის ანაფორული მიმართების ანტიცედენტი.

კორეფერენციული კავშირი, როგორც ვთქვით, პრო-ფორმებით, უმთავრესად კი ნაცვალსახელებით გადმოიცემა. ეს ნაცვალსახელებია პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი ნაცვალსახელები. ასეთივე გადაბმა ხდება ხოლმე ადგილის (იქ, აქ), ან დროის (მაშინ, ახლა) ზმნიზედებით, ასევე კორეფერენციას გამოხატავს, მაგალითად, ზმნიზედები ასე, ისე; ზედსართავები ასეთი, ისეთი, სხვადასხვა ნაწილაკი და ა.შ.

პირველ დღეს არაფერი, მეორე დღესაც არაფერი. და თუ მესამე დღესაც მარტო დაბრუნდებოდა თვედორე პაპა, ტყის პირას სახლი კვლავ ჩამოიღუშებოდა... მაგიდაზე შედგმული შეჭამანდიც ხშირად ხელუხლებელი ცივდებოდა. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ასე ცოტა ხანს გრძელდებოდა. (რ. ინან.)

ასე მთელ წინა აბზაცთან ამყარებს ანაფორულ კავშირს.

მიდის, ახლად მოსულ თოელს მიჰკვალავს და გული უჩქროლდება, იქნება გაბმული მელია თუ არა, გულის ასაჩქროლებელი თითქოს არაფერია, მაგრამ მაინც ასე მოსდის, მიდის და გული — დაგ-ღუგ დაგ-ღუგ! (რ.ინან.)

3.2.5.

წადაბმა შეიძლება ისეთი იყოს, რომ ტექსტში წინამავალი ელემენტის ახსნა, ინტერპრეტაცია ხდებოდეს მომდევნო ერთეულით, ანუ წარმოდგენილი გვექონდეს ანაფორის საწინააღმდეგო ვითარება. ჯერ წარმოდგენილია პრო-ფორმა, ხოლო მისი გაიგივება ლექსიკურ ერთეულთან ხდება ტექსტის მომდევნო მონაკვეთში. ეს არის ე.წ. კატაფორა, კავშირი ასეთ ელემენტებს

შორის არის კატაფორული კავშირი, მინიშნებაც არის კატაფორული მინიშნება.

გაჩერებაზე სხვებიც იცდიდნენ — ორი მოსწავლე გოგონა და ერთი დედაბერი. (რ.ინან.)

წინამავალი კატაფორული სიტყვა „სხვებიც“ მომდევნოდ არის განმარტებული. ანდა:

აი, იქ, დერეფნის კუთხეში, ონკანია. (რ. ინან.)

იქ არასრული სიტყვაა — ამ შემთხვევაში ზმნიზდა, რომელიც მნიშვნელობას იძენს ტექსტის მომდევნო ნაწილში მოცემული განმარტებით: დერეფნის ბოლოში.

ვნახოთ კიდევ ერთი მაგალითი:

კუთხიდან ორნი გამოვიდნენ. თითქმის მირბოდნენ თავდაღმართზე. ელენემ შორიდან იცნო. „აი, ბედნიერი ცოლ-ქმარი! როგორ კმაყოფილი გამომეტყველებით მოდიან! მაგათთვის ახლა სხვა არავინ არსებობს!“ (რ.ინან.)

ორნი კატაფორული კორეფერენციის მაგალითია, რომელიც ენდოფორულიც არის (ცოლ-ქმარი) და, გარკვეულად, ექსოფორულიც — ელენემ შორიდან იცნო ვინც შეიძლება ყოფილიყვნენ. აქ წარმოდგენილია ანაფორაც იმავე რეფერენციული ერთეულის — ცოლ-ქმარის მიმართ: მაგათთვის ე.ი. ამ ცოლ-ქმარისათვის.

ანაფორული და კატაფორული გადაბმის გავრცლების სიხშირე ხშირად ენის სხვადასხვა სტრუქტურული მახასიათებლების თავისებურებაზეა დამოკიდებული, როგორც წესი, ანაფორა უფრო ხშირია.

ჩვენს მაგალითებში გადაბმა ემყარება რეფერენციის იგივეობას, ე.ი. იმას, რომ სიტყვები: იმით და ნაჯახი ანუ ანაფორული

ელემენტი და მისი ანტიცედენტი, ერთსა და იმავე ობიექტს აღნიშნავენ. იგივე ითქმის კატაფორული ელემენტისა და მისი განმარტების შესახებ: სხვებიც, ორი მოსწავლე გოგონა და ერთი დედაბერი, იქ და ღერეფნის კუთხეში.

კიდევ ერთი მაგალითი:

*უცებ გამოეფხიზლდი, შალი გადავიძრე და რასა ეხედავ:
თოვლი მოდის, ვაშა! თოვლი მოდის, კარ-ფანჯრიდან
გამოსულ შუქზე ერთმანეთს მისდევენ, ეწევიან, უსწრებენ
მილიონობით ბრტყელი, ფაფუკი ფიფქები. (რ.ინან.)*

კატაფორული რასა ნაცვალსახელის რეფერენტი არის თოვლის მთელი სურათი.

3.2.6.

ადრეც ვთქვით, რომ ტექსტის ყოველი წინადადება, პირველის გარდა, ყოველთვის შეიცავს რომელიმე სახის გადაბმას წინა-მავალ წინადადებებთან.

საინტერესოა ისეთი შემთხვევები, სადაც მოცემულია ე.წ. „ცრუ“ გადაბმა, რომელიც ვერ ამოიხსნება, რადგანაც წინ, ტექსტში არ არის მოცემული კორეფერენციული ელემენტი. მაგალითად ვნახოთ პირველი წინადადება ლუის კეროლის წიგნიდან „სარკის იქით“ (იმავე მაგალითს განიხილავენ ჰელიდეი-ქასანი).

One thing was certain, that the white kitten had nothing to do with it: — it was the black kitten's fault entirely. (Lewis Carol)

ერთი რამ კი იყო ცხადი, რომ იმ თეთრ კნუტს ამ ამბავთან ხელი არ ქონდა. ყველაფერი შავი კნუტის ბრალი იყო.

ჩვენებით ნაცვალსახელებს *the* და *it* შემოაქვთ ნაცნობი, განსაზღვრული ერთეულის მნიშვნელობა. წინადადებაში წარ-

მოდგენილია ისეთი გადაბმა, თითქოს ტექსტის შუაში ვიყოთ, მაგრამ ფაქტობრივად ეს არის წიგნის პირველი წინადადება, რომელსაც წინ არაფერი უსწრებს.

ასეთი „ცრუ“ გადაბმა თავისი ბუნებით ექსოფორულია, რადგან მიმართულია საკომუნიკაციო ერთეულის ერთ-ერთი განმსაზღვრელი სტანდარტის დასაკმაყოფილებლად — ეს, კერძოდ, არის ტექსტის აგების დროს მსმენელის ფაქტორის გათვალისწინება. მართლაც, მსგავს შემთხვევაში მსმენელის ფანტაზია ამოძრავებულია და იგი თავიდანვე ინტერესით არის ჩართული ამბის მოსმენაში.

ასეთი მინიშნებათა ამოხსნა შეიძლება მოხდეს მოგვიანებით. ამ ტექსტში მაგალითად, ეს ხდება ორი აბზაცის შემდეგ — საქმე ეხება მატყლის ძაფის აბურდვას; ტექსტში წარმოდგენილია ორი კატაფორული კავშირი. ასეთ ხერხს ხშირად მიმართავენ ჟურნალისტები, როდესაც მკითხველის დაინტერესება სურთ. თავისი წერილის გმირის შესახებ გვატყობინებენ საინტერესო ფაქტებს და მხოლოდ გვიღადა გვაწვდიან ცნობას იმის შესახებ, თუ ვინ არის „იგი“.

„ცრუ“ გადაბმა ხშირად არის გამოყენებული ნოველის დასაწყისში იმის მისანიშნებლად, რომ ის, რაც ტექსტშია მოცემული, მთელ ამბავს კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ მისი ნაწილია და გმირის ცხოვრების ერთი ეპიზოდი. ასეთ დასაწყისს ქვია „ღია“ დასაწყისი. აქაც აღრესატის მიერ ვითარების სრული ცოდნის ილუზია იქმნება, საინტერესოა, რომ ზოგი ასეთი გადაბმა არც აიხსნება ხოლმე ტექსტში და, ასე ვთქვათ, თვითმიზანია მხოლოდ — მკითხველის „გაშინაურებას“ ახდენს სიტუაციასთან.

*ახლა იმათთანაც გვიანი შემოდგომაა. იმათი ხეობა ნისლე-
ბითა და ჩამოცვენილი ფოთლებით არის სავსე. ზღმარტლს
კი ისევ ასხნია, კუნელსაც ისევ წითლად გააქვს ღუღღღღი.
(რ. ინან.)*

ეს არის მოთხრობის პირველი წინადადებები, რომლებშიც არასრული სიტყვები — კუთვნილებითი ნაცვალსახელები *იმათთანაც*, *იმათი* ქმნის ილუზიას იმისა, თითქოს ძველ ნაცნობებზე ვისმენდეთ საუბარს. არასრული სიტყვით *ისევ* იქმნება შთაბეჭდილება, რომ მკითხველი ერთხელ უკვე დასწრებია იქაურ

შემოდგომას – იცის, როგორ ასხია ზღმარტლს, როგორ წითლად ღუის კუნელი და ახლაც ისევ ჩვეული სურათი დაუღგება თვალწინ. „ცრუ“ გადაბმა გვაფიქრებინებს, რომ მსმენელს იგივე გამოცდილება აქვს, რაც მოლაპარაკეს – აღრესატი ერთბაშად ჩაერთვება ტექსტით გადმოცემულ ამბავში.

როცა წამოვდექით და წამოვედით, ერთი ეს მკითხა:

— უვარგისი დედაკაცი ვარ, არა? რაც მე ვუთხარი, არ დაიჯერა. ნესტიანი ქარი ქროდა... (რ.ინან.)

ამ მაგალითში რაც კავშირით შემოტანილი ცრუ ექსოფორული რეფერენციის ინტერპრეტაციის საშუალებას კონტექსტი იძლევა. აგრეთვე:

ესე იგი ისინი უფრო საჭირონი არიან ერთმანეთისათვის ვიდრე ჩვენ? — რა თქმა უნდა. ლიტამ მეორე ხელიც დამადო მკლავზე და უფრო მჭიდროდ ჩამეკრა. (რ.ინან.)

ნაწილაკები -ც და უფრო მიგვანიშნებენ წარმოსახვით სიტუაციას ტექსტის გარეთ: ერთი ხელი უკვე მკლავზე ედო და მჭიდროდაც ეკვროდაო, აღადგენს მსმენელი.

3.2.7.

ნაცვალსახელური კორეფერენციის დროს ხშირია აზრობრივი არაცალსახობის შემთხვევები, როცა კორეფერენციულ ერთეულს მსმენელმა გრამატიკული თვალსაზრისით ორი რეფერენტი შეიძლება დაუკავშიროს:

*„დინამო“ ეთამაშებოდა „არარატს“, იმათ მოიგეს;
პოლიციელი მისდევდა ქურდს. იმან თავი დაიძვრინა;
ნიკოს უნდოდა ეანოს ასანთი, მაგრამ ის არ აძლევდა.*

ამ შემთხვევაში ცალსახა გაგების საშუალებას გვაძლევს სიტუაციური ან სემანტიკური ფაქტორები, პირველ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს მოლაპარაკის მიმართებას ამ ორ გუნდთან (სიტუაციური ფაქტორია). თუ მოლაპარაკე „დინამოს“ გულშემატკივარია, მაშინ იმათ იდენტურია არარატივსა და პირიქით, თუ მოლაპარაკე „არარატს“ გულშემატკივრობს, მატჩი „დინამოს“ მოუგია.

მეორე შემთხვევაში ორაზროვნება მოიხსნება პრედიკატთან არგუმენტების მიმართების ცოდნით – იმან, (ვინც თავი დაიძვრინა, გაექცა მღევარს) უკავშირდება ქურდს – აბა, პოლიციელი ხომ არ გაიქცეოდა! მესამე შემთხვევაში ზმნის სემანტიკა და კუთვნილების გამონახტვა (ვანოს ასანთი) გვაჩვენებს, რომ ნიკოს არაფერი გააჩნდა, ის კი (ვანო) მას ასანთს არ აძლევდა, ე.ი. ორაზროვნებას ხსნის ვერბალური კონტექსტი.

არსებობს შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ზედაპირული ფორმა ორაზროვანია იმის გამო, რომ ვერ ვარკვევთ, გვაქვს თუ არა კორეფერენცია.

ნიკო ამაყოფს თავისი ძაღლებით; მე კი ისინი არ მიყვარს.

თუ მე არ მიყვარს ნიკოს ძაღლები, საქმე გვაქვს კორეფერენციასთან, მაგრამ თუ საზოგადოდ არ მიყვარს ძაღლები, მაშინ არა გვაქვს კორეფერენცია (სუბსტიტუციაა, იხ. ქვემოთ).

3.2.8.

კორეფერენციულმა ნაცვალსახელმა ან ზმნიზედამ შეიძლება შეცვალოს არა მხოლოდ ტექსტის წინა ან მომდევნო მონაკვეთში წარმოდგენილი სახელი, ან ვითარებისა, ან თვისების გამომხატველი სიტყვა, არამედ მთელი ფრაზები, პრედიკატული კონსტრუქციები, წინადადებები, მთელი აბზაციც კი.

*ჩვენში ასეა, ღვინოს ყველი და ჰური მაინც უნდა დააყოლო...
(რ.ინან.)*

აქ წარმოდგენილია კატაფორული კორეფერენცია, ასეა — ზმნიზედიანი სახელადი შემასმენელი განმარტებულია მთელი მომდევნო წინადადებით, რომელიც აღწერს იქაურ ჩვევას.

მომხედა. წამწამები რამდენჯერმე ზედიზედ დააფახურა, უცებ წამოიწია დ კიდეე მაკოცა. ეს უკვე მეტიისმეტი იყო. (რ. ინან.)

ანაფორული რეფერენცია. ეს — ნაცვალსახელის რეფერენტად ორი წინადადებაა წარმოდგენილი და ოთხი შემასმენელი.

*კიდეე კარგი, რომ უკვე ბინდი იყო ქარიც წრიულად აბორი-
ალებდა კვამლს და თოთია ვერაფერს ამჩნევდა, როგორი
ბედნიერი გამომეტყველებით შეკლიმოდა, შესციცინებდა
მზია, თორემ ეს რომ დაენახა, ხომ გააგდებდა. (რ.ინან.)*

მთელი წინადადება როგორი ბედნიერი გამომეტყველებით შეკლიმოდა, შესციცინებდა მზია, ერთის მხრივ, ანტიცედენტია ნაცვალსახელისათვის ეს, ხოლო მეორეს მხრივ, კატაფორულ კავშირს ამყარებს ნაცვალსახელთან ვერაფერს.

განვიხილოთ ანაფორის სხვა ამგვარი მაგალითებიც:

*— ეუფრთხილდები, არ გაეაჯაერო მაინც ჩემზედ — სხვა
რაღა სიკეთე აყრია ჩემგან?! რამდენადაც შემიძლია, ამას
ვცდილობ, თუმცა ხშირად ესეც მავიწყდება ჩემდა
საუბედუროდ!.. (დ.კლდ.)*

ამას, ესეც ზმნურ კონსტრუქციასთან ამყარებს ანაფორულ კავშირს (არ გაეაჯაერო მაინც ჩემზედ).

ასეთი გადაბმა შეიძლება კატაფორულიც იყოს:

კირილემ კიდევ დიდხანს ილაპარაკა თავის ყოჩაღობაზე, ბევრი იტრაბახა თავის სიმარჯვეზე და მთელი გზა იმის ამბებში იყო, თუ სად რა ჩხუბი შეხვდომია, ვისთან რითი გათაყებულა და რა ვაჟკაცობა გამოუჩენია. (დ. კლდ.)

ამბებში არის კატაფორული ერთეული.

კორეფერენციული კავშირი შეიძლება ანაფორული ან კატაფორული მიმართების აგებით ეხებოდეს თვისებას, რაგვარობას, ხარისხს. ასეთ შემთხვევაში, ხშირად კორეფერენციული ერთეულის რეფერენტი შეიძლება იყოს მთელი ფრაზა, ან წინადადება, რომელიც მოცემულ თვისებას აღწერს, ან მოქმედების ვითარებას გადმოგვცემს. შესაბამისად, კორეფერენციული ერთეულია ზედსართავეები ან ზმნიზედები, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება სრულმნიშვნელობიანი ზედსართავეები და სრულმნიშვნელობიანი ზმნიზედები, არამედ ისეთი არასრული სიტყვებია, რომლებიც ტრადიციულად ზედსართავ სახელებსა და ზმნიზედებს მიეკუთვნება, მაგრამ რომელთაც „ცარიელი“ „ფუნქციური“ მნიშვნელობა აქვთ. ასეთი სიტყვების ინტერპრეტაცია ხდება, როგორც ჩვეულებრივ, — ტექსტის სხვა მონაკვეთში, ეს ზედსართავეები და ზმნიზედებია: ასეთი, ამგვარი, ასეთნაირი, სხვანაირი; ასე, ისე, ასეთნაირად, ამგვარად, სხვანაირად და ა.შ. ეს სიტყვები ისეთივე ფუნქციებს ასრულებს ტექსტში, როგორც სხვა არასრული ერთეულები. განვიხილოთ მაგალითები:

— დაეჩუძდეთ და ვიაროთ ასე, — ჩვენც დაეჩუძდით და ასე მივდიოდით კარგა ხანს (რ.ინან.)

ანაფორულ კორეფერენციულ მიმართებას ქმნის არასრული სიტყვა ზმნიზედა ასე: როგორ? — ასე, კერძოდ, დაჩუძებულად. ანტიციკლენტს წარმოადგენს ვითარების რაგვარობა.

რათა ხარ ეგეთი დედაკაცი? რად გეჯავრება სტუმარი?
(რ.ინან.)

ეს კატაფორული კორეფერენციაა, კორეფერენციული ერთეულია ეგეთი (ზედსართავი), რომელიც იქვეა ახსნილი: ისეთი, ვისაც სტუმარი ევადრება.

— აბა თქვენ როგორ ცხოვრობთ? — ისე, უბრლოდ, ერთი დიდი ფარდაგი გვაქვს, გავშლით ძირს და ეკოტრიალობთ ყველანი... (რ.ინან.)

კითხვაზე როგორ ცხოვრობთ, პასუხია ზმნიზედაც და შემდეგ მისი განმარტება — დიდ ფარდაგს გავშლით და ეკოტრიალობთ. — აქ კატაფორული კავშირია ისე ზმნიზედასა და მის განმარტებას შორის.

მაინც ასე ეჩვენება, რომ მის მიერ გამოვლილი უღიმღამო დღეების ფონზე მხოლოდ ის ერთი დღე ბრწყინავს სხვანაირად... ბრწყინავს ღამეულ უდაბნოში ჩარჩენილი შუშის ნამსხვრევივით. (რ.ინან.)

ასე — ერთი დღე ბრწყინავს სხვანაირად; სხვანაირად — ღამეულ უდაბნოში ჩარჩენილი შუშის ნამსხვრევივით.

აქ შორი კატაფორული კორეფერენციული კავშირია ზმნიზედებით შექმნილი: ასე ეჩვენება — კორეფერენციაა, რომელიც აიხსნება რომ კავშირით შემოტანილი წინადადებით — მხოლოდ ერთი დღე ბრწყინავს სხვანაირად. სხვანაირად — ესეც ზმნიზედური კორეფერენციის შექმნელია რაგვარობის გადმომცემელ ფრაზასთან, ბრწყინავს სხვანაირად, როგორ? როგორ და — განმარტება: ღამეულ უდაბნოში ჩარჩენილი შუშის ნამსხვრევივით (აქ შედარებაც არის მოცემული).

3.2.9.

კორეფერენციით შექმნილი გადაბმის არსი არის, როგორც ენახეთ, რეფერენტის მნიშვნელობის ამა თუ იმ სახით გამეორება.

კორეფერენციის ერთეული სემანტიკურად მთლიანად დამოკიდებულია რეფერენტზე — იგი იმავე მნიშვნელობის მატარებელია, რა მნიშვნელობაც აქვს რეფერენტს. ამ აზრით

არასრული სიტყვების მნიშვნელობა მართლაც „ცარიელია“, სანამ არ შეივსება რეფერენტის ლექსიკური მნიშვნელობით. ჩვენს მიერ ანაფორული კავშირის მარტივ მაგალითში — აიღეთ სამი ვაშლი, ჩააწყვეთ ისინი ქეაბში, ისინი — ვაშლებია. ანტიცედენტი რომ იყოს კომში, ისინი იქნება კომში და ა.შ.

ამავე დროს, ნაცვალსახელები, რომლებიც ძირითადად ააგებენ გადაბმას ტექსტში, მეტ-ნაკლები ფორმით დაირთავენ რეფერენტის ფორმალურ, ფლექსიურ მაჩვენებლებსაც. ჩვენ ადრე ვთქვით, რომ არასრული სიტყვებისათვის ფორმის ფლექსიური ცვლა სრულიად არ არის დამახასიათებელი. მაგრამ კორეფერენციული გადაბმისა და სუბსტიტუციის დროს ასეთი „გადახრა“ გამოწვეულია იმით, რომ არასრული სიტყვა (ამ შემთხვევაში უმეტესად პირის ან განუსაზღვრელი ნაცვალსახელი) მხოლოდ რეფერენტის ლექსიკურ მნიშვნელობას კი არ იმეორებს, არამედ წინადადებაში იმ სინტაქსურ ფუნქციასაც შეასრულებს, რასაც შეასრულებდა ჩანაცვლებული სრულმნიშვნელობიანი სიტყვა. ნაცვალსახელების მიერ ფლექსიური ფორმების მიღება გამოწვეულია მათ მიერ სინტაქსური ფუნქციის აუცილებელი შესრულებით. ამ შემთხვევაში რეფერენტის წინა სინტაქსური ფუნქცია კი არ მეორდება, არამედ ეს სწორედ ახალი სინტაქსური ფუნქციაა, რომელსაც მოცემული წინადადება მოითხოვს.

სხვადასხვა ენაში ნაცვალსახელები ფორმის ცვლის სხვადასხვა სისრულით ხასიათდებიან. ინგლისურში, მაგალითად, პირის ნაცვალსახელში უფრო არის შემორჩენილი ფლექსიური ფორმები, ვიდრე არსებით სახელში. ნაცვალსახელს აქვს ე.წ. „ობიექტის ბრუნვა“, მაგალითად: *I — me, we — us*; ან: *he — him, she — her, they — them*.

წინადადებაში *The teacher is giving John a difficult exercise* სრულმნიშვნელობიანი სიტყვების გადასმას და მათი სინტაქსური ფუნქციის შეცვლას შედეგად არ მოყვება ამ სიტყვების ფორმის ცვლა: *John is giving the teacher a difficult exercise* ნაცვალსახელების შემთხვევაში კი ორი სხვადასხვა ფორმა გვაქვს იმის მიხედვით, თუ წინადადების რა წევრია ნაცვალსახელი: *She is giving him an exercise* და *He is giving her an exercise*.

რუსულში პირის ნაცვალსახელს სრული ფლექსიური მახასიათებლები აქვს: *мы(უმ.), меня(под.), тебе(дам.), меня(суш.), тобой(мс.), тебе(нред.)* (ბრუნვის ფორმების ნეიტრალიზაცია, რომელსაც აქ ვხედავთ, ზოგი არსებითი სახელის პარადიგმაშიც

ხდება). ქართულში კი, როგორც ვიცით პირის ნაცვალსახელის ბრუნება არ არის სრული.

ასეა თუ ისე, ნაცვალსახელი, რომელიც კორეფერენციულ დამოკიდებულებაშია არსებით სახელთან ტექსტში, გარდა სემანტიკური მახასიათებლის გამეორებისა, სინტაქსურ ფლექსიურ მახასიათებლებსაც იმეორებს საჭიროებისამებრ.

უფიქრობ, რომ ფლექსიური ფორმის ასეთი ცვლა, რაც განსაკუთრებით ახასიათებს პირის ნაცვალსახელებს, ჩვენებით ნაცვალსახელებს, საურთიერთო ნაცვალსახელებს და უკუქცევით ნაცვალსახელებსაც, მრავალ ენას აქვს (მაგ., გერმანულს, რუსულს). რუსულში გვაქვს: *мом* ჩვენებითი ნაცვალსახელის შემდეგი ფლექსიური ფორმები: *мом, мою, мою, мам, мам;* ასევე: *дам.: дыз дызу; вы. дыз дыза; тв.: дыз дызом; предл.: дыз дызе* და ა. შ. გერმანულში არტიკლები იღებენ ფლექსიურ ფორმებს. ფორმის ფლექსიური ცვლა არ მოქმედებს ნაცვალსახელთა ზოგად სტატუსზე ენაში. ისინი უდავოდ არასრული სიტყვებია. ზოგი ავტორი, მაგალითად ჩ. პირსი, მათ პირველ რიგში ასახელებს სიტყვა-ინდექსების შესახებ საუბრის დროს როგორც მაგალითს.

ამდენად, არ არის გასაკვირი ქართულში ასეთი მაგალითი გვქონდეს:

მე რამდენიმე ტარო გადამივარდა. სანამ იმათ მოვკრეფავდი, მამაც წამომეწია, ვედრო ჩამომართვა და იმან შეიტანა შინ. (რ.ინან.)

იმათ – დამატების მიცემითი ბრუნეა; *იმან* – მოთხრობითია.

შალიკო ღვინოს იღებდა და იმან დამიძახაო. დედა მაინც უარზე იყო, ხან ეს მოიმიზეზა, ხან ის. ხან რას მიუბრუნდა, ხან რას. (რ.ინან.)

ქვემოთ ცალკე შევაჯამებთ კორეფერენციისა და გადაბმის სხვა მოდელების სიღრმისეულ სემანტიკურ საფუძველს.

3.3. სუბსტიტუცია

3.3.1.

როდესაც მაგალითებს განვიხილავდით ლექსიკური გადაბმის შემთხვევაში, ვნახეთ, რომ ასეთი გადაბმის შექმნა ყოველთვის იდენტური ერთეულების გამეორებით არ ხდება. გადაბმა შეიძლება განხორციელდეს უკვე ნახსენებ სიტყვასთან მნიშვნელობით ახლო მდგარი ერთეულის შემოტანით, რომელიც იმავე ლექსიკური ჯგუფის წევრია, მაგრამ განსხვავებულია მოცემული სიტყვისაგან ძირითადად კონტექსტის კონკრეტული სემანტიკის გამო.

ერთ-ერთ ჩვენს მაგალითში იყო: „ძლივს წარმოსთქვა“, „ხმაჩაწყვეტილმა“ და „ისევ სიტყვა გაუშრა“, ხოლო მეორეს მხრივ — „მხიარულად შესძახა“, ასეთი ლექსიკური ერთეულები თუმცა მნიშვნელობით ერთმანეთის საპირისპირონი არიან, მაინც ქმნიან ტექსტში გადაბმას — ამ შემთხვევაში ორი ადამიანის ლაპარაკის სხვადასხვა მახასიათებლებია წარმოდგენილი.

ასე აიგება ერთგვარი ლექსიკური დამატებითობა და დაპირისპირება. ლექსიკურ გადაბმას ქმნიან, აგრეთვე, ერთმანეთის გამომრიცხველი და მაინც ჰომოგენური ლექსიკური ერთეულები: ბებია — ბაბუა; დილა — საღამო; ადგა — დაჯდა; შინ — გარეთ; გათენდა — დაღამდა; თეთრი — შავი; ფანქარი — კალამი და სხვა.

ამდავარადვე, არასრული სიტყვებით ტექსტში გადაბმის შემოტანა შეიძლება ემყარებოდეს არა იგივეობას, არამედ განსხვავებას. ასეთ შემთხვევაში არასრული სიტყვა მიგვიითითებს იმავე ცნებაზე ან ობიექტთა იმავე კლასზე, ოღონდ სხვა კონკრეტულ ერთეულზე. მაგალითად, შეიძლება ისევ „მაგიდაზე“ იყოს საუბარი, მაგრამ არა უკვე დასახელებულ, არამედ სხვა, განსხვავებულ — „ჩემს“ ან „მრგვალ“ მაგიდაზე.

იმავე კლასის განსხვავებული წევრის ასეთი ხმარება ტექსტის ერთსა და იმავე მონაკვეთში არის სუბსტიტუცია — ჩანაცვლება, გადაბმის შემოტანის კიდევ ერთი საშუალება.

ქვემოთ ვნახავთ, კერძოდ როგორ იქმნება სუბსტიტუციური კავშირები ტექსტში.

3.3.2.

სემანტიკური დაპირისპირების საფუძველს ყოველთვის ქმნის ორ დაპირისპირებულ მოვლენასა ან საგანს შორის რაღაც საერთო საფუძვლის არსებობა. ყველა ლინგვისტიკისათვის ცნობილია ნ. ტრუბეცკოის სიტყვები იმის თაობაზე, რომ დაპირისპირება მხოლოდ იმ თვისებებს კი არ ვარაუდობს, რომლებითაც ერთმანეთისაგან განსხვავდება ოპოზიციის წევრები, არამედ, აგრეთვე, იმ ნიშნებსაც, რომლებიც საერთოა ოპოზიციის ორივე წევრისათვის (19, 75).

ოპოზიციის საფუძვლის ასეთი განსაზღვრების შემდეგ ნ. ტრუბეცკოი განიხილავს ფონოლოგიურ ერთეულთა ე.წ. პრიატულ ოპოზიციებს. ცნობილია, რომ ასეთი დაპირისპირების წევრი ფონემები იმით ხასიათდება, რომ ყველა სხვა საერთო ნიშნების ფონზე ერთი დამაპირისპირებელი ნიშნით განსხვავდება ერთიმეორისაგან.

მსგავსი ვითარება შეიძლება აღმოჩნდეს სემანტიკური დაპირისპირების დროსაც.

როდესაც ვასახელებთ ობიექტებს, რომლებსაც ერთმანეთისაგან განვასხვავებთ ან რომლებსაც ერთმანეთს უპირისპირებთ, თავისთავად იგულისხმება, რომ ეს არის ერთგვაროვანი ობიექტები, ერთი სახის ობიექტები, ერთი სემანტიკური ჯგუფის ობიექტები. ვთქვათ *სპილოსა* და *ფანქრის* სემანტიკური დაპირისპირება რომ მოვინდომოთ, სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდებით. ანდა, ერთმანეთთან *ყურება* და *თოხნა* რომ დავაპირისპიროთ, არაფერი არ გამოგვივა. სამაგიეროდ, შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპიროთ *სიცილი* და *ტირილი* – ესენი, მართალია, საპირისპირო მნიშვნელობის პრედიკატებია, მაგრამ ორივეს მაინც მოეძებნება საერთო მნიშვნელობა – ორივე უშუალო ადამიანური ემოციის გამომხატველი სიტყვებია.

სუბსტიტუციით იქმნება სწორედ ასეთი დაპირისპირების, გამოყოფისა და გამოცალკევების სემანტიკა: ხდება ორი (ან მეტი) ერთეულის ერთმანეთისაგან გამოიჯვნა, ამ ერთეულების მნიშვნელობის მსგავსების, ერთი და იმავე ლექსიკური ჯგუფისადმი მიკუთვნების საფუძველზე. ესენი ერთი და იმავე სემანტიკური ჯგუფის სხვადასხვა შემთხვევებია და ტექსტითა და სიტუაციით დაკონკრეტებული ერთეულებია.

ასეთი ერთეულების ერთმანეთისაგან გამოიჯვნა მაშინაც ხდება,

როდესაც სუბსტიტუციით ხდება მათი ჩამოთვლით გამოცალკეება.

სუბსტიტუციის სიღრმისეული სემანტიკური აზრი არის ერთ სემანტიკურ ჯგუფში ცალკეული ერთეულების ერთმანეთისაგან გამოყოფა. სიღრმისეული სემანტიკური გამოთლიანების თვალსაზრისით, სუბსტიტუცია წარმოადგენს მნიშვნელობის გაერთიანებას დაპირისპირებისა და განსხვავებულობის ჩვენებით.

3.3.3.

სუბსტიტუციის მაგალითებს განვიხილავთ ინგლისური ენის მასალის მიხედვით, რამდენადაც ამ ენაში იგი სრული, ასე ვთქვათ, „სტუდენტური“ ფორმით არის წარმოდგენილი.

ა. ასეთი დაკავშირების არსია სიტყვათა დასახელებული სემანტიკური კლასიდან განსხვავებული ერთეულის შემოტანა ტექსტში;

Would you like this teapot? No, I want a square one.

გინდა ეს ჩაიდან? არა, მე მინდა ოთხკუთხა ეგ ზემპლარი.

(მაგალითი ეკუთვნის მ. ჰელიდისა და რ. ჰასანს)

რა მნიშვნელობა ჩნდება ტექსტში ასეთი მოდელით? – როგორ არა, მე ჩაიდან მინდა, მაგრამ არა ის, რომელსაც შენ მთავაზობ, არამედ სხვა, მეორე, ის რომელიც ოთხკუთხაა.

ბ. სუბსტიტუციას ხშირად შემოაქვს განუსაზღვრელობის მნიშვნელობა – წარმოდგენილია ახალი, განსხვავებული ერთეული, სულერთია რომელი, ოღონდ დასახელებული თავისებური თვისების მქონე. ამ დროს დასახელებულია ხოლმე განმასხვავებელი ნიშანიც – მინდა ჩაიდან, ოღონდ ოთხკუთხა. ვნახოთ სხვა მაგალითებიც:

The train was crowded, so I decided to catch a later one.

მატარებელი ხალხით იყო გაჭედილი, ამიტომ გადავწყვიტე მომდევნოში /მომდევნო „ცალში“ ჩავმჯდარიყავი.

The dress was too tight — I just wanted a looser one.

ეს კაბა მეტისმეტად ვიწრო იყო, მე მინდოდა უფრო
თავისუფალი (რამ.).

ახლა დასახელებულ საგანს ასეთ შემთხვევაში ახლავს განუსაზღვრელი არტიკლი — *one*.

განუსაზღვრელი *one* აღნიშნავს იმავე ლექსიკურ ერთეულს, ოღონდ ახალს, განსხვავებულს — *a looser one*. იგი, ერთის მხრივ, იხმარება ლექსიკური გამეორების თავიდან ასაცილებლად — რომ არ გექონდეს *a looser dress*, მეორეს მხრივ, მსაზღვრელთან ერთად ხმარების დროს *one* გვაჩვენებს განსხვავებას „ეგ ზემპლარებს“ შორის: *a later one, a looser one, a complicated one, a red one* და სხვ.

ზემოთ მოცემულ მაგალითში ჩაიდნის შესახებ შეკითხვაზე რომ იყოს პასუხი — *Yes, I want it* ან *No, I don't want it* (დიახ, ეგ მინდა, ან — არა, ეგ არ მინდა) ეს იქნებოდა ანაფორული კორეფერენციის შემთხვევა და პირის ნაცვალსახელი *it* მაშინ იგულისხმებდა სრულიად განსაზღვრულ ჩაიდანს, სწორედ იმას, რომელსაც გვთავაზობენ და *this teapot* ამ ნაცვალსახელით მეორედ გამეორდებოდა ტექსტში.

ზმნურ კონსტრუქციებში სუბსტიტუციური ჩანაცვლების როლს ასრულებს ე.წ. დამხმარე ზმნები, რომლებითაც იგულისხმება ზმნის ლექსიკის გამეორება, ხოლო დაპირისპირება იქმნება განსხვავებული ასპექტის, დროის, მოდლობის ჩვენებით.

დამხმარე ფორმალური ელემენტი დაპირისპირებას ქმნის მომავლის შინაარსთან სასრული, პერფექტული ასპექტის ჩვენებით.

Are you going to read it? — I already have.

— აპირებ ამის წაკითხვას? — უკვე წაკითხე.

ზოგ შემთხვევაში სუბსტიტუციით შემოდის განსაზღვრული ობიექტი. ეს ისეთი ვითარებაა, როდესაც უკვე ნახსენებ ობიექტს გარკვეულ, ერთ კონკრეტულ სხვა ობიექტს ვუპირისპირებ; მას ან განსაზღვრული არტიკლი ახლავს, ან ჩვენებითი ნაცვალსახელი:

— *Is that the end of the story?* — *asked Christopher Robin.*

— *That's the end of that one. — There are others.*

(*A.A.Milne*)

— ეს არის ამბის დასასრული? იკითხა ქრისტოფერ რობინმა.

— ეს არის ამ ამბის დასასრული. კიდევ სხვებიც არის.

ასეთი განსაზღვრული ობიექტი შემოდის ინგლისურ ტექსტში, აგრეთვე, როდესაც სუბსტიტუციას ქმნის კუთვნილებითი ნაცვალსახელების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც განსხვავებას და დაპირისპირებას, აგრეთვე განსაზღვრულობას გამოხატავს თავისი დამოუკიდებელი, საზღვრულის გარეშე მყოფი ფორმით. აი, მარტივი მაგალითები ლონგმენის ლექსიკონიდან:

This is our room, and yours is just opposite.

ეს ჩვენი ოთახია, ხოლო შენი (ცალი, ეგ ზემპლარი) პირდაპირაა.

My eyes are blue and yours are—green.

ჩემი თვალები ლურჯია, ხოლო შენი — მწვანე.

Yours, mine, hers, theirs არის კუთვნილებითი ნაცვალსახელები, რომლებიც კუთვნილების გარდა თავისივე თავში გულისხმობენ ადრე ნახსენებ არსებით სახელსაც; ეს ფორმები მნიშვნელობით ადეკვატურია: *your+one*, *my+one* და ა.შ. კუთვნილებისა და განსაზღვრულობის გარდა კუთვნილებითი ნაცვალსახელის ეს ფორმა თვით ლექსიკურ ერთეულს — ასეთივე ერთეულებისაგან განსხვავებულ ცალსაც მოიცავს. ვთქვათ, „ჩემი, შენი, ჩვენი“ კი არა, არამედ „მისი რამ“, — *hers*. „შენი რამ“ — *yours* და სხვა.

3.3.4.

სუბსტიტუცია თითქმის ყოველთვის *ენდოფორულია*, ე.ი. სუბსტიტუცია მოქმედებს ტექსტის შიგნით და დაპირისპირების საშუალებით გადააბამს მის ნაწილებს. შენაცვლება ეხება, როგორც წესი, ტექსტში უფრო წინ მოცემულ ელემენტს, როგორც ეს ჩვენს მაგალითებში ვნახეთ.

მაგრამ ზოგჯერ სუბსტიტუცია ტექსტის გარეთ არის მიმართული; მაშინ იგი ექსოფორულია და მისი ამოხსნა სიტუაციაში ხდება. ხშირად იქმნება ილუზია იმისა, რომ ესა თუ ის სიტყვა უკვე ერთხელ ნახსენებია ტექსტში, როგორც საერთოდ ცრუ გადაბმის დროს (34ა, 307).

მეთევზე ხედავს, როგორ ვათვალირებ მის ნადავლს და თუმცა არაფერს ვამბობ, მეუბნება:

„*Oh, but you should have seen the one that got away!*”

(ის ეგ ზემპლარი უნდა გენახათ, რომელიც ხელიდან გამისხლტა!), რითაც მომაწერს სიტყვებს: „*That's a good sized trout you have got here!*” — რა კარგი ზომის კალმახი დაგიჭერიათ? და ამ არარსებულ სიტყვებზე გამცემს პასუხს.

სუბსტიტუციით არის შემოტანილი განსაზღვრული ერთეული *the one* — „ის, რომელიც“. საინტერესოა, რომ ის კალმახი, რომელიც თითქოს ხელიდან გაუსხლტა მეთევზეს, საერთოდ არ არსებობს ტექსტში და, იქნებ, არც რეალურ სამყაროში, მაგრამ იგი მოცემულია როგორც განსაზღვრული არსებითი სახელი, რამდენადაც მეთევზის მიერ გამოგონილ და მის მიერ მსმენელისათვის რეალურად წარმოდგენილ ვითარებაშია მოცემული.

საინტერესოა, აგრეთვე, ასეთივე ექსოფორული სუბსტიტუციის მაგალითი, რომელიც ტექსტის გარეთ არსებულ საგნებს კი არ უკავშირდება, არამედ მოლაპარაკისა და მსმენელისათვის საერთო აზროვნებით კატეგორიებს, ერთნაირი განზოგადების უნარს, და გარკვეულად იმპლიციტურ ხასიათს ატარებს.

— *Excuse me, can you tell me the way to the bank?*

— *Oh, that's a hard one, it is either the second or the third road on the left.*

— უკაცრავად, ბანკამდე გზას ხომ ვერ მიმასწავლიდით?

— ო, ეს რთული „რამეა“ — იგულისხმება, რთული შეკითხვაა — მეორე ან მესამე ქუჩა მარცხნივ.

დავამატებთ ექსოფორული ელიფსის მაგალითს ქართულიდან:

(მყიდველი დგას დახლთან, საზამთროს ყიდვა უნდა.

გამყიდველი ეკითხება):

„ერთი გინდა თუ ორი?“

გამოტოვებული შემადგენლები — საზამთრო — სიტუაციის საშუალებით აღდგება.

3.3.5.

ვნახეთ, რომ სუბსტიტუცია კორეფერენციისაგან განსხვავებით თითქმის ყოველთვის რაღაც უარყოფას და დაპირისპირებას გულისხმობს ან ექსპლიციტურად გამოხატავს მას.

მანანა მე ვერ მიშველის, სხვა ვინმე მოვიდეს.

ეს სურათი არ მომწონს, სხვა რომელიმე მაჩვენე.

მაგრამ ეს არ არის ყოველთვის აუცილებელი — ზოგჯერ ხდება ერთი და იმავე ლექსიკური კლასის სხვადასხვა ერთეულების უბრალო ჩამოთვლა:

I would like to buy two handkerchiefs: this blue one and that checked one.

მინდა ორი ცხვირსახოცი ვიყიდო: ეს ლურჯი (ცალი) და ეს უჯრებიანი (ცალი).

ასეთია შემდეგი მაგალითიც:

მოველოდით, რომ მღვდელი ლოცვას და ასეთ რაღაცეებს მოჰყვებოდა, მაგრამ მან ფართოდ, სიხარულით გაიღიმა, ახალგაზრდა ბიჭს ბეჭებზე ხელი მოხვია, წინ წამოაყენა და გუგუნა ხმით დაიძახა:

— როგორია, ჰა, როგორია! (რ.ინან.)

ველოდით, რომ მღვდელი ლოცვას და სხვა ამდაგვარ რაღაცეებს მოჰყვებოდა – იმას რაც მისგან იყო მოსალოდნელი, მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია – გაიღიმა და წამოიძახა და სხვ. სხვა ასეთი რაღაცეები არის სუბსტიტუციური ელემენტი.

რატომ იზიდავს ადამიანის თვალს ასეთი რამეები: მზის ამოსვლა, პირველი ფიფქის გამოჩენა? (რ.ინან.)

ეს არის კატაფორული სუბსტიტუციის მაგალითი – კვლავ დაპირისპირების გარეშე ჩამოთვლილია ერთი და იმავე სემანტიკური ჯგუფის სხვადასხვა მოვლენა.

3.3.6.

სუბსტიტუციასა და კორეფერენციას შორის განსხვავებებიც არის და მსგავსებაც.

ა. მათ შორის და, აგრეთვე, ლექსიკურ გადაბმას შორის მსგავსება ის არის, რომ ორივე ამა თუ იმ სახის გამეორებას წარმოადგენს. ისინი იმეორებენ ტექსტის წინა მონაკვეთში დასახელებულ ერთეულს. ოღონდ კორეფერენციის (ანაფორისა თუ კატაფორის) შემთხვევაში ეს არის იდენტური ერთეულის გამეორება, ხოლო სუბსტიტუცია ერთგვარად უფრო ზოგადი სახის გადაბმაა – იგი იმეორებს ლექსიკური ერთეულის კლასის დასახელებას განსხვავებული ერთეულის მითითებით.

ნუ მიაბზობ ასეთ საშინელ ამბებს, მე უფრო კარგი ამბები მაქვს შენთვის მოსაყოლი. (ლექსიკური გადაბმა).

ნუ მიაბზობ ასეთ საშინელ ამბებს. ეგენი ცულ ხასიათზე მაყენებს. (ანაფორული კორეფერენცია).

ნუ მიაბზობ ასეთ საშინელ ამბებს, მე უფრო კარგ რამეებს მოგიყვები. (სუბსტიტუცია).

ბ. ორივე განსხვავდება ყველაზე მარტივი გადაბმის საშუალებისაგან – ლექსიკური გადაბმისაგან იმით, რომ როგორც კორეფერენცია, ისე სუბსტიტუცია ფორმალურად გამოიხატება არასრული სიტყვებით. კორეფერენციისა და სუბსტიტუციის აგება ხდება უპირველეს ყოვლისა ე.წ. „ნაცვალი“ ფორმებით, რომლებიც სწორედ ლექსიკურ გამეორებას აკვაცილებენ თავიდან და ტექსტს უფრო კომპაქტურს ხდიან.

გ. კორეფერენციის დროს, როგორც ენახეთ, ანაფორული ან კატაფორული ერთეულები განსაზღვრულობას იძენენ, მოცემული ერთეულის პირველი დასახელება კი არის განუსაზღვრელი, ახალი ერთეული. ეს გამოიხატება კიდევ განუსაზღვრელი და განსაზღვრული არტიკლების ხმარებით; ან, ქართულში, მაგალითად, არასრული სიტყვით *ერთი*, ხოლო მეორეს მხრივ – ნაცვალსახელებით *ეს*, *ჩემი* და *სხვ.* მაშასადამე, სწორედ გამეორების საფუძველზე განუსაზღვრელი ფორმიდან ვიღებთ თემატიზაციით უკვე ცნობილ, განსაზღვრულ ფორმას.

სუბსტიტუციის დროს, პირიქით, ხშირად შემოდის ახალი, განუსაზღვრელი ფორმა, რადგან სემანტიკა ასეთია: არა ეს, განსაზღვრული რამ, რომელსაც მაჩვენებთ, არამედ სხვა, ახალი: ძველი ერთეულის ჩანაცვლება ხდება ახლით ე.ი. წინა მონაკვეთის თემა მომდევნოში გადაიქცევა რემად – ახალ ინფორმაციად.

My axe is blunt, I must get a sharper one.

ჩემი ნაჯახი ბლაგვია, უნდა ვიშოვნო უფრო მჭრელი
(„ცალი“)

My axe არის განსაზღვრული ერთეული, ხოლო სუბსტიტუციით მიღებული *a sharper one* არის განუსაზღვრელი – იქნებ სულ ერთიც იყოს ვისია, ან რომელია, ოღონდ მჭრელი ნაჯახი ვიშოვნო. (სულ ერთია, რომელი ჩაიდან იქნება, ოღონდ მრგვალი არ იყოს).

ასეთივე მაგალითია:

I don't want to see Nick. Let someone else come.

არ მინდა ნიკის ნახვა. ვინმე სხვა მოვიდეს.

განსაზღვრული *Nick*-ი მოლაპარაკისათვის ერთ-ერთი ნაცნობი პირია, იგი არ არის ამჯერად სასურველი სანახავე. ვინმე სხვა მოვიდეს, სულ ერთია, ვინ, მაგრამ არა ნიკი. განუსაზღვრელობა აქ გამოიხატება შესაბამისი ნაცვალსახელით *someone*.

ახალი განუსაზღვრელი ერთეული იქმნება იმით, რომ გამეორების დროს განუსაზღვრელ ნაცვალსახელს ემატება მსაზღვრელი. იქმნება ენდოცენტრული კონსტრუქცია, რომლის ცენტრიც არის განუსაზღვრელი ნაცვალსახელით გამოხატული ობიექტის გამეორება, რომლის განმასხვავებელი, მაპირისპირებელი და ახალი ნიშანი გადმოიცემა ახალი მსაზღვრელით. მსაზღვრელი გამოხატავს სწორედ იმ ახალ მოთხოვნას, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს სხვადასხვა „ეგზემპლარებს“, როგორც ეს ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს.


აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სუბსტიტუციის დროს შესაძლებელია, რომ ამოსავალი დასახელებაც და სუბსტიტუციური ელემენტიც განსაზღვრული იყოს – მაშინ ამ უკანასკნელთან იხმარება განსაზღვრული არტიკლი, ჩვენებითი ან კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

დ. ანაფორული ან კატაფორული კავშირებით შეიძლება მოხდეს შესიტყვების პერიფერიული ელემენტის გამეორებაც. მაგალითად:

მოგწონს ეს ჭრელი კაბა? — სწორედ ასეთი კაბები მომწონს.

ასეთი ანაფორული არასრული სიტყვის ანტიციდენტს წარმოადგენს მსაზღვრელი ჭრელი.

ე. სუბსტიტუციის დროს განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მაგივრად თავისუფლად შეგვიძლია ჩავსვათ შესაბამისი ლექსიკური ერთეული:

My axe is blunt, I must get  *a sharper one*
a sharper axe

ორივე წინადადება სრულყოფილია.

კორეფერენციის დროს ასეთი ჩანაცვლება ვერ ხერხდება:

მოგწონს ეს კაბა? — სწორედ ეგ მომწონს.

— სწორედ კაბა მომწონს. (არაადეკვატური პასუხია).

ნიკოს ჰგონია, რომ მისი შვილი უდანაშაულოა.

ნიკოს ჰგონია, რომ ნიკოს შვილი უდანაშაულოა.

მეორე მაგალითში იქმნება ერთგვარი გაუგებრობაც, თითქოს ორ სხვადასხვა ნიკოზეა საუბარი. კორეფერენციული ერთეულის ხმარება ერთგვარად აუცილებელიც კი არის ამ შემთხვევაში.

მაგრამ ზოგჯერ სწორედ რეფერენციის ანტიცედენტის გამეორება მოხსნის ორაზროვნებას. გავიხსენოთ ჩვენი მაგალითი:

„დინამო“ ეთამაშებოდა „არარატს“. იმათ მოიგეს.

გაუგებარია, რომელთა ანტიცედენტი — „დინამო“ თუ „არარატი“. როცა გავიმეორებთ რეფერენტს, გამონათქვამი ცალსახა მნიშვნელობას შეიძენს:

„დინამო“ ეთამაშებოდა „არარატს“, „არარატმა“ მოიგო.

3.3.7.

ქართულში სუბსტიტუციურ მოდელს ერთგვარად უფრო „აბსტრაქტული სახე აქვს“. განვიხილოთ მაგალითი.

მგელს შიოდა და გოჭების შეჭმას აპირებდა, მაგრამ თან უფრო გემრიელი გოჭები უნდოდა.

სუბსტიტუციური მოდელი აქ მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს. მაგრამ: თან უფრო გემრიელი რამეები (რაღაც) უნდოდა, რასაც ერთბაშად ზოგადი მნიშვნელობა შემოაქვს: რამეები გოჭების

ჩანაცვლებას კი არ წარმოადგენს, არამედ საჭმელის, მიუხედავად იმისა, რომ ჩამნაცვლებელ ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვის ფორმა აქვს ჩასანაცვლებელი გოჭები-ვით. თან უფრო გემრილი რამეები უნდოდა ნიშნავს: გოჭებზე უფრო გემრიელი საჭმელი უნდოდა. ქართულში სუბსტიტუციით თითქოს ორმაგი დაშორება იქმნება ჩასანაცვლებელი სიტყვისაგან: რამეები სხვა გოჭები კი არ არის (რაც სუბსტიტუციით ჩვეულებრვ შინაარსს წარმოადგენს), არამედ საერთოდ სხვა ობიექტია, შესაჭმელი გოჭების ზოგადი ლექსიკური კლასის, მისი კიპონიმის ჩამნაცვლებელია.

ასეთივე ვითარებაა რუსულშიც:

Волк собирался съесть поросенка, но ему хотелось чего-нибудь более вкусного.

ინგლისურში სუბსტიტუცია *one*-ით კონკრეტულ, სხვა ცალ საგანს არ ცდება.

The wolf was going to eat the pig, but he wanted a more tasty one.

ქართული მაგალითის მნიშვნელობა ინგლისურად ასე გადმოიციება:

The wolf was going to eat the pig, but he wanted something more tasty.

კონკრეტული *one*-ს ნაცვლად განუსაზღვრელი ნაცვალსახელია *something*, რომლის მნიშვნელობაც სხვაა.

ამგვარად, ქართულში სუბსტიტუციას უფრო ზოგადი სახე აქვს. აქ სულ არ ხდება წინამავალი ერთეულის გამეორება. ახალი მსაზღვრელის ნაცვლად იხმარება განუსაზღვრელი

„სხვა“, ხოლო სუბსტიტუციური გამეორება ხდება განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით: რაიმე, ვინმე, რომელიმე... მაშასადამე მივიღებთ: სხვა რაზე, სხვა ვინზე, სხვა რომელიმე, სხვა რაღაც და ა.შ. დაპირისპირებას გამოხატავს განუსაზღვრელი ნაცვალსახელი სხვა, ხოლო მომდევნო ერთეულების მნიშვნელობა უფრო ზოგადია, ვიდრე ჩასანაცვლებელი ერთეულისა.

მაგალითად:

მოდი რა, სხვა ვინზე ვილაპარაკოთ — ნიშნავს, ნუ ვილაპარაკებთ, ვთქვათ, ჩვენს უფროსზე, სხვა ადამიანზე ვისაუბროთ.

გთხოვ, სხვა რაზე დამისხი ჩაი — ნიშნავს, ამ ჭიქაში ნუ მისხამ, სხვა ჭურჭელში — ფინჯანში, ფილაში დამისხი და ა.შ.

ამდენად, სუბსტიტუციის გავრცელებული მოდელი ქართულში ერთდროულად განმაზოგადებელია და იმპლიციტური. იმპლიციტურია ასეთი სუბსტიტუცია, რამდენადაც ჩანაცვლებით წარმოდგენილი მნიშვნელობა მხოლოდ იგულისხმება. ეს იმპლიციტური მნიშვნელობა ერთნაირად არის გასაგები მოლაპარაკისთვისა და მსმენელისთვისაც.

ამ დაკმუჭნულ ცხვირსახოცს ვერ წაეუღებ, ლამაზი რაზე უნდა ვიშოვნო. იგულისხმება უკეთესი საჩუქარი, ამდენად დაპირისპირებითი გამეორება ისევ იმპლიციტურია და ზოგადი სახის.

მაგალითები ლიტერატურიდან:

მაგრამ მამამ აჩჩემა: ოღონდ სირბილიაანთ მიხა ნუ იქნება და სხვა ვინც უნდა იყოსო, თუნდ თათარიო, თუნდ ოსიო და თუნდაც ჯანდაბაო. (მიხ.ჯავ.)

სხვა ვინც უნდა გულისხმობს სხვა ადამიანს ან სხვა სიძეს (სირბილიაანთ მიხას ჰიპონიმი); ოღონდ ეს კაცი ნუ გახდება ჩემი სიძე და სხვა სულერთია, სხვა ვინც უნდა იყოსო, და ჩამოთვლილია მისთვის მიუღებელი კანდიდატურებიც კი, მათ შორის ჯანდაბა, რომელთაც ამჯობინებს სირბილიაანთ მიხას.

ასეთივეა ადრე მოტანილი მაგალითი მღვდლის მოულოდნელი საქციელის შესახებ. ყველას ეგონა რომ ის ლოცვას და ასეთ რაღაცეებს მოყვებოდა — ასეთ რაღაცეებში იგულისხმება ისევ ჰიპონიმი — მღვდლისათვის ჩვეული ქმედებები — ლოცვა, წირვა, ფსალმუნის კითხვა, კურთხევა და ა.შ.

ესეც ძველი რევოლუციონერი, ნაციმბირალი და სხვა მრავალი ღირსებით შემკული კაცი იყო. (ლ.ქ.)

აქ სუბსტიტუცია ხდება სიტყვით ღირსება, რაც ყველა წინა მაგალითისაგან განსხვავებულ ვითარებას ქმნის: ის ჰიპონიმი, რომელიც განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით იგულისხმება წინა მაგალითებში, აქ ექსპლიციტურად არის დასახელებული; ამასთანავე ღირსებები (როგორც არის რევოლუციონერი, ნაციმბირალი), ოღონდ სხვა. ამ მაგალითში დაპირისპირება არ არის მოცემული — მხოლოდ ჩამოთვლილია ყველასათვის ცნობილი სხვადასხვა ღირსება. ნაცვალსახელური სუბსტიტუცია იქნებოდა: ... და სხვა რამეებით შემკული ...

სუბსტიტუციას შეიძლება ქართულში სხვა სახეც ქონდეს რამ/რამე ან ვინმე ნაცვალსახელების გამოყენებით შექმნილი.

— მაგ ექიმს ანდე ავადმყოფი? უკეთესი ვინმე ვერ მიუყვანე?

აქ ზუსტად ისეთივე ფორმაა, როგორც ამ მხრივ „კლასიკურ“ ინგლისურში. სუბსტიტუციის დროს ვინმე გულისხმობს ექიმს, რომელიც სულ არ არის ნახსენები შეკითხვაში.

— რაფაელის სურათები არ მომწონს, ბოტიჩელის რამე მაჩვენე და ა.შ.

რამე, ე.ი. სურათები. შეიძლება ასეც იყოს:

— არ მომწონს რაფაელი. ბოტიჩელის რამე მაჩვენე.

რამე კვლავ სურათებს ნიშნავს, ოღონდ იმპლიციტურად.

3.3.8.

ქართულში ძალიან ხშირად ხდება სუბსტიტუციის ნაცვლად ელიფსის ხმარება. ამ დროს შესიტყვების ცენტრი საერთოდ გამოტოვებულია და ელიფსი სუბსტიტუციის ერთგვარ ნულოვან საფეხურად წარმოგვიდგება.

ინგლისური მაგალითების ანალოგიურია:

ჩემი ნაჯახი დაბლაგვდა, უფრო მჭრელი (—) მინდა.

(აქ ინგლისურში აუცილებლად იხმარება განუსაზღვრელი ნაცვალსახელი *one*)

ქართულში ძალიან კარგად ჩანს, რომ სუბსტიტუცია და ელიფსი ერთი და იმავე რიგის მოვლენებია. საზოგადოდ, ელიფსი შეეხება კონსტრუქციის ცენტრს, მაგალითად, სახელურ ფრაზაში ამოვარდება სახელი (საზღვრული), ხოლო პერიფერიული ელემენტი (მსაზღვრელი) რჩება. ინგლისურში სუბსტიტუციის დროს არსებითი სახელის ნაცვლად წარმოდგენილი გვაქვს ხოლმე რომელიმე ნაცვალსახელი (*one, so, such* და მისთ.). ან ზმნური კონსტრუქციის შემთხვევაში სუბსტიტუციური ელემენტია დამხმარე ზმნა (*do, have, will* და სხვა). ელიფსის შემთხვევაში ხდება ამ შემნაცვლებლების გამოტოვება.

შინდს ორი კარგი ჯოჯი ავაჭერი; ერთი (—) ლიტასათვის, მეორე (—) — ჩემთვის. (რ.ინან)

ქართულში, ამ მაგალითის მსგავსად, სახელად ჯგუფში უმეტესად წარმოდგენილია ელიფსი, რადგან მსაზღვრელთან არ არის მოცემული საზღვრული წევრის შემცველი ნაცხვალსახელი ან ზმნა.

განვიხილოთ ერთი მაგალითი:

იმდროინდელი სტუდენტობა სრულიად არა ჰგავდა დღევანდელისას. (აკაკი)

აქ, ერთი შეხედვით, ელიფსია წარმოდგენილი, მაგრამ გამოტოვებული წევრის ისეთი თავისუფალი „დაბრუნება“, როგორც ეს საზოგადოდ ხდება ელიფსის დროს, ამ შემთხვევაში შეუძლებელია: **არა ჰგავდა დღევანდელისას დღის სტუდენტობას.*

ეს იმიტომ, რომ ასეთი ელიფსი თავისებურია: საზღვრულის ფლექსიური მაჩვენებლები – ბრუნვა და რიცხვი, ელიფსის დროს მსაზღვრელშია გამოხატული.

ასეთი ელიფსი, თავისებურად გარდამავალია სუბსტიტუციასა და სრულ ელიფსს შორის, რადგანაც მსაზღვრელს ემატება გამოტოვებული ცენტრის ფლექსიური მაჩვენებლები, რომლებიც მას არ სჭირდება სრულ კონსტრუქციაში. ამგვარად უბრალო გამოტოვება კი არ ხდება, როგორც ჩვეულებრივად ელიფსის დროს, არამედ ნაწილობრივი – საზღვრული წევრის გრამატიკული მახასიათებლების დამატებით მსაზღვრელისათვის. შესიტყვების გამოტოვებული წევრის დაბრუნება ვერ მოხერხდება, თუ არ მოვახდინეთ გარკვეული ცვლილება – ჩამოვაცილეთ აფიქსები მსაზღვრელს.

ზემოთ მოტანილ მაგალითში მსაზღვრელს ორი აფიქსი აქვს – ნათესაობითი ბრუნვის – *-ისა* და მიცემითი ბრუნვის – *-ს*, რომლებიც ორი ამოღებული სიტყვის *დღის სტუდენტობას* დამატების შემთხვევაში მას უნდა მოსცილდეს და ამ სიტყვებს დაუბრუნდეს:

იმდროინდელი სტუდენტობა სრულიად არა ჰგავდა დღევანდელი დღის სტუდენტობას.

ასე მოხდება სრული წინადადების აღდგენა.

3.3.9.

ქვემოთ განვიხილოთ გადაბმის სხვადასხვა სახეები ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე ტექსტის მასალაზე:

ა. This is a fine hall you have here. I'm proud to be lecturing in this hall.

მშვენიერი დარბაზი გქონიათ. მეამაყება ლექციების კითხვა ამ დარბაზში, — ლექსიკური გადაბმა

ბ. *This is a fine hall you have here. I'm proud to be lecturing in it.*

მშვენიერი დარბაზი გქონიათ. ვამაყობ, რომ აქ (მასში) წავიკითხავ ლექციებს. — ნაცვალსახელური ანაფორული კორეფერენცია, *it* განსაზღვრული დარბაზია.

გ. *This is a fine hall you have here. I've never lectured in a finer one.*

მშვენიერი დარბაზი გქონიათ. არასოდეს წამიკითხავს ლექცია უკეთეს დარბაზში (უკეთეს აგილას). ქართულში ჰიპონიმი შეიძლება იყოს: „ადგილას“ (ინგლისურ მაგალითში სუბსტიტუციაა, *one* განუსაზღვრელი ნაცვალსახელია).

დ. *This is a fine hall you have here. I've never lectured in a finer.*

მშვენიერი დარბაზი გქონიათ. არასოდეს წამიკითხავს ლექცია უკეთესში (ელიფსი).

(ინგლისური მაგალითი ეკუთვნით (34, 146)).

აქ კარგად ჩანს, რომ გადავდივართ გადაბმის სრული ლექსიკური სახიდან ცენტრალური წევრის გამოტოვებამდე — ელიფსამდე. გარდამავალი შემთხვევებია *it* ნაცვალსახელით წარმოდგენილი კორეფერენცია და განსხვავების მაჩვენებელი *one* ნაცვალსახელიანი სუბსტიტუცია. გადაბმის ოთხივე სახე გარკვეული „კლების“ მიხედვით არის ზემოთ წარმოდგენილი.

3.4. დაკავშირება

3.4.1.

ქვემოთ ვისაუბრებთ გადაბმის იმ სახეზე, რომელსაც საკომუნიკაციო აქტის დროს ძირითადად ახორციელებს ტრადიციული მეტყველების ნაწილი — კავშირი.

კავშირი მიუთითებს იმ სემანტიკურ და ლოგიკურ მიმართებებზე, რომლებითაც ერთმანეთთან გადაიბმება ტექსტის შემადგენელი ნაწილები.

უნდა ითქვას, რომ ამ გადაბმის სახელწოდება — კავშირი —

არღვევს გადაბმის ზემოთ განხილულ სახეთა დასახელების კანონზომიერებას.

წლექსიკური გადაბმა ვუწოდეთ ისეთ გადაბმას, რომლის დროსაც მეორდება თვით ლექსიკური ერთეული, ან მისი გამეორება ხდება სინონიმური სიტყვით. კორეფერენციის სემანტიკური საფუძველია ორი ერთეულის იდენტური რეფერენცია. სუბსტიტუციას ვუწოდებთ გადაბმის ისეთ შემთხვევას, როდესაც ტექსტის ნაწილების გადაბმა ხდება მოცემული სიტყვის ჩანაცვლებით იმავე ლექსიკური ჯგუფის სხვა ერთეულით. მაშასადამე, ტერმინები შეირჩევა სემანტიკური მახასიათებლების საფუძველზე. 7

გამონათქვამის ნაწილების ერთმანეთთან ლოგიკურ-სემანტიკური დაკავშირებისათვის ტერმინის შემოტანის დროს ამჯერად ვასახელებთ მეტყველების ნაწილს, რომლის პრიორიტეტიც არის ასეთი გადაბმის განხორციელება. ე.ი. ამჯერად იმას აღვნიშნავთ, თუ რა სიტყვით ხორციელდება ძირითადად ეს გადაბმა. ეს არის ამ ტიპის გადაბმის ფორმალური განსაზღვრება.

მაგრამ, ამავე დროს, ენის სისტემაში თვით ამ მეტყველების ნაწილის დასახელებაც — კავშირი მოტივირებულია გამონათქვამში სწორედ სემანტიკური დაკავშირების ფუნქციის შესრულებით ამ სიტყვის მიერ. ეს ტერმინი აღნიშნავს მოცემული არასრული სიტყვის სემანტიკურ ფუნქციას წინადადებათა გადაბმის დროს — სხვა მეტყველების ნაწილთა აღმნიშვნელი ტერმინები სხვა საფუძველზე აირჩევა.

ამიტომ, ასეთ შემთხვევაში მეტყველების ნაწილის სახელის გამოყენება ლოგიკურ-სემანტიკური გადაბმის აღსანიშნავად თითქოს ერთის მხრივ გამართლებულიც კი არის, რადგანაც სემანტიკური ფუნქციის აღმნიშვნელი ტერმინი კავშირი ზუსტად ასახავს იმ ზოგად სემანტიკურ პროცესს, რომელსაც თვითონვე ააგებს გამონათქვამში.

მაშასადამე, ტერმინი კავშირი ერთის მხრივ, აღნიშნავს მეტყველების ნაწილს, რომელიც გარკვეული სახის გადაბმას ახორციელებს ტექსტში. მეორეს მხრივ კი, ასახელებს თვით გადაბმას — ამ შემთხვევაში ორი მონაკვეთის ერთმანეთთან სემანტიკურ დაკავშირებას.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ერთი და იმავე ტერმინის — კავშირი ხმარება ორ სხვადასხვა შემთხვევაში ზოგჯერ უსიამოვნო გაუგებრობას ქმნის: ხშირად ჭირს მსჯელობის დროს მეტყველების

ნაწილსა და სემანტიკურ პროცესს შორის გავაკეთოთ განსხვავება. ინგლისურ ტერმინოლოგიაში განარჩევენ ერთმანეთისაგან *connection* ან *conjunctive relation* ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ – *conjunction* (კავშირი, როგორც მეტყველების ნაწილი).

გადაწყვეიტით, სირთულის თავიდან ასაცილებლად ქართულად სემანტიკური კავშირის აღსანიშნავად ვიხმაროთ განსხვავებული ტერმინი – დაკავშირება და ამით გავაცალკევოთ სემანტიკური პროცესი მეტყველების ნაწილისაგან. ტერმინების ასეთი გამოცალკეება მით უმეტეს, საჭიროა, რადგანაც დაკავშირების სემანტიკურ ფუნქციას ასრულებენ არა მარტო სიტყვა-კავშირები, არამედ ნაცვალსახელები, ზმნიშედლები, ნაწილაკები.

3.4.2.

არსებობს ელემენტარული ლოგიკური მიმართებანი, რომლებიც იმთავითვე დამახასიათებელია ბუნებრივი ენისათვის. ეს მიმართებანი, რა თქმა უნდა, ადამიანის გამოცდილებიდან მომდინარეობს და იმ სოციოლინგვისტურ მიმართებებისა და სამყაროს მოდელის ანარეკლია, რომელიც უთვალავ თაობათა განმავლობაში ჩამოყალიბდა კომუნიკაციის პროცესის დროს. ეს მიმართებები ასახულია ლინგვისტურ სტრუქტურაში კავშირების სხვადასხვა ტიპით.

ზემოთქმულის საფუძველზე მ. ჰელიდგი და რ. ჰასანი განიხილავენ დაკავშირების ძირითად ოთხ ტიპს (34, 242-243).

წინასწარი მასალის სახით ქვემოთ მოვიყვანოთ ამ დაკავშირებების ნუსხას და მათ სავარაუდო მარკერებს ქართულში:

ა. ადიტიური ტიპი. ქვეტიპებია:

ადიტიური – და, მაგრამ, -ც, ბარემ.

უარყოფითი – არც, არ; არც... არც, ვერც... ვერც; ნურც...ნურც; არჩევითი (ალტერნატიული) – ან, ანდა; ხან... ხან; თუ;

მირთვითი (აპოზიციური) – ე.ი., მაშასადამე;

შედარებითი:

მსგავსების – ისეთივე, როგორც; თითქოს ისე ... რომ; ვითომ;

-ვით; ვიდრე;

არამსგავსების – კი, ხოლო.

ბ. ადვერსიული – მოლოდინის საწინააღმდეგო მნიშვნელობის შემოტანა. ქვეტიპებია:

ადვერსიული – მაინც, მაგრამ, თუმცა; კი... მაგრამ;
კონტრასტული – კი; მაგრამ; ხოლო;
შესწორებითი – კი არა ... არამედ.

გ. კაუზალური – მიზეზ-შედეგობრივი. ქვეტიპებია:

ზოგად-კაუზალური – ამგვარად, ამიტომ, რადგანაც;
შედეგისა – ამდენად; ამგვარად; მაშ;
მიზეზისა – ამიტომ;
მიზნისა – ამისათვის;
შებრუნებით კაუზალური – იმიტომ რომ; რადგანაც; რაკი;
პირობითი – თუ... მაშინ; თუ არა და; თორემ; თუკი; რომც.

დ. დროითი მიმართების აღნიშვნა. ქვეტიპებია:

მიმდევრობა – მერე; შემდეგ; ჯერ.. მერე; რომ; როდესაც, მაშინ;
ერთდროულულობა – სანამ; როგორც კი; თუ არა; თან... თან;
და თან; -ც;
წინამძევლობა – მანამდე; უკვე; მანამ; სანამ; ვიდრე;
დიურატიულობა – ამასობაში; სანამ; ვიდრე.

ცხადია, დაკავშირების ასეთი კლასიფიკაცია პირობითია და არ არის ამომწურავი.

ვ. ბოედერის ხელნაწერში „ტექსტის ლინგვისტიკის კურსი“ წარმოდგენილია ლოგიკურ-სემანტიკური გადაბმის ტიპები, რომლებიც, თავის მხრივ იმეორებს ჰორსტ იზენბერგს (36). ამ ტიპებს დავერთავთ მაგალითებსაც.

ა. თემატიზაცია – პირველი წინადადების ახალი ინფორმაცია მომდევნოში იქცევა თემად:

გარაუში მანქანა დგას, ეს მანქანა ჩემი მეზობლისაა.

გადაბმა ხორციელდება გამეორებით, ხოლო ჩვენებითი ნაცვალ-სახელი მიუთითებს ძველ ინფორმაციაზე. ასეთი მაგალითები ჩვენ ვნახეთ ანაფორული კორეფერენციის ტექსტის განხილვის დროს.

ბ. კაუზალური — მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება — ერთ-ერთი მონაკვეთი წარმოადგენს მეორის წინაპირობას:

ნათურა არ ანთია, იმიტომ რომ ღენი შეწყდა.

დაკავშირების მარკერია კავშირი იმიტომ რომ.

გ. მიზნის გამომხატველი დაკავშირება:

ნოდარი სარდაფში წავიდა, რომ შეშა ამოიტანოს. წარმოდგენილია კავშირი რომ.

დ. ახსნა-განმარტება — ერთ-ერთი მონაკვეთი ხსნის მეორეს:

მაყვალა ადვილად იღლება, რადგან სუსტი ჯანმრთელობა აქვს. კავშირია რადგანაც.

ე. დაზუსტება — მომდევნო მონაკვეთით ზუსტდება პირველი წინადადების შინაარსი:

გუშინ ჩვენთან ერთი ამბავი მოხდა. კერძოდ, მეზობლის კატა მეზუთე სართულიდან ძირს გადახტა.

ვ. მეტათემატიზაცია — რამდენიმე წინადადებაში ახალ ინფორმაციად წარმოდგენილი შემადგენლები შეჯამებულია და ერთად წარმოდგენილია თემად მომდევნო მონაკვეთში:

ჩემმა ძმამ გამოცდა ჩააბარა. მეზობელი კიბიდან ჩამოვარდა. ჩვენი კატუსი აყვავდა. ეს ყველაფერი გუშინ მოხდა.

მეტათემატიზაცია ხდება ჩვენებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების საშუალებით.

ზ. ტემპორალური დაკავშირება გამოხატავს დროში მიმდევრობას ან თანადროულობას, წინსწრებას და სხვა:

შინ რომ მოვედი, ვილაყამ ზარი დარეკა.

სანამ ანას ველაპარაკებოდი, ღირექტორი სახლში წასულიყო და ა.შ.

თ. ვარაუდი — ტექსტის ერთ-ერთი მონაკვეთი სავარაუდოდ ხსნის მეორე მონაკვეთში გადმოცემულ ამბავს:

ბავშვი არ სადილობს, ალბათ (იქნებ) უკვე სადღაც ჭამა.

ნაწილაკით გამოხატული ვარაუდია. მისი ამოღებით ახსნა რეალურ მიზეზად წარმოგვიდგება.

ი. ადვერსიული დამოკიდებულება – მოლოდინის საწინააღმდეგო კონტრასტულობა – მომდევნო მონაკვეთი არ ამართლებს წინა მონაკვეთით შემზადებულ შედეგს:

ქეტრე კარგი კაცია. მისი ძმა კი – ქურდი.

მოსალოდნელია, რომ ძმაც კარგი კაცი იყოს, მაგრამ ის ქურდია. მოულოდნელ საწინააღმდეგო ვითარებას გამოხატავს ნაწილაკი კი. მისი ამოლებით ეს წინადადებები უბრალო ჩამონათვალს დაემსგავსება.

კ. კითხვა-პასუხის შესაბამისობა:

სად იყავი გუშინ? მეგობართან წავედი.

სად იყავი გუშინ? სად და – მაროსთან.

პირველ შემთხვევაში პასუხი იმპლიციტურად უკავშირდება კითხვას; მეორე მაგალითში იმეორებს კითხვით სიტყვას და ემატება ემფატიკური ნაწილაკი და.

ლ. შედარება:

ნინოს ღმაზი კაბა აქვს. უფრო ღამაზი კაბა აქვს მარინეს.

შედარებას გამოხატავს ნაწილაკი, მარკერია უფრო.

მ. შესწორება:

ნიკომ ფანჯარა გატეხა. ნიკომ კი არა (არამედ) ფანჯარა ვანომ გატეხა. შესწორების მარკირება ხდება კი არა, არამედ ნაწილაკებით.

ამათ გარდა, ასახელებენ ხოლმე კიდევ დაკავშირების სხვა სახეებს: დასკვნა, შეჯამება, დამატება, გაგრძელება, შეზღუდვა, განზოგადება, განვითარება, შედეგი, პირობითობა, კონტრასტობა და ა.შ.

3.4.3.

ახლა განვიხილავთ დაკავშირების, როგორც ლოგიკურ სემანტიკური გადაბმის თავისებურებებსა და ზოგად მახასიათებლებს.

ნაცვალსახელური კორეფერენციის განხილვის დროს ვთქვით, რომ ნაცვალსახელების მნიშვნელობა მთლიანად არის დამოკიდებული კორეფერენციულ კავშირზე და ანტიცედენტის ანუ, როგორც მას ლ. ტენიერი უწოდებს – სემანტიკური წყაროს (18, 100)

მნიშვნელობაზე; ასევე მთლიანად კონტექსტით განისაზღვრება სუბსტიტუციის დროს სუბსტიტუციური ერთეულის მნიშვნელობაც.

კავშირს კი ტექსტის შიგნიდან კი არა, არამედ, ასე ვთქვათ, გარედან შემოაქვს სემანტიკა. მის მიერ აღნიშნული ლოგიკური მიმართებები არ განისაზღვრება ტექსტის შემადგენელი მონაკვეთების მნიშვნელობით ისე, როგორც ეს კორეფერენციის დროს ხდება. კავშირის ხმარება აერთიანებს ლექსიკურ მასალას აზრობრივი კატეგორიების მიხედვით, რომლებითაც ადამიანი აწესრიგებს გარე სამყაროს.

კორეფერენციისა და სუბსტიტუციის დროს პირის, ჩვენებითი, განუსაზღვრელი თუ სხვა ნაცვალსახელები, გარდა რეფერენტის ლექსიკური მნიშვნელობისა, იმეორებენ აგრეთვე სინტაქსურ ფლექსიურ მარჯვენებებს. ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმით, რომ ნაცვალსახელები (იგივე ითქმის პრო-ზმნებზეც) ტექსტში სრულმნიშვნელობიანი ლექსიკური ერთეულების ადგილს იჭერენ. ხოლო, რამდენადაც ეს ერთეულები წინადადების წევრის როლს ასრულებენ, ნაცვალსახელები ფლექსიური აფიქსების დართვით იმასვე იმეორებენ და გრამატიკული სტრუქტურის წევრები ხდებიან. ამით ნაცვალსახელები ორ კავშირში იღებენ მონაწილეობას – ერთია სტრუქტურული კავშირი, ხოლო მეორე – სემანტიკური ანაფორული კავშირი (შდრ. 18, 99). ეს არის სწორედ მათი ტექსტში ხმარების ერთგვარი სირთულე.

კავშირი, როგორც არასრული სიტყვა მთლიანად თანმიმდევრულია და ფორმას არ იცვლის. კავშირები უხვად არის წარმოდგენილი ყველა სახის ტექსტში, მაგრამ თვითონ არ არიან გამონათქვამის გრამატიკული თუ სემანტიკური სტრუქტურის წევრები. კავშირი მოქმედებს ჭეშმარიტი სიტყვა-ინდექსივით და ტექსტში მიუთითებს მხოლოდ იმ სიღრმისეულ სემანტიკურ გადაბმაზე, რომლითაც ერთიანდებიან ამ ტექსტის ნაწილები.

ასეთი გადაბმის კონკრეტული ტიპი კავშირს შემოაქვს პირდაპირ გამონათქვამში ისე, რომ თვითონ გამონათქვამის გარეთ რჩება. კავშირის წარმოდგენა ტექსტში უმეტესად ობლიგატორულია, რამდენადაც იგი ლოგიკური დაკავშირების მიმნიშნებელია, რითაც გამონათქვამი ლოგიკურად და სემანტიკურად თანმიმდევრული და ერთიანი ხდება. მაგალითად,

რა არ ვიღონეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

მაგრამ ადვერსიულია, იგი გამოხატავს იმას, რომ წინა მონა-

კვეთში გამოთქმული შინაარსის საფუძველზე შექმნილი ბუნებრივი მოლოდინი არ გამართლდა, ამის საწინააღმდეგოდ სულ სხვა ვითარება შეიქმნა – არაუფერი გამოვიდა.

დაკავშირება გადაბმის უფრო რთული საშუალებაც არის ვიდრე კორეფერენცია და სუბსტიტუცია, და უფრო მარტივიც. უფრო რთულია, რამდენადაც იგი არ წარმოადგენს გამონათქვამში ადრე მოცემული მნიშვნელობის გამეორებას. დაკავშირების დროს ტექსტს ემატება ახალი მნიშვნელობა, რაც არის მისი ნაწილების სემანტიკური მოწესრიგებისა და ურთიერთმიმართების აგების ერთ-ერთი სპეციალური საშუალება.

მხოლოდ გამეორება არ კმარა იმისათვის, რომ ტექსტი ერთიანი და მთლიანი იყოს. შეიძლება სხვადასხვა ხერხით ვიმეოროთ ლექსიკური მასალა, მაგრამ ლოგიკური მიმართების შემოტანის გარეშე იგი მაინც არ გამთლიანდება ისე, რომ ერთიანი აზრი შეიქმნას. არასრული სიტყვა-კავშირი მიუნიშნებს ადრესატს, თუ რა სემანტიკურ მიმართებაშია ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან. ეს არის ტექსტში შემოტანილი ახალი სემანტიკა, რომელიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ლოგიკური დაკავშირებით აერთიანებს ტექსტს.

ეს ლოგიკური მიმართებები უფრო რთული სემანტიკის მქონე გადაბმას, ვიდრე ნებისმიერი სახის გამეორება. რამდენადაც რთულია თვით ლოგიკური მნიშვნელობა, იმდენად მარტივია და ნაკლებ მრავალფეროვანი მისი სინტაგმატური მახასიათებლები. ე.ი. თვით ლოგიკური დაკავშირების სემანტიკა რთულია, მაგრამ ფუნქციობა გამონათქვამში – მარტივი და ნაკლებ მრავალფეროვანი.

3.4.4.

როგორც ვნახავთ, სიტყვა-კავშირების ტექსტში ფუნქციობა მხოლოდ და მხოლოდ მკაცრად სემანტიკური არ არის, ამიტომაც არის კიდევ დაკავშირება გადაბმის რთული სახე.

ტექსტის ნაწილების ლოგიკურ-სემანტიკური დაკავშირება შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს: *თანწყობა* – გამონათქვამის ორ ან მეტ ნაწილს თანაბარი ლოგიკურ-სემანტიკური ღირებულება ენიჭება; *ქვეწყობა* – ტექსტის ერთი ნაწილი დაქვემდებარებულია

მეორის მიმართ ლოგიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით; პრედიკაცია — პროპოზიციაში პრედიკაციის მიმართების შექმნა. ეს უკანასკნელი უარესად მნიშვნელოვან სემანტიკურ დაკავშირებას წარმოადგენს, რომელიც საფუძველად უდევს უმარტივესი ენობრივი გამონათქვამის აგებასაც კი. პრედიკაციას აქ ჩვენ არ განვიხილავთ მხოლოდ იმის გამო, რომ ეს სემანტიკური პროცესი არასრული სიტყვების მონაწილეობის გარეშე ხორციელდება (მდრ. 34, 238).

ქვეწყობა და თანწყობა გრამატიკული გაერთიანების კატეგორიებიც არის და, ამდენად, გრამატიკული თანწყობისა თუ ქვეწყობის შექმნაც არის კავშირების ფუნქციობის ერთი მხარე.

ადვერსიული და ადიტიური დაკავშირებები, მაგალითად, თანწყობილ სტრუქტურებს ქმნიან; კაუზალური დაკავშირება ქვეწყობილია; დროითი მიმართების აღნიშვნა შეიძლება იყოს თანწყობილი ან ქვეწყობილი.

ლ. ტენიერი თანწყობასა და ქვეწყობას უწოდებს *იუნქციას* და *ტრანსლაციას* (18, 95). *იუნქცია* არის თანწყობის მიმართების შემომტანი მაერთებელი დაკავშირება, რომელიც *იუნქტივებით* ხორციელდება. *იუნქტივები* ცემენტის ხსნარივით მოთავსდება აგურებს შორის ისე, რომ შიგნით არ შეაღწევს. ეს არის სტრუქტურულ-სემანტიკურ ბირთვებს შორის მოთავსებული ელემენტები.

ტრანსლაცია არის მაქვემდებარებელი დაკავშირება, რომელიც შეიძლება განახორციელოს არა მარტო მაქვემდებარებელმა კავშირმა, არამედ მიმართებითმა ნაცვალსახელმა, ნაწილაკმა, არტიკლმა და სხვ. *ტრანსლაცივი* არის მაქვემდებარებელი დამოკიდებულების მარკერი. თანწყობილი გამონათქვამის წარმოდგენა იუნქტორის გარეშე შესაძლებელია, მაგრამ *ტრანსლაცივის* გარეშე ქვეწყობილი მიმართების აგება წარმოუდგენელიაო, ამბობს ლ. ტენიერი.

ქვეწყობის დაკავშირებით გაერთიანებულ გამონათქვამში დამოკიდებული წინადადება წარმოადგენს მთავარი წინადადების რომელიმე წევრს. ეს არის ქვეწყობის გრამატიკული მნიშვნელობა. დამოკიდებული წინადადება ყოველთვის შეგვიძლია შევკვამშოთ ისე, რომ იგი წინადადების ჩვეულებრივ წევრად ვაქციოთ. ამით ქვეწყობის გრამატიკული მიმართება მოიხსნება. მაგალითად,

სანამ ბაბუა ჩამოვიდოდა, ბავშვები არაფერს არ კითხულობდნენ.

ბაბუას ჩამოსვლამდე ბავშვები არაფერს არ კითხულობდნენ.

დამოკიდებული წინადადება სანამ ბაბუა ჩამოვიდოდა მთავარი წინადადების დროს გარემოებაა, ოღონდ პრედიკატული სტრუქტურით გამოხატული. კავშირი სანამ დროითი დაკავშირებით გადაბამს ორ წინადადებას.

მაგრამ სანამ მხოლოდ გრამატიკული კონსტრუქციის თანწყობილ თუ ქვეწყობილ ხასიათს კი არ განსაზღვრავს, იგი ფუნქციობს, აგრეთვე, როგორც გამონათქვამის ნაწილების სემანტიკურად დამაკავშირებელი სიტყვა. ჩვენ კავშირის ფუნქციობის სწორედ ეს სემანტიკური მხარე გვანტერესებს. მოცემულ მაგალითში დროითი კავშირი აღნიშნავს ორ პრედიკატულ სტრუქტურას შორის დროითი წინამავლობის სემანტიკურ დამოკიდებულებას, რომელიც ქვეწყობილი გრამატიკული სტრუქტურით გადმოიცემა.

როდესაც დამოკიდებული წინადადება დროის გარემოებად ვაქციეთ და იგი ერთი წინადადების ფარგლებში მოვაქციეთ, გრამატიკულმა მიმართებამ სახე იცვალა, მაგრამ სემანტიკური დაკავშირება იგივე დარჩა: სანამ ბაბუა ჩამოვიდოდა სემანტიკურად იგივეა, რაც ბაბუას ჩამოსვლამდე.

კავშირი სანამ ყოველთვის დაქვემდებარებას როდი ქმნის, მაგალითად:

სანამ დედა სუფრას შლიდა, პაპა ზღაპარს ყვებოდა.

სემანტიკურად დროითი კავშირი აქ გამოხატავს მოქმედებათა ერთდროულობას, გრამატიკული სტრუქტურა კი თანწყობილია. ეს არის იუნქციით გაერთიანებული გამონათქვამი. იუნქტივია სანამ.

მაშასადამე, სემანტიკური დაკავშირების შექმნასთან ერთად სიტყვა-კავშირი ქმნის გრამატიკულ თანწყობასა და ქვეწყობას. თუ ეს ასეა, მაშინ კავშირი ორმაგ ფუნქციას ასრულებს — ლოგიკურ-სემანტიკურსა და გრამატიკულ-სემანტიკურს. კავშირი გამონათქვამის ნაწილებს შორის გრამატიკული დაქვემდე-

ბარების მიმართებას ქმნის, მაგრამ ისე, რომ ნაცვალსახელისაგან განსხვავებით თვითონ არც ფორმას იცვლის და არც გამონათქვამის წევრი ხდება. იგი წარმოადგენს რთული ორმაგი ფუნქციის მქონე მაკავშირებელ ერთეულს (განსხვავებულ შემთხვევებს ცალკე განვიხილავთ).

3.4.5.

დაკავშირების გამომხატველი სიტყვები არიან ჩვენს მიერ აღრეხსენებული სემანტიკური სტრუქტურის ინდექსები (შდრ. 34, 234). აღრეც ვთქვით, რომ ასეთ სემანტიკურ სტრუქტურებში შეგვიძლია ჩაენაცვლოთ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ტექსტის მონაკვეთები – ლექსიკური მნიშვნელობა, თემატიკა სხვა იქნება, მაგრამ სემანტიკური კავშირი იგივე დარჩება.

ყველგან ვეძებეთ, მაგრამ ვერ ვიპოვნეთ.

ყველა გაეაფრთხილეთ, მაგრამ არაინ მოვიდა და სხვ.

ასეთი მაგალითები ჩვენ განვიხილეთ სემანტიკური სტრუქტურის დახასიათების დროს.

თუ სემანტიკურ ლოგიკური კავშირით გაერთიანებულ ტექსტში ამოვიღებთ დაკავშირების განმსაზღვრელ სიტყვას, გადაბმა შეიძლება სულ დაიკარგოს და გამონათქვამი ერთმანეთისაგან გამოცალკეებული წინადადებების უბრალო მიმდევრობად იქცევა, ასე ხდება თანწყობის შემთხვევაში:

ყველგან ვეძებეთ. ვერ ვიპოვნეთ.

ყველა გაეაფრთხილეთ. არაინ მოვიდა.

მაგრამ ქვეწყობის დროს კავშირის გამოტოვება ვერ ხერხდება – მნიშვნელობა ან გაუგებარი ხდება ან იცვლება, რადგანაც ტრანსლატივის გარეშე ასეთი მიმდევრობა თანწყობილ გამონათქვამად აღიქმება:

თუ ვერ დარბიხარ, რაღა მონადირე ხარ! (რ.ინან.).

— ვერ დარბიხარ, (რაღა) მონადირე ხარ!

სანამ ბაბუა ჩამოვიდოდა, ბავშვები არაფერს არ კითხულობდნენ.

— ბაბუა ჩამოვიდოდა, ბავშვები არაფერს არ კითხულობდნენ.

ანდა: ბაბუა ჩამოვიდა, ბავშვები არაფერს არ კითხულობდნენ.

ერთი შეხედვით შესაძლებელია, აგრეთვე, ერთი და იმავე მონაკვეთების შეერთება სხვადასხვა ლოგიკური კავშირებით. მაგალითად,

როცა ქვაბში ხმაური შეწყდა, მამამ გადმომხედა ეშმაკურად.
(რ.ინან.)

შეიძლება სხვანაირად დავაკავშიროთ:

ქვაბში ხმაური შეწყდა და მამამ ეშმაკურად გადმომხედა.

ქვაბში ხმაური შეწყდა, ამიტომ მამამ გადმომხედა...

რადგანაც ქვაბში ხმაური შეწყდა, მამამ ეშმაკურად გადმომხედა და სხვა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ტექსტის მონაკვეთების დასაკავშირებლად მთლად ნებისმიერად ვერ შემოვიტანთ სხვადასხვა სახის კავშირებს. არჩევანი ბუნებრივად შეიზღუდება მონაკვეთების მთლიანი სემანტიკით. რაც უფრო ნაკლებ სპეციფიკურია ტექსტი სემანტიკურად, უფრო მეტი თავისუფლებაა კონკრეტული კავშირის ხმარების თვალსაზრისით. კავშირის ამორჩევას განსაზღვრავს, აგრეთვე სტილური მახასიათებლები. მაგალითად, ზემო მაგალითში მძიმედ ისმის კავშირი რადგანაც და ა.შ.

დედა სუფრას შლიდა, პაპა ზღაპარს ყვებოდა ვერ დაუკავშირდება ერთმანეთს მიზეზ-შედეგობრიობის გამომხატველი კავშირებით. სამაგიეროდ შეიძლება გამოდგეს დროითი დაკავშირების სხვადასხვა სახე:

სანამ დედა სუფრას შლიდა, პაპა ზღაპარს ყვებოდა.
როცა დედა სუფრას შლიდა, პაპა ზღაპარს ყვებოდა.
დედა რომ სუფრას შლიდა, პაპა ზღაპარს ყვებოდა, და ა.შ.

ამ დროითი კავშირების შემოტანა სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსების მქონეა და, ამდენად შინაარსიც სხვადასხვა გამოდის. მაგ., როცა კავშირით გადაბმა შეიძლება გულისხმობდეს გარკვეულ რეგულარობას ამ მოქმედებების თანხვედრაში; ხოლო ნიშნავს მოქმედებათა ერთდროულობასაც და გარკვეული დაპირისპირების მნიშვნელობაც შემოაქვს და ა.შ.

მაშასადამე, ერთის მხრივ სემანტიკურ სტრუქტურაში შეიძლება შეიცვალოს შემადგენლები. ამ დროს სემანტიკური მიმართებები იგივე რჩება, შინაარსი – სხვაა. მეორეს მხრივ, შესაძლებელია გარკვეული ზომით ერთი და იმავე ლექსიკური მნიშვნელობების გაერთიანება სხვადასხვა სემანტიკური დაკავშირებით.

როდესაც ორი ან მეტი მონაკვეთი გაერთიანდება რომელიმე კავშირით, ამათ შორის დამყარდება გარკვეული გრამატიკული მიმართება (ქვეწყობა ან თანწყობა) და ლოგიკურ-სემანტიკური დაკავშირებაც:

დედა რომ სუფრას შლიდა, პაპა ზღაპარს ყვებოდა.

მაგრამ ასეთი გაერთიანება, როგორც ზემოთაც ვთქვით, არ ხდება მთლად შეუზღუდავად და ნებისმიერად, მაგალითად:

დედა სუფრას შლიდა, რადგანაც პაპა ზღაპარს ყვებოდა.

კავშირი რადგანაც მიზეზ-შედეგობრივი დაკავშირებით აერთიანებს ამ ორ წინადადებას. იქმნება ფორმალურად ქვეწყობილი გრამატიკული მიმართება, რომლის ასაგებად თითქოს საკმარისია კავშირის სინტაგმატურად სწორი ხმარება. მაგრამ სემანტიკური თვალსაზრისით არცგრამატიკული დაქვემდებარებაა გამართლ-

ბული და არც ლოგიკურ-სემანტიკური კავშირი ქმნის აზრიან გამონათქვამს. ძალაუნებურად უნდა დავასკვნათ, რომ ნაწილების შინაარსი გარკვეულად ზღუდავს კავშირის ხმარებას გრამატიკულადაც და სემანტიკური თვალსაზრისითაც. სხვანაირად შეგვიძლია ასე ვთქვათ: კავშირის ხმარება გამონათქვამის მონაკვეთების გაერთიანების დროს გარკვეულად არის გაპირობებული ამ მონაკვეთების მთლიანი შინაარსით. იმის გარკვევა, თუ კერძოდ, რა მიმართებაშია მონაკვეთების მნიშვნელობა კავშირის არჩევანთან, საკმარისად რთულია და, ალბათ, საკმაოდ ძნელი განსაზოგადებელი.

კავშირის შესაძლო ხმარება მოცემული შინაარსის დასაკავშირებლად რთულია კიდევ იმიტომაც, რომ ქვეწყობა-თანწყობის მიმართება და ლოგიკურ-სემანტიკური დაკავშირება შინაგანად ერთმანეთთან გარკვეულად გადაბმული მოვლენებია. ზოგი ლოგიკურ-სემანტიკური დაკავშირება იმთავითვე ქვეწყობილი ან იმთავითვე თანწყობილი გრამატიკული მიმართებებით გადმოიცემა. ამ დამოკიდებულებების კვლევა ენის ფილოსოფოსთათვის კვლევის საინტერესო საგანს უნდა წარმოადგენდეს.

ერთი კი ცხადია, რომ თვით სიტყვა-კავშირები, როგორც ეს მოსალოდნელია არასრული სიტყვების შემთხვევაში, პოლისემანტიკურიც არიან და გრამატიკულადაც — თანწყობა-ქვეწყობის თვალსაზრისით გარკვეული ბიფუნქციობაც ახასიათებთ.

3.4.6.

კავშირის მიერ შემოტანილი მიმართება შეიძლება ეხებოდეს იმ მიმართებებს, რომლებიც ეყრდნობა მხოლოდ თვით ტექსტის მნიშვნელობას. ეს არის შიდა დაკავშირება. დაკავშირებამ შეიძლება ასახოს ტექსტის არავერბალური სიტუაციური ვითარება, მაშინ ეს არის გარე დაკავშირება.

ამ განსხვავების საილუსტრაციოდ მ. ჰელიდელისა და რ. ჰასანს მოაქვთ მაგალითი:

She was never really happy here. So she's leaving.

იგი აქ არასდროს არ ყოფილა ბედნიერი. ამიტომ მიდის.

She'll be better off in a new place. — So she's leaving?

იგი ახალ ადგილას მატერიალურად უკეთ იქნება. ამიტომ მიდის?

პირველი მაგალითი წარმოდგენილია, როგორც შიდა კავშირი, ხოლო მეორე მაგალითი გარე კაუზალური კავშირის მაგალითია — რამდენადაც მიხსნიან, რომ სხვაგან უკეთ იქნება (სიტუაციის მონაცემია), ვფიქრობ, რომ ამ მიზეზის გამო იგი აქედან ალბათ წავა.

მაშასადამე, ყველა კავშირს ორი სხვადასხვა ფუნქციობა შეიძლება ჰქონდეს იმის მიხედვით, ტექსტის გარეთ, სიტუაციაში მოცემულ მოვლენასთან მიმართებას ასახავს, თუ მიმართებას ტექსტის შიგნით, მის ნაწილებს შორის. არსებობს, მაგალითად, შიდა და გარე კაუზალური მიმართება ტექსტის ნაწილებს შორის:

სიმართლე გითხრათ, უკვე მომწყინდა ეს უცნაური ანგარიშგება... მაგრამ ჩემს მეგობარს კმაყოფილი, გახარებული გამომეტყველება ჰქონდა და ამიტომ იმწამსვე განუაგრძე...
(რ.ინან.)

თვით ტექსტი, როგორც ჩანს, შეიცავს რაღაც „ანგარიშგებას“, რაღაცის მოყოლას, რაც, როგორც მოლაპარაკის კომენტარი გვაუწყებს, მას საკმაოდ მობეზრდა. მაგრამ მისი ნაამბობი, როგორც სიტუაცია გვაუწყებს, ართობს მის მსმენელს და ამ სიტუაციური ვითარების მიზეზით, იგი ისევ განაგრძობს მოყოლას. ე.ი. ტექსტის ბოლო მონაკვეთი გარე სიტუაციურ მიზეზსა და მის შედეგს უკავშირებს ერთმანეთს.

ახლა ვნახოთ სხვა მაგალითი:

ყველაზე მეტად ჩვენი სოფლის მღვდელს მეგობრობდა: ეს იმიტომ, რომ მღვდელს შესანიშნავი გუნდი ჰყავდა და თვითონაც გასაოცარი მებანე იყო. (რ.ინან.)

აქაც მიმართება მყარდება ვერბალური ტექსტის გარეთ არსებულ სიტუაციასთან, აქაც გარე კაუზალურ დაკავშირებასთან გვაქვს საქმე.

რაკი ასეთი კარგი ბიჭი ხარ, ბარემ წყალიც გადმოგვიტანე წყაროდანო. (რ.ინან.)

რამდენადაც ასეთი ვითარებაა და შენ კარგი ბიჭი ხარ, წყალიც მოგვიტანე. ესეც გარე კაუზალური კავშირია.

ახლა ვნახოთ შიდა დაკავშირების მაგალითები:

შეიძლება შორი გზითაც მოგატაროს ცოტა, მაგრამ შინ მაინც მშვიდობით მოგიყვანს ყოველთვის. (რ.ინან.)

უხარიათ, რადგან იციან, რომ, მისგან გამოვა დინჯი, ჭკვიანი მოფერი. (რ.ინან.)

იციან რომ... მისგან გამოვა... შიდა დაკავშირებაა.

დაკავშირება ტექსტის შიგნით და მის გარეთ ასეთი ფუნქციონობით გადაბმის სხვა საშუალებებს ჰგავს. კორეფერენციაც და სუბსტიტუციაც, როგორც გვახსოვს, არის ენდოფორული და ექსოფორული. გადაბმის საშუალებათა ეს სახეები, რა თქმა უნდა, ასახავს ტექსტის შიდა მნიშვნელობებისა და გარე სიტუაციის მონაცემების გათვალისწინებას საკომუნიკაციო აქტის დროს. ზედმეტია იმის თქმა, რომ არავერბალური კონტექსტი ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობის არის შინაარსის შექმნის დროს, როგორც ტექსტის შიდა მონაცემები, გარე სიტუაცია მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობით აისახება ტექსტში და, იქნებ, ლოგიკურ-სემანტიკური მიმართებები ყველაზე მარტივია მათ შორის. გარე სიტუაციის ასახვა ტექსტში ამ შრომაში არ განიხილება.

კავშირები, რომლებიც თანწყობილ თუ ქვეწყობილ დაკავშირებას ქმნიან, ექსპლიციტური მნიშვნელობის გარდა სემანტიკურად ხშირად კიდევ იმპლიციტური მნიშვნელობებითაც ხასიათდებიან.

მაგალითად, როგორც მ. ჰელიდეი და რ. პასანი წერენ, აღვერ-

სიულ კავშირებს გარდა ექსპლიციტურად მოლოდინის საწინააღმდეგო სემანტიკის აღნიშვნისა აქვთ იმპლიციტური მნიშვნელობაც – ლოგიკური მნიშვნელობა „და“. მაგრამ ნიშნავს და... კი-ს. მაგალითად,

*ჭიჭოს არ სციოდა, მაგრამ ცეცხლს მაინც ეფიცებოდა.
(რ.ინან.)*

იგივეა, რაც, ჭიჭოს არ სციოდა და ცეცხლს კი ეფიცებოდა. და...კი ცალ-ცალკე გადმოსცემს იმ მნიშვნელობებს, რომლებიც აქვს მაგრამ კავშირს: ერთდროულობა (და) და მოლოდინის საპირისპირო მოქმედება (კი).

*ცეცხლი გაძლიერდა, მეტი და მეტი ფართობი გაანათა,
მაგრამ იმ განათებული მოედნის იქით ჩამოშვებული შავი
ფარდა უფრო მეტად ჩაამუქა. (რ.ინან.)*

*მაგრამ შეიძლება შევცვალოთ და...თან მაკავშირებლებით:
...გაანათა და თან ... შავი ფარდა უფრო ჩაამუქა.*

*იმ წუთში გულდაწყვეტილი ვიყავი. რა დასამალია, გულ-
დაწყვეტილი ვიყავი, თითქოს ისმაილს ისე კარგად ვერ
შეეხვდი, როგორც წინათ მიფიქრია, მაგრამ ახლა, ამ ამბავს
რომ ვიგონებ, გახარებული ვარ. მეჩვენება, რომ რაღაც
კარგი, ნათელი დღეები მელის წინ. (რ.ინან.)*

– მაშინ გულდაწყვეტილი ვიყავი, და ახლა კი გახარებული ვარ.

იმპლიციტური მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ერთდროულობის გამომხატველ თან...თან-ს, – ერთდროულობაც შემოაქვს და იმპლიციტურად დაპირისპირებას ან გამოცალკევებას გულისხმობს. შეუძლებელია ვთქვათ: *თან ემეცადინეობ, თან ვსწავლობ;

**თან მიხარია, თან ვიცინი, ბუნებრივია: თან ვიცინი, თან ვტირი; თან მიხარია, თან გული მწყდება და ა.შ.*

გიგი თან სიამაყეს გრძნობს, ასეთი პაპა რომ ჰყავს, თან როგორღაც ერცხვინება... (რ.ინან.)

ე.ი. გიგი სიამაყეს გრძნობს, მაგრამ ამავე დროს ცხვენია...

კავშირების რთულ მნიშვნელობებს ქმნის, როგორც ვნახეთ, მათი იმპლიციტური მნიშვნელობები, ზოგჯერ სწორედ იმპლიციტური მნიშვნელობების სხვადასხვაობა განაპირობებს ერთი შეხედვით იგიური სემანტიკის მქონე სიტყვათა სხვადასხვა ხმარებას გადაბმის დროს.

საინტერესოა, მაგალითად, არარეალურობისა და მოჩვენებობის გამომხატველი *თითქოს* და *ვითომ* სიტყვების სხვადასხვა იმპლიციტური მნიშვნელობების განხილვა.

თითქოს და *ვითომ* სიტყვები ლ. კვაჭაძეს განხილული აქვს, როგორც მაქვემდებარებელი კავშირები (3, 409), რომლებიც მთავარ წინადადებასთან აერთებს განსაზღვრების დამოკიდებულ წინადადებას. აქვე მოტანილი მაგალითებია:

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ყველა და ყოველივე ქვად გადაქცეულიყო. (მ.ჯავ.)

ხმა დავეყარეთ, ვითომ უძოში მიბრძანდებით სალოცავად. (ბარნ.)

პირველი გამონათქვამი სულაც არ არის განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება. აქ მოცემულია შედარება და თანწყობა. *თითქოს* არის ამ შედარების შემომტანი ნაწილაკი. მნიშვნელობა ასეთია: ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, გეგონებოდა ყველაფერი გაქვავებულიყო.

იგივე ითქმის მეორე მაგალითზე: ეს მართლაც ქვეწყობილი გამონათქვამია, მაგრამ ამას ქმნის რომ მაქვემდებარებელი კავშირი, რომელსაც შემოაქვს დამატებითი დაქვემდებარებული

წინადადება, აქ რომ კავშირი უბრალოდ გამოტოვებულია. ვითომ კი არის შედარების, მიმსგავსების, იმიტაციის შინაარსის შემოტანი ნაწილაკი.

ორივე ნაწილაკის საერთო ექსპლიციტური მნიშვნელობაა არარეალური, არარსებული ვითარების შემოტანა ტექსტში: ვითომ მცევა (სინამდვილეში არ მცევა), თითქოს თენდება (რეალურად არ თენდება) და ა.შ. ესენი ამავე დროს თანადროულობას გამოხატავენ და ტექსტის მონაკვეთებს შედარების ატრიბუტული მნიშვნელობით უკავშირებენ ერთმანეთს.

მაგრამ იმპლიციტური მნიშვნელობებით ნაწილაკები თითქოს და ვითომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ვითომ გულისხმობს სუბიექტის სურვილს ან ძალისხმევას ვითარება რალაცას დაამსგავსოს:

თვალები დახუჭა, ვითომ ძინავს.

იქით გაიხედა, ვითომ არ აინტერესებს.

დაიშინჭა, ვითომ ძალიან ეტკინა.

თითქოს კი გულისხმობს სუბიექტის მიერ ვითარების გარედან აღქმის დროს ყოყმანს, ვარაუდს, რადგანაც გარეგნული ნიშნები არ აძლევს საშუალებას დარწმუნებით შეაფასოს ვითარება:

როგორ არის ავადმყოფი? — თითქოს უკეთ

როგორი ამინდია? — თითქოს გამოიღარა.

ამიტომ თითქოს ნაწილაკის მნიშვნელობაა: ვითარების მოჩვენებითობა და სუბიექტის გარეგანი პოზიცია სიტუაციის მიმართ.

ვითომ ნაწილაკის მნიშვნელობაა: ვითარების მოჩვენებითობა და სუბიექტის შინაგანი პოზიცია სიტუაციის მიმართ.

ეს ხმა იმათ ქვიშიდან მოდიოდა, იქ თითქოს ვილაც იჯდა და ხელებს იორთქლაედა. (რ.ინან.)

— ეს ხმა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ვიღაც ხელებს იორთქლავდა.

ვანო ძიას კი ვითომ ძალიან ეწყინა, — ეგ ჩემია, შენ რად აიღე, მე ვთამაშობ ხოლმეო. (რ.ინან.)

ვანო ძიამ თვითონ უყიდა სათამაშო მანქანა ბავშვს; მხოლოდ გასართობად, თამაშით მოაჩვენებს მას თავს, რომ ენანება.

3.4.7.

განვიხილოთ ისეთი დაკავშირება, რომელიც ტექსტის მონაკვეთებს ატრიბუტული მნიშვნელობის შემოტანით გადააბამს. ასეთ დაკავშირებას ქმნიან, ტრადიციული განსაზღვრების მიხედვით, ე.წ. მიმართებითი ნაცვალსახელები ან მიმართებითი ზმნიშედები: *რომელიც, როგორიც, ვინც, რაც, რანაირიც, სადაც.*

მიმართებითი ნაცვალსახელებით დაკავშირება ახლა გვანტერესებს იმის გამო, რომ იგი ერთი შეხედვით კი ისეთივეა, როგორც კავშირით შემოტანილი გადაბმა, მაგრამ ფაქტიურად არსებითად განსხვავდება მისაგან. ამ დაკავშირებებს შორის ისეთივე სხვაობაა, როგორიც ნაცვალსახელურ კორეფერენციასა და კავშირით გადაბმას შორის:

ა. მიმართებითი ნაცვალსახელი თავისი მნიშვნელობით იმეორებს ანტიცედენტ სიტყვას, რომელიც განისაზღვრება დაქვემდებარებული წინადადებით.

ბ. კავშირისაგან განსხვავებით მიმართებითი ნაცვალსახელი და მიმართებითი ზმნიშედა წარმოადგენენ დაქვემდებარებული წინადადების გრამატიკულ წევრებს, ისინი არიან ე.წ. „წევრკავშირები“ (3, 413).

მოკლე მონაგონებში არაფერი შეფერადებული არ იქნება, იქნება მხოლოდ სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდით მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში. (დ.კლდ.)

რომელსაც ნაცვალსახელის ანტიცედენტია სინამდვილე და მაშასადამე ეს არის მისი მნიშვნელობაც ისე, როგორც ეს ანაფორული გადაბმის დროს ხდება. ეს ნაცვალსახელი აგვაცილებს ანტიცედენტის კიდევ ერთხელ გამეორებას გამონათქვამში (მაგალითად, იქნება მხოლოდ სინამდვილე, ამ სინამდვილეს გადაუხრელად ვემსახურებოდი...)

მიმართებითი ნაცვალსახელი რომელსაც დაქვემდებარებულ წინადადებაში დამატების ფუნქციას ასრულებს; ამას გარდა იგი ორ წინადადებას გადააბამს მაქვემდებარებელი ატრიბუტული სემანტიკით.

გ. მოსალოდნელია, რომ მიმართებითი ნაცვალსახელი იმ ბრუნვაში იყოს წარმოდგენილი, რომელსაც მოითხოვს მის მიერ შესრულებული სინტაქსური ფუნქცია დაქვემდებარებულ მონაკვეთში (3, 414-415).

ბალში ვნახე პატარა გოგო, რომელმაც ყვავილი მოსწყვიტა.

რომელმაც ქვემდებარისათვის საჭირო ბრუნვაშია. ე.ი.

ბალში დავინახე პატარა გოგო. გოგომ ყვავილი მოსწყვიტა. ეს ორი წინადადება გაერთიანებული მიმართებითი ნაცვალსახელით რომელმაც; იგი დაქვემდებარებული წინადადების ქვემდებარეა, შესაბამის ბრუნვაშია და ნიშნავს გოგოს.

*უმოწყალო ციებამ, რომელიც კერას გ ზით ვერ დაძლიეს
მოაგარაკეებმა, იმსხვერპლა თვით დაღფონსიც. (დ.კლდ.)*

რომელიც დამატების ფუნქციას ასრულებს – სახელობით ბრუნვაშია, ატრიბუტული დაკავშირება შემოაქვს და ნიშნავს სიტყვას ციება.

ატრიბუტული დაკავშირების დროს ქართულში დაქვემდებარებული წინადადების შემომტანი მიმართებითი ერთეული შეიძლება „მითითებული“ იყოს მთავარ ნაწილში მოცემული „მისათითებელი“ (3, 402) სიტყვით: *იქ... სადაც, ისეთი ...როგორიც, ისეთი... რანაირიც, ის...ვინც და ა.შ.*

ასეთ შემთხვევაში მისათითებელი სიტყვა – ნაცვალსახელი ან ზმნიზედა – კორეფერენციულ მიმართებას ქმნის მთელ ატრიბუტულ წინადადებასთან, სადაც წარმოდგენილია „წევრ-კავშირი“. თავისთავად ამ კორეფერენციული ნაცვალსახელისა ან ზმნიზედის გამოყენება წარმოშობს განსაზღვრების მნიშვნელობის მქონე გავრცობის მოლოდინს, რომელიც დააკონკრეტებს მისათითებელი არასრული სიტყვის მნიშვნელობას ისევე, როგორც ეს საერთოდ ხდება კორეფერენციის დროს:

ისეთი – როგორც მხოლოდ მას სჩვეოდა

ის – ვინც პასუხისმგებლობას გაურბის და ა.შ.

ასეთი დაკავშირების დროს ქართულში კორეფერენციული ნაცვალსახელი ან ზმნიზედა უხშირესად წინ უსწრებს მისი მნიშვნელობის გამომხატველ ატრიბუტულ ნაწილს და კორეფერენციული დამოკიდებულება კატაფორულია. კატაფორული რიგი სემანტიკურად ნეიტრალურია.

სანდროს ახლო ნაცნობისათვის სრულიად მიუღებელია ის აზრი, რომ მას არ შეეძლო ისეთი საუცხოვო მოთხრობების დაწერა, როგორც არის „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“... (დ.კლდ.)

ისეთი – კერძოდ, საუცხოო „ელგუჯასი“ და „მამის მკვლელის“ დარი...

რასაკვირველია, ტფილისში ისეთებიც ყავდა სანდროს, რომლებიც დიდად აფასებდნენ. (დ.კლდ.)

კიდევ ერთი მაგალითი:

წარმოება ისე ველარ მიდიოდა, როგორც დალფონსის სიციოცხლეში. (დ.კლდ.)

იმ შემთხვევებში, როდესაც კორეფერენციული ნაცვალსახელი ან ზმნიზედა მოსდევს ატრიბუტულ ნაწილს და კავშირი ანაფო-

რულია, იქმნება ემფატური რიგი, რომლის დროსაც საგანგებოდ ესმება ხაზი ატრიბუტულ მონაკვეთს:

*ვინც გინდა, ის შეიყვარე!
სადაც გინდა, იქ წაბრძანდი!*

მაგალითები ლიტერატურიდან:

*სადაც მან ჩადგა ფეხი, იქიდან ვერ ამოდენეს. (დ.კლდ.)
სადაც ახლა კათოლიკების ეკლესიაა, იქ იყო განიერი ტბა.
(დ.კლდ.)*

აქ მთავარი ის კი არ არის, თუ იქ რა იყო ადრე, არამედ ის, რომ ახლანდელ კათოლიკების ეკლესიის ადგილას იყო განიერი ტბა; საინტერესო ის კი არ არის, თუ რომელი ადგილიდან ვერ ამოდენეს (რომელი „იქიდან“) არამედ ის, რომ სადაც კი ჩადგა ფეხი, მტკიცედ ჩადგა და იმ ადგილიდან ველარავინ ვერ ამოდენა.

3.4.8.

საინტერესოა ერთმანეთს შევედაროთ ატრიბუტული დაკავშირებები, რომლებიც აგებულია მისათითებლი სიტყვებით და მათ გარეშე.

ა. ორივე შემთხვევაში დაკავშირებას აქვს კორეფერენციის სახე. რეფერენციული მიმართებითი ნაცვალსახელისა ან ზმნიზედის ანტიცედენტი ერთ შემთხვევაში არის მთავარ წინადადებაში მოცემული სრულმნიშვნელობიანი სიტყვა (გოგო — *რომელმაც*; სინამდვილე — *რომელსაც*); მეორე შემთხვევაში რეფერენციული ერთეულია მისათითებელი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა, ხოლო მისი ანტიცედენტი არის მიმართებითი ნაცვალსახელით ან ზმნიზედით შემოტანილი მთელი ატრიბუტული ნაწილი: იქ — სადაც ახლა კათოლიკების ეკლესიაა; ისე — როგორც დალფონსის

სიცოცხლეში. როგორც ვხედავთ, სემანტიკური მიმართებები განსხვავებულია.

ბ. როდესაც ატრიბუტული დაკავშირების დროს წარმოდგენილია მისათითებელი სიტყვა, მოსალოდნელია და ლოგიკურად აუცილებელიც ატრიბუტული ნაწილის დამატება. რასაკერეელია, ტფილისში ისეთებიც ყავდა სანდროს არასრულია და მოითხოვს ატრიბუტული ნაწილის დამატებას: *რომლებიც დიდად აფასებდნენ.*

ასეთ აუცილებლობას არა აქვს ადგილი მისათითებელი სიტყვის გარეშე აგებულ ატრიბუტულ გამონათქვამში, რამდენადაც თავისთავად, მაგალითად, ბაღში დავინახე პატარა გოგო არ მოითხოვს აუცილებლად ატრიბუტული ნაწილის შემოტანას.

გ. მისათითებელ-სიტყვიან ატრიბუტულ გამონათქვამში ორი ატრიბუტია: ერთია გამოხატული ნაცვალსახელით ან ზმნიზედით, ხოლო მეორე შემოაქვს მიმართებით კავშირს, მეორე წარმოადგენს პირველის ანტიცედენტს, ე.ი. ატრიბუტული ფრაზა არის არასრული მისათითებელი სიტყვის მნიშვნელობის დაკონკრეტება, მისი, როგორც რეფერენციული სიტყვის გავრცობა, რადგანაც თავად არასრული სიტყვა „ცარიელია“ და არ არის საკმარისი მნიშვნელობის „სრული“ გადმოცემისათვის.

მიმართებითი ნაცვალსახელით დაკავშირებულ გამონათქვამში ატრიბუტის როლს ასრულებს ამ სიტყვით შემოტანილი დაქვემდებარებული წინადადება.

დ. მოცემული ორი ტიპის ატრიბუტულ გამონათქვამში განსხვავდება დაკავშირებულ ნაწილებს შორის გრამატიკულ-სემანტიკური მიმართებაც.

ატრიბუტული დაკავშირება მისათითებლის გარეშე არის მაქვემდებარებელი დაკავშირება, ხოლო მისათითებელ-სიტყვიანი ატრიბუტული გამონათქვამი თანწყობილია, მის ნაწილებს შორის ლოგიკურად ტოლფასი დამოკიდებულებაა. მიმართებითი ნაცვალსახელით ან ზმნიზედით შემოტანილი მონაკვეთი არის მხოლოდ მისათითებელი არასრული სიტყვით გამოხატული წინადადების წვერის სემანტიკური „დასრულება“. ამიტომაც,

ე. მისათითებელ-სიტყვიანი ატრიბუტული გამონათქვამი სემანტიკურად იმდენად ატრიბუტის, განსაზღვრების შემოტანი არ არის, რამდენადაც დაზუსტებისა და შედარების. – ისეთი, როგორც არის „ელგუჯა“; ისე, როგორც დალფონსის დროს.

შემდეგ მაგალითებში კარგად ჩანს შედარების სემანტიკა:

მზე ისე ანათებდა, როგორც ზაფხულში იცის ხოლმე.

მგელიკა ისე იცინოდა, როგორც სხვა დროს იცინოდა ხოლმე. (რ.ინან.)

დაზუსტება – გაშლა:

სწავლა ისე ჩინებულად იყო დაყენებული, რომ შემდეგში მეოთხე განყოფილებიდან ყოველ წლებით ათი-თორმეტი ყმაწვილი გადადიოდა... ბათუმის გიმნაზიაში. (დ.კლდ.)

3.5. თემა და რემა გადაბმის დროს ტექსტში

3.5.1.

ტექსტის მთლიანობისა და ქსოვილის შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თემა-რემატული სტრუქტურა. თემა და რემა არის ჩეხი ლინგვისტების მიერ (ი. ფირბას (31), ფ. დანემ (26)) შემოღებული ტერმინები გამონათქვამში იმის გამოსაცალკევებლად, თუ რაზე ვლაპარაკობთ (თემა) და რას ვამბობთ თემის შესახებ (რემა). უ. ჩეიფი იმავე მნიშვნელობით ხმარობს ტერმინებს ძველი (თემა) და ახალი (რემა) (20, 20).

თემისა და რემის, ძველი და ახალი ინფორმაციის გადმოცემა ტექსტში თავისთავად ცხადი და მარტივი ფაქტია: ჩვენ ყოველთვის ვამბობთ რაღაცა ახალს – ამის გარეშე კომუნიკაციას აზრი არა აქვს; ამავე დროს, ინფორმაციის დიდი ნაწილი ძველია – ამის გარეშე მოლაპარაკესა და მსმენელს არ ექნებათ საკმარისი საფუძველი რომ ერთმანეთს გაუგონ.

ყოველი ენობრივი შეტყობინების ძირითადი დანიშნულება არის მსმენელისათვის გარკვეული ახალი ინფორმაციის მიწოდება. მოლაპარაკეს ყოველთვის აქვს რწმენა იმისა, რომ მისი ინფორმაციის გარკვეული ნაწილი უცნობია მსმენელისათვის; ამ ფენომენს უწოდებენ უცოდინარობის დაშვების პრინციპს (14).

უკიდურესობის თავიდან ასაცილებლად ფ.ფ. სტროსონს შემოაქვს საწინააღმდეგო პრინციპიც – ცოდნის დაშვების პრინციპი, რომელიც გვეუბნება, რომ რაიმე კონკრეტული ახალი ინფორმაციის შეტყობინების დროს მოლაპარაკე ვარაუდობს, რომ მსმენელს აქვს გარკვეული ცოდნა იმ ემპირიულ ფაქტებისა, რომელთაც ეხება ახალი შეტყობინება (51). ასე მაგ., მოლაპარაკე მსმენელს შეატყობინებს:

ალექსანდრიამ მეოთხე პარტიაში ლევიტინას მოუგო.

იგი გულისხმობს, რომ მსმენელმა იცის, ვინ არიან ალექსანდრია და ლევიტინა, რა მატჩზეა ლაპარაკი (სად ტარდება, აქამდე როგორ მიმდინარეობდა), ე.ი. ეყრდნობა მსმენელის გარკვეულ ცოდნას, ხოლო თვით ფაქტი – ერთი მოჭადრაკის მიერ მოგება, ხოლო მეორის მიერ წაგება, მსმენელისათვის უცნობ ფაქტად მიაჩნია.

ამგვარად, მსმენელისათვის მოლაპარაკე ყოველთვის გულისხმობს გარკვეული ფაქტების ცოდნას და სხვათა არცოდნას, ორივე ეს დაშვება არსებით როლს ასრულებს შეტყობინების აგების პროცესში, ე.ი. იმაში, თუ როგორ დავაღაგებთ შეტყობინებებს, როგორ გამოვყოფთ სხვადასხვა საშუალებით გამონათქვამთა იმ ნაწილს, რაც ახალ ინფორმაციად მიგვაჩნია, იმისგან, რაც ცნობილი გეგონია მსმენელისათვის:

ალექსანდრიამ ლევიტინას პრეტენდენტთა მატჩის მეოთხე პარტია მოუგო.

სპორტსმენთა პიროვნებები ცნობილია მსმენელისათვის, ხოლო მატჩის სახეობა და მისი შედეგი ახალ ინფორმაციად იგულისხმება.

ქართელმა მოჭადრაკე ალექსანდრიამ ლევიტინას მოუგო.

მოლაპარაკე ალექსანდრიას აცნობს მსმენელს, ხოლო ლევი-

ტინას პიროვნება, მატჩის მახასიათებელ ცნობილ ინფორმაციად ითვლება, და სხვა.

თუ ეს წინასწარი მსჯელობა სარწმუნოდ ჩავთვალეთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ნებისმიერი სიგრძის დასრულებულ შეტყობინებაში გამოიყოფა ძველი და ახალი ინფორმაცია.

ძველი და ახალი ინფორმაციის შესახებ მსჯელობა და ტექსტში მათი გამოყოფისა და ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევა განეკუთვნება ერთი მხრივ, სემანტიკისა, ხოლო მეორე მხრივ, პრაგმატიკის პრობლემებს. სემანტიკისას, რამდენადაც საქმე ეხება შინაარსის პლანს, და პრაგმატიკისას, რამდენადაც გასათვალისწინებელია მოცემული შეტყობინების ღირებულება მსმენელისათვის, ინფორმაციის სიახლე, მოცემული შინაარსის შედეგიანი გადაცემისათვის საუკეთესო ფორმის მოძებნა და სხვა. ბუნებრივი ენა სხვადასხვა საშუალებას გვთავაზობს იმისათვის, რომ მსმენელს მიანიშნოს ახალსა და ძველ ინფორმაციაზე მოლაპარაკის მიერ გადაცემულ შეტყობინებებში.

3.5.2.

გამონათქვამის თემა-რემატული სტრუქტურის ცვლა არის სიღრმისეული სემანტიკური პროცესები, რომელთაც ეყრდნობა მნიშვნელობის მთლიანობა. გადაბმის დროს ტექსტის მონაკვეთებში იცვლება ერთი და იმავე ლექსიკური შემადგენლების თემა-რემატული ღირებულება. წინამავალი მონაკვეთის რემა (ახალი ინფორმაცია) მომეწოდ თემად წარმოგვიდგება, ძველ ინფორმაციად, რომლის ირგვლივაც ხდება ახალი ინფორმაციის აგება. რემიდან თემად ქცევა არის გამონათქვამის გამაერთიანებელი უმნიშვნელოვანესი პროცესი, რომელსაც თემატიზაციას უწოდებენ.

გარდა სპეციფიკური სემანტიკური პროცესებისა, ტექსტში გადაბმის ის მოდელები, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, ახდენენ გადაბმულ მონაკვეთებში შემადგენლების თემა-რემატულ მიმართებათა ცვლას.

როგორც ლექსიკური გამეორების, ისე კორეფერენციის, სუბსტიტუციისა და დაკავშირების დროს, სემანტიკური გადაბმის ზოგადი სიღრმისეული საფუძველია თემატიზაცია, ან რემატიზაცია (ძველის ნაცვლად ახალი ინფორმაციის შემოტანა).

ყველაზე გაერცელებული მნიშვნელობა, რომელსაც თემატიზაცია შემოაქვს, არის განსაზღვრულობისა და ზოგადობის კატეგორიები, რომლებიც არტიკლებისა და ნაცვალსახელთა საშუალებით გადმოიცემა სხვადასხვა ენაში. ესენი ძველი ინფორმაციის თანმხლები კატეგორიებია (21, 244-245).

განსაზღვრულობა ახდენს იდენტიფიკაციას, გაიგივებას. განუსაზღვრელობა არის ახალი ინფორმაციის ნიშანი, იგი მიუთითებს თემის შესახებ თქმულის შემდგომ განვითარებაზე. განსაზღვრულ სახელთა რაოდენობა მეტი უნდა იყოს ტექსტში, რადგან ეს ქმნის ტექსტის მთლიანობას (12).

იყო ერთი გლეხი. ამ გლეხს ერთადერთი შვილი ჰყავდა.

ერთი გლეხი ახალია და რემაა, ხოლო გამეორების დროს ამ გლეხს განსაზღვრულია და თემაა.

3.5.3.

განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს თემატიზაციის პროცესი კორეფერენციული მიმართებების შემოტანის დროს: ანაფორული და კატაფორული ერთეულები (როგორც ვნახეთ, სხვადასხვა ნაცვალსახელები, ზმნიზედა, ზედსართავი), ყოველთვის თემატურია, ადრე უკვე ნახსენები, ცნობილი და ძველი ერთეულებია.

ნაცვალსახელური კორეფერენცია ყოველთვის სპეციფიკურია ანუ განსაზღვრული, ხოლო მისი ამოცნობა დამოკიდებულია წინამაველ ელემენტზე, რომელიც შეიძლება იყოს განუსაზღვრელიც და განსაზღვრულიც:

იყო ერთი გლეხი. მას ერთადერთი შვილი ჰყავდა.

(რეფერენტი – გლეხი განუსაზღვრელია). ამაზე მიუთითებს განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ერთი. მეტიც, რეფერენტი შეიძლება იყოს არა მარტო განუსაზღვრელი, არამედ არარსებულიც:

არავის არ ჰქონია, რომ მისი შეილი დამნაშავეა.

(არარსებული რეფერენტი – არავის (უარყოფითი ფორმის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი), რეფერენციული კუთვნილებითი ნაცვალსახელი მისი კი განსაზღვრულია).

ყველას ჰქონია, რომ მისი შეილი უდანაშაულოა.

(ყველას – განუსაზღვრელი რეფერენტია, მისი – განსაზღვრული რეფერენციული ელემენტი).

მამასადამე, კორეფერენციული მიმართების სემანტიკური არსია სწორედ თემატიზაცია – ახლად შემოტანილი მნიშვნელობის „დაძველება“.

3.5.4.

სუბსტიტუციაც თემა-რემატულ მიმართებებზე დაყრდნობით იქმნება, მაგრამ პროცესი საპირისპიროა: მოლაპარაკისა და მსმენელისათვის ცნობილი (ძველი) შინაარსის საპირისპიროდ სუბსტიტუციას მომდევნო მონკვეთში შემოაქვს ახლი ერთეული – რემა. მომდევნოდ, ეს ახალი ერთეული შეიძლება იქცეს თემად მომდევნო მონკვეთში:

ნუ მოვა ნიკო (ძველი), ვინმე სხვა (ახალი, რემა) მოვიდეს.
იმას (თემა) უფრო ვენდობი.

I don't want this green apple, I prefer a red one. It should be sweeter.

არ მინდა ეს მწვანე ვაშლი, მირჩევნია ერთი წითელი, ის უფრო ტკბილი უნდა იყოს.

„this green apple“ – ძველი ინფორმაციაა, თემა. „a red one“ – ახალი, რემა. It – ანაფორული ნაცვალსახელი, ძველია, ხდება თემატიზაცია.

3.5.5.

დაკავშირების დროსაც ხდება თემა-რემატული მიმართების შემოტანა ან ცვლა გამონათქვამის ნაწილებს შორის.

ატრიბუტული დაკავშირების დროს მიმართებითი სიტყვა, როგორც ეთქვით, კორეფერენციულ დამოკიდებულებაშია საზღვრულ სიტყვასთან – ე.ი. მას ძველი ინფორმაცია შეაქვს დაქვემდებარებულ წინადადებაში, რომლის სინტაქსურ წევრსაც თვითონ წარმოადგენს.

ბაღში ენახე პატარა გოგო, რომელმაც ყვავილი მოწყვიტა.

რომელმაც სემანტიკურად იმეორებს პატარა გოგოს და უკავშირდება მას თემატური კავშირით.

ადვერსიული დაკავშირების დროს კავშირით შემოტანილი მონაკვეთი ყოველთვის ახალი ინფორმაციაა: მოსალოდნელი, ლოგიკური, ცნობილი ვითარების მაგივრად შემოდის მოულოდნელი ახალი ვითარება: *ქარი ქროდა, მაგრამ არ ციოდა. მაგრამ არ ციოდა მთლიანად არის ახალი ინფორმაცია – რემა.*

თემა-რემატული მიმართება საკმარისად არის შესწავლილი მასზე გამონათქვამის ინტონაციური კონტურის, სინტაქსური სტრუქტურების, სიტყვითი რიგის, სხვადასხვა ტიპოლოგიური მაჩვენებლების გავლენის თვალსაზრისით. ჩვენ მხოლოდ გვინტერესებდა ამ სემანტიკური სტრუქტურის მნიშვნელობა გადაბმის დროს.

დანართი

თითქმის, ლამის, კინალამ სიტყვების სემანტიკური დახასიათება

დანართში წარმოდგენილია სამი ნაწილაკის სემანტიკური ანალიზი. ამ მასალას არა აქვს პირდაპირი კავშირი წიგნში განხილულ საკითხებთან — ეს ნაწილაკები არ აწარმოებენ გაღაბზას ტექსტში. მაგრამ, რამდენადაც ჩვენ არასრულ სიტყვათა 'ზოგადი თეორია და სემანტიკური გაღაბზის პროცესები განვიხილოთ. ეფიქრობთ. კონკრეტულ არასრულ სიტყვათა, ქვემოთ მოტანილი სემანტიკური დახასიათებითა წიგნს სხვა სახის მასალა დაეუმატოს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გვაწვდის *თითქმის*, *ლამის*, *კინალამ* სიტყვების მნიშვნელობათა ძალიან მსგავს განსახილველებას და სინონიმებად წარმოგვიდგენს მათ:

„თითქმის — ზმნისართი — ისე ან იმდენი, რომ ცოტადა აკლდეს, ლამის, კინალამ.“ (შემდეგ მოტანილია მაგალითები).

ბ. „ლამის — ნაწილაკი — ცოტადა აკლია, რომ..., სულ ცოტაც და... თითქმის, კინალამ.“ (შემდეგ მაგალითებია).

გ. „კინალამ — ზმნისართი — ცოტადა აკლდა, თითქმის, ლამის.“ (მაგალითები).

ეს სიტყვები მართლაც სინონიმურია, მაგრამ აშკარაა, რომ განმარტებითი ლექსიკონის მიერ მოწოდებული დახასიათება ათარის საკმარისი და ეერაფრით დაეხმარება ქართულის შემსწავ-

ლელ ადამიანს მათ სწორ ხმარებაში. ოდნავი დაკვირვებაც შეგვა-
მწინეინებს ამ სიტყვების შორის არსებულ სემანტიკურ განსხვა-
ვებებს. ამდენად, მიზანშეწონილია. უფრო წვრილად წარმოვა-
დგინოთ ამ სიტყვათა მნიშვნელობების დახასიათება.

ი. აპრესიანის საერთო ხელმძღვანელობით გამოსულ რუსული
ენის სინონიმთა განმარტებით ლექსიკონში (13) ვკითხულობთ,
რომ ენობრივი ერთეულის მნიშვნელობის ექსპლიკაციის – ასე
ეთქვათ. მნიშვნელობების „სააშკარაოზე გამოტანის“ დროს.
გასათვალისწინებელია ყოველ შემთხვევაში სუთი სემანტიკური
მახასიათებელი მაინც (13, XXXII). ამასთან, ყოველთვის არ
არის აუცილებელი, რომ სუთივე სემანტიკური მახასიათებელი
წარმოადგენილი იყოს ყველა ენობრივი ერთეულის დახასიათე-
ბისას.

სემანტიკურ მახასიათებელთა ტიპებია:

ასერციული მნიშვნელობა. რომელიც არის მტკიცებისა და
უარყოფის ექსპლიციტური (ანუ აშკარად გამოხატული) წარ-
მოდგენა. მაგ., *კანო სტუდენტი*: *კანო სტუდენტი არ არის*.

ბ. სემანტიკური მნიშვნელობის მეორე ტიპად ხსენებულ
ლექსიკონში გამოყოფილია პრესუპოზიციული მნიშვნელობა,
რომელზეც, როგორც ცნობილია, არ მოქმედებს უარყოფა,
აგრეთვე, არც ზომისა და ხარისხის აღმნიშვნელი სატყუებისა და
მოდლობის შემოტანა გამონათქვამში. ჩვენ ვამჯობინეთ
პირველი მახასიათებლისათვის გვეწოდებინა *ექსპლიციტური
მნიშვნელობა*, ე.ი. აშკარად, ფორმალურად გამოხატული მნიშ-
ვნელობა, ხოლო მეორე მახასიათებლისათვის – *იმპლიციტური
მნიშვნელობა*, ანუ ისეთი, რომელიც არ არის აშკარა ფორმით
გამოხატული გამონათქვამში.

მიუხედავად ფორმალური გამოხატულებების არ ქონისა, იმპლი-
ციტური მნიშვნელობა სრულიად ცალსახად ვაიგება მოსაუბრეე-
ბის მიერ. პრესუპოზიციის არის იმპლიციტური მნიშვნელობის
მხოლოდ ერთი სახე. შესაბამის მაგალითად რუსული ენის სინო-
ნიმთა განმარტებით ლექსიკონში მოტანილია ზმინა იღლებას
პრესუპოზიციული მნიშვნელობა – მუშაობს. შრომობს. არ იღლე-
ბა იმავე პრესუპოზიციული მნიშვნელობის მქონეა; არ იღლება.
მაგრამ შრომობს. ძალიან იღლება. შეიძლება დაიძალოს ფრაზებში
ეს პრესუპოზიციული მნიშვნელობა არ იცვლება.

გ. შემდეგი სემანტიკური მახასიათებელია ე.წ. „მოღალური ჩარჩო“, ანუ მოლაპარაკის მიერ (იშვიათად – მსმენელის მიერ) შეტყობინების შეფასება. მოღალობა შეიძლება გამოხატული იყოს ექსპლიციტურადაც და იმპლიციტურადაც.

დ. ე.წ. „დაკვირვების პოზიცია“ – შეტყობინების მიმართ მოლაპარაკის გარე ან შიდა პოზიცია. ცხადია, ყოველი მოლაპარაკე ამავე დროს დამკვირვებელიც არის, მაგრამ ზოგჯერ დამკვირვებლის პოზიცია ენობრივი ერთეულის მნიშვნელობის ნაწილი ხდება. გარე დამკვირვებელი მთელს ვითარებას გარედან აფასებს, ხოლო შიდა დამკვირვებელი გარკვეულად შიგნიდან მონაწილეობს სიტუაციაში. *მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს* – აქ ცხადია მოლაპარაკის გარე პოზიცია. *სახლში თბილა* – ცხადია პოზიცია შიგნიდან, და სხვა.

ე. მოტივაცია – მოქმედების შესრულების მიზანი.

როგორც ვნახავთ, ამ სემანტიკურ მახასიათებელთაგან ზოგი კარგად გამოგვადგება ამორჩეულ სიტყვათა დასახასიათებლად.

ახლა მივუბრუნდეთ სიტყვებს *თითქმის*, *ლამის*, *კინაღამ*. რამდენადაც სხვა არასრული სიტყვების მსგავსად ესენი არ წარმოადგენენ ნიშნებს და მათი მნიშვნელობის დასახასიათებლად მოცემულია ხოლმე ის კონტექსტი, რომელშიც იხმარება სიტყვა, მათი მნიშვნელობა გამოიკვეთება გამონათქვამში ხმარების დროს.

რუსული ენის სინონიმთა ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ „მრავალი ასეთი სიტყვის – საუბარი ეხება ძირითადად ნაწილაკებსა და ზმნიზედებს – მნიშვნელობა პრესუპოზიციულია და არა ასერციული“ (13, XXVIII). ვფიქრობ, რომ არასრულ სიტყვათა სემანტიკა, ისევე, როგორც სრულმნიშვნელობიან სიტყვათა სემანტიკა იქმნება ექსპლიციტური და, აგრეთვე, იმპლიციტური სახის მნიშვნელობათაგან.

ჩვენს მიერ არჩეულ სიტყვათა მაგალითზე ვნახავთ, თუ როგორ შეიძლება ერთმანეთისაგან ექსპლიციტური და იმპლიციტური მნიშვნელობების გამოცალკევება. ვფიქრობ, რომ ის მნიშვნელობა, რომელიც მოცემულია ამ სიტყვებისათვის ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, არის სწორედ მათი ექსპლიციტური მნიშვნელობა, კერძოდ: სამივე სიტყვა გამოხატავს ზმნით გაღმო-

ცემული მოქმედების არ შესრულებას, ან ვითარების ან თვისების არასრულობას.

კირილე კინალამ ხმალს წამოეგო. (დ.კლდ.) — რეალურად არ წამოგებულა.

მიდიოდა, თითქმის მირბოდა. (დ.ჯავ.) — ფაქტიურად არ მირბოდა.

ლამის სისხლი გამიჩერდეს სიცხისაგან დაბერილ ძარღვებში. (დ.ჯავ.) — ფაქტიურად არ მიჩერდება სისხლი.

საკმარისია ამ წინადადებებიდან ამოვიღოთ ჩვენი არასრული სიტყვები, რომ მათში დასახელებული ყველა მოქმედება რეალურად შესრულებულ მოქმედებად წარმოგვიდგეს – წინადადებებიდან ამოდის უარყოფის, არარეალობისა და შეუსრულებლობის სემანტიკა. მაშასადამე ეს მნიშვნელობები არის ამ სიტყვების ექსპლიციტური მნიშვნელობა.

ცალ-ცალკე განვიხილოთ ამ სიტყვების კერძო სემანტიკური მახასიათებლები და მათი სემანტიკური თანახმარების ზოგი თავისებურება.

თითქმის სიტყვის მნიშვნელობა გადმოგვცემს გამონათქვამში ასახული პროცესის, ვითარების, თვისების, რაოდენობის, სიმრავლის არასრულობას, არ დამთავრებას, რაოდენობრივ არასაკმაობას.

მაგალითად: *თითქმის ააშენა, თითქმის შელება, თითქმის გაწმინდა; მზე თითქმის ამოვიდა.*

თითქმის მზადაა, თითქმის სავსეა, თითქმის გაკეთებულია.

თითქმის სწორია, თითქმის ჯანმრთელია, თითქმის მრგვალია.

თითქმის ათია, თითქმის ჩემია; თითქმის არაფერია.

უარყოფით წინადადებებში: *თითქმის არ იძვრის /არ იძროდა, თითქმის არ ჩანს/არ ჩანდა/არ გამოჩენილა... თითქმის არ სძინებია, თითქმის არ უმეცადინია და სხვა.*

თითქმის სიტყვის კერძო იმპლიციტური მნიშვნელობებია:

ა. მოქმედების ან პროცესის გადმოცემის დროს *თითქმის* ხშირად გულისხმობს სულიერი სუბიექტის გარკვეულ გაცნობიერებულ ცდას, გარკვეულ შრომას მოქმედების დასრულებისათვის, მაგრამ

მოქმედება ბოლომდე არ არის მიყვანილი. *კაცმა თითქმის შელება ფანჯარა ნიშნავს, — ლება, ეცადა, მაგრამ ბოლომდე არ შეულებავს.*

ბ. დაუსრულებელი ან ნაკლული მოქმედება ან ვითარება შეიძლება დასრულდეს ან დასახელებული თვისება შეიძლება ბოლომდე შეივსოს. *თითქმის დასრულებული ნიშნავს: კიდეც დამატებითი ძალისხმევაც და ნაშრომიც დასრულდება: ვილაც თუ დაემატა, სწორედ ათი მსმენელი გეყოლება; ოდნავ თუ კიდეც ჩაასწორებ, წრე მთლად მრგვალი იქნება და ა.შ.*

ამდენად, *თითქმის* სიტყვიანი ფრაზა გულისხმობს მოქმედებისა და თვისების ხრისხის ბოლომდე მიყვანის, დასრულების შესაძლებლობას.

გ. მოქმედების, ვითარების, თვისების სისრულის შეფასება ხდება გარედან — მოლაპარაკის პოზიცია არის გარე პოზიცია: ეუყურებ ნაშენებს და ვხედავ, რომ არ არის ბოლომდე აშენებული, არ არის შენობა დამთავრებული; ვითვლი და ვხედავ, რომ არ არის ათი კაცი მოსული; წრეხაზი არ არის მთლად მრგვალი — მე ხომ ვიცი რას ნიშნავს *მთლად მრგვალი*. ასეთი გარე ორიენტაციის გამო *თითქმის* სიტყვას ერთგვარი ობიექტურობა შეაქვს გამონათქვამში.

დ. მნიშვნელობის მოდალობის თვალსაზრისით, ანუ მოლაპარაკის დამოკიდებულების თვალსაზრისით, *თითქმის* სიტყვიან ფრაზაში წარმოდგენილია ნეიტრალური დამოკიდებულება მოქმედების, ვითარებისა თუ თვისებისადმი, სასიამოვნოა თუ უსიამოვნო ფაქტი, ამას წყვეტს გამონათქვამის სხვა შემადგენელთა სემანტიკა და სამეტყველო აქტის (ლოკუციის) პრაგმატული ვითარება:

იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბერა — „დაბერება“ ნეგატიურია თავისთავად, ნინოს წუხელაც თითქმის არ სძინებია — ნეიტრალურია ან სუსტად უარყოფითი, ორივენი თითქმის გაიქცნენ ერთმანეთისაკენ — თავისთავად დადებითია, სახლი თითქმის გაუმართა — დადებითია, და სხვა.

ამ იმპლიციტურ მახასიათებლებს ერთგვარად შეავსებს *თითქმის* სიტყვის სემანტიკური თანახმარების ასპექტების შესწავლა. *თითქმის* იხმარება უმეტესად:

დინამიკურ ზმნებთან, რომლებიც გამოხატავენ შემოსაზღვრულ

პროცესს; თითქმის ისეთ თვისებას ან რაოდენობას ახასიათებს, რომელიც ერთის მხრივ პროცესია ან რაოდენობრივი ცვლილების შედეგი, ხოლო მეორეს მხრივ ისეთი, რომელიც ყოველთვის შეიძლება დასრულდეს. მაშასადამე, თითქმის არ იხმარება ე.წ. რაოდენობრივად შემოსაზღვრელი პროცესის აღმნიშვნელ სიტყვებთან, ანუ ისეთ შემთხვევებში, როდესაც თვისების ან პროცესის ხარისხი არ არის რაოდენობრივად გარკვეული.

მაგ., არ იხმარება თითქმის ტკბილია, მაგრამ დასაშვებია თითქმის მრგვალია. თითქმის ტკბილი არ იხმარება, რადგანაც არ არსებობს რაოდენობრივი ცვლილება ისეთი, როდესაც ვიტყვით, რომ თითქმის ტკბილიდან ნამცხვარი ტკბილ ნამცხვრად გადაიქცა; მაგრამ, თუ ამ თვისებას კონტექსტი დაუსვამს ზღვარს, ანუ ექსპლიციტურად იქნება მინიშნებული, თუ რა თვისებრიობაა მისაღწევი, მაშინ შესაძლებელია ვთქვათ: ეს ნამცხვარი თითქმის ისეთივე ტკბილია, როგორც შენი მურაბა.

შესაბამისად გვხვდება: თითქმის შეკერა. გვაქვს სუპი თითქმის გაცხელდა, მიუხედავად იმისა, რომ კონტექსტის გარეშე ეს ზმნა შემოსაზღვრელი პროცესის აღმნიშვნელია, ამ შემთხვევაში ექსტრალინგვისტური კონტექსტი, კერძოდ ცოდნა იმისა, თუ რამდენად ცხელი უნდა იყოს სუპი, რომ საჭმელად მესიამოვნოს, შემოსაზღვრავს პროცესს. ასეთივეა: თითქმის ისევე გაიზარდა და დაშვენდა, როგორც თავისი და – აქ პროცესის შემოსაზღვრას ახდენს ლინგვისტური კონტექსტი.

თითქმის იხმარება, აგრეთვე, შემოსაზღვრული ინტელექტუალური პროცესების ან მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნებთან: თითქმის დაუუჯერე, თითქმის დავეთანხმე, თითქმის გავიგე/მივხვდი.

თითქმის იხმარება, აგრეთვე, მოქმედების გამომხატველ ზმნებთან, როდესაც თვით ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება ნიშნავდეს ანალოგიური მოქმედების გარკვეულ მაღალ ხარისხს: თითქმის მირბოდა, თითქმის ყვიროდა...

თითქმის იხმარება ღინამიკურ ზმნებთან, რომლებიც აღნიშნავენ მდგომარეობის ცვლას: თითქმის ჩაიძირა, თითქმის დაიხრჩო...

თითქმის არ იხმარება: ღინამიკურ ერთგზის (მომენტალურ) ზმნებთან – ვარდება, ფეთქდება, სკდება, არტყამს ... ისერის...

თითქმის არ იხმარება ე.წ. პერფორმატივებთან, რომლებიც აწმყო დროის თხრობითი კილოს უსრულ ფორმაში და გარკვეულ პრაგმატულ პირობებში აღნიშნავენ მათ მიერვე დასახელებული მოქმედების შესრულებას: გაიძრება, გიბრძანებს, გასახელებს,

გაჯილდოვებს, განიჭებს, პატიებას გთხოვს... იგივე ითქმის ე.წ. ნახევრად პერფორმატივებზე: ამაცობს, იმედი აქვს, უხარია, გკოცნის, თავს ხრის, გეხევეა და სხვა.

რაც შეეხება გრამატიკულ მნიშვნელობებთან თანახმარებას, თითქმის უმეტესად იხმარება: თხრობითი კილოს, სრული ასპექტის წარსული დროის ფორმის ზმნებთან (წყვეტილში). უარყოფასთან ერთად ხშირად იხმარება ზმნასთან I თურმეობითში (არ სძინებია).

ლამის, ლამის არის, ლამისაა, ლამისა ვარ — ზოგადად ნიშნავს, რომ ხსენებული მოქმედება, ფაქტი ან ვითარება არ არის შესრულებული, არ სრულდება. ზმნების მოქმედება, ფაქტი ან ვითარება არ არის შესრულებული, არ სრულდება. ზმნების გარდა ლამის იხმარება სხვადასხვა ვითარების ან თვისების კომენტარისათვის. იგი ხშირად ახლავს სახელებს (ზეღსართავს, რიცხვითს, ნაცვალსახელს).

მაგალითები: ლამის გამისკდეს თავი, ლამის დაეახრჩო, ლამის ყველაფერს თავი მივანებო. ლამის სახლში შემოვიდეს თუთა, ლამის წელზე შემომხვიოს ხელი; ლამის ოქროში ჩასვას, სიხარულით ლამის ცაში ფრინავს.

ლამის საესეა დარბაზი, ლამის (უკვე) ჩემია, ლამის ათი კაცია მოსული, ლამის (უკვე) თორმეტი საათია, ლამის დეკემბერია და მზე როგორ გვათბობს! ლამის ამ შემთხვევაში მსაზღვრელად ახლავს სახელს.

უარყოფითი წინადადებები: ლამის აღარ მივესალმო! ლამის აღარ შემოვუშეა აქ!

იმპლიციტური მნიშვნელობებია:

ა. მოქმედება ან ვითარება შემზადებულია მოსახდენად ან გასახორციელებლად სუბიექტის ემოციური მდგომარეობით ან მოლაპარაკის ემოციური შეფასებით; ისეთი ვითარებაა, რომ შეიძლება მოხდეს, დაემართოს ვინმეს ის, რაც ნათქვამია: ლამის თავი გაუსკდეს, ლამის ბოლმამ დაახრჩოს. სუბიექტი არის პაციენსი.

ლამის სიტყვიანი ფრაზა მხოლოდ მოცემულ გამონათქვამში გადმოცემული ვითარების კომენტარს ახდენს. თითქმის სიტყვისაგან განსხვავებით, ლამის არ გულისხმობს არავითარ მომავალ განვითარებას, მნიშვნელობა დაბმულია მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ გამონათქვამთან.

ბ. თითქმის სიტყვიანი ფრაზებისაგან განსხვავებით, ლამის სიტყვის ხმარების დროს იგულისხმება, რომ მოქმედების სრულიად არავითარი ნაწილი არ არის შესრულებული, გამონათქვამში გადმოცემული ვითარება შეიძლება ძალიან შორს იყოს რეალობისაგან. ლამის სიტყვიანი ფრაზა გადმოგვცემს არარეალურ მოქმედებას. ვითარებას, თვისებას სუბიექტის ან მოლაპარაკის ემოციურ შეფასებაში.

გ. მოლაპარაკის ორიენტაციის მიხედვით ლამის სიტყვიანი ფრაზა შიდა ორიენტაციის იმპლიციტური მნიშვნელობის მატარებელია, მთლიანად სუბიექტურია, ე.ი. ვითარება მთლიანად შიგნიდან არის დანახული მოლაპარაკის მიერ. შიდა ორიენტაციის შემოტანით ლამის სიტყვა უპირისპირდება სიტყვას თითქმის, რომელიც, როგორც გვანსოვს გარე ორიენტაციის მატარებელია. საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ: თითქმის ათი საათია და ლამის ათი საათია.

დ. საინტერესოა ლამის სიტყვის მოდალობა. თითქმის სიტყვის ნეიტრალურ ან სუსტად გამოხატულ დადებით მოდალობისა და კინალამ სიტყვიან კონსტრუქციაში უმეტესად უარყოფითი განწყობისაგან განსხვავებით, სიტყვა ლამის შეიძლება დადებით, სასიამოვნო ან უარყოფით (ან ამ თვალსაზრისით ორაზროვან) ფაქტს უწევდეს კომენტარს; როგორც ჩანს, მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, რომ მოლაპარაკის ემოცია ძლიერი იყოს. ამდენად, სიტყვით ლამის გამონათქვამში იქმნება ძლიერი ემოციური განწყობა. მაგ., ლამის დაშრეს ტბაში წყალი არ გვაწვდის ინფორმაციას რეალური ვითარების თაობაზე, არამედ ნიშნავს: ჩემი, მოლაპარაკის, შეფასებით – ამ შემთხვევაში, იქნებ, აღშფოთებული ვარ, რომ ტბის ირგვლივ ტყე გაიჩეხა – ისეთი ვითარებაა, რომ წყალი შეიძლება დაშრეს. რეალურად, იქნებ, არც არაფერია შეცვლილი, ან ძლიერ უმნიშვნელოდ არის წყალი შემცირებული (შდრ. – წყალი თითქმის დაშრა).

საინტერესოა, რომ სიტყვასთან ლამის ძალიან ხშირად გვხვდება გაზვიადებული ან მეტაფორული გამონათქვამები, რაც კარგად შეესატყვისება იმ ფაქტს, რომ ასეთ ფრაზებში მნიშვნელოვანია ძლიერი ემოციური ფონი: გული ლამის ბუდიდან ამოვარდეს! ლამის ჭკუიდან შევიშალო! ლამის ოქროში ჩასვას! ლამის გულზე გასკდეს! და სხვა. ამგვარი ფრაზეოლოგია არ

გვსვდება „საქმიან“ და ნეიტრალურ. ობიექტურ ფრაზებში, სადაც ვკაქვს სიტყვა *თითქმის*.

ამდენად, ლამის სიტყვიანი კონსტრუქცია იმდენად რეალურ ფაქტს არ უწევს კომენტარს, რამდენადაც ახდენს ვითარების ემოციურ შეფასებას. ან მისდამი ემოციურ დამოკიდებულებას ასახავს. თუკი *თითქმის* სიტყვიანი ფრაზა არის ფაქტის კონსტატაცია. ლამის სიტყვიანი გამონათქვამი წარმოადგენს ვითარების ემოციურ კომენტარს.

ლამის სიტყვის სემანტიკური თანახმობა ზმნებთან ახეიია:

ლამის იხმარება ერთბაში მოქმედების აღმნიშვნელ ღინამიკურ ზმნებთან:

აყუთქდეს, გახეოქოს, ვადაეარდეს, ვათიშოს;

შეძოსაზღვრული პროცესის აღმნიშვნელ ღინამიკურ ზმნებთან: *გახმეს, დაწვას, დაანგრიოს, შეღებოს, დაღპეს, გაფუჭდეს, გაიფურჩქნოს;*

სტატიკურ ზმნებთან: *დაიჯეროს, დაეთანხმოს, შეჯავრდეს, მოეწონოს;*

პერფორმატივებთან: *დააჯიღლოვოს, კატეხა თხოვოს, მიანიჭოს (ორდენი), მადლობა უთხრას, და სხვა.*

სიტყვას ლამის აქვს გარკვეულ გრამატიკულ მნიშვნელობათა მართვის ძლიერი უნარი. კერძოდ: იგი მოითხოვს კავშირებითი კილოს, სრული ასპექტის, მომავალი ღროის (იმკითადა წარსული ღროის) ფორმას ზმნაში. მაშასადამე, ლამის თითქმის ყოველთვის იხმარება II კავშირებითი. ამ შემთხვევაში ზმნის კილოც სახის უხვამს ვადმოცქეული მნიშვნელობის არარეალურ ხასიათს.

კინაღამ, კინაღამ არ — ორივე ფორმა იდენტურია თავისი მნიშვნელობით. ოღონდ *კინაღამ არ*, როგორც წანს, უფრო ემოციურია და ხშირად იხმარება ძახილის, ან კითხვა-ძახილის წინადადებებში სპეციფიკური ინტონაციით; იგი ხშირად გამიზნულია მსმენელთან კონტაქტის დასამყარებლად. *კინაღამ არ* ფორმის ემფატური ხასიათი შეიძლება იმით აიხსნას, რომ ძასში ფორმალურად არის გამოხატული *კინაღამ* სიტყვაში ნაგულისხმევი უარყოფა.

კინაღამ — ზოგადი მნიშვნელობაა ფაქტის არარეალურად. არ შემდგარად ჩვენება. სიცივით *კინაღამ გაფინხდა, კინაღამ თავი გაიუბედურა, კინაღამ გული გაუხკდა, სიხარულით კინაღამ შეეხტა:*

კინალამ დათანხმდა. კინალამ იყო, კინალამ გაეცინა: კინალამ არ ჩაკვარდი? და სხვა. კინალამ იხმარება მხოლოდ ზმნებთან.

ახლა ენახოთ. თუ როგორია კინალამ სიტყვის კერძო იმპლიციტური მნიშვნელობები:

ა. კინალამ სიტყვით განსაზღვრული მოქმედება არანაირად არ არის შემზადებული სიტუაციით — არც ცოდნითა და შრომით, როგორც ხდება თითქმის სიტყვის შემთხვევაში, და არც ემოციურად, როგორც ეს ხდება ლამის სიტყვის შემთხვევაში. მოქმედება წარმოდგენილია, როგორც ერთბაში, მოულოდნელი, არავითარი პროცესი არ არის ნახვენი. ამ პრესუპოზიციული მნიშვნელობის ზედაპირზე გამოისატანად კინალამ სიტყვიან ფრაზაში შეიძლება ჩავსვათ სიტყვები: უცებ, შემთხვევით, მოულოდნელად (კინალამ უცებ არ ვაძეცინა).

ბ. თუკი სიტყვასთან თითქმის მოქმედება ან ვითარება შეიძლება დასრულდეს. ან ითვისება შეივსოს, ხოლო ლამის სიტყვასთან არ ივსოვს. წარმოდგენილი ვითარების რამენაირი განვითარება. კინალამ ამ თვალსაზრისით სხვა იმპლიციტური სემანტიკით ხასიათდება: აქ ივსოვს, რომ მოქმედება არ მოხდა უკვე საბოლოოდ და ვითარება ერთხელ და სამუდამოდ ამით ამოიწურა. კინალამ გადაეხვიე — არ გადაეხვიე და ვითარებაც ამით ამოიწურა.

გ. მოლაპარაკის პოზიციის თვალსაზრისით, როგორც ჩანს, კინალამ სიტყვიანი ფრაზა უფრო გარე ორიენტაციის იმპლიციტური მნიშვნელობის მატარებელია — ვითარების შექცევაში ჩანს მოლაპარაკის პოზიცია მოქმედების გარედან. კინალამ გაეცინა — კიდევ კარგი, რომ არ გაეცინა, რა დროს სიცილი იყო! კინალამ აკტირდი — კიდევ კარგი, რომ არ აკტირდი, სირცხვილი იყო და სხვა.

დ. სიტყვა კინალამ სრულიად გამორიცხავს სუბიექტის ნებელობას, მოქმედების შესრულების ან ახდენის სურვილს. სუბიექტი არის სრულიად პასიური. მისდაუნებურად ხდება მის თავს რაღაც. იქნებ ერთი წამით შექმნილი გარემოების გამო. მოქმედება უნებურია. სუბიექტი მაშინაც პასიურია, როცა მოქმედება აქტიური ზმნით არის გამოხატული და სუბიექტი არის

აგენსი (კინალამ შემომელანძლა).

თუკი სუბიექტის სურვილზე ან ნებელობაზეა საუბარი, ამ შემთხვევაში იგი შეიძლება სწორედ საწინდარი აღმოჩნდეს იმისა, რომ მოქმედება არ შესრულდა: (არ გავლანძღე იმიტომ, რომ დროზე შევიკავე თავი).

ე. კინალამ სიტყვას, როგორც წესი, თან ახლავს უარყოფითი მოძალობა — მოლაპარაკის ან სუბიექტის მიერ ფაქტისადმი უარყოფით დამოკიდებულებას გულისხმობს (კიდევ კარგი, რომ არ მოხდა): კინალამ „გოგო“ დაგიძახე — რაღაც ისეთი კინალამ ჩავიღინე, რაც გარემოებას არ შეესაბამებოდა, ძალიან იშვიათია დადებითი მოძალობის მატარებელი კინალამ სიტყვიანი ფრაზა: კინალამ სიხარულით შეეხტი, გახარებულმა კინალამ გადაეკოცნე და სხვა. ამ შემთხვევაშიც კი უხშირესად იგულისხმება — კიდევ კარგი, რომ არ გადაეკოცნე, რას იფიქრებდა, და სხვა.

განვიხილოთ კინალამ სიტყვის სემანტიკური თანახმარება:

კინალამ იხმარება მომენტალურ დინამიკურ ზმნებთან: ჩახტა, გასკდა, ესროლა, აფეთქდა, დააბრაზუნა.

მდგომარეობის ცვლის აღმნიშვნელ დინამიკურ ზმნებთან: მოკვდა, გაჩერდა, აეად გახდა, ჩაიძირა, დაიხრჩო, დასველდა.

პერფორმატივებთან: პატიება თხოვა, გადაეხვია, (ორდენი) მიანიჭა და სხვა.

კინალამ არ იხმარება სტატიკურ ზმნებთან, რომლებიც გამოხატავენ ინტელექტუალურ მდგომარეობას: იცის, ჯერა, ეჭვობს, გონია, ესმის. ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნებთან: მოწონს, უნდა, სურს, ეზიზღება, ეზარება.

აღქმის ზმნებთან: ესმის, ხედავს, გრძნობს.

შეგრძნების გამომხატველ ზმნებთან: ტკივა, გული ერევა და სხვა. თუმცა ზოგჯერ, თუ ამ ზმნებმა წარსული დროის, თხრობითი კილოს, სრული ასპექტის ერთგზისი ფორმა მიიღეს, მაშინ გვხვდება, მაგ., კინალამ გული ამერია, კინალამ დავიჯერე, კინალამ მომეწონა, გაესინჯე და სხვა.

კინალამ იხმარება წარსული დროის, თხრობითი კილოს, სრული ასპექტის ერთგზისი მოქმედების აღმნიშვნელ ზმნებთან და პრაქტიკულად ყველა სემანტიკის ზმნასთან შეიძლება შეგვხვდეს, თუ კონტექსტი ამ ზმნებს დასახელებულ გრამატიკულ მახასიათებლებს მიანიჭებს.

ციტირებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი, გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949
2. ინანიშვილი, რ., სად ცხოვრობს მეზღაპრე, 1970
3. კვაჭაძე, ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1970
4. კლდიაშვილი, დ., მემუარები, თბილისი, 1932
5. ორბელიანი, სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, აჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950 - 1964
7. Беньвснист, Э., Общая лингвистика, М., 1974
8. Богуславский, И.М., Сфера действия лексических единиц, М., 1996
9. Лосев, А.Ф., Проблема символа и реалистическое искусство, М., 1976
10. Лотман, Ю.М., Структура художественного текста, М., 1970
11. Мельчук, И.А., Курс общей морфологии, т. I, М., 1997
12. Николаева, Т.М., О функциональных категориях линейной грамматики. Синтаксис текста, ред. Г.Золотова. М., 1979. с.38 – 48
13. Новый объяснительный словарь синонимов русского языка. Первый выпуск. Под общим руководством Ю.Д.Апресьяна, М., 1997
14. Сгалл, П., К программе лингвистики текста. Новое в зарубежной лингвистике VIII, М., 1978. с.79 – 88
15. Словарь русского языка АН СССР, т. I, М., 1957
16. Соссюр, Ф. де, Труды по языкознанию, М., 1977
17. Соссюр, Ф. де, Заметки по общей лингвистике, М., 1990
18. Теньер, Л., Основы структурного синтаксиса, М., 1988
19. Трубецкой, Н.С., Основы фонологии, М., 1960
20. Чейф, У., Значение и структура языка, М., 1975
21. Чейф, У., Память и вербализация прошлого опыта. Новое в зарубежной лингвистике XII, М., 1983. с. 35 – 73
22. Чукоккала, Рукописный альманах Корнея Чуковского, М., 1979
23. Beaugrand, R. de, Dressler, W., Introduction to Text Linguistics, Longman, 1983
24. Bloomfield, L., Language, New York, 1933
25. Carnap, R., Foundations of Logic and Mathematics. The Structure of Language. Readings in the Philosophy of Language. J. A. Fodor, J. Katz (eds.), 1965, p. 419 – 436
26. Daneš, F., Some Thoughts on the Semantic Structure of the Sentence. Lingua 21, 1968. p. 55 – 59
27. Dijk, Teun A. van, Issues in the Pragmatics of Discourse. Amsterdam, 1975
28. Dressler, W., Towards a Semantic Deep Structure of Discourse Grammar. Papers from the Third Regional Meeting. Chicago Linguistic Society. 1967, p. 202 – 209

29. Fillmore, Ch. J., Types of Lexical Information. Studies in Syntax and Semantics. ed. F. Kiefer. Dordrecht, 1970
30. Fillmore, Ch. J., Verbs of Judging. An Exercise in Semantic Description. Studies in Linguistic Semantics. Ch. Fillmore, D. T. Langendoen (eds.), Holt, 1971, p. 273 – 289
31. Firbas J., On Defining the Theme in Functional Sentence Analysis. Travaux Linguistique de Prague. 1964, 1966, #1
32. Fries, Ch. C., The Structure of English: An Introduction to the Construction of English Sentences. Longmans, 1957
33. Grice, H. P., Logic and Conversation. Syntax and Semantics 3, Speech Acts. ed. by P. Cole and J. H. Morgan. 1975, p. 41 – 58
34. Halliday, M. A. K. and Ruqaiya Hasan, Cohesion in English. Longman, 1976
35. Hausenblas, K., On the Characterization and Classification of Discourses. Travaux Linguistique de Prague 1, 1966, p. 67 – 83
36. Isenberg, H., Ueberlegungen zur Texttheorie. IHWE, 1971, S. 155 – 172
37. Jakobson, R., Shifters, Verbal Categories, and the Russian Verb. R. Jakobson, Selected Writings II, Mouton, 1971, p. 130 – 147
38. Jakobson, R., Quest for the Essence of Language. R. Jakobson, Selected Writings II, Mouton, 1971
39. Lewis Carroll, Alice's Adventures in Wonderland. Through the Looking Glass. Puffin, 1976
40. Longman Dictionary of Contemporary English, 1995
41. Lyons, J., Introduction to Theoretical Linguistics, Cambridge, 1969
42. Lyons, J., Semantics, Cambridge, 1977
43. Milne, A. A., The World of Winnie-the-Pooh. Poems, M., 1983
44. Ogden, C. K., Richards, I. A., The Meaning of Meaning, London, 1953
45. Oosten, J. van, On Defining Prepositions. Proceedings of the Third Annual Meeting of the Berkeley Linguistic Society, 1977
46. Palmer, F. R., Semantics, Cambridge University Press, 1981
47. Peirce, Ch. S., Speculative Grammar. Collected Papers of Ch. S. Peirce, vol. II, Cambridge (Mass.), 1960
48. Searle, J. K., Speech Acts, Cambridge, 1961
49. Shapiro, M., The Sense of Grammar. Language as Semeiotic. Bloomington, 1983
50. Spenser, A., Morphological Theory. Blackwell, 1992
51. Strawson, P. F., Subject and Predicate in Logic and Grammar. Methuen, 1974
52. Vandryes, J., La langue: Introduction linguistique a l'histoire. Paris, 1921
53. Weinrich, H., Linguistik der Luege. Heidelberg, 1966
54. Wittgenstein, L., Philosophical Investigations, Oxford, 1953